

გალივა სიახლე

ქართლური ხალხური სიმღერები



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

გიორგი სვანიძე

ქართლური ხალხური სიმღერები

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საარქივო მასალები

Giorgi Svanidze

Kartlian Folk Songs

From the Archives of the Folklore State Centre

თბილისი Tbilisi
2021

კრებულში შეჯერდა და გაერთიანდა ქართლური მუსიკალური ფოლკლორის სვანიძისეული გამოცემული და გამოუცემელი სანოტო ნიმუშები და თქმულება-გადმოცემები; შეივსო და დაზუსტდა გიორგი სვანიძის ბიოგრაფია; გაცოცხლდა 1916-1950 წლებში ქართლსა და კახეთში მცხოვრებ ეთნოფორთა სახელები. ამ კრებულით აღდგება და საშემსრულებლო პრაქტიკაში კვლავ დამკვიდრდება მივიწყებული ქართლური სიმღერები და მათი ვარიანტები; გამომზეურდება აქამდე უცნობი სანოტო და დოკუმენტური მასალა; საზოგადოება უფრო სრულყოფილად გაიცნობს გიორგი სვანიძის — კომპოზიტორის, ლოტბარისა და ფოლკლორისტის — ღვაწლსა და დამსახურებას.

შემდგენლები: თეა კასაბური, ნანა ვალიშვილი

მუსიკალური რედაქტორები: ნანა ვალიშვილი, ლევან ვეშაპიძე

რედაქტორი ბაია ასიეშვილი

მთარგმნელი მაია კაჭკაჭიშვილი

დიზაინერი ნიკოლოზ გოგაშვილი

დამკაბადონებელი ლევან ვეშაპიძე

არქივებში დაცული დოკუმენტები და პუბლიკაციები მოიძია თეა კასაბურმა

ფოლკლორის ცენტრის საარქივო მასალები დაამუშავა ნანა კალანდაძემ

პროექტის ხელმძღვანელი გიორგი გაბუნია

პროექტის კოორდინატორი სოფიო ლობჟანიძე

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

ISMN 979-0-802101-74-6

ს ა რ ჩ ე ვ ი

გიორგი სვანიძე — კომპოზიტორი, ლოტბარი, ფოლკლორისტი	7
ავტობიოგრაფია	19

ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი

1957 წლის გამოცემის წინასიტყვაობა (ე. ვირსალაძე)	29
შემკრებისაგან (გ. სვანიძე)	31
თქმულებანი	33
1. სიმღერების სადაურობა	33
2. მკის სიმღერა	33
3. თოხნური	39
4. საწნახლური	40
5. ქვევრის რეცხვისა	43
6. მხიარული გაზაფხული	44
7. ზე-მყრელო (საფერხულო)	46
8. სამაია	48
9. ბუქნა ჭოტო	49
10. მზისა და მთვარის ჩხუბი	49
11. ჩაკრულო	51
12. ისემც რა ვუთხრა ჭკუასა	55
13. ატენის ლვინოვ, ნაქებო!	56
14. გუშინ შვიდნი გურჯანელნი	58
15. შაშვი-კავაბი	60
16. ზამთარი	64
17. ფარინე	65
18. ამბავსა გეტყვით	69
19. მესტვირეების ამბავი	71
20. მეფანდურე მაჩაბლისა და მესტვირე გაიოზ ფურცელაძის გაბაასება	83
21. თამარის ქოში	85
22. ამბობენ, რომ თამარ მეფემ	89
23. შავლეგო	90
24. მოდისო მტერი, კახელო	93
25. კახეთს მოადგა თარეში	94
26. ძლიერ სტიროდა	95
27. გრიგოლ გრიგოლაშვილის ლექსი	96
28. ოპა ბეთაშვილზე	98
29. ბატონო, თავი მანებე	101
30. ტანტალა ბესარიონზე	104

31. აღარ მწადია ცხვარშია	106
32. გაფრინდი, შაო მერცხალო	108
33. ქალო, ქალთა მზეო	116
34. ცოლი გამიდიდგულდა	127
35. საროს დანიშნული	129
36. შემოგხედა (და) მზეს გადარებ	129
37. მოდი, აქ დაჯექ, შვილო	130
38. ერთი ლალა ქალის ამბავი	132
39. დიამბეგს ქალი მოსტაცეს	134
40. ბეთლემის საყდარზე	135
41. ყინწვისის ჭაძარზე	136
42. ყურშაო	138
43. ნეტავი, გოგო, მე და შენ	143
44. ბერი კაცი ვარ	144
45. ფაფრის ხევო	148
46. მომლერალ ბიჭის ნათქვამი	152
47. ბიჭმა აჯობა	153
48. ოჩხარი	154
49. სამ ყაჩალზე	155
50. ფისმანაში	157
51. შაშვო ლამაზო	157
52. ცანგალა და გოგონა	160
 ლეკური თუ ლეგური?	162
შენიშვნები 1957 წლის გამოცემისთვის	171
დავიცვათ ქართული საუნჯე — ვაჟა გვახარიას კრიტიკული 1957 წლის გამოცემაზე	185
გიორგი სვანიძე — პასუხი ვაჟა გვახარიასადმი	189

ქართლური ხალხური სიმღერები

1. ჰერიო	197
2. ჰერი ეგა	199
3. ჰერი ეგა	202
4. გლესავ გაგლესავ, ნამგალო	205
5. ლაზარე	206
6. ჭონა	208
7. ვარალი ვარალე	210
8. მხედრული	212
9. გამოსალვიძებელი	215
10. სუფრული	219
11. რამდენჯერ მითქვამს ბალლებო	223

12. ანდურყაფანსა და მაჩაბელზე	226
13. ბუქნა ჭოტო	228
14. ბუქნა ჭოტო	229
15. ოროველა	232
16. ოროველა	233
17. ჰერი ეგა ჰეგ-ჰეგა	235
18. მუშური	237
19. თოხნური	239
20. ქერის თიბვის დროს	242
21. გლეხკაც ნელი ნუ ასტკივა	245
22. ჰერი ბიჭო	249
23. სიმართლე	252
24. აკვნის ნანა	253
25. აკვნის ნანა	254
26. დიდება	255
27. საწნახლური	257
28. საწნახლური	259
29. ცხენოსნური	260
30. ცხენოსნური	262
31. ზუზითი	264
32. ძველი ლაშქრული	268
33. ხმალსა სიმოკლით რა უშავს	272
34. შავლეგო	274
35. შავლეგო	277
36. ყაბახური	280
37. ჰა, ბიჭო კურტაკიანო	283
38. დიამბეგს ქალი მოსტაცეს	286
39. ჩემო ბამბის ტომარა	289
40. ნატვრა	292
41. ლალე	295
42. ზე მყრელო	297
43. ზე მყრელო	299
44. ბერიკაცის ვედრება	306
45. ა განგალა-განგალა	308
46. სალხინო	311
47. სათამაშო	315
48. თამარ მეფე გორის ციხეზე	317
49. ამბობენ, რომ თამარ მეფემ	321
50. თამარის ქოში	322
51. იმ კლდოვან უფლისციხესა	326
52. ლამია ტინიხიდელი	330
53. მოგონება	333

54. ბატონი თავი მანებე	336
55. რას მიყურებ, უგუნურო	339
56. კაცმა კაცი დაპატიჟოს	342
57. ატენის ღვინო ნაქებო	346
58. შაშვი-კაკაბი	351
59. შაშვი-კაკაბი	353
60. ერთგული მეომარი	355
61. ახალი მაყრული	359
62. ზარი-ტირილი	366
63. ბიჭი ვარ გოგოლაური	367
64. ისემც რა უთხრა ჭკუასა	370
65. ნუ (და) ნუ მოჰკლავ ვაჟკაცსა	376
66. ფაფრის ხევო	379
67. ნეფე-დედოფალს ულხინოთ	385
68. სათარეშო	387
69. ვარალალი ვარხალალე	390
70. მიუსვ-მოუსვი	392
71. სამაია	395
72. მზისა და მთვარის ჩხუბი	397
73. გუშინ შვიდნი	399
74. ფარინე	401
75. ალარ მწადია ცხვარშია	403
76. გაფრინდი შავო მერცხალო	405
77. ქალო ქალთამზეო	406
78. ცოლი გამიდიდგულდა	408
79. საროს დანიშნულზე	409
80. მოდი, აქ დაჯექ, შვილო	410
81. გასათხოვარი ქალი ვარ	411

კახური ხალხური სიმღერები

82. მე ახმეტელი გახლავარ	415
83. ქევხაო მაქანაძეო	418
84. ქალგულო	420
85. კახეთს მოადგა თარეში	422
შენიშვნები (ქართულად)	425
შენიშვნები (ინგლისურად)	433
რეზიუმე (ინგლისურად)	436
გამოყენებული ლიტერატურა	437

გიორგი სვანიძე — კომპოზიტორი, ლოტბარი, ფოლკლორისტი

„ხალხური მუსიკის მოტრფიალებ კავშირი უნდა გააბას სოფელთან,
დაუახლოვდეს ხალხს, ჩაებას მისი შრომის პროცესში, მასთან ერთად
იმდეროს, შეისწავლოს და ათვისოს სიმღერათა ხასიათი, მათი შინაარსი,
ხმების მიხვრა-მოხვრა და შემდეგ ისე გადაიტანოს ნოტებზე. თუ გნებავთ,
იგი „სოფლელად“ უნდა გადაიქცეს, თორემ ქალაქად აღზრდილი
კომპოზიტორი, თუნდაც თავისი საქმის საუცხოვო ოსტატიც იყოს, ვერ
მიაღწევს სათანადო ეფექტს თუ გასტროლიორივით ენვევა სოფელს და
მექანიკურად ჩაიწერს სიმღერას“.

გიორგი სვანიძე

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში მრავალი დოკუმენტი, სამეცნიერო ნაშრომი თუ სანოტო ხელნაწერია დაცული. უმრავლესობა უკვე გამოქვეყნებულია, თუმცა ამ საუნჯის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ელის სათანადო შესწავლასა და გამომზეურებას.

ხალხური სიმღერებისა და საგალობლების ხელნაწერთა შორის ჩვენი ყურადღება გიორგი სვანიძის მიერ ჩაწერილ ქართლური ხალხური სიმღერების ხელნაწერებზე შევაჩერეთ.

როგორც ავტობიოგრაფიდანაც ირკვევა, გიორგი სვანიძე დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობდა ხალხური შემოქმედების სახლთან (ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი), 1951 წლიდან კი მუსიკალური სექციის მდივანიც იყო და „ასრულებდა ხალხური შემოქმედების სახლის დავალებებს რაიონებში მომღერალთა გუნდების მუშაობის გასაუმჯობესებლად“. ჩანს, ამანაც განაპირობა ცენტრის არქივში სვანიძის ხელნაწერებისა და დოკუმენტური მასალის სიუხვე.

საზოგადოებისათვის ცნობილია 1957 წელს გამოცემული გიორგი სვანიძის ნიგნი ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი, რომელიც უკვე დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ნიგნს რამდენიმე სიმღერის სანოტო ნიმუშიც დაერთვის. ხელნაწერების შესწავლითა და გამოცემულთან მათი შედარებით გაირკვა, რომ ცენტრის არქივი 60-მდე სრულიად უნიკალურ სიმღერასა თუ ნაცნობი სიმღერის უცნობ ვარიანტს ინახავდა. ახალ კრებულში, გამოცემულ და გამოუცემელ სანოტო ნიმუშებსა და თქმულებებთან ერთად, პირველად იბეჭდება გიორგი სვანიძის სრული ბიბლიოგრაფია, პასუხი ვაუა გვახარიას კრიტიკულ წერილზე და დოკუმენტურად დაზუსტებული სხვადასხვა ინფორმაცია.

...ქართლის მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები საგანგებო კვლევისა და შესწავლის საგანი არცთუ ხშირად გამხდარა. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართლური ხალხური მუსიკის ნიმუშები ჩაიწერეს და გამოსცეს დიმიტრი არაყიშვილმა და ია კარგარეთელმა. ეთნომუსიკოლოგებმა კახი როსებაშვილმა და ედიშერ გარაყანიძემ არაერთი უნიკალური ქართლური სიმღერა თუ დასაკრავი ჩაიწერეს და გამოიკვლიერს. ქართლური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება-დაფიქსირების მხრივ ხალხური შემოქმედების დიდი მოამაგის გიორგი სვანიძის დამსახურება ფასდაუდებელია.

სვანიძეთა გვარის შესახებ

სვანიძე ეთნონიმური ტიპის გვარსახელია, — როგორც ჩანს, სატომო სახელი სვანი უამთა დენაში გაგვარებულა. სვანიძეთა ერთ-ერთი შტო სოფელ კალადან, ხარძიანებიდან გამრავლებულა: „...ლეჩეუმში გადმოსახლებულ ბურდუხან ხარძიანს ლეჩეუმელებმა ხარძიანის მაგივრად სვანიძე შეარქვა და ამგვარად სვანეთს გამოშორებული ხარძიანები დღემდე სვანიძეების ნაშიერად სვანეთს აქეთ მრავლობენ“ (ბანოვანი). სვანიძეები მთელ საქართველოს მოსდებიან და ამერ-იმერში დამკვიდრებულან, უმეტესობა — საბატონო, საეკლესიო და სახასო გლეხებად. იმერეთის, რაჭისა და ქართლის ზოგიერთი სვანიძისთვის აზნაურობაც უბოძებიათ.

სვანიძეები XVI საუკუნის სიგელ-გუჯრებსა და ისტორიულ წყაროებში იხსენიებიან. თუნდაც: ხუჭუნაი, ქრისტესია, მაშუტია და გოგნია სვანიძეები. XVII-XVIII საუკუნეებში სვანიძეებს უმსახურიათ ლეჩეუმში, რაჭაში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში — ასათიანთა, ახვლედიანთა, ერისთავთა, ნიუარაძეთა, დადიანთა, წულუკიძეთა, ამირეჯიბთა და ნაკაშიძეთა — მამულებში. სვანიძეებს უერთგულიათ ლმერთისა და საქართველოსთვის. სვანიძეს, — გლეხსა თუ აზნაურს, — ქუდზე კაცს უბრძოლია სამეფო ლაშქრის შუაგულ, მემარცხენე თუ მემარჯვენე სადროშოებში გურიელისა და დადიანის დროშების ქვეშ. მათთვის უცხო ყოფილა ორპირობა, გაუტანლობა, ღალატი, მონობა და მტრის მორჩილება. ასეთ წინაპართა ლირსეული მემკვიდრეა გიორგი სვანიძე — კომპოზიტორი, ლოტბარი და ფოლკლორისტი.

გიორგი სვანიძის ბიოგრაფიიდან

გიორგი სვანიძე ქართლელ აზნაურ სვანიძეთა შთამომავალია. ჩვენ მიერ მოძიებული წყაროები მისი დაბადების თარიღს სხვადასხვაგვარად გვამცნობს — 1888, 1890, 1892... თუმცა, თავად ყველგან (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი)¹ 1892 წელს მიუთითებს. გიორგის დედა, — ნატალია, ივანე ციმაკურიძის ასული, — მშვენივრად მღეროდა; მამა — დიაკვანი დიონისე (დიონისი // დიანოსი // დიანოზი) — სიმღერა-გალობის კარგი მცოდნე ყოფილა. როგორც სხვადასხვა დოკუმენტური მასალიდან ირკვევა, გიორგისაც ჩინებულად შეუსწავლია ქართული გალობა. ეს ფაქტი საბჭოთა ცენზურის პირობებში მიჩქმალული იყო, თუმცა ჩვენ მოვიძიეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის გამგის 1918 წლის 29 ნოემბრის №151 ბრძანება, რომლის თანახმადაც, გიორგი სვანიძე დაინიშნა თბილისის თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის გალობის პედაგოგად. მოგვიანებით იოსებ იმედაშვილი (არიმათიელის ფსევდონიმით)² გიორგი სვანიძის ღვაწლზე საუბრისას, გვამცნობს, რომ იგი 1910 წლიდან ქაშუეთის ეკლესიის ჯერ მგალობელი, შემდეგ — რეგენტიც ყოფილა. სამგალობლო ცოდნა და გამოცდილება აისახა სვანიძის მიერ

¹ შემდგომში ყველგან — სფსცა

² „ახალგაზრდა კომპოზიტორი. გიორგი სვანიძე“, გაზ. „მაშვალთა ხმა“, 1921 წ, №14

შექმნილ საგალობლებში — ღმერთი უფალი, გადიდებთ, დედაო ღვთისაო, ძლისპირები და სხვ.
სამწუხაროდ, მათი ხელნაწერები არ მოგვეპოვება.

გიორგი პირველად ელენე იორდანეს ასულ ლომთაძეზე (დაბ. 1890) დაქორწინებულა
(თბილისის მე-2 საბავშვო სახლის გამგე). ელენე 1923 წლის სექტემბერში 33 წლისა
გარდაცვლილა. 1924 წლის იანვარში გიორგიმ ცოლად შეირთო თამარ გიორგის ასული
პოლჩანინოვა (დაბ. 1893 წლის 19 ივლისს). გიორგის სამი შვილი ჰყოლია, თუმცა
დაუზუსტებელია, რომელი ქორწინებიდან. ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, შთამომავლებს
ვერ მივაკვლიეთ.

სვანიძე — კომპოზიტორი

გიორგი სვანიძემ კლასიკური მუსიკალური განათლება თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიაში მიიღო. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იგი ბევრს მუშაობდა, წერდა
სიმღერებს გუნდებისთვის, ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდებს ფაბრიკა-ქარხნებში და
სხვადასხვა სკოლაში, თანამშრომლობდა უურნალ-გაზეთებთან... გალაკტიონის დღიურებმა
შემოინახა ფრიად საინტერესო ცნობა: „გიორგი სვანიძე (კომპოზიტორი. ვერის დაღმ.) თანახმაა
დასწეროს მუსიკა ჩემს სიტყვებზე“... ჩვენ არ ვიცით, შეიქმნა თუ არა ეს ნაწარმოები, თუმცა ეს
ფაქტი თავისთავად საყურადღებოა. გალაკტიონისა და გიორგი სვანიძის შემოქმედებით
მეგობრობას ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი: დიდი პოეტი აცნობებს ქართველ ხელოვანთა
კულტურულ კავშირს:

„გაცნობებთ, რომ დაარსდა „ქართველ ხელოვანთა კოლეკტივი“.

ამასთანავე, გიდგენთ კოლეკტივის ნევრთა სიახ.

კოლეკტივის მინდობილობით გალაკტიონ ჭაბიძე, გ. ჭ.³

1925 წლის 16 მაისი.

კოლეკტივის შემადგენლობა:

შიო მღვიმელი (პოეტი), გიორგი ქუჩიშვილი (პოეტი), ნარ-კანი (ნ. კურდლელაშვილი,
მწერალი), კოტე ქავთარაძე (მხატვარი), პოლიო ირეთელი (დრამატურგი), ივ. იოსელიანი
(ბელეტრისტი), გიორგი სვანიძე (კომპოზიტორი), დავით ჩარკვიანი (მსახიობი და რეჟისორი),
ლავროს ძიძეგური (პოეტი), შალვა დადიანი (დრამატურგ-რეჟისორი).“

მუსიკალურ საზოგადოებაში გიორგი სვანიძე ცნობილია, როგორც კომპოზიტორი,
რომელმაც მრავალი საგუნდო ნაწარმოები შექმნა. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ის ქართული
საბავშვო ოპერის ფუძემდებელია და ეს ფაქტი მუსიკოლოგიაში ჯერ-ჯერობით სათანადოდ არ
აღიარებულა. ვფიქრობთ, გიორგი სვანიძეს, როგორც საბავშვო ოპერის ფუძემდებელს,
ღირსეული ადგილი უნდა მიეჩინოს ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში. 1920 წლის
იანვარში ოპერის სცენაზე დაიდგა მცირე საბავშვო მუსიკალური პიესა გუგული და მამალი, 1921
წლის ივლისში კი — მისივე საბავშვო ოპერა ოქროს თავთავი. ოპერას საფუძვლად დაედო

³ ამ ინიციალით გალაკტიონი ჭყვიშელს ხომ არ გულისხმობს?

ცნობილი საბავშვო მწერლის — შიო მღვიმელის — ამავე სახელწოდების ზღაპარი. ლიბრეტისტმა დავით კასრაძემ გაზარდა მოქმედ პირთა რაოდენობა და სიუჟეტი 3 მოქმედებად და 7 სურათად გაშალა. ოპერა დაიდგა საგანგებოდ შექმნილი სამოსითა და დეკორაციებით და განსახიერდა თბილისის თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მოსწავლეთა ძალებით. ფორტეპიანოს აკომპანიმენტს თავად გიორგი სვანიძე ასრულებდა. წარმატებული პრემიერის შემდეგ კომპოზიტორმა საორკესტრო პარტიტურაც შექმნა. ოქროს თავთავი დაიდგა თბილისის სხვადსხვა სცენაზე, აგრეთვე, გორში, სტალინირში,⁴ წალვერში...

„ჩვენი მუსიკა, დიდი ხანი არ არის, რაც აღორძინების ვზას დაადგა, — წერდა იოსებ არიმათიელი (იმედაშვილი), — თვალსაჩინო მუშაკებიც გამოვიჩნდნენ, მავრამ ნამდვილი ხალხური სამუსიკო შემოქმედება ჯერ კიდევ თითქოს მისაკვლევია. თანამედროვე სამუსიკო ცოდნით აღჭურვილი მუსიკოსი ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდენია ჩვენი ხალხური მუსიკის სიღრმე-განს, თითქო ჩვენს ხალხურ მუსიკაში იყოს ისეთი მიხეულ-მოხეული ჰანგები, რომელთა გამოხატვა არსებული სამუსიკო ანბანით ვერ ხერხდება. ამიტომაც არის, რომ ჩვენ მუსიკას, ნოტებზე გადაღებულს, უმეტესად უცხო მუსიკის გავლენა ეტყობა. გარდა ამისა, არსებული ოპერები და სიმღერა-რომანსებიც განსაკუთრებით მაღალ, უკვე მომზადებული საზოგადოებისთვისაა შექმნილი, ხოლო ბავშვთათვის, მოზარდი თაობისათვის არაფერია შექმნილი. ამ მხრით ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა კომპოზიტორი გიორგი დიონისის ძე სვანიძე. ზაქარია ჩხილევაძემ თუ სასკოლო სიმღერები გადიღო, დიმიტრი არაყიშვილმა ეგრეთწოდებული აღმოსავლეთური სერიოზული მუსიკა შექმნა და ქართულ ოპერის კარი შეაღო, ზაქარია ფალიაშვილმა — სრული ქართული ოპერა, ვიქტორ დოლიძემ — შექრელებულ მუსიკის სახუმარო ოპერა, — გიორგი სვანიძე გამოდის საბავშვო ოპერის მამამთავრად. შარშან სახელმწიფო თეატრში დაიდგა მისი საბავშვო პიესა „გუგული და მამალი“ (სიტყვები აკაკისა),⁵ ამჟამად დაწერილი აქვს ოპერა „ოქროს თავთავი“ (შიო მღვიმელის საბავშვო პოემიდან, დავით კასრაძის მიერ გადაკეთებული). მუსიკის მცოდნეთა მონაბით ამ ოპერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩვენი ხალხური კილოები — ფანდურული, ყანიმური, მგზავრული და სხვა, რომლებიც ახალგაზრდა კომპოზიტორს დიდის ოსტატობით გადმოუცია. აქა სცემს ჩვენი მშობლიური, ქართლური, მუსიკის, ნამდვილი ძარღვი“.⁶

ოპერის ხალხურ მუსიკალურ-ლექსიკურ მასალაზე დაფუძნებულ სამუსიკო ენას ავტორს ერთ-ერთ მთავარ ლირსებად უთვლიდნენ თანამედროვენი — სადა, მშობლიური მელოდიები მსმენელს ადვილად ამახსოვრდებოდა და სიამოვნებით ღილინებდა:

„ოპერაში ბავშვს ესმის ის ნაცნობი ჰანგები, რომელთანაც თითქმის ივი შეზრდილია. ეს ჰანგები ჩაქსოვილნი არიან ოპერაში სადაც და მარტივად, რომელნიც თანდათან, მავრამ ბავშვებისათვის შეუმჩნევლად, რთულდებიან და ზოგჯერ უცხო მელოდიებშიაც კი გადადიან, რაც ოპერას უფრო მატებს ლირსებას... მთელი ოპერა თავიდან ბოლომდე მსუბუქად და სასიამოვნოდ ისმინება. მელოდიები სადა, მოქნილი და ტკბილხმოვანი არიან. ოპერა არ ღლის

⁴ ასე იწოდებოდა ქ. ცხინვალი 1931-36 წლებში.


⁵ იგულისხმება ივანე კრილოვის იგავის აკაკისეული თარგმანი.

⁶ იოსებ არიმათიელი (იმედაშვილი). „ახალგაზრდა კომპოზიტორი — გიორგი სვანიძე“. „მაშვრალთა ხმა“, 1921, №14.

მსმენელს და ბოლო ფარდის დაშვებით მსმენელს პრაზი მოსდის, ასე ადრე რად გათავდათ. ოპერის ღირსება ისიც არის, რომ მსმენელი შინ დაბრუნებისას მის მელოდიების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება და თავისუფლად დაღილინებს მათ. ამ თვისებას ბევრი სხვა ოპერა მოკლებულია, რომელიც ერთხელ კი არა, ათჯერაც რომ მოისმინო, ვონებაში მაინც ერთი მელოდიაც არ შთაგებეჭდება... საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ოპერა „ოქროს თავთავი“, როგორც საბავშვო ნანარმოები, ღირსეულად უნდა იყოს ცნობილი. ამიტომ წინადადება მიეცა ავტორს, სვანიძეს სასწრაფოდ ორკესტრისათვის პარტიტურა დასწეროს და შესასწავლად გადასცეს სახელმწიფო ოპერას“⁷.

ნოტების ანბანი

გიორგი სვანიძეს პედაგოგიური საქმიანობის დიდი გამოცდილება დაუგროვდა და საჭიროდ მიიჩნია სახელმძღვანელოების შექმნა. 1923 წელს⁸ გამოსცა მუსიკის თეორიის სახელმძღვანელო, 1931 წელს — ნოტების ანბანი და თვალსაჩინოებისთვის თითოეულ საკითხზე ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ია კარგარეთელის და თავისი ჩანერილი, ბავშვებისათვის ადვილად გასაგები და ნაცნობი, ხალხური მელოდიები მოიყვანა.




თუ სამწილადია, ვაშინ იქნება ისე:

კითხვები: რას ეწოდება ზომა? როს საშუალებით აღნიშნება ზომა? გამოკვეთო ხელით ორ წილადი ზომა. სამწილადი:

შენიშვნა: ჩვენ უკვიდილი ერთსა და იმავე ტაქტში დაწეროთ უფრია მეტი, ანუ უფრია ნაკლები რიტმი ნოტებისა, ვიღია გუნჩენებს ზომა, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჯამი თვითეულ ტაქტში მყოფ ნოტებისა უკველად უნდა უდრიდეს იმ ზომას, რომელიც სიმღრის თავში იქნება ღლიშვილი.


სავარჯიშო № 1.

o. კარგარეთელიდან.



⁷ გ. საყვარელიძე — „პირველი ქართული საბავშვო ოპერა „ოქროს თავთავი“; გაზეთი „წითელი მხედარი“, №15, 1921, 17/VIII.

⁸ „თეატრი და ცხოვრება“, 1923, №3, გვ.15



ამ სიმღრაუში შეჯატულებას ჩვენ ვერა ეხდავთ, რადგან თითო ნოტას, თითო მარცვალი ხდება. ხოლო, თუ ერთ მარცვალზე რამდენიმე ნოტას სისმღრი, ამ შემთხვევაში ყველა ეს ნოტები ერთ რელის ქვეშ მოქეცევა, რაც ნიშანეს რელის ანუ ლეიलტოს ქვეშ მოქეცეულ ნოტების გადაბმით და ლმბ-ბიერად უქსრულებას.

ჭონა, ქართლი სოფ. ახტის ჩაწ. გ. სვანიძის მიერ.



და სხვა

კითხვები: რა არის კიდევ საკირო შეგაუფებისთვის ვი- ცოდეთ? რას ეწოდება რიტმიული დაყოფა? ტეტრიული? სიმ- ღრის № მე-3 იუკლისტეტ ინსტრუმენტალ მუსიკად და შეა- გზუეთ.

„როგორც მოეხსენება ჩვენს საზოგადოებას, განსაკუთრებით კი სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთ, სიმღერა-მუსიკის სწავლება შრომის სკოლებში მიზნად ისახავს მონაფეებს საერთო მუსიკალური განათლება მისცეს. საერთოდ მუსიკალური განვითარება ჰგულისხმობს მუსიკალურ მომზადების ისეთ დონეს, ხარისხს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს გაიგოს მუსიკალური ხელოვნების არსი. როდესაც ამ მცირე შრომის შედგენა განვიზრახეთ, მხედველობაში გვეონდა ის პროგრამა, რომელიც განათლების განყოფილებამ დაგზავნა სკოლებში ცხოვრებაში გასატარებლად. ამიტომ მთელი მასალა დავყავით ჯგუფების მიხედვით. აյ მოყვანილი მასალა არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს, რადგან ყველა ეს უკვე ნაცადია ჩვენს მიერ სკოლებში, რის გამოც გავკადნიერდით და დავისახეთ მიზნად წინამდებარე პატარა შრომის გამოქვეყნება. თუ რამდენად დამაკმაყოფილებელი იქნება ეს შრომა, ამას ვანდობ ჩემს ამხანაგების გამოცდილებას, რომელთა აზრსა და შენიშვნებს სიამოვნებით გავიზიარებთ, — ჩვეული თავმდაბლობით წერს გიორგი სვანიძე სახელმძღვანელოს წინათქმაში.

სვანიძე — ლოტბარი

ბავშვობაში გიორგი სვანიძე სოფელში⁹ ცხოვრობდა, რამაც საშუალება მისცა დაახლოვებოდა ხალხს, გაეცნო მათი ზნე-ჩვეულება, ყური დაეგდო სიმღერების, ზღაპრებისა და თქმულებებისათვის... განსაკუთებით ხალხური სიმღერები იტაცებდა, იმდენად, რომ ტოლ-ამხანაგებისაგან მომღერალთა გუნდიც კი შეადგინა და, კარგად რომ შემღერდნენ, უფროსების წინაშეც იმღერეს. მოწონებამ და წაქეზებამ თავის ძალებში დაარწმუნა და უფროდაუფრო შეაყვარა ის საქმე, რომელიც გიმნაზიაში სწავლისასაც არ მიუტოვებია: იქაც შექმნა ოცნევრიანი გუნდი სემინარიისა და გიმნაზიის მოსწავლეებისაგან ქართლ-კახური სიმღერების რეპერტუარით. მალე გუნდი ვალერიან გუნიამ სპექტაკლების გასაფორმებლად მიიწვია, რაც თითქმის ხუთ წელიწადს გაგრძელდა... შემდეგ იყო ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული გუნდის ლოტბარობა და 1915 წელს წარმატებული კონცერტი ზუბალაშვილების სახლში... სახელმოხვეჭილი მუსიკოსი სხვადასხვა წელს არაერთ ბავშვთა თუ მოზრდილთა გუნდს ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით ალსანიშნავია მისი მოღვაწეობა გორის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

წლების განმავლობაში გორში მუდმივი მომღერალთა გუნდი არ არსებობდა. 1933 წელს ხალხური სიმღერის გულშემატკივრები შეიკრიბნენ მომღერალთა მუდმივი გუნდის დასაარსებლად და ლოტბარად მიხეილ კავსაძე მოიწვიეს. სამოცნევრიანი შერეული გუნდის საქმიანობა თავიდან წარმატებით წარიმართა, თუმცა ორი წლის შემდეგ მიხეილ კავსაძე გაათავისუფლეს და გუნდი დაიშალა. 1937 წლის აგვისტოში გუნდი კვლავ აღადგინეს და

⁹ სოფელი საქაშეთი, მაშინდელი გორის მაზრა.

ხელმძღვანელად გიორგი სვანიძე დანიშნეს. „ეს ის პერიოდია, როდესაც მომდერალთა გუნდები სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა შეცვალეს. თუმცა ასეთი სტრუქტურა პრინციპულად სადაო იყო, მაგრამ იგი სასწრაფოდ გავრცელდა მთელს საქართველოში. რა თქმა უნდა, ამ გზას ვერც გორი ვერ ასცდებოდა, ამიტომ კომპოზიტორმა გიორგი სვანიძემ გორში ჩამოსვლისთანავე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოაყალიბა. სამხმიან მომღერალთა გუნდს დაემატა ქალთა ხმები და მეფანდურეთა და მოცეკვავეთა ჯგუფები. მართალია ასეთი ჯგუფები ტრადიციულად ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდებშიც გვხვდებოდა, მაგრამ ყოველ მათგანს უფრო დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დამხმარე... ანსამბლი იმავე ნელს გამოვიდა ნარჩინებით რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, რაც ნარჩინების ჯილდოთი აღინიშნა. სამამულო ომის დაწყების გამო ანსამბლმა ვეღარ განაგრძო მოღვაწეობა. ომის დამთავრების შემდეგ ანსამბლმა კვლავ განაგრძო მუშაობა მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით, რომელიც მაღლე კვლავ გიორგი სვანიძემ შეცვალა“.¹⁰

გუნდი უმთავრესად ქართლ-კახურ სიმღერებს ასრულებდა. ამგვარად, გიორგი სვანიძემ წარმატებით განაგრძო დები თარხნიშვილების, სანდრო და მიხეილ კავსაძეების მიერ ქართლის გულში — გორში — დამკვიდრებული ხალხური საგუნდო ტრადიციები. გორის გუნდმა მისი ხელმძღვანელობით თავი ისახელა ხალხური შემოქმედების ოლიმპიადებზე — რეპერტუარითა თუ შემსრულებლობით, რაც საპატიო სიგელითა და ქების ფურცლით აღინიშნა...

...როცა გიორგი სვანიძის სალოტბარო მოღვაწეობაზე ვმსჯელობთ, ძალაუნებურად დავფიქრდებით ქართლის საშემსრულებლო წარსულსა და დღევანდელობაზე.

ქართლური ხალხური სიმღერები ძმებ კარბელაშვილებსაც კარგად სცოდნიათ და სახალხოდ მღეროდნენ კიდეც. ილია, საგურამოში, ილიაობაზე, მუდამ იწვევდა ხალხურ მომღერლებს (გლეხებს); განსაკუთრებით ჰყვარებია ზამთარი და სანდრო კავსაძის შესრულებული სოლო სიმღერები — გუთნური, მუშური... თარხნიშვილებმა და კავსაძეებმა სწორედ რომ წარუშლელი კვალი დატოვეს ქართლური ხალხური სიმღერების შემსრულებლობაში და უკვდავყვეს მათი ვარიანტები... თუმცა, გარკვეული დროის მერე, ქართლური სიმღერები, სრულიად უსამართლოდ, ჩრდილში მოექცა...

დღევანდელ სასცენო-საშემსრულებლო პრაქტიკაშიც ქართლურ სიმღერებს, სამწუხაროდ, მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ეთნომუსიკოლოგიაში ქართლურს კახურთან შეთვისებულ-შეთავსებულად — ქართლ-კახურ მუსიკალურ დიალექტად მოვიხსენიებთ. ამ ორი კუთხის მუსიკალურ-აზროვნებითი მახასიათებლები ერთმანეთთან მართლაც ახლოსაა, რის გამოც ამ სიტყვათშეთანხმებას (და არა მხოლოდ) დროთა განმავლობაში ქართლური თანდათან ჩამოშორდა და საშემსრულებლო სივრცეში, ძირითადად, კახური რეპერტუარი დაგვრჩა. ამის

¹⁰ არჩილ მშველიძე — „გორის მუსიკალური წარსულიდან“; „გიორგი სვანიძე“. გორი, გაზეთი „გამარჯვება“. 1978 წლის 2 დეკემბერი.

ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობთ, კახური სიმღერების, — განსაკუთრებით სუფრულების, — რთული მუსიკალური ქსოვილი და აღიარებული მაღალმხატვრული ღირებულებაა, რითაც ერთგვარად „დაიჩაგრა“ ტრადიციული, სადა ქართლური რეპერტუარი. არადა, ფაქტია: ქართლურმა დიალექტმა მრავალი სიძველე შემოგვინახა, — როგორც უანრულად, ასევე მუსიკალურად, — და შორეულ სიღრმეებში ჩაგვახედა...

2007 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა განახორციელა პროექტი — ქართლური მუსიკის საღამო და აუდიოჩანაწერი გამოსცა (ავტორი და ხელმძღვანელი ნატალია ზუმბაძე); მამის საქმიანობას ერთგულებს და ქართლურ ტრადიციულ სიმღერებს აღადგენს ქვემოქალის ფოლკლორული ანსამბლის — ქართლის — ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი; 2005-2006 წლების ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატია კასპის ქალთა ფოლკლორული ანსამბლი მზეკაბანი (ხელმძღვანელი გერისო კელაპტრიშვილი, სოლისტი ქეთევან ნუგზარიშვილი). თანამედროვე საშემსრულებლო პრაქტიკაში ქართლური სიმღერების გაცოცხლების კიდევ ერთი მცდელობაა 2012 წელს გამართული ფოლკლორული კონცერტი აპირებს გათენებასა, ანსამბლების — ელეონის, იარამაშა-სა და არსიანის მონაწილეობით (პროექტის ავტორი და ანსამბლების ხელმძღვანელი დაღი დაბრუნდაშვილი)...

ბოლო წლებში იმატა ინტერესმა ამ კუთხის მუსიკალური ტრადიციების მიმართ. ვფიქრობთ, ჩვენი კრებული დიდ სამსახურს გაუწევს ამ საშვილიშვილო საქმის აღორძინებას.¹¹

სვანიძე — ხალხური სიმღერების შემკრები

„ქართულ ხალხურ სიმღერებს ბავშვობიდან ვიცნობდი. ქორწილებსა და სოფლის დღეობებში მომისმენია საუკეთესო სახალხო ოსტატთა მიერ შესრულებული სიმღერები, მრავალი საღამო გამიტარებია ქართული ბუხრის ნინ, საღაც ნიბლიასავით განაბული, სახეში შეკვეროდი ზღაპრების მთქმელს. მომისმენია სიკო მესტიაშვილის, ვანო (ჭილა) ჭლაშაძის, გიორგი (თხის რქა) ტატიშვილის სიმღერა, გეგენა ბათიაშვილის შესანიშნავი მაყრული, „ჰერი-ეგა“ და სხვა“, — იგონებს გიორგი სვანიძე.

გიორგი სვანიძე 1916 წლიდან, 40 წელზე მეტი, მოგზაურობდა ქართლსა და კახეთში, კრებდა უნიკალურ ხალხურ სიმღერებსა და თქმულებებს. როგორც მუსიკოსის ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, მას ზაქარია ფალიაშვილმა უბიძგა, ხელი მოეკიდა ხალხური ნიმუშების შეკრება-დაფიქსირებისათვის. „— აბა სცადე, ბიჭო! შენ თავისუფლად შეგიძლია ქართლურ-კახური სიმღერების ჩანარა, რადგან, როგორც ვიცი, ბევრი რამ იცი ქართლისა და კახეთისათ. სადაც გაგიძნელდეს, ჩემი ფონოგრაფი მოიშველიე, ზოგი, რომელიც კარგად იცი, უიმისოდაც შეგიძლია ნოტებზე გადაიტანო... იმ ზაფხულს აპირებდა ქართლისაკენ გამგზავრებას, ვიღაც

¹¹ მასალების მოძიებაში განეული დახმარებისათვის მაღლობას ვუხდით ზურაბ წერიალაშვილს (გორელ ლოტბარს), ლუარსაბ ჭოგონიძეს, ეკატერინე სანიკიძეს, გიორგი კრავეგიშვილს.

ტეტიშვილებთან, ვგონებ, სოფელ ძვილეთში. მე პირობა მივეცი, რომ მის რჩევა-დარიგებას შევასრულებდი და იმავ ზაფხულს გავემგ ზავრე გორს. აქედან დავიწყე ქართული მუსიკალურის, თუ სხვა სახის ფოლკლორის შეკრება“, — იგონებს გიორგი სვანიძე. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ქართლის უმეტესი სოფლები, სადაც სვანიძეს უმოგზაურია, დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზეა მოქცეული...

1951 წელს დავით კასრაძე წერდა: „ქართული ხალხური მუსიკის მოამაგეთა საქმე განავრძო გიორგი სვანიძემ, მან არაეთვზის შემოიარა ქართლ-კახეთის მიდამოები, ჩაინტერა მრავალი სიმღერა, მაგრამ იგი როდი კმაყოფილდებოდა ხალხური სიმღერების უბრალო ფიქსაციით. ის კვლევით მუშაობასაც აწარმოებდა. კომპოზიტორს დაწვრილებით აღუნერია სად, რა პირობებში და როგორ მიაგნო ამა თუ იმ სიმღერას. მას მომღერალთა შორისვე გამოუკითხავს თითოეული სიმღერის „ბიოგრაფია“, შეუსწავლია მისი ნარმოშობის საკითხი, სადაურობა... გიორგი სვანიძეს ჩაუნერია მრავალი ლაშქრული, ვაჟკაცური სიმღერა, რომლებიც ძველ მებრძოლებს ცხენდაცხენ, იმპროვიზირებულად შეუქმნიათ. მხედრული სიმღერების გარდა კომპოზიტორს დიდი ყურადღება მიუქცევია საყოფაცხოვრებო სიმღერებისათვის. ინტერესს იწვევს სახუმარო გამაირებანი, კერძოდ „გაუსვი და გამოუსვი“, „დაუარე, ბუქნა ჭოტო“ და სხვა... აღუნერია შრომის პროცესები და ამ პროცესთან დაკავშიროებული სიმღერები. ასეთია, მაგალითად, „გლესავ და გლესავ ნამგალო“. ახლა, ტრაქტორისა და კომბაინის ეპოქაში, ეს სიმღერა დავიწყებას ეძლევა. კომპოზიტორმა მიუსწრო და დავიწყებისგან იხსნა მკის პროცესთან დაკავშირებული „ჰოპუნა“. სვანიძეს არა მარტო „ჰოპუნას“ მელოდია ჩაუნერია, არამედ აღნერილი აქვს მკის პროცესიც. კითხულობ ამ ჩანანერს და მკის პლასტიური სურათი თვალწინ გეძლება“.¹²

თქმულებანის (1957) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული ეგზემპლარისთვის ავტორს მიუნერია: *Verba Volant, Scribta Manent* — სიტყვები დაფრინავს, ნაწერი კი რჩება... მართლაც, ასე დარჩა გიორგი სვანიძის შეკრებილი უამრავი თქმულება, ასამდე ქართული ხალხური სიმღერა და მათი ვარიანტი ქართულ კულტურასა და ქართველ ერს.

შემდგენლები

¹² დავით კასრაძე - „ქართული მუსიკალური ფოლკლორი“. უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1951 წლის 12 აგვისტო, №32.

გიორგი სვანიძის ექსპედიციები 1916-1950 წლებში (სოფლები, ეთნოფონები)

ქართლი

გორის მუნიციპალიტეტი:

ახრისი — გიორგი ქართველიშვილი, ძმები ვათიაშვილები, კუკური ვათიაშვილი, ტუსა გელაშვილი და მომკელთა ჯგუფი, ძმანი ჭილლაძენი, შიუტაშვილი სონა (ვაჟია), გეგენა ვათიაშვილი, პელა დიდბერუაშვილი, შალვა ყანჩაველი

ტირძნისი — ტეტუნაშვილები, ივანე სამადალაშვილი

მეჯვრისხევი — ბიბილაშვილი, სოსანა „ასკილაანთ ბიჭი“,¹³ ვეფხვაძის ოჯახი

ტყვიავი — გლახა ძამელაშვილი, ვანო და სანდრა ძამელაშვილები — ილიკოს (ხუხოს) შვილები, ძამელაძეები, გლახა პაპელაშვილის ოჯახი

საქაშეთი — დიასამიძეების მოურავი, გობირახაშვილი

სკრა — შალიკავაშვილის ცოლი

ჯარიაშენი — „აზნაურას ბიჭი“ ლექსა, მღვდელი იოსებ ბათიაშვილი, ევგენი ბათიაშვილი, ელიზბარ ყანჩაველი (ყანჩელი), ჩიკოიძე

კარბი — ნიგოზა თუშიშვილი, ბასილაშვილების ოჯახი, ალექსანდრე ციმაკურიძის ოჯახი, ეფემია (ფეფე) ციმაკურიძე, გიორგი ჭილაშვილი, იოსებ ზაალიშვილი, დავითაშვილი, ბასილაძეები

მერეთი — იასე ფურცელაძის მებაღე გოდა

გორიჯვარი — ფოცხვერაშვილი

ყარყაბაზანი — ნ. კეზერელი, შიო დაფქვიაშვილი, შიო დედანაშვილი, ხვთისო ბერუაშვილი, ძმები შიუტაშვილები

ტინისხიდი — „ნიორას ბიჭი“ ნიკა მეზვრიშვილი, ძმები ნიკა, თედო და ნინიკა ჯაბაურიშვილები

ბერშუეთი — რ. გლურჯიძის ოჯახი, ლუკა ჩუბინიშვილი

კოშკა — გიორგი ჭილაშვილი, ელისაბედ ჩერქეზიშვილთან (ქალიშვილობის გვარი ყანჩაველია, ახრისიდან)

უფლისციხე, ხიდისთავი, ორერი — ივანე ტლაშაძე (ტილა)

გორი — იერომონია ფურცელაძე, გარსევანიშვილი, გრიგოლ გლურჯიძე, გრიგოლ რაზმაძე, დავით მეტრეველი

ატენი — მიხეილ ნონიკაშვილი

არბო — დედანაშვილი დავით, ხუციშვილი დიმიტრი, უურული, ნასყიდაშვილი, ძმები იონათამოვები

ხელთუბანი — პეტრე პეტრიაშვილი

ბერბუკი — გეგე ბათიაშვილი, ელიზბარ ყანჩელი, კონია მაჭავარიანი

ფლავი — ჯაფარიძეები

მეღვრეკისი — დედანაშვილების ოჯახი, ტიტო დედანაშვილი

¹³ შემსრულებლებს ყველგან ზუსტად ისე მოვიხსენიებთ, როგორც ჩამნერი მიუთითებს შენიშვნებში.

შავშები — ღვთისო ბათიაშვილი

კარალეთი — ძმები თუშმალიშვილები

მარანა — გ. და ივანე ტატიშვილები, შალვა ყანჩელი

ერგნეთი — ხერხეულიძე

ქსოვრისი — ვასილ ლალიაშვილი (იგულისხმება სოფ. ზემო ქსოვრისი, გორის მახლობლად-რედ.)

სამაჩაბლო:

ცხინვალი — დიმიტრი ჯაფარიძე

ძვილეთი — ტატიშვილი

დგვრისი — ჯაფარიძეები

ქსუისი — უნაფქოშვილი, რაფო წითლანაშვილი

ზემო არცევი — „მემინდეს ბიჭი“ ნიკა ფეიქრიშვილი, გრიგოლ გლურჯიძე, „შუშპარიანთ ბიჭი“ გიგო რაზმაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტი:

ოსიაური — ყიფშიძეები, ძმები დედანაშვილები

ცხრამუხა — მაქსიმე ტატიშვილი

ტეზერი — არონ ციციაშვილი

ქარელის მუნიციპალიტეტი:

ქარელი — ნიკა გოგოლაძე, სვიმონ კასრაძე

ცერონისი — გ. და ვ. ხუციშვილების ოჯახი

ყინწვისი — ფურცელაძე

ატოცი — დიდებულიძეები

რუისი — ივანე დეკანზიშვილი, ნიკოლოზ დეკანზიშვილი, კლიმიაშვილი, „ცინგლას ბიჭი“ ვანე, ნატალია ირემაშვილი

წვერი — კალატოზიშვილები, დიდებულიძე

სალოლაშენი — ნიკა გნოლიძე

კეხიჯვარი — მალაქია ჯაიანი, ფურცელაძე

წვედურეთი — ციციშვილები

კასპის

მუნიციპალიტეტი:

ახალქალაქი — თარხნიშვილები

ერთაწმინდა — ბატქუაშვილები

გრაკალი — „ცხვირკომბალას ბიჭი“ გიგა

ლამისყანა — ამილახვარი (ფოსტის მოხელე)

ქვემოჭალა — ქაიხოსრო ჭაჭუაშვილი, ფიდო სალარიძე, „ქოსალა“ და ნიკა წერუაშვილები

ყარალაჯი — ძმები დემეტრაშვილები

მცხეთის მუნიციპალიტეტი:

მუხრანი — „კანკალას“ ბიჭი, პავლია
საგურამოდან — „ნაკვერჩხალას ბიჭი“ სესია

დუშეთის მუნიციპალიტეტი:

კაიშაური — ნ. კაიშაურის ჯგუფი
კობიანთკარი — მიხეილ კობიაშვილი, ნამგალა კობიაშვილის შვილიშვილი
დუშეთი — „დალაქას ბიჭი“ ტეხაშვილი

ყაზბეგი — ივანე ბედოშვილი, კაიშაური
თბილისი — ალექსანდრე ფიცხელაური
ოქროყანა — გაბაშვილები
მარტყოფი — გიგა ბეჟანიშვილი; დიაკვანი ლუკაშვილი

კახეთი

გურჯაანი — ვასილ და ნიკა გულიაშვილები, სოსო ბერუაშვილი, ფირუზა ელოშვილი
ბაკურციხე — სიკო მესტიაშვილი
ახტალა — ბესო ბერიშვილი
მუკუზანი, ავლევი — ნიკა, ნიორა, გულქვა თევდორაძეები
სილნალი — კ. ნასყიდაშვილი, სოლომონ (სეფე) სეფისკვერაძე
ბოდბისხევი — არჩილ ბუაშვილი
ზემო მაჩხაანი — გოგი ჭილიტაშვილი
ნნორისნეული — ისაკა ძიმისტარაშვილი
ახმეტა — ნინო თუში, თუდარაული
პატარძეული — თედო გარსიაშვილი

ჩანერის ადგილი უცნობია:

ქართლი — მ. წითლანაძე, ძმები ცერცვაძეები და ძ. ფეიშვილი; ზენო სოზიაშვილი
კახეთი — მიზნა ბაკურაძე

მთქმელები უცნობია:

ქართლში — გრაკალი, ცხრამუხა, ურბნისი, სკრა, სასირეთი, თორტიზა, შინდისი, ავლევი
კახეთში — მაღარო

რელიგიურ დღესასწაულებზე:

მეჯვრისხევში — უსანეთობაზე; რუისში — ფერიცვალობას, დღეობაზე;
გორიჯვერობაში — გორიჯვერობას; მცხეთაში — სვეტიცხოვლობას;
ოსიაურში — ზღუდრობას (დღესასწაული იმართება აღდგომიდან მე-5 — სამარიტელის კვირას).

ავტობიოგრაფია

დავით ბოჭელ საქაშეთში (ყოფილი გორის მაზრა) 1892 წლის 10 ნოემბერს, აზნაურ-აიაკვნის, ფიონის სვანიძის, ოჯახში. მამაჩემი სიმღერა-გალომის კარგი მწოდნე იყო. ქართულ-რუსული ნერა-კითხვა იძერნა იქნად, რამდენადაც სამკლასტამთავრებულმა. მას უსნავლია მანგლისის რუსულ სკოლაში. კურნი არ დაუძლიავრებია მამის სიკვდილის გამო. დედაჩემი ნაცია - ივანე სიმაკურიძის ახული - მშვენივრად იქნობა მაშინდელ ქართულ მწერლომბა. კარგი ხმა პერნია და მშვენივრადაც მღეროდა. სკოლის ასაკამდე ვრხოვრობდი სოფლიდა და სალამომობით ყორს ვუგდებდი სიმღერებს, ზღაპრებსა და თემულებებს. სოფლიდ ყოფნამ დამაახლოვა ხალხთან, გამარტო მათი წხოვრება, ზნე-ჩვეულება და მშვენიერი ხალხური სიმღერები. ჩემი გადამარტო სიმღერით იძერნად დიდი იყო, რომ ცოლ-ამხანაგებისაგან მომღერალთა გუნდის კი შევაფვინე. როგორ კარგად გავინაფენით, გავძევეთ დიდების ნინაშე გამოსვლა. ყველა გვაქერდა და გვაქერდებდა ხოლმე.

...შვიდი წლისა რომ შევხრულდი, მიმართეს გორის სახულიერო სახსნავლებელში. მიღების ნინ მავშვებს ნაკითხებდნენ „დედა ენას“. ვინჯ კითხვა იქნად, ერთ მხარეზე სხამონენ, ვინჯ უროვინარი - მეორეზე. მერ გაფამიშვლეს „დედა ენა“ თუ არა, ის არის უნდა უითხაო, ნამოვისახე „ურუქენტელა“, რაყი სხორედ იმ აფგილზე გაფამიშვლეს. მასნავლებელმა გაისინა, თავზე ხელი გაფამისვა და კარგ მკითხველებთან დამსკა. შემდეგ სოფელ ჭირისის სამახსნავლებლო სკოლაში ვსნავლობდი და ვხელმძღვანელობდი სკოლის გუნდს.

ზაფხულობით სოფლის ხშირი სტუმარი ვიყავი. რამდენადაც მე და ჩემი გუნდი ვიზრდებოდით, იძერნად ჩვენი სიმღერების მარაგის დიდებობდა და მფიცრდებოდა. ახლა „ჭონაზედაც“ კი შეგვეძლო გარევით შემოგვალო სოფელი.

მაღლ მშობლები დამეხოვა. დავრჩი წერის ანარქა და საყუთარ თავზე თვითონ უნდა მეზრუნა...

1908 წელს ცეილისში გადმოვედი საქოვრებლად შების ნათესავთან, რომელიც მასნავლებლად მე-2 ვაჟთა გიმნაზიაში მსახურობდა. სხორედ მან იზრუნა და სხვავლის გასავრდელებლად მომანყო მე-3 ვაჟთა გიმნაზიაში, რომელიც 1910 წელს დავამთავრე. ჩამოსვლისთანავე გავიჩინე ამხანაგები. ჩამოვაყალიბე 20-წევრიანი მომღერალთა გუნდი სემინარიისა და გიმნაზიის მასნავლებისაგან. ჩვენს რეპერტუარში შედიოდა ქართლ-კახური სიმღერები. ერთხელ ჩემი გუნდით მიმინვიდს ქართულ თეატრში პიესა „ლალაჭები“ გამოსახვლებით. შევასრულეთ რამდენიმე სიმღერა. მეორე დღეს წნობილმა მსახიობმა და საზოგადო მოღვანე ვალერიან გუნიაზ გვთხოვა, მუდმივად დავრჩინობიყვათ თეატრში. ჩვენ

ყველას გაგვეხართა, რადგან ფულსას ავილებლით და თანაურ უფასოდ თავისებრებოდით ნამოღენებს. ამიგად, ხენებულ თეატრში დაკავილ 1915 წლამდე. გუნდს მე ვხელმძღვანელობდი, ვმართავდი, აგრეთვე, სალამო-კონცერტებს ძველ აპოლოს კონცერტში, მუშაფიდში და სხვ. ამ გუნდის გარდა, მყავარ რუსული გუნდის, რომელსაც, უმინაობის გამო, თავი ვანებეთ და დავიძალეთ. გუნდის გარდა, ვმონაბილუობდი რუსულ-ქართულ ოპერა-ოპერეტტიდან ნაცვეჭი ნომრების შეხვეულებებში: ჩემთან მღეროდა ხოლოებში სანდო ინაშვილი, დირიჟორობდა პოლიკარპე ფარლიაშვილი.

1910 წლიდან ვმსახურობდი ქაშუეთის კლეისაში, ჟურ მგალობლიად, შემდეგ - ლოტებართდ. ამავე წელს დაარსეს მომღერალთა გუნდი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებათან (ფირექტორი კომპოზიტორი ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი). ფირექტორა მიმინვა გუნდში. სამი თვე თვითონ გვამზადა, შემდეგ მე ჩამახარა გუნდის ხელმძღვანელობა. ამ გუნდით გავმართე სალამო-კონცერტი ზუმალაშვილის სახლში 1915 წელს. ფალიაშვილი სიამოვნებით შეუგერა ჩემს კონცერტს და სახლში მიმინვა, რჩევა-დარიგება მომერა, რამაურ ფრთები შემახა შემდეგი მუშაობისათვის. ფილარმონიის გუნდი შემრჩა იქტომბრის რევოლუციამდე - 1918 წლამდის.

1915 წლიდან ვხელმძღვანელობდი თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მომღერალთა გუნდს. მოგვიანებით, 1921 წელს, სწორედ ამ გუნდის ძალებით დავგავი ჩემი სამავშვო ოპერა „ოქროს თავთავი“. 1918 წლიდან კი დავინიშნე სემინარიის გალობის პედაგოგად.

1916 წელს დავამზადე ხარლამში სავანელის მიერ დაარსებული თბილისის საიმპერატორო მუსიკალური სასწავლებელი კომპოზიტორის განხრით (პროფესორ ნიკოლაი ნიკოლაევის კლასი). ზაქარია ფალიაშვილის დახმარებით, გამოყენების ჩამარების, საკუთარ ნანამოებთა ნარაგენისა და განხილვის შემდეგ, ჩავირისხე კონსერვატორიაში თეორია-კომპოზიტორის სპეციალობაზე პროფესორ ნიკოლაი ჩერებნის კლასში (1918-1921 წელი). აქ სწავლა განვაგრძე სპეციალური კონცრატუნგის შესწავლითან. ჟურ კიდევ მუსიკალურ სასწავლებელში ხმას ვამუშავებდი (პროფესორ ენრიკო ბრონის კლასი) და, ამავე დროს, სამი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ვალტონიაზე დაკვრას იოსიფ მაძნერთან, რომელიც იყო ნოდებით პოლკოვნიკი - კავკასიონისტი. შემდეგ სამ წელინაფს ვუკავშირ ხევადასხვა ორგანიზრში *corno secondo-b* პარტიებს. პარალელურად მომღერალთა გუნდებს ვხელმძღვანელობდი და ვმასწავლებლობდი თბილისის ხევადასხვა ციტის ცენტრში.

ამ დროიდანვე, ზაქარია ფალიაშვილის რჩევით, მიმინვიეს პლეხანოვის სახელობის კონცერტი გუნდის ხელმძღვანელად. გუნდი შედგერთა მუშებისა და მათი შვილებისაგან (130-160

მოძღვანლი იყო). პლეხანოვის კლუბში ვმცხოვდი 1918-1933 წლებში. ვმართავდით კონკრეტს, კითხულობდი ლექსიებს და ასეთი ამხანაგური საუბრებით ვჩვილობდი მუშებისათვის შემეცვარებინა ჩვენი მშობლიური კილოკუვები. ვამჟამ, რომ ჩემმა ასეთმა მიღვიმამ უნაყოფო არ ჩაითა.

სოფლიად მოგზაურობის დროს (გორი, ახალქალაქი, ქარელი, ჩხინვალი, ხურამი და სხვ.) აფგილობრივი ძალებისაგან ვაყალიბებდი გუნდებს, ვმართავდი კონკრეტს, კითხულობდი ლექსიებს და, ამრიგად, ვენეოდი მუხიყალეური შემოქმედების პროცეგანდას.

...კონსერვაციონის ფამიავრების შემფევ, 1921 წელს, მათობში შევქმენი ვაჟთა გუნდი: აფგილობრივი ახალგაზრდებისგან, საზღვაო სასწავლებლის მოსწავლეებისა და მოყვარულოთაგან. იქ ვიყავი მივლინებული კომპოზიტორ მელიქონ მალანჩივაძის მიერ სამუხიკო სასწავლებლის გახსნის ნიადაგის მოსამზადებლად. გავმართე კონკრეტი. გუნდში შეფიოფნენ მეგრელები, ხვანები, გურულები, რაჭვულები, ქართლ-კახელები.

1933 წელს ცენტრის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოვაყალიბე მოძღვანლოთა გუნდი და სახულე თრკეცრი (მე ვალცონაზე ვუკრავდი). რამდენიმე თვის შემფევ მოვუყანე ხელმძღვანელი და მას ჩავატარე. 1932-1936 წლებში მე სტუდენტად ვირისხებოდი უნივერსიტეტის უკონმიკის ფაკულტეტზე და, დროის უქონლობრის გამო, კერ შევძელი სამშაგად მუშაობა. აქ გუნდი შეგვრჩა ორ წლამდე.

მოძღვანლოთა გუნდებში მუშაობის დროს ფიფ ყურადღებას ვაქრევდი თითოეულ მოძღვანლს. მრავალმა ძალანმა, ჩემი რჩევა-ფარიგების ნიალობით, მიიღო სტერალეური მუხიყალეური განათლება. ჩემს ნამონაფრებითან დღეს ბევრი გამოჩენილი ლოტერია, დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, რამდენიმე კი ჩვენი კომპოზიტორების რიგებს ამშვენებს: ლალიძე რეზო ალექსის ძე (სკოლის გუნდში ხნავლობდა ჩემთან 1933-1936 წელს), ჩიძეს ძე არჩილ ივანეს ძე, თორაძე ფავით, ჭოჭუა შოთა, ჭუმბურიძე (ლოტერიას პიონერთა სახლში), კასრაძე ქ. (ჩემი მონაცე იყო).

1938 წელს მარტი ხელოვნების საქმეთა სამშართველოს მიერ ვინიშნები გუნდის ხელმძღვანელად გორծი. სამი წლის შემფევ (1941), ავადმყოფობის გამო, ვანებებ თავს.

1941-1945 წლებში ვმუშაობ თბილისის მე-4 მუხიყალეურ სასწავლებლისა და სკოლაში ქორმასტერად და ოეორია-სოლიტერის მასწავლებლად.

ომის პერიოდში კომპოზიტორთა კავშირისა და „რამისის“ („რამისი ისკუსებულის“) მიერ მივლინებული ვიყავი მახაჩალაში, ნიულორმიელოთაგან ახალი გუნდის შესაქმნელად და სამამულო ომთან დაკავშირებით შესაფერისი რეპერტუარის შესახვლად. მე შევარჩი 200-მდე მოძღვანლი და გავმართე კონკრეტი 1942 წლის მაისში (ამ ფაქტის ფამილისტურებულ საბუთს

მიუკვლიერთ საქართველოს ეროვნული არქივის კომპოზიციონთა კავშირის საარქივო მასალებში – რედ.). იქიდან გავეძგზავრე მყინვაცები. ჩემი მუშაობის შეფარგვა თრივე არაგას ფავტოვე ორადერთი გუნდის ხელმძღვანელი, რომლებიც მე მოვამზადე ჩემი იქ ყოფნის ფროს.

1943 წელს იმავე კომპოზიციონთა კავშირში, ამავე მიზნით მიმავლინა ლენინგრადში, სადაც ჩავაჭრე იგივე მუშაობა, როგორიც მახსახულობის.

ომის ნლებში ვმუშაოთ ჰოსპიციურებისა, სადაც მივლინებული ვიყავი რესპუბლიკური ხალხური შემოქმედების სახლის (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო სუნგრი – რედ.) ფირეტონის მიერ. მაგალითად, 1942 წელს, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ფავალებით, ევაკუაციებისას (№2462) თანამშრომლებისაგან ჩამოვაყლირე ქალთა რუსული გუნდი (20 მონაბილუ).

1945-1946 წლებში ვმუშაობდი თბილისის მოზარდამურებულთა ქართულ თეატრში ლუქტორად და გუნდის ხელმძღვანელობად.

1946 წლის 1 აპრილიდან გორის რაიონის მფიცანდა აქ. ყუჭიაშვილის მიმინდა გორის სიმღერისა და ჩუკვის ანსამბლის ლოგოტად და სამხატვრო ხელმძღვანელობად. ანსამბლს 1951 წლამდე ვხელმძღვანელობდი.

1951 წელს საქართველოს კომპარტიის სუნგრალური კომიტეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ფანესებულების საქმეთა კომიტეტის მიერ მივლინებული ვიყავი კახეთის რაიონებში მხატვრული თვითმოქმედების სარაიონო ფამილიერებული კომისიის მუშაობაში მონაბილეობისთვის და VII რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაბილეთა შერჩევაში ფახმარებისა და ხელმძღვანელობის გახანევად.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის დაარსების დღიდან მასთან სისტემატიურად ვთანამშრომლობდი. 1951 წლიდან კი ვმუშაობდი ხალხური შემოქმედების სახლთან ასევე მუსიკულური სექტის მფიცნად და ვასრულებლი მის ფავალებებს – რაიონებში აფგილობრივი მომღერალთა გუნდების მუშაობის შესამონებლიად და გასაყმობესებლიად. სემინარების ჩასაჭარებლიად და სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლიად.

ჩუნგრალური კომიტეტის მთავარი სამსართველოს, კულტურის საგანმანათლებლო კომიტეტის, შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა მთავარი სამსართველოს, ამუამად კულტურის სამინისტროს და ხალხური რესპუბლიკური შემოქმედებითი სახლის ფავალებით, ვაჭარების რაიონულ ოლიმპიადებს: ხაშურში, გორში, ყვარელში, ნიოელნიკორში, სტალინიში, გურჯაანში, კაკეტეში, გლეხურში, კაჭარეში, თიანეთში, ახმეტაში, ლავოცებში, ქარელში და სხვა.

...ჩემი საკომპოზიტორო ქმნილებებიდან აღსანიშნავია საბავშვო მუსიკოსური პიესა „გუგული და მამაკო“ (კრისტოვის არყის მიხედვით, თარგმანი აკაკი ნერეთლისა), რომელიც თბილისის ოპერისა და მაღლეჭის თეატრში 1920 წელს დაიდგა.

ასევე დანერილი მაქვს პირველი ქართული საბავშვო ფანტასტიკური ოპერა „ოქროს თავთავი“ სამ მოქმედებად და შვიდ ხურათად (ლიმერეტო დავით კასრაძისა, შიო მღვიმელის ზღაპრის მიხედვით). პირველია დაიდგა მთავრობის ხარტზე თბილისის ოპერის სკრინზე 1921 წელს სკოლების მონაცემთა ძალებით (როთალის აკომპანემენტის მე ვასტულებრი. იხ. გაზეთი „ნიოჟი მხედარი“, №15, 1921 წ. 17/VIII; აგრეთვე, იხ. „თბილისის ოპერისა და მაღლეჭის თეატრი“, ნიგნი 2 შალვა კაშხაძე). დაფგვა განმეორად 1924 წელს რუსთაველის სახელმობრის თეატრში საბავშვო ლიტერატურა-მუსიკის საჩვენებელ სალამო-კონცერტზე: 1928 წელს კი პლეხანოვის სახელმობრის კლუბში მე-6 შრომითი სკოლის ძალებით ამავე სკოლის ფონტის გასაძლიერებლად. ჩემს ამ უპრეტენდით ნანარმებს იმ ფრონტაზოის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბავშვო მუსიკისადმი ინტერესის გასაზოველებლად. „ოქროს თავთავი“ დაიდგა, აგრეთვე, გორში, ჭავაში, ნაღვერში და სხვ. ხელნებული ოპერა დავდგით 1956 წელს სუნდრალურ კლუბში აფგილობრივი მუსიკოსური სკოლის მონაცემებისა და რამდენიმე ვოკალისტის დახმარებით.

მრავალი საგუნდო სიმღერა დავწერე სხვადასხვა ანსამბლისათვის. საბავშვო სიმღერებიდან აღსანიშნავია:

„საქანელა“, „უკა, უკა, უკანჩალა“, „ნანა ფიხო“ (ტექსტი ილია სიხარულიძისა); „ზარმაჯი“ (ტექსტი შიო მღვიმელისა); „ბეჭითი“, „მონაცემბას“ (ტექსტი გიორგი ქუჩიშვილისა); „უნვა და პატარა მონაცე“ (ტექსტი ნიკო ლომაშვილისა); „ნაძვის ხე“ (ტექსტი გიორგი სვანიძისა)...

საგუნდო სიმღერები:

„სტალინი, ჩვენი დიდებავ“ – სამ და ოთხმიანი ანსამბლისათვის, „შენი გამჩენის ჭირიძე“ – საფანდურო გუნდის თანხმულებით (ტექსტი გიორგი სვანიძისა); „ჩირალფანი“, „საომარი სიმღერა“ „ახალნვეულებს“ (ტექსტი გიორგი ქუჩიშვილისა); „გუთნის დედა“ შერეული გუნდისათვის (ლექსი ილიასი); „ქართლის გოფება“ (ლექსი აკაკისა); „სიმღერა საქართველოზე“ (ლექსი სანდორ შანდიაშვილისა);

„ჩემო სამშობლოვ“ (ტექსტი ნინა მაფურაშვილისა); „მაღაროელთა სიმღერა“, „ჩვენი ლაფონ“ (ტექსტი გიორგი გრიგორიშვილისა); „შენ გადიდებთ“, „ხორიალისტური შრომის გმირის სიმღერა“ (ტექსტი გ. გროვლისა). (ვფიქრობ, ეს ფესვთონიში გიორგი გრიგორიშვილს კუთვნის. რეც.).

„სამგორის ამხის მიხალმება“, „საკოლმეურნეო მგზვრული“ (ტექსტი სტეფანე არლუნელისა); „სუფრული“, „მაყრული“, „პირველი მაისი“, „სარევოლუციო პიმი“, „შენ პეტელა

ხარ”; „ლაშქრული” (ხილუები იოხენ იმედაშვილისა); „გუთნური” – გრძელი და მოკლე; „შვიდი ნოემბერი” (ტექსტის ავტორი მიუთითებულია. რედ.). რამდენიმე რასაც საგუნდო სიმღერა მოზრდილთათვის.

საკლებესო ტროპერები: „ლმერთი უფალი”, ძლისხმირები, „გაფიფებთ”, „დედა ლვისათ!”

სხვადასხვა ფროს ვთანამშრომლობი უურნალ-გაზეთებში: „თეატრი და უხოვრება”, „სამჭოთა ხელოვნება”, გორის გაზეთი „სცენისირი”.

1932 წელს გამოიქანდა ჩემი შრომა „ნოტების ანგანი” – სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელო.

თავს მოვალეო ვრას აღვნიშნო: 1916 წლიდან გაფავნებულე ფოლკლორის შეგროვება და სიმღერების ნოტებზე გაფაგანა, ვმოგზაურობ ქართლ-კახეთში, მეტნილად ქართლში, კურებ ხალხურ სიმღერებს, ლექსებს, თქმულებებს (განსაკუთრებით ამა თუ იმ სიმღერის ნარმობორა-ხადაურობაზე), ზღაპრებს და სხვა.

ჩემი მრიენ შრომა შეივერა ხუთი ცომისაგან და გამზადებულია ფასარებზე. ჩემი ამ ფარგში მუძმობის შესახებ აღნიშნულია უურნალ „ლიტერატურა და ხელოვნებაში” 1951 წლის 12 აგვისტოს, №32.

სიმღერებს ვაძყავებ ამა თუ იმ სახის გუნდებისათვის ჩემს ლარმორაფორიაში (თუ შეიძლება ასე ითქვას), ზოგ მათგანს, ნშინდა ხალხურს ვამარებ ხალხურ შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს გასავრცელებლად.

1957 წელს სახელმძღვანელო გამოსუა ჩემი წიგნი – „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი”. ჩემ მიერ შეკრებილი ხალხური სიმღერები ასამდე ნიმუში ამჟამად ინახება ხალხური შემოქმედების სახლის სეიფში (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო მუნიციპალიტეტი – რედ.).

გარდა სპეციალური უმაღლესი მუსიკოლური განათლებისა (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია – 1918-1921 წე. თეორიული-კომპოზიციორი, ვალფორნისტი), ფავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1932-1936 წე. კონკრეტისტი), დაუსნრებული პედისტიული და თბილისის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტი (1942-1946 წე. თეორატული). ამჟამად ვანვაგრძობ საგუნდო სრულზე შემოქმედებით მუშაობს.

სამჭოთა კავშირის უმაღლესი სამჭოთა პრეზიდიუმის შრაბანებით ფავამთავრე მეფლით – ფიფ სამამულო ოშპ შრომითი მამაკანისათვის.

ვარ საქართველოს სსრ-ის კომპოზიციონთა კავშირის წევრი.

ვიზი: რასაც კარგად, გერმანული – სუსტად.

მავს მეუღლე და სამი შვილი. ვახოვრობთ თბილისში, ელმაქის (ვერის) ფალმართზე №1.

გუნდები, ოთხელოთა 1908-1951 წლებში ვხელმძღვანელობრივი:

- 1908-1915 წ. – ქართულ თეატრში (გუნდი მე დავაასე. 20 წევრი).
- 1908-1918 წ. – ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებრივი (25-30 წევრი).
- 1917-1933 წ. – პლეხანოვის სახელობრივი კლუბი, ნაძლოადევში (130-160 წევრი).
- 1924-1926 წ. – პოლიტგანცულიერების ნიუელარმიელთა გუნდის.
- 1928-1930 წ. – გორის ოკინიგზის კლუბთან ასებულ მომღერალთა გუნდის.
- 1932-1936 წ. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (80 წევრი)
- 1936-1938 წ. – ოკინიგზის ორახელოსმცილის სახელობრივი კლუბი, ნავთლულში (30 წევრი).
- 1937-1939 წ. – ქართველ მომღერალთა გუნდის თბილისში (40 წევრი).
- 1938-1941 წ. – გორის ეთნოგრაფიულ გუნდის (50-60 წევრი).
- 1940-1941 წ. – პლეხანოვის სახელობრივი კლუბის მომღერალთა გუნდის.
- 1945-1946 წ. – თბილისის მთართმაყურებელთა ქართულ თეატრის გუნდის.
- 1946-1951 წ. – გორის სიმღერისა და ჩამავის ანსამბლის.


საფარი ვძასხნავლებრივი და გუნდებს ვხელმძღვანელობრივი:

- 1910-1911 წ. – თბილისის პირველ საქალაქო სახსნავლებელში (მუსიკის პედაგოგი).
- 1911-1915 წ. – მე-2 სამავჭვო სახლში (მუსიკის პედაგოგი და გუნდის ხელმძღვანელი).
- 1911-1915 წ. – განათლების საზოგადოებრის ქალთა საოსტატო სემინარიაში.
- 1915-1918 წ. – ქალთა სამსახურავლებლო სემინარიაში.
- 1915-1916 წ. – ქართულ ვიმნაზიასა და პავშვთა მე-2 თავშესაფარში.
- 1918-1923 წ. – თბილისის მე-10 პედაგიგიუმში.
- 1923-1928 წ. – თბილისის მე-6 ოკინიგზის სკოლაში.
- 1928-1939 წ. – ოკინიგზის მე-8 საწარელ-სანიმუშო საშუალო სკოლაში.
- 1933-1937 წ. – მე-18 საშუალო სკოლაში.
- 1937-1939 წ. – 25-ე საშუალო სკოლაში.





გიორგი დიკობაშვილის ძე სვანიძე
30 ნოემბერი, 1916 წელი
თბილისი



ტექსტები რედაქტირებულია და გამოსაცემად გამზადებულია ელენე ვირსალაძის მიერ,
მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

1957 წლის გამოცემის წინასიტყვაობა

კრებულში წარმოდგენილი მასალა ძირითადად ქართლსა და კახეთშია შეკრებილი. იგი კომპოზიტორ გიორგი სვანიძის მიერ შეგროვებული დიდაღი მასალის ერთი ნაწილია მხოლოდ. წიგნში მოთავსებულია ტრადიციული ქართული ხალხური შემოქმედების მრავალი ნიმუში (შრომის, სანესო, სუფრული, საისტორიო და საყოფაცხოვრებო სიმღერები), რომელთა შორის ბევრია დღემდე უცნობი ან დაკარგულად მიჩნეული ტექსტი. სიმღერების უმეტეს ნაწილს ერთვის ნოტები.

წინამდებარე კრებულის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. ერთი თავისებურება მას ჩვენთვის განსაკუთრებულს ხდის, ჩანერილი სიმღერებისა და ლექსების უმრავლესობას ერთვის მათთან დაკავშირებული თქმულებები, რომელშიაც გადმოცემულია ხალხის შეხედულებანი ამა თუ იმ სიმღერის შექმნის გარემოსა და ისტორიაზე. გიორგი სვანიძე მასალების ჩანერის დროს არ კმაყოფილდება მხოლოდ ტექსტის ფიქსაციით. იგი აღვინერს მის შესრულების ზუსტ სურათს (მკის სიმღერები, საწნახლური და სხვ.), გადმოგვცემს ტექსტის შესრულების მთელ აჭმოსფეროს, ამა თუ იმ ლექსის დანიშნულებასა და როლს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყოველივე ამის გამო, ლექსი თუ სიმღერა, ჩანერილი გიორგი სვანიძის მიერ, მიღის მკითხველის გულამდე, როგორც სიცოცხლით სავსე, ხორცშესხმული სურათი ცხოვრებისა, უტყუარი გამოხატულება ჩვენი ხალხის განცდებისა და მსოფლგაებისა წარსულში.

ხალხური შემოქმედების სწორედ ამგვარ შეკრებას გულისხმობდა ნიკოლოზ დობროლუბოვი, როცა მოითხოვდა, შეკრების დროს ფიქსირებულიყო არა მხოლოდ ტექსტი, არამედ მისი შესრულების მთელი გარემო: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც იწერს და კრებს ხალხური პოეზიის ნაწარმოებებს, ძალიან საჭირო საქმეს გააკეთებდა, თუ არ დაკამაყოფილდებოდა ზღაპრის ან სიმღერის ტექსტის მხოლოდ ჩანერით, არამედ გადმოგვცემდა მთელ გარემოს, როგორც წმინდა გარეგნულს, ისე უფრო მეტად შინაგანს, ზნეობრივს, რომელშიაც მოუხდა მას ამ სიმღერისა თუ ზღაპრის გაგონება...“

მნიშვნელოვანია რიგი სიმღერებისა, რომლებიც დღემდე ცნობილი იყო ჩვენთვის მხოლოდ ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მაგრამ მათი ტექსტები დაკარგულად იყო მიჩნეული. ასეთებია, მაგალითად, საწნახლური — ყურძნის დაწურვასთან დაკავშირებული შრომის სიმღერა, რომლის არსებობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.¹ ამ სიმღერის ტექსტი და მელოდია ცნობილი გახდა მხოლოდ გიორგი სვანიძის მიერ ჩანერილი სამი ვარიანტით. ასევე უნიკალურია ქვევრის რეცხვის ლექსები, რომელთა შესახებ ცნობები იმავე ავტორს მოჰყავს.

საინტერესოა ტექსტი და თქმულება ქალო, ქალთა მზეოს შესახებ. ამ სიმღერას, როგორც ხალხურს, მოიხსენიებს დავით გურამიშვილი. მესტვირულის ნიმუშად მოჰყავს მისი ნაწყვეტი იოანე ბატონიშვილისაც კალმასობაში. დღეს ჩვენთვის ცნობილი გახდა ამ სიმღერის სრული

¹ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი — ივერიულთა სიმღერა, გაღობა და ღიღინი. „ცისკარი“, №1, 1861 წ.

ტექსტი და მასთან დაკავშირებული ვრცელი თქმულება. ასევე მნიშვნელოვანია თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული დღემდე უცნობი სიმღერები და თქმულებანი.

კომპოზიტორ გიორგი სვანიძის მასალები გვაცნობს დღეს დავინუებულ ძველ სახალხო მთქმელთა და მომღერალთა მთელ პლეადას. კახელი მომღერლები — ბურთიკაშვილი, სიკო მესტიაშვილი, მიზნა ბაკურაძე; ქართლელი მომღერლები — ვანო ტლაშვაძე, გიორგი ტატიშვილი, გიორგი ქართველიშვილი, დიმიტრი ჯაფარიძე და მრავალი სხვა ცოცხლად წარმოდგებიან მკითხველის წინაშე. დიდად არის წარმოდგენილი მესტვირული ტექსტები და ცნობები ცნობილ მესტვირეთა და მეფანდურეთა (დოდე გოგიაშვილის, ალექსი ოქრომჭედლის, ნასყიდა გნოლიძისა, მაჩაბლისა, გაიოზ ფურცელაძის და სხვათა) შესახებ.

მასალა სხვადასხვა სოციალურ წრეშია შეკრებილი. ამით აიხსნება ხელოვნურობის იერი ზოგიერთ ტექსტში. ასე, მაგალითად: ყურშაოსა და სამაიას ჩანაწერები ძალიან ცოტა გვაქვს. გიორგი სვანიძის მიერ ჩაწერილი ტექსტები, მიუხედავად გადაკეთებისა და ჩანართებისა, მეტად არქაულ ელემენტებს შეიცავს.

ამ წიგნში თავმოყრილია ძველი ქართული ხალხური ლექსები, ხალხური შემოქმედების მემკვიდრეობის საინტერესო ნიმუშები. ვფიქრობ, ეს კრებული სამსახურს გაუწევს ჩვენს მეცნიერებას და ქართველი მკითხველის ფართო მასებისათვისაც საინტერესო საკითხავი წიგნი იქნება.

ელენე ვირსალაძე

შემკრებისაგან

ჩემს ახალგაზრდობაში არაერთხელ მსმენია ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა მიერ გამოთქმული გულისტყივილი იმის გამო, რომ ქართული ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები დავიწყებას ეძლევა, რომ ქართული ხალხური შემოქმედების საუნჯეს არ ექცევა შესაფერი ყურადღება.

ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ პირველად მოისმინა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლადო აღნიაშვილის მიერ ჩამოყალიბებული გუნდის სიმღერები.

ქართული უურნალ-გაზეთების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად დგებოდა საკითხი ხალხური შემოქმედების მოვლა-პატრონობის საჭიროების შესახებ.

ძნელი იყო მაშინ შემკრებთა როლი. მეფის თვითმკურობელობა ქართული კულტურის განვითარებას მტრულად უყურებდა, აბუჩად იგდებდა, დახმარების მაგივრად ყოველგვარ სიძნელეს უქმნიდა ამ საქმის უანგარო ენთუზიასტებს. არავითარი მატერიალური სახსრები ამისთვის არ იყო. გლეხიც აღმაცერად უყურებდა უცნობ ქალაქელს, რომლის მიზანი მისთვის გაუგებარი იყო.

მიუხედევად ამისა, მრავალი ქართველი მოღვაწე, ლიტერატორი თუ მუსიკოსი მაიც ახერხებდა ამ წმინდა საქმის სამსახურს, უმნიკვლოდ შრომობდა ხალხური პოეზიის ჩასაწერად, ხალხური სიმღერების ნოტებზე გადასაღებად. ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ნიკო (კიკო) სულხანიშვილი, ილია (ია) კარგარეთელი, ზაქარია ჩხიკვაძე — ამ დიდი საქმის მესვეურნი იყვნენ საქართველოში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება ხელოვნებას. პარტია და ხელისუფლება შეუნელებლად ზრუნავს ხელოვნების გაფურჩქვნა-აყვავებაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხალხური შემოქმედების შეკრებას, შესწავლას და დამუშავებას.

შემკრებთათვისაც ახლა გზა ხსნილი და ფართოა. სახელმწიფო მათ ეხმარება, უმაგალითოდ ამაღლდა კულტურა და გლეხი-მომღერალი, რომელიც უნინ აღმაცერად უყურებდა სიმღერების შესაკრებად სოფელში ჩასულს, დღეს ხალისითა და სიამოვნებით ასმენინებს მას თავის რეპერტუარს. ხალხური გუნდების ჩამოყალიბებამ, რადიოთი ქართული სიმღერების გადაცემამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ამ საქმეს. რა თქმა უნდა, შემკრებლობას ახლაც დიდი ენერგია და მონდომება ესაჭიროება. მთქმელთან მისვლა, მისი აღაპარაკება, მისი გულისნადების შეტყობა და ამოტივტივება არ არის ადვილი. იგი დიდ დროსა და უნარს მოითხოვს.

სოფლად ბევრს შეხვდებით ჩუმ შემოქმედს, ლექსის გამომთქმელს, ზღაპრების ოსტატს, სიმღერების დიდ მოყვარულსა და შესანიშნავ შემსრულებელს. შემკრებმა ასეთები უნდა გამონახოს, გაიცნოს, დაუახლოვდეს, ეს კი მხოლოდ ხალხში ტრიალით, მის ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებაში გარკვევით შეიძლება მოხდეს. მაშინ გავიგებთ იმასაც, თუ რად სჭირდება ხალხს ესა თუ ის ლექსი ან ზღაპარი. რისთვის გამოთქვა მან იგი და ან სხვისი გამოთქმული როგორ გაიგო და გამოიყენა თავის ცხოვრებაში.

ქართულ ხალხურ სიმღერებს ბავშვობიდან ვიცნობდი. ქორწილებსა და სოფლის დღეობებში მომისმენია საუკეთესო სახალხო ოსტატთა მიერ შესრულებული სიმღერები, მრავალი საღამო გამიტარებია ქართული ბუხრის წინ, საღაც ნიბლიასავით განაბული, სახეში შევცექოდი ზღაპრების მთქმელს. მომისმენია სიკო მესტიაშვილის, ვანო (ტილა) ტლაშაძის, გიორგი (თხის რქა) ტატიშვილის სიმღერა, გეგენა ბათიაშვილის შესანიშნავი მაყრული, ჟერი-ეგა და სხვა.

ახრისელი გიორგი ქართველიშვილი და კუკურა ვათიაშვილი იშვიათი მომღერლები იყვნენ, იმავე სოფლის გლეხი თევა დიდბერუაშვილი — საუკეთესო ზღაპრის მთქმელი.

შევხედრივარ შესანიშნავ მომღერალ ქალებსაც: ერისთავის ოჯახში მომღერალ დაროს ბადალი არ ჰყავდა ურმულის თქმაში. როცა იგი სიმღერას შემოსძახებდა, მის სახლთან მილეთის

ხალხი იყრიდა თავს. ციციშვილებში სუფრაზე ვერც ერთი კარგი სიმღერის მცოდნე და მომღერალი ვერ მიეტოლებოდა ანას. ყანჩავლიანთ გეგენას მაყრული გასაოცარი იყო, თუკი ვინმე გაუწევდა ამხანაგობას სიმღერის თქმაში.

აკვნის ნანას თქმაში ფეფე ციმაკურიძეს ტოლი არა ჰყავდა. მასზე ლექსიც კი იყო გამოთქმული:

ფეფე ზაალიშვილისა
ციმაკურიძის ცოლია;
„აკვნის ნანისა“ ღილინში
მართლა ბულბულის ტოლია!

ბევრი სიმღერა ბავშვობიდან ვიცოდი. ხალხური მუსიკის დიდი სიყვარული იყო მიზეზი იმისა, რომ 35 წლის განმავლობაში ვმოგზაურობდი ქართლისა და კახეთის დაბებსა და სოფლებში, სადაც მასალების შეკრების დროს ბევრი სიამოვნება, მაგრამ მრავალი სიმწარეც მინახავს. მრავალჯერ გამითევია ლამე მინდორში, დავქანცულვარ გრძელ გზაზე... არ დამკლებია არც სოფლის ავი ძალლების კბილები, არც უანდარმთა და სხვადასხვა მოხელის უხეშობა, რომელთაც ეჭვს გვრიდათ ჩემი საქმიანობა.

სოფლად უცხო ადამიანის მისვლა და გლეხების ნდობის დამსახურება იმ პირობებში არ იყო ადვილი. მრავალი თავისი ნამდვილი ვინაობის დასახელებასაც კი ერიდებოდა და ჩემს შეკითხვაზე ასეთი ლექსით მიპასუხებდა:

— შენ მებალეს რას კითხულობ?
გულით მიიღე ხილიო,
ნალამური არ გეგონოს,
მიწიდან აკრეფილიო,
არც დასუნთქული გეგონოს,
ხეზეა დაკრეფილი.

ეს პასუხი კი ნიშნავდა: რაც გითხარი, ის ხომ ჩაინერე და ჩემი გვარის ხსენება რა საჭიროა.

ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება პირველად ზაქარია ფალიაშვილის ჩაგონებით დავიწყე. ეს იყო 1916 წელს. მაისის შუა რიცხვებში ზაქარია ფალიაშვილის ნერილი დამხვდა ბინაში. მაშინვე მივედი ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სკოლის შენობაში, სადაც კომპოზიტორს ბინა ჰქონდა. მიმილო ჩვეულებრივი გულთბილობით, გამომკითხა მდგომარეობა და სიტყვა ჩამომიგდო ქართული ხალხური სიმღერების შეკრებაზე. — აბა, სცადე, ბიჭო! შენ თავისუფლად შეგიძლია ქართლურ-კახური სიმღერების ჩანერა, რადგან, როგორც ვიცი, ბევრი რამ იცი ქართლისა და კახეთისათვის. სადაც გაგიძნელდეს, ჩემი ფონოგრაფი მოიშველიე, ზოგი, რომელიც კარგად იცი, უიმისოდაც შეგიძლია ნოტებზე გადაიტანოთ. მე ვუთხარი: ჯერ გამოუცდელი ვარ და ვშიშობ-მეთქი. — თავდაპირველად ყველა ასე ვართ, როცა იმოგზაურებ და გაეცნობი სიმღერებს, მაშინ კარგ მომღერლებსაც იშოვი და შენც ბევრს შეისწავლი; ისე გაგიადვილდება, რომ მე გაგახსენდებიო.

იმ ზაფხულს აპირებდა ქართლისაკენ გამგზავრებას, ვიღაც ტატიშვილებთან, ვგონებ, სოფელ ძვილეთში. მე პირობა მივეცი, რომ მის რჩევა-დარიგებას შევასრულებდი და იმავ ზაფხულს გავემგზავრე გორს. აქედან დავიწყე ქართული მუსიკალურის თუ სხვა სახის ფოლკლორის შეკრება.

გიორგი სვანიძე

თქმულებანი

1. სიმღერების სადაურობა

„უამიერს“ ვერვინ წაგვართმევს,
ვამბობთ მრავალი წელია,
იგი კახეთის შვილია,
მასთან არვის აქვს ხელია.

მართალი არის „ზამთარი“
სუსხიანია ჩვენსაო,
ქართლშია დაბადებული,
კაბას ატარებს ძველსაო.

„ჩაკრულო“ ტყუპისცალია,
მოუტანია მწყემსსაო,
როცა ბატონის ვენახში
ყურძენსა ჰკრეფლა ბევრსაო.

ბურთიკაშვილი გახლავარ,
შეხეთ ამ ჩემს თეთრ წვერსაო,
ცალი სამარეს მიდგია,
ველარ ვიცოცხლებ ბევრსაო.
თუ დამიჯერებთ, კარგს იზამთ,
ეხლა მობრძანდით ჩვენსაო!

„შვიდნი“ რომ ნახსენებია,
მოტანილია ჩვენსაო.
„მოდისო მტერი, კახელო“,
შემოპარულა ჩვენსაო,
ორივეს კარგად მღერიან,
სუფრასა ამშვენებსაო.

2. მკის სიმღერა

ბიჭო! სიცხეში სიმღერა,
მალამო არის გულისა;
მუშაობის დროს დაჭექვა
საკმელი არის სულისა!

თან მუშაობას ვერ იგებს,
თან სიცხეს ოხერ-ტიალსა,
თუ მუშაობ და თან მღერი,
იწყებ ხმებისა ტრიალსა —

ორი დღის ყანას სამხრამდე
დააწყებინებ გრიალსა,
შემდეგ მიწვები ჩრდილოში,
ყურს უგდებ ფოთლის შრიალსა.

მოხუცთა გადმოცემით, მკას არ შეუდგებოდნენ, სანამ ამ ლექსს არ იტყოდნენ. მუშაობის დროს, მით უმეტეს მკაში, სიმღერა არ უნდა შეეწყვიტათ. მართლაც, იმთავითვე, მკას ლვიძლ ძმასავით თან სდევს მასთან შეხამებული სიმღერა.

აგერ ყანას მოედო მომკელთა გუნდი... იგი დაიყოფა პატარ-პატარა ჯგუფებად. თვითეული ჯგუფი ავსებს სვეს (ყანის პატარა ნაკვეთია, ვიწრო, სადაც დაეტევა 7-10 მომკელი). ამ ჯგუფს ჰყავს თავისი წინამძლოლი — მესვეური, რომელიც, როგორც ნამგლის მოსმასა და სიმღერაში, ისე მასთან დაკავშირებულ მიხრა-მოხრაში სჯობნის დანარჩენებს.

მესვეურმა მომკელები მჭიდროდ არ უნდა განალაგოს, რათა მკის დროს ნამგლით თითები არავინ დაიბალთოს.

ყველა მესვეურს ერთი საერთო ხელმძღვანელი, წამყვანი ჰყავს. აგერ გახურდა მკაც. წამყვანი შემოსძახებს პატარა „სოლოს“ — „ჰოპუნას“, შემდეგ მას მთელი ჯგუფი მიჰყვება:

ჰერი, ჰერიო,
ჰერი, ბიჭებო!
ჩემო გვრიფებო!
აბა, მოუსვით!
აი, ნამგალი!
ყანა შეგვექმნია
აი, სამკალი!..

ამ სიმღერას რომ მორჩიან, ერთი მათგანი რომელიმეს გადასძახებს, ვითომდა გაჯავრებით:

— რო ეჯიბრები მეტოქეს,
აბა, აგწონო, რა მოხვალ.

მეორეც კვერს დაუკრავს:

— ხომ ხედავ, ბესოს ვერ მისდევს,
მკაში ჩვენთან ნუ წამოხვალ!

დაცინვის ობიექტი, ვითომდა ნაწყენი უპასუხებს:

— მე კიდევ კაცს მეძახიან,
შენ დედაკაცი გამოხვალ!

და მიიწევს დამცინავისკენ. გაჩინდება „ნამგლების ტრიალი“, მაგრამ ამ დროს წამყვანი დასძახებს:

„აააამ!“ და სიჩუმე ჩამოვარდება სწრაფად (ეს მომზადების ნიშანია).

წამყვანი

მოპასუხე

დანარჩენი (ბანები)

იმ!..	ჰო!..	—
იმ!..	ჰო!..	—
იმ!..	ჰო!..	ფოგ! ოგა...
იმ!..	ჰო!..	ტაჟ! ტა!
იმ!..	ჰო!..	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტაჟ!	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტაჟ!	ტაჟ! ტა!

სვეს მიმყოლნი რომ შეჯგუფდებიან, წამყვანი გადასძახებს მესვეურს — ხი! ე.ი. განზე გაიწივ, თორემ ერთმანეთს დავასახიჩრებთ ნამგლებითაო. მესვეური სწრაფად გადახტება გვერდზე. მომკელნი გაიშლებიან და თავისუფლად განაგრძობენ თავიანთ საქმეს — მკას.

ხი!..	ხი!..	ტაჟ! ტა!
ხი!..	ხი!..	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტაჟ!	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტაჟ!	ტაჟ! ტა!

აგერ თავთავის სიმძიმისაგან წელში მოხრილი ყანაც შეხვდათ, მაშინ წამყვანი იტყვის:

ჩოქ!	ჩოქ!	ტაჟ! ტა!
ჩოქ!	ჩოქ!	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტა!	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტა!	ტაჟ! ტა!

წელში გაშლილ ყანას რომ მიადგებიან, წამყვანი გადასძახებს:

წამყვანი

მოპასუხე

დანარჩენი (ბანები)

ადე!	ადე!	ტაჟ! ტა!
ადე!	ადე!	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტაჟ!	ტაჟ! ტა!
ტაჟ!	ტაჟ!	ტაჟ! ტა!

ნამყვანი იტყვის:

წინ!	წინ!	ტაჲ! ტა!
წინ!	წინ!	ტაჲ! ტა!
ტაჲ!	ტაჲ!	ტაჲ! ტა!
ტაჲ!	ტაჲ!	ტაჲ! ტა!

სიმღერაში ჩაურთავენ ხოლმე სხვადასხვა სახის საოხუნჯო მიხრა-მოხრას, თანაც „აწვალებს“ მომკელთ ნამყვანი, — რა არის მეტი სიხალისე გამოიწვიოს მათ შორის.

ნამყვანი მოპასუხე

იმ!	ჰო!
იმ!	ჰო!
(პაუზა)	(პაუზა)
იმ!	ჰო!
იმ!	ჰო!
(პაუზა)	(პაუზა)

ასე და ამგვარად „აწვალებს“ ნამყვანი ამხანაგებს. ის გათავების ნიშანს არ იძლევა. ერთ-ერთი უსაყვედურებს ნამყვანს:

ე რომ გვატყუებ, ბესაო,
ყანყრატომ დაიკვნესაო;
დაიწყებ, აღარ ათავებ,
როგორ იქნება ესაო?!

ნამყვანსაც ეს უნდა. მან ყასიდად მოიგონა ასეთი ხერხი, რათა მკის შენელებით, შეასვენოს მომკელნი. მილექსვის შემდეგ ნამყვანი ისევ გადასძახებს:

ნამყვანი მოპასუხე დანარჩენი (ბანები)

იმ!	ჰო!	—
იმ!	ჰო!	—
იმ!	ჰო!	ჰოგ! ოგაა!
(2-ჯერ)		

საერთო ურიამულით ესეც დამთავრდება.

ეს წუთიერი შესვენება-შენელება მკისა, წამყვანის აზრით, საკმაო არ არის. ჯგუფიდან ერთ-ერთი წამოიძახებს:

მივიარე, მოვიარე,
ქალი ვნახე მწოლიარე;
თავით ედგა მსხმელი ვაშლი,
ბოლოს უფრო მსხმოიარე!
თვალი უყავ, შემომბლვირა...

და გაჩუმდება მთქმელი. დანარჩენი შეუბლვერენ. აცლიან აზრის დამთავრებას, თანაც მკას ანელებენ. ესეც ხომ ერთგვარი შელავათია მათთვის!

ერთ-ერთი, მოთმინებიდან გამოსული, შესძახებს: „მერე, მერე! მერე რა, რომ შემოგბლვირა?“ მთქმელი დაგვიანებით უპასუხებს: „მერე და... ქმარზე ვარო მგლოვიარეეონ“. ამის გაგონებაზე ყველას სიცილი აუტყდება. ეს წუთიერი შესვენებაც მთავრდება.

ამ სიმღერის დამთავრების შემდეგ შეუდგებიან სხვა, უფრო დინჭი ტემპის სიმღერას — „ჰერი-ეგას“.

| ჯგუფი²

ჰე! ჰე! ჰერი ეგა, აბა მკაში გამომცადე.
” ” ” ” როგორა ვმკით ამ ყანასა,
” ” ” ” ხელეური ძნას წააგავს,
” ” ” ” ისე ვუსვამთ ამ ნამგალსა,
” ” ” ” ისეთი ფხა დავუყენოთ,
” ” ” ” შებერვით გასწყვეტავს თმასა!

ამის შემდეგ, თუ გაგრძელება სურთ, რომელიმე სიმღერას ჩაუმატებს: ავიღოთ მაგალითისთვის „მიუს-მოუსვი კუდსაო“. ამის ლექსი ასეთია:

მიუსვ-მოუსვი კუდსაო,
ბატონი მოგცემს ფულსაო,
მოგცემს და ისევ წაგართმევს,
ნუ გაიტეავ გულსაო!

თუ მალე არ გადაშენდა,
ეშმაკს მიგვიცემს სულსაო;
თონეში კუტს არ შეგვარჩენს,
გაგვიწყვეტს წინილ-კრუხსაო!

² პირველი ჯგუფის კილოს მეორე ხმები და ბანები იმეორებენ. მეორე ხმა იმეორებს პირველი ხმის ნათქვამს, ბანი კი თავის პარტიას უხამებს.

ამ დროს თუ თვალს მოჰკრავდნენ ბატონის რომელიმე კაცს, ანუ „ბატონის ძალლს“, როგორც გლეხები ეძახდნენ, მოურავს ან თვით ბატონს, მაშინვე ლექსს შეცვლიდნენ:

ბატონი ღმერთმა გვიცოცხლოს,
გლეხკაცს უმართავს ხელსაო;
მისი ცუდი არ გვაჩვენოს
ვთხოვთ უსანეთსა, გერსაო!
და სხვ.

თუ ბატონმა ყური მოჰკრა, ღიმილით მივა, მიესალმება მომკელებს და ნასიამოვნები გამოემშვიდობება „ერთგულ გლეხებს“.

მუშებს გულში ეცინებათ ბატონის ყეყეჩობაზე. უკანასკნელი მოშორდება თუ არა, მომკელნი სიტყვებს შეატრიალებენ იმავ კილოზე:

როდის იყო გლეხს უყვარდა
ესა თუ ის ბატონიო,
გლეხი კაცის სისხლის მსმელი,
მათ გამყვლეფის პატრონიო!

მორჩებოდნენ თუ არა მკას, მიისწრაფოდნენ სამხრის ან სადილის საჭმელად (უკანასკნელი უფრო ადრე იციან), მაყრულისა ან მგზავრულის სიმღერით.

როცა სამხარს მორჩებოდნენ, ზოგი მიწვებოდა თვალის მოსატყუებლად, ზოგი კი ლაპარაკში ერთობოდა.

შესვენება 2-3 საათს გრძელდებოდა. ზოგჯერ კი უფრო ადრეც გასწევდნენ სამუშაოს მოსათავებლად.

ამ დროს სიცხე უკვე „მოტეხილია“. ახლა უფრო ლაპარაკში ატარებენ მკას. სიმღერას ის გემო აღარ აქვსო, იტყვიან ხოლმე.

მამითადში ზოგჯერ 400-500 მუშა-მომკელი მოიყრიდა ხოლმე თავს. გამზადებულ ადგილას გაწყობილი იყო ორ-ორი ფიცარი. აქეთ-იქით დაღლილ-დაქანცული მუშები მოუსხდებოდნენ. კარგად რომ დაპურდებოდნენ, თავთავიანთ სოფლებისაკენ გაეშურებოდნენ სიმღერით.

3. თოხნური

5

როდის იქნება მოვესწროთ,
ბიჭების ჩამოკრებასა;
დაგიუდებიან ქალები,
ინყებენ თავის ქებასა!

კოპწიათ მოირთვებიან,
გააჩალებენ ლხინსაო;
ბიჭი გოგოს ათამაშებს,
არ უყურებენ ბინდსაო!

6

გულგალელილი სიცხეში
დავყურებ დედამიწასა,
ვთოხნი და ვთოხნი სიმინდსა,
ძირში არ ვტოვებ წინასა.³

ასე ვმუშაობ მთელი დღე,
არა მაქვს მოსვენებაო!
ჩვენს გოგოებში თამაში
უჰ! როგორ მენატრებაო!

ჩამოვუვლიდი „ცანგალას“,
თავს დავუკრავდი ლიზასა;
გათენებამდის ვლხინობდით
კარებზე ონოფრისასა!

სიმლერას მივაყოლებდით —
საგალობელსა ლვთისასა;
თოხნურს რომ ავუკიდებდი
კილოსა მრავალხმისასა!

გათენებამდის ვთოხნიდი
ხან ჩემსას, ხან კი სხვისასა,
არად ვაგდებდი, თუ ძალზე
ცეცხლი ეკიდა მინასა.

გულგალელილი, პერანგა,
დავყურებ დედამიწასა;
ჩვენს ქალებს დავენაცვლები —
გოგოებს გლეხკაცისასა.

8

არ მინდა, სულ არ მოვიყვან
ცოლად ქალს თავადისასა,
ისევ გლეხისა სჯობიან
აზნაურ-თავადისასა.

9

გლეხის ქალი ვარ თათელა,
რითი მჯობიან ნათელა,
აზნაურისა ქალები
დიდმა ხოლერამ გათელა.

მთელი დღე სახლში არიან,
ჭამის მეტს რას აკეთებენ,
აბალე ჩემთან მოვიდნენ,
თუ ჩემდენს გააკეთებებ?!?

პირზე რაღაცას ისვამენ,
ერიდებიან მზესაო;
დროზედ გათხოვებისათვის
ევედრებიან ღმერთსაო!

მე კი თუმც გლეხის ქალი ვარ,
კოხტა მაქვს თვალი, ტანიო;
ბუზებივით აირევა
ჩვენს სახლში მაჭანკალიო.

მეხი იმათაც დავთხლიშე,
ჩემთვის ზედმეტი არიო;
რა მიჭირს გათხოვებისა,
მისთვის დიდი დრო არიო.

³ წინა — სარეველა ბალახი.

აზნაურს მე არ გავყვები,
ის სხვა სისხლისა არიო;
თოხის მაგივრად უჭირავს
თარი და საზანდარიო!

თუმც თვალებს მიკრავს ეშითა,
ბატონიშვილი არიო;
მართლა ლამაზი კი არის,
ვით მაისისა ვარდიო!

მე მირჩევნიან მიტროი,
გლეხკაცის შვილი არიო;
თოხი უყვარს და ნამგალი,
პირველი მუშა არიო.

გლეხის ქალი ვარ, თათელა,
არ დადის ჩემი ცალიო;
აზნაურისა ნათელა
ჩემთან მახინჯი არიო.⁴

მათი ყმაწვილი არ მინდა,
რა ჩემი ცალი არიო;
მე მირჩევნიან მიტროი,
ნამდვილი გლეხი არიო!

ც

ვინც თოხნურს კარგად დამღერის,
სწორედ მუშა ის არიო;
ვინც ძირში კარგად გასწმენდავს,
მართლა მთოხნელი არიო.⁵

თოხნის დროს სოფლად ვერ ნახავ
ვერც ერთ ლინლლიან ბიჭსაო;⁶
გოგოები კი დარდობენ —
ცხენებს უცვლიან რიკსაო!⁷

ჩივიან, როდის იქნება
მოვესწროთ მათთან ლხინსაო;
რომ გული ჩამოვაშოროთ
ამდენ დარდსა და ფიქრსაო!

ლმერთმანი, იმდენს ვიხტუნებ,
გავხეხავ ფლოსტის ძირსაო,
ონოფრეს სახლთან ჩავუვლი,
არ მოვიკიდებ ძილსაო!

ყური დაუგდეთ თოხნურში
გაბაშვილისა ბიჭსაო!

4. საწნახლური

(ქართლში ჩანერილი სხვადასხვა დროს)

„მართალია, ქართლში იმ ზომის ვენახ-ზვრები არ იცის, როგორც კახეთში, მაგრამ ჩვენში შიგადაშიგ მაინც შეხვდებოდა კაცი მოზრდილ ვენახებს — კარგად მოწყობილსა და მოვლილს“, — მიამბო სოფელ ტირძნისში მცხოვრებმა ვანო სამადალაშვილმა.

⁴ ზოგჯერ — „ჩემთან ბაყაყი არიო“.

⁵ კარგად მთოხნელი.

⁶ ახლად ულვაშაყრილს.

⁷ ცხენს ერთ-ერთ ნინა ფეხზე სამკუთხედი ხის პატარა ნაჭერს შეაბამენ, რათა შორს არ წავიდეს და ადვილი დასაჭერი იყვეს. აქ: მათი გოგოები არაფერს აკეთებენ, ამ მნიშვნელობით არის ნათქვამი.

„ერთხელ შემოდგომას სოფელ ატენში მომიხდა წასვლა საქმეებზე, — განაგრძო ვანოძ. — სწორედ რთვლობა იყო გახურებული. იქ, ატენში, მოსულიყო ახალქალაქიდან ერთი გლეხი ოქროსიაშვილი. გაცნობისთანავე დავყონალდით. ის სიმღერის მოყვარული გამოდგა. სადაც სიმღერას ყურს მოჰკრავდა, არ მოშორდებოდა... მანამ საწნახელამდე მივიღოდით, ხან აქეთ გვენეოდნენ, ხან — იქით: „მობრძანდით, დაგვლოცეთო“.

„იმდენი ურემი იდგა, რომ ტყე ეგონებოდა კაცს. საწნახელში შვიდი თუ რვა სხვადასხვა იერის დამწურავი იდგა მხრებზე ხელებგადახვეული, თან მღეროდნენ, თანაც სწურავდნენ. საწნახელის ბოლოს ბარძაყისსიმსხო ტკბილი გადმოჩეულდა. ტკბილი ჩადიოდა ასკოკიან ქვევრში. ამ დროს საწნახელიდან მოგვესმა ერთ-ერთი დამწურავის ხმა:

I

ღმერთო, ღმერთო, დიდებულო,
გამჩენო ყურძენისაო;
ზედ ხუნძლავ ძვირფას მარგალიტს,
თითო ძირი აქვს ხისაო.

ჭკვიანი კაცი არ დალევს
მისგან გამოხდილ ტკბილსაო,
თუ დალევს, ფეხებს გაჭიმავს,
ვერ გავა ბეწვის ხიდსაო.

როცა ბუტბუტსა დაიწყებს,
თუმცა არ მოგჭრის კბილსაო,
მაინც ბევრის სმას ერიდე,
თორემ გაგიბრთხობს ძილსაო.

როდესაც დავაუკაცდება,
დაემსგავსება დინჯსაო,
ზომაზე შეეჯიბრევი,
თორემ აგირევს ტვინსაო!

წყანწყარასავით გახტუნებს,
მთლად დაგამსგავსებს გიუსაო,
ხან აქეთ გტყორცნის, ხან იქით,
წუმპეში ამოგსვრისაო.

II

ღმერთო, ქვეყნისა გამჩენო,
გამჩენო ვენახისაო;
იყავი ჩვენი მზრუნველი,
ამ ჩვენი კოხტა ზვრისაო!

ბუდეშურს ხელი შეუწყე,
წვენი აქვს ბადაგისაო;
საფერავს გემო მიეცი,
გემოი ზედაშისაო.

თუ მზე დასჭირდეს, უცხუნე,
სარგოა ყველაფრისაო;
წვიმის დროს წვიმა მიეცი
წინასწარმეტყველისაო.⁸

რო დაპურდება, დაშაქრე,
ცვარი არ შეჲყვეს წყლისაო.
დაბრანე ჩამიჩივითა,
მძლე იყვეს მრავალ წლისაო!

კარგს ტკბილს ჩავასხამთ, მაგრამა
ამოვრწყავთ ძალზე მდარესა;
სირცხვილით თავს ვერ გამოვყოფთ
გორს აქეთ, ჩვენსა მხარესა!

⁸ ხალხის აზრით, წვიმის მოყვანა შეეძლო მხოლოდ ილია წინასწარმეტყველს, ისევე როგორც სეტყვა და ჭექა-ქუხილისა.

აბა, ბიჭებო, მარჯვედა
ხელი ჩასჭიდეთ სარცხსაო;
უთაქეთ ყველა კუთხესა,
თორემ ვიგემებთ მარცხსაო!

მოუსვათ, ბიჭო, სარცხსაო,
არ დავამსგავსოთ ფარცხსაო,⁹
გარანდეთ ქვევრი კრიალით,
თორემ ვიგემებთ მარცხსაო!

ვანო სამადალაშვილის გადმოცემით, ასე მღეროდნენ „საწნახლურს“ მეჯვრისხეველები.
საწნახელში ფიცრები იატაკივით იყო დაგებული, ცოტათი დაქანებული, რომ ტკბილი არ
შეგუბებულიყო და თავისუფლად გადასულიყო ქვევრში მილის საშუალებით. დაწურვის წინ ერთი
ჩამოილოცებოდა, შემდეგ შემოსძახებდნენ სიმღერას:

ღმერთო მაღალო, ცაში ხარ
ქვეყნისა გამჩენელიო,
რაც რომ მიწაზე ამოდის,
იმისი სულჩამდგმელიო.

ხან თუ ილიას ბრახუნი¹³
მოგესმის, სტაცე ხელიო,¹⁴
თორემ თუ მოხვდა სეტყვაი,
გადარჩენაა ძნელიო!

გლეხკაცი მარტო რას იზამს,
თუ არ შეუწყე ხელია,
დღე-ღამე გაათანაბროს
ეს მისთვის ისეც ძნელია!

თუ მოგვცემ კარგსა მოსავალს,
თავი იყვესო შენიო;
გაქოთ, გადიდოთ მარადა,
ეს იყვეს ვალი ჩვენიო!

დაგვიმწიფევი ყურძენი,
ზედაშე არის შენიო,
ძე-ხორცი¹⁰ უსასმლოდ¹¹ დარჩეს
რა არის მოსალხენიო!

შობას თუ ახალ წელიწადს,
აღდგომასა თუ სხვა დროსა,
ვახსენოთ შენი სახელი,
თუმც ჩვენგან ბრძანდები შორსა!

თუ მზე სჭირდება, მიეცი,
თუ წვიმა დასანამიო,
შენთვის, როგორცა ღმერთისთვის
არ არის დასანანიო?!¹²

ბიჭებო, მაგრად გაუსვით,
მარცვალი არ გადარჩესო,
მტევანი ისე დაფშვნიტეთ,
საქაჯისთვის¹⁵ არ დარჩესო!

ეს „საწნახლური“ სოფელ მუხრანში გავიგონე.

⁹ ე.ი. ყველგან ერთნაირად მოვუსვათ და არა აქა-იქ, როგორც ფარცხმა იცისო.

¹⁰ ძე-ხორციელი — ადამიანი.

¹¹ უღვინოდ.

¹² თავის დროზე წვიმასაც ნუ დაიშურებო.

¹³ ჭექა-ქუხილი.

¹⁴ შეაჩერეო.

¹⁵ საქაჯავს ეძახიან ერთგვარ დასაწურავს, რომელშიაც ატარებენ საწნახლის შემდეგ დაჭყლეტილ ყურძენს დარჩენილი წვენის გამოსაწურავად.

5. ქვევრის რეცხვისა

I

მოუსვი ბიჭო სარცხსაო,
არა ჰეგავს ხნულზე ფარცხსაო;
კარგ ტკბილს ჩაასხამ, მაგრამა
ბოლოს მივიღებთ მარცხსაო!

ღვინო დაჲკარგავს ძალასა,
დაემსგავსება წყალსაო;
თანაც ზემოდან მოიგდებს
ჭანგისებურსა ხავსასაო!

ის რაღა დასალევია,
სტომაქში მოგდებს ჭვალსაო,
მუხლებში სულ მთლად მოგფუშავს
და გამოგილევს ძალსაო.

მოუსვი მაგრა სარცხსაო,
გაქლესე სულმთლად ქვევრიო,
შენ მტლესავითა დაგედოს,
მნახველი გყავდეს ბევრიო.

II

მართალია, ქვევრი არის
შემნახველი ღვინისაო;
მაგრამ კარგი რეცხვა უნდა,
არ გახდე მის ჯინისაო!¹⁶

მხოლოდ ბლის სარცხი გაუძლებს,
თუმც ილევა თანდათანო;
ბავშვისავით ჭყუმპალაობს,
როცა უსვამ განდა-განო.

წყალში ჩაჲკურავ, ამოიღებ,
ისევ ამოავლებ წყალში;
გალაჯული თუ უდგეხარ,
იმ დღეს ვერ ივარგებ სახლში.

დიდ ქვევრს კიბე მოუხდება,¹⁷
არის კარგი საჯდომიო,
ქვევრის კედელს მიეყუდო
არის გლახა სადგომიო!

ქვევრი ღორმუცელა არის,
რეცხვა მას არ მოსჭარბდება,
რაც მეტს რეცხავ, რაც მეტს ხეხავ,
ღვინო უფრო კარგი დგება.

კარგი ღვინო შენ გაამებს,
ღმერთსაც ესიამოვნება;
მაშ მოუსვათ სარცხი მაგრა,
სხვანაირად არ იქნება.

ქვევრების რეცხვის დროს სიმღერა არ იციან. „რეცხვის დროს ისედაც სული ეხუთება კაცსა, რაკი თავჩალუნული არისო, სიმღერას როგორ შესძლებს ადამიანი, არც იქნება და არც გაგვიგონიაო“, — მეუბნებოდნენ ლექსების მთქმელები. ამ დროს უფრო ლექსებისა და სხვადსხვა ამბის მოყოლა იციან.

ხშირი იყო ამ დროს როგორც ბატონის გამკილავი ლექსების, ისევე სახუმარო ლექსების თქმა.

¹⁶ სანამ კარგად არ გარეცხო, თავი არ დაანებოო.

¹⁷ კიბეს ჩააყუდებენ ხოლმე დიდ ქვევრში, რათა უფრო მოხერხებულად იმუშაონ.

6. მხიარული გაზაფხული

|

„გამიგია, რომ დღევანდელი „ჭონა“¹⁸ მიმდევნოა „მხიარული გაზაფხულისა“, ე.ი. რასაც დღეს „ჭონას“ ეძახიან, უნინ ამ დროისთვის შერჩეულ სიმღერას „მხიარული გაზაფხული“ ეწოდებოდა თურმე. მას იმ დროს „ჭონას“ მნიშვნელობა ჰქონია. მომღერლები დაიარებოდნენ სოფლიდან სოფლად ისე, როგორც შემდეგ „ჭონაზე“ და ჰკრეფდნენ და აგროვებდნენ არა კვერცხებს, არამედ იმას, რაც ოჯახში გასათხოვარი ქალის ხელიდან გამოვიდოდა — რაიმე ნობათს, უბრალოც რომ ყოფილიყო.

ძველად კვერცხების აღება არა ყოფილა წესი. სიმღერამდის ჩამოლოცვა კი ისე ყოფილა, როგორც „ჭონას“ თქმის წინ. „მხიარული გაზაფხულის“ ლექსი თუ არ დამავიწყდა, — ამბობს მოხუცი დიმიტრი ჯაფარიძე, — ასეთი იყო:

არ დაგავიწყდეს, ვაუკაცო,
სატრფო შენი გულისა;
და შენც, ოცნების წარმტაცი
დამატკბობელი სულისა.

ქალო, ხომ გესმის სიმღერა,
სიმღერა გაზაფხულისა;
გამოიტანე ნობათი,
არ იყვეს მსგავსი წუნისა!

მოჭამე წუთისოფელი,
ხშირად მომცემი წყლულისა,
აგცდეს ყოველი ტანჯვაი,
დღე განვლე სიხარულისა!

რაც მოუმზადე სასიძოს,
იყვეს ვარდისა სუნისა;
წლისთავზე ვაუი მოგეცეს,
გამძლეი საუკუნისა!“¹⁹

||

„მხიარული გაზაფხულის“ სიმღერა გაზაფხულის მოსვლას ნიშნავდა, — მიამპო მოხუცმა კობიაშვილმა. — სოფლის ხალხისათვის კარგ გაზაფხულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.“

ადამიანის ცხოვრებაში ახალგაზრდობის ხანა სანატრელი და ლამაზია თავისი შინაარსით. ადამიანი სრულიად იცვლება, ხალისიანად იწყებს მუშაობას, საქმეს გულმოდგინეთ ეკიდება, ყველაფერში მუყაითობს. ცდილობს ზამთრისათვის საკმაო მოსავალი — სარჩო მოიყვანოს, რათა შემოდგომაზე დაბინავდეს და თავის გულის ტოლთან შეხმატკბილებით შეუდგეს ოჯახის მოწყობას.

¹⁸ „ჭონა“ — საწესო სიმღერა, რომელიც სრულდებოდა გაზაფხულზე, აღდგომის დღესასწაულის წინა კვირას.

¹⁹ დიდი ხნის სიცოცხლე ჰქონდესო.

ამ დროს ახალგაზრდა გასათხოვარი ქალიც ამზადებს თავის მომავალ ამხანაგისათვის რამერუმეს, ქსოვილი იქნება ეს თუ სხვა სახის საჩუქარი.

ეს საჩუქარი წილად ხვდება იმ ჯგუფს, რომელიც ყველაზე ადრე მიულოცავს მომავალ საპატარძლოს.

მეორედ და მესამედ მისულიც არ წავა ხელცარიელი, მაგრამ თავანკარს ვეღარ მიიღებს, ის უკვე პირველად მისულმა ჯგუფმა იგდო ხელში. მომღერალთა მისვლა და მიმღერება ერთგვარი ნიშანი იყო იმისა, რომ ქალწული მზად ყოფილიყო მომავალ ბედნიერებისათვის; ჩამოლოცვა ბევრნაირი სახისა იყო, მაგრამ მეტწილად ასეთს მიმართავდნენ:

„ღმერთო, ააშენე ეს ოჯახი, მიეც მშვიდობა და დღეგრძელობა. მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა გაუთენე ამ ოჯახსა“. თანაც დააყოლებდა:

გაზაფხული კეკლუცია
ისე, როგორც დილის ვარდი,
თუ რომ სასძლო მოღუშულა,
გულში უდევს რაღაც დარდი,
ამ დღიდანა იგი ფიქრობს.

საქმრო შეხვდეს მისი ფარდი,
კარგს გაუხსნის გატკეცილ შუბლს,
გადეყრება იმ წამს დარდი
და, თუ ვინმე დაიწუნა,
ეტყვის: ხევში გადავარდი.²⁰

მეორე განაგრძობდა:

ეო, მეო,
შენი ჭირიმეო!
„მხიარული გაზაფხული“
მომილოცავს მეო!

შენი საქმრო ჩვენთან არის
ტანად ალვის ხეო,
მხარ-ბეჭი ტარიელს უგავს,
თან ლარივით ზნეო!²¹

მაგრამ მორცხობს ძალიანა,
საქმეშია მხეო;
ცივ ჰაერს არ მოგაკარებს,
ღმერთსა ვფიცავ მეო!

გასათხოვარ ქალიშვილს გულში სიხარულის ნაპერწკალი მოედება, თუმცა იცის, რომ ყველას, ვისთანაც კი მივლენ მისალოცად, მისამღერად, ასეთივე სიტყვებით მიულექსავენ. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ნასიამოვნებია და ცდილობს რამე კარგი გამოუტანოს მომღერლებს. თუ რომელიმე ოჯახში შეხვდებათ გაუთხოვარი მორცხვი, ამისთვისაც აქვთ გამზადებული ლექსი:

²⁰ თავი დამანებეო.

²¹ კარგი ზნისააო.

ქალო რას გაჩუმებულხარ,
თითქოს პირს გედგას წყალიო,
ამ ლექსსა პასუხი უნდა,
ეს არის შენი ვალიო.

სიჩუმე მაშინც გეყოფა,
გვერდს რომ გიჯდება ქმარიო;
გამოგვიტანე ნობათი,
გააღე სახლის კარიო!

მომღერლები აქედან სხვა ოჯახში გადავლენ, იქიდან კიდევ სხვასთან მივლენ, და ასე ივლიან მანამ, სანამ მთელ სოფელს არ შემოუვლიან. ასე ყოფილა ძველად. შემდეგ ჩამოლოცვამ ცოტა ფერი იცვალა. ხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სიტყვებს უმატებენ.

რაკი „ჭონამ“ შეცვალა „მხიარული გაზაფხული“ და ფეხი მოიკიდა, მას აქეთ გავრცელდა კიდეც, ეს „ჭონაც“ ერთ-ერთი ძველთაგანი სიმღერაა, თუმცა მას წინ უსწრებდა „მხიარული გაზაფხული“, რომლის კილო, სამწუხაროდ, ახლა დაკარგულია.

7. ზე-მყრელო (საფერხულო)

„ზე-მყრელო,“ სხვა საფერხულოსთან შედარებით, ნაკლებ მონაწილეთ თხოულობს, რადგან იგი ორსართულიანია.

ძირს მყოფთ, ხელიხელთ გადახვეულთ დიდი ღონე ესაჭიროებათ და მუხლების გამძლეობა, რათა ზემდგომნი შეიმაგრონ და თანაც იმოძრაონ, სანამ სიმღერა არ დამთავრდება. წამყვანი (ქვემდგომთაგანი) დაიწყებს ერთგვარი შესავლით. მას მიჰყვება მთლიანად ძირს მდგომი ჯგუფი. ძირს მყოფნი რომ მორჩებიან, მათ მხრებზე მდგომნი, ანუ „ზე-მყრელნი“, ჩამოართმევენ კილოს — იმეორებენ ძირს მყოფთა ნამღერს. ბოლოს, როცა დაბლა მდგომთ მოესურვებათ, ანიშნებენ ზემდგომთ მოძრაობის შენელებით და შეერთებული ძალით ამთავრებენ კიდეც ფერხულს.

„ზე-მყრელოს“ ქართლის ყველა სოფელში ერთნაირად არ ასრულებენ. „ზე-მყრელოს“ ტექსტიც სხვაობს.

აი, ერთ-ერთი ლექსი:

ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
ძირსა (და) ჩამოსაყრელო,
თუ ჩამოხვალ (და) ჩამოდი,
თუ არა — ძალით ჩამოგყრით.
ვარალე ბიჭო, ვარალე,
ვარის ვარალი, ვარალე!

ზემოდან ჩამოსახებენ:

ქვე-მყრელო, ქვე-მყრელო,
ზევით (და) ამოსაყრელო,
თუ ამოხვალ და ამოდი,
თუ არა წრიდან გამოდი.
ვარალე, ბიჭო...

ზემოდან ჩამოსძახებენ:

ქვე-მყრელო, ქვე-მყრელო,
ზევით (და) ამოსაყრელო,
თუ ამოხვალ და ამოდი,
თუ არა წრიდან გამოდი.
ვარალე, ბიჭო...

ზევიდან ჩამოუკვლებენ:

მკათათვეს პურის ხვავზედა
თოვლის ზღმურდლები ეყარა,
მაგრამ მზის სხივებს ცხოველსა
ნუთიერ გადაეყარა!
ვარალე, ბიჭო...

ისევ ქვევიდან შეუმღერებენ:

ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
არ მოგვაყენო ზიანი.
არ მოგვცე ქერი და პური —
ორივე ნაკმაზიანი!²²
ვარალე, ბიჭო...

როცა სურთ გათავება, დამწყები იტყვის:

გვეყოფა ლხინი-ფერხული
„ზე-მყრელო“ შემოკლებული;
ეხლა კი მუხლს ქარი მივცეთ,²³
უკვეა შეშუპებული.
ვარალე, ბიჭო...

„ზე-მყრელოს“ ამ ვარიანტის შესახებ შემდეგი მიამბეს: ერთ დროს ზაფხულში, გახურებულ კალოობას, მოსულა თოვლი. ქართლის სოფლები, ფცა და ტკოცა, თეთრად იყო თურმე გადაპენტილი თოვლისაგან. ხალხი შიშის ზარს აუტანია, ეკლესიაში ზარის რეკვა აუტეხნიათ. ტირილი მთელ სოფელს მოედო. შიშმა შეიპყრო მთელი გლეხობა. ამ დროს თოვლი თანდათან დნებოდა. სამხრობაზე უფრო ადრე, გახურებული ლენვა გაუჩაღებიათ, საღამოზე შეუდგნენ განიავებასაცაო. ამ მოვლენის შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ ხალხი რამდენიმე თვე თავის ჭკუაზე არ იყოო. ეს გადმოცემა დეიდისაგან გაუგონია ცხინვალელ დიმიტრი ჯაფარიძეს (იხ. შენიშვნა 6).

დიმიტრის ჰყავდა ამხანაგად ერთი მდევისებური, არაჩვეულებრივი ზორბა ჭანის მოხუცებული მედუქნე, ძალზე ბევრის მსმელ-მჭამელი, რის გამოც მას მეტსახელად „ბელტიყლაპიას“ ეძახდნენ. ეს ბელტიყლაპია თარზე კარგი დამკვრელი ყოფილა ერთ დროს. თარი თავის სასადილო დახლში ეკიდა და, თუ ვინმე საპატივცემლო მუშტარი მოვიდოდა მასთან დროს გასატარებლად, მიხეილი (ბელტიყლაპიას ნამდვილი სახელი იყო), მხოლოდ მაშინ ჩამოიდებდა თავის თარსა და ჩახლეჩილი ხმით ცოტა ხნობით დაუკრავდა-დამღერდა. მიუხედავად ხმის უქონლობისა, იმასთან მაინც ბევრი ხალხი იყრიდა თავს. მიმზიდველი სიტყვა-პასუხი ხელს უწყობდა ამ ორ მდევს. „ბელტიყლაპიაც“, როგორც მისი უფროსი ამხანაგი დიმიტრი ჯაფარიძე, ძველი ამბების ბოხჩა იყო. დიმიტრიმ რომ დაასრულა ამბავი, ჩვენ შევეკითხეთ ამ მოხუცს — მიხეილს, თუ იცის ან თუ გაუგონია რამე „ზე-მყრელოს“ შესახებ. მან გრძელი წვერი გაისწორა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და ცოტა დაფიქრების შემდეგ დაიწყო: „ზე-მყრელოს“ ზოგჯერ ამასაც უმატებდნენ:

²² დაბალი ხარისხის.

²³ შევისვენოთ, მოვრჩეთო.

ზე-მყრელო, ზე-მყრელო,
კედელი გაკრავს საფრისა;
რად გინდა ფარი და ხმალი,
იმედი ჩანასაფრისა!...
ვარალე, ბიჭო...

„ზე-მყრელოში“ ზოგჯერ ჩაურთავდნენ „საპროტესტოს“ (მისი სიტყვებია), საიდანაც ჩანს უნინდელი გლეხკაცის გაჭირვება, შევიწროება ბატონის მიერ, უსამართლობა, მონობა. — „ზე მყრელოში“, — განავრძობს მთქმელი, — გლეხი სიმღერის დროს ჩაურთავდა სხვადასხვა აზრის ლექსს. თუ გლეხის ახლომახლო არავინ გამოჩენდება ბატონის ერთგული, „ბატონის ძალი“, მაშინ გლეხი გულის მოსაფხანად ასეთ ლექსს ჩაურთავდა „ზე-მყრელოს“ ფერხულში:

გინდაც მოვიდეს თავთუხი, ²⁴
შვინდმარცვალა და ფხიანი,
გინდაც დაგვიდგეს დღეები
კალოსთვის ნათელ-მზიანი,

თავანკარი ²⁵ სხვას ერგება,
ჩვენ დაგვრჩეს ნაკმაზიანი, ²⁶
იმათ მიირვან შავ ფხაი, ²⁷
გლეხმა კი ნაგავ-ბზიანი.
ვარალე, ბიჭო...

8. სამაია

„სამაიას“ სამ მაიას
უმღერებენ გულითაო;
სან ხელებს აარტახებენ,
ფეხს ხმარობენ ლულვითაო!

„სამაიას“ ვინ არ იტყვის,
ეს ეშხისა წამალია;
ყველა ქალწულის გულ-მკერდში
მოპარული, ნამალია!

სიმღერას და ტანის რხევას
მთლად გალობას ²⁸ ადარებენ,
სამმაიას და თავანთ გულს,
ბატონის გულს ახარებენ!

გაჰკარ ფეხი, გასრიალდი,
ისე კოხტად, ისე ნაზად,
რომ მნახველი და გამგონი
გადგეშალოს ფიანდაზად!

²⁴ კარგი ჯიშის ხორბალი.

²⁵ საუკეთესო.

²⁶ გაცხრილვის შემდეგ დარჩენილი ნაყარი, ნაგვიანი ხორბალი.

²⁷ ხორბლის კარგი ჯიში.

²⁸ გაბმით, საეკლესიო გალობის მსგავსად.



ჩვენ სამ დასა მაისა,
ეგებ გაეხსნათ ბედია;
სამი სასიძო მოვიდეს,
სიტყვა თქვან გასაგებია.²⁹

თვალი გქონდეს მიბნედილი,
როგორც ჩიტსა ნიბლიასა;
ზოგსა შევერცხლილი მოსწონს,
ზოგი გაჰყვეს ღინდლიანსა!

თან დავმდეროთ ნაზზე ნაზად,
„სამაის“ ტკბილი ჰანგი,
რომ ჩვენს ჰანგს ვერ შეედაროს
ვერც ჩონგურის და ვერც ჩანგის!

სამაის ვინ არ იტყვის,
ეს ხომ ქალის ლხინი არის;
ყველა ვაჟკაცს გულში მოხვდეს,
ვით შუბი და ვით ისარი!

9. ბუქნა, ჭოტო

ეს სიმღერა თავისი სიტყვებითა და შეხამებული ცეკვით დიდ მხიარულებას იწვევს გლეხობაში. საცეკვაოდ შეგროვდება დიდი თუ პატარა, გაიმართება წრე. ერთი რომ შემოსძახებს: „ჰაი, ჰუი, ბუქნა, ჭოტო“, რამდენიმე ბანს მიაყოლებს, ზოგი კი იმეორებს დამწყების სიტყვებს. უცბად წრეში შეიჭრება ჯერ კაცი, შემდეგ — ქალი. ვინც ლექსის აზრს სავსებით შეუხამებს ტანის მიხრა-მოხრას, ის გამარჯვებულია და სახელიც გაუვარდება სოფელში. მას პატივით ეპყრობიან და იტყვიან: ე, ბიჭო, რა კარგად დაამსგავსა ჭოტსაო. სიმღერის ტექსტი ასეთია:

ჰაი, ჰუი, ბუქნა, ჭოტო!
ითამაშე, ბუქნა, ჭოტო!
დაუარე ბუქნა, ჭოტო! — (აქედან ტაში იწყება)
ბუქნა, ბუქნა, ბუქნა, ჭოტო!

ჰატარძალი მორცხვი არის,
თვალები აქვს გიშრისაო,
ტანის რხევა, მოქნილობა —
ძირეული იფნისაო!
ბუქნა, ბუქნა, ბუქნა, ჭოტო!

სანამ ცეკვა არ დასრულდება, სიმღერას თავიდან იმეორებენ. ცეკვა და სიმღერა ერთდროულად თავდება.

10. მზისა და მთვარის ჩხუბი (საცეკვაო-საფანდურო)

ამ სიმღერას ასრულებენ ქართლში, ახალი მთვარის გამოჩენისას, ანუ, როგორც ქართლში ამბობენ, მთვარის დაბადების დროს. ხალხის რწმენით, ამინდის ავკარგიანობა მთვარეზეა დამოკიდებული: რომელ მხარეს გამოჩნდება ნამგალა მთვარე, საით აქვს მოქცეული რქები, საით კუზი, ახალ მთვარეს შარავანდი აქვს თანდაყოლილი თუ არა; განსაკუთრებულ ყურადღებას

²⁹ ეგება მოვენონოთ და გაგვიბედონ სიყვარულის გამომულავნებაო.

აქცევენ მის თანამგზავრ ვარსკვლავს, რომელიც მთვარის გამოჩენასთან ერთად, ხან გვირგვინით ზევიდან აქვს მოქცეული, ხან კი რომელიმე მხრიდან.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი სულიერი განცდა გამოიწვია ახალმა მთვარემ, გლეხეცმა ლექსი გამოუთქვა ამ მნათობს. ეს ლექსი შეფარდებულ კილოზეა ჩამოქნილი, მას ფანდურზე დამლეროდნენ, ხან კი თამაშობისათვის — ცეკვისათვის ხმარობდნენ. მზე გამოჰყავთ ქალად, მთვარე კი ვაჟია, იგი მზის ძმაა, ღამით მოსიარულე, გულადი.

მზე ეუბნება მთვარეს:

რამდენი ხანია გითვლი,
რას დახეტიალობ ღამე.
თუ შენ კაი სულისა ხარ,
თვალი რათ დაახამხამე?!

მოიკრიფევი ეგ ჭკუა,
ნულარა ხარ ეგრე ანცი;
კუზი გამოისწორევი —
შეიბრალე გლეხი კაცი!

თორემ გასაქანს არ მოგცემ,
მოგცემ წამალს მათრობელას;
ჩემი სხივების სიცხოვლით,
გლეხკაცს არ მოვაკლებ შველას!

მთვარე უპასუხებს:

მიკვირს შენი გაბრაზება,
რად არა ხარ ჩემთან ტკბილად;
ისეთი რა დაგიშავე,
რომ გაგიხდი გასაკილად?!

მე ჩემი დრო-უამი ვიცი,
ვიცი, თუ რა გავაკეთო;
ზოგს თუ გზასა გავუნათებ,
ზოგის უნდა ვაბნელეთო!

შენ ხომ მაინც არ გაგივა
ჩემთან ჩხუბი და ქიშპობა,
გირჩევ, კვლავ არ ამინენო
ჩვენი ამდენი ხნის ძმობა!

თუ ახალ მთვარეს კარგი ამინდი მოჰყვება, ხალხში იტყვიან:

მეორე დღეს ამოვიდა,
ამოცურდა ცაზე მთვარე;
შევხედე და შემომხედა —
სულით-გულით გავიხარე!

ცუდი ამინდობის მომასწავებელ მთვარეს უმლერიან:

მეორე დღეს ამოშუქდა³⁰
ის უუმური ყეყე³¹ მთვარე;
შევხედე და შემომჭყიტა,
სევდით გული დავიღარე.

³⁰ გაჯავრებული, პირქუში ამოვიდა.

³¹ დოყლაპია.

11. ჩაკრულო

ქორწილია და ქორწილი,
მტერსაც ნუ გაუხარია,
შემოვძახოთ და ჩავკოჭოთ,
ჯამს პირქვე დაუხარია!

თორემ უღვინოთ სიმღერა
ყოველი, ძალზე მწარეა,
კახური გინდ სვა თუნგითა,
უხმოდ³² მახოხზე მდარეა.³³

„მაყრული“, იგივ „ჩაკრულო“, —
ორივე თანასწორია,
გაღმა-გამოღმა ცხოვრობენ,
გზა არც თუ ისე შორია.

ხმა აუწიე, აუკარ,
თან ჯამი დააყოლეო,
მხარი მხარს ამოუყენე,
ერთმანეთს დაატოლეო!

არ მოადუნო, ჩაჰეკუჭე,
ჩააკარ, ჩააარტახე;
ხმა აუკიდე ისე, რომ
არ იყვეს დუნე, არც მკვახე!

ეგებ წლისთავზე ამ ოჯახს
ხუნდმა³⁴ დაუწყოს ღუღუნი;
დიდედა აკვანს არნევდეს,
პაპა კი ზღაპარს დუდუნით
შვილიშვილს უჩურჩულებდეს
ღიმილით, არა წუნუნით!

ქართლს „ჩაკრულო“ არ უხდება,
„მაყრული“ მისი წესია;
მოხუცი იმას მოიმკის,
რაც სიყრმით დაუთესია.

ეს მამა-პაპით ნათქვამი³⁵
სიმღერა ორივესია;
ამაზე შეცილებაო
მახვილზე უარესია!

— „ჩვენ გახლავართ სოფელ საბუედან, — ამბობს ძალზე მოხუცი ისაკა ძიმისტარელი. — ჩვენი გვარის კაცი თუ ქალი სიმღერის მოყვარული იყო. მე, სიმღერის გარდა, ვჭიდაობდი კიდეც. ნადირობისათვის ხომ სული მიმდიოდა. ხეტიალიც მიყვარდა. მოვლილი მაქვს მთელი ქართლი. ბაკურიანსა და ბორჯომში ბევრჯერ ვყოფილვარ. პირველ მილიცის ჯარში ჩავენერე ჯერ კიდევ პირლინდლიანი ბიჭი. შემდეგ ქართლში, სოფელ ზერტში ბიჭად ვემსახურებოდი მებატონე ქარსიძის ოჯახს. დედაჩემი გაუცვნია მამაჩემს ლეკებთან ტყვეობაში. ერთმანეთი შეჰყვარებიათ. ბოლოს ერთი მეგობარი ლეკის დახმარებით მამაჩემს მოუხერხებია დედასთან ერთად გამოპარვა. სოფელში რომ მოუყვანია, მთელი გლეხობა გადარეულა დედაჩემის სილამაზით. მაშინვე რჯული გამოუცვლია და სულ მალე ისე შეუსწავლია ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა, რომ მთელი

³² უსიმღეროდ.

³³ უვარგისი, ულაზათო არისო.

³⁴ მტრედის მართვე, აქ: აკვნის ბავშვი.

³⁵ წინაპართაგან გადმოცემული.

სოფლის გოგოების ოსტატიც კი გამხდარა. მეც დედაჩემისაგან ვიცი, რაც ვიცი. მაშინ ცხვრის ან ძროხის ბეჭზე ვწერდით. დედას საუცხოო ხმა ჰქონდა, როცა აკვანს მიუჯდებოდა, ისე ტკბილად დამღეროდა, რომ ხალხი, მეზობლები, გაოცებაში მოჰყავდა.

ჩვენი სიმღერები ძალზე მოსწონდა. მეც მის შემდეგ შემიყვარდა სიმღერები. მისი ზღაპრების თქმით ბავშვები ვერ ვძლებოდით. ეხლა, შვილო, აბა, რაღა ხმა შემრჩებოდა. ჰაი, დედას! ერთ დროს კარგ მომღერლად ვითვლებოდი... „მრავალუამიერი“ და „ჩაკრულო“ ორივე ძალზე მიყვარდა. მთელი დღე რომ მემღერა, არ ვიცოდი, თუ რა იყო დალლა. ეხლა ასს გადავაბიჯე. უერ ავადმყოფობა რა არის, არ ვიცი.

ჩვენმა ოჯახმა ბევრი სიმღერა იცოდა. ყველაზე ძალიან „ჩაკრულო“ გვიყვარდა. ჯერ მამაჩემი დაიწყებდა. საწყალს მაღალი, კირკიტა ხმა ჰქონდა, მაგრამ მე უფრო გამძლე ვიყავი. ლადა (მამაჩემის სახელია) მიღებული კაცი იყო თავისი არაჩვეულებრივი ჯანღონითა და კარგი ხმით. როცა ურემზე ჩალას, თივას ან სხვა საპალნეს დავუდებდით, მამა გადმომძახებდა: კარგად ჩააკარი, შვილო, თოკითა, თორემ დადებული გიმტყუნებს და ხალხი დაგვცინებსო, ეს როგორი გლეხები არიან, ურემზე დადებული ეფუცკნებათ. როგორც „ჩაკრულოს“ უნდა ძლიერი და მჭექარე ხმა, ისე ურემზე დადებულს გათანგვა არ მოსჭარბდებაო.

გულმა არ გამიძლო და მოხუცს შევეკითხე: უკაცრავად, ბიძაჩემო, მაშ „ჩაკრულო“ ჩაკრულს, გალასტულს, ჩაბოჭილს, ჩაკოჭილს ნიშნავს-მეთქი? „ებე, ებე, ე რამდენი სიტყვა მითხარი, შვილო. ერთი ეს მიბრძანე, სადაური ბრძანდები, მგონი ქართლიდან უნდა იყვე, რადგან ეგ სიტყვები იქ, ქართლში, ხშირად მსმენია ჩემ იქ ყოფნის დროს“. მე თავი დავუქნიე. მოხუცმა გაილიმა. ჩვენს გარშემო ხალხმა თავი მოიყარა და გარინდებული ყურს უგდებდა ენატკპილ მოხუცს. მოხუცი ცოტა შეიშმუშნა, ხალხს თვალი გადაავლო და დაიწყო:

„მე საბუედან წამოველ,
წნორის წყალს შევდგი ფეხია;
ერთი ყმაწვილი შემომხვდა,
მის სიტყვა იყო მეხია.

მეც ჩემებურად ვუთხარი,
თუმცა ვარ ხნითა ბეხია;
მკითხა — ჩაკრულო რა რის,
ან სად აიდგა ფეხია?!

რაც კი მამიდან ვიცოდი,
გავჭიმე, როგორც ვერხვია;
რაც მითქვამს, არ მომიღრიცავს,
გვერდზე არ გადმიგრეხია.

„ჩაკრულო“ ჩაკრული არის,
წნელით ან მოკლე ღვედითა;
ან არტახებით, ან თასმით,
არ იბორძიკოს შვებითა.

ხმას გასაქანი მიეცი,
გაინავარდოს ნებვითა;
სადაც კი უნდა, ჩაჰვარი,
ლექსი არ უნდა სხვეპითა!“³⁶

³⁶ არ უნდა აჩქარება სიმღერასას

აქ მოხუცი შეჩერდა. ჩიბუხი გატენა, გააჩალა, ცოტაც შეისვენა. ზოგიერთ იქ მყოფს ეგონა, ალბათ, ლექსი დაავინყდა, იმიტომ შეჩერდაო. ერთ-ერთმა იქ მყოფმა ღიმილით გადმოსძახა: — ე, ბიძია! საფანელი შემოგაკლდა, რომ გაჩერდი? მოხუცმა ჩიბუხი ცერით დატკეპნა, მასაც გაეღიმა და განაგრძო:

„იმდენი საფანელი მაქვს,
გატენავს სამ-ოთხ ბელელსა;
ვერ აიკიდოს ვერც ერთი,
გინდ მისცე ზერტელ-ჭელელსა“.³⁷

ამ დროს გაისმა მატარებლის გასვლის ზარის ხმაც. ყველანი ფაცი-ფუცით წამოვხტით, მივაშურეთ მატარებელს. მოხუცთან მოვარდა ერთი დარბაისელი ქალი, წავლო ჩვენს მობაასის ბარგს ხელი და, თითქოს გაჯავრებულმა, წამს გაიტაცა როგორც ბარგი, ისე მოხუცი. — „დაიცა, დედაკაცო, ე მეხივით რომ მეცი, იმ ყმაწვილს გამოვემშვიდობო მაინც“. ქალმა მოხუცს ყური არ ათხოვა და მიაშურა მატარებელს. მოხუცმა მაინც მოიბრუნა ჩემსკენ პირი და სალამი მომცა — გამომემშვიდობა. მეც სიამოვნებით ვუპასუხე და მივაკითხე მატარებელში ჩემს ადგილს, ცოტა ხნის შემდეგ ერთმა ჭალარაშერეულმა კაცმა, რომელიც ჩვენს ლაპარაკს უსმენდა, ჩაალექსა:

ძიმისტარაანთ ისაკა
მომღერალ ლადას შვილია;
მთელ სოფლის დეკანოზია,³⁸
არ ეკიდება ძილია...³⁹

ტკბილად დაბერდა ისაკა,
მძივებათა აქვს კბილია,⁴²
ძველი ამბების ბელელი,⁴³
მოლაპარაკე ტკბილია.

ახალგაზრდობას ყოფილა
მონადირე და გზირია,⁴⁰
სიკვდილმა თვალი რომ მოჰკრა,
შიშისგან გადაირია.⁴¹

ასეთი არის ისაკა,
მომღერალ ლადას შვილია!

³⁷ ზერტელ-ჭელელი — ჭელელიძე, ძალ-ლონით განთქმული ვაჟკაცი.

³⁸ უფროსი.

³⁹ სიკვდილი ვერას გახდა მასთანაო.

⁴⁰ სიარულის, მოგზაურობის მოყვარული.

⁴¹ სიკვდილსაც კი შეეშინდა ამისიო.

⁴² ე.ი. არც ერთი კბილი არ აკლიაო.

⁴³ ამბების მცოდნე.

* * *

ბიეთიდან წამოვიღე⁴⁴
ერთი საძნე რცხილის შეშა,
მეჯრუხევს რომ მივატანე,
ღრანტემ თვალი გამიშეშა;

* * *

ნიალვარს დაეხრა გზები,
უბე⁴⁵ ძალზე ქანაობდა;
თვლები ლაფში იფლებოდა,
რუ კი ხრამში ჭენაობდა!

* * *

ყევარში⁴⁶ მოზვრები მება,
ურმის თავში ნიკორები,⁴⁷
რუმბისავით დატუკული,
ნანახი ჰქონდათ ეს გზები!

დავივაკე⁴⁸ როგორც იყო,
სამშვიდობოს გამოვედი;
შენი ჭირიმე, „ჩაკრულო“,
რომ პირნათლად გამოხვედი!

ერთგან უბე გადიღრიცა,
ვთქვი, გადაბრუნდა ეს იყო,
ჩასაკრავი გაწყვეტილა,
წელი ღერძი აღარ იყო!

როცა ტყეში ურმით წახვალ,
უბე წრეს რომ არ გადასცდეს,⁴⁹
ყველაფერი გაასწორე,
„ჩაკრულიც“ არ დაგავიწყდეს!

გავაჩერე, წელი მოვჭერ,
დავგრიხე და ჩავაკარი,
უბე ჩავკოჭევი, ღერძზე
ჩავაწანი, როგორც ძარი!

„ჩაკრულო“ ყველგან გაამებს,
ტყის გზაზე თუ ქორნილშია,
ყველგან ხიფათს გადარჩები,
ხმა გაიწრთვნას ჭიდილშია!⁵⁰

მაგარია, როგორც რკინა,⁵¹
რიხიანი, ეშხიანი;
ხმაც ისეთი უნდა გქონდეს,
გინდაც იყო ლაშიანი!⁵²

ჩვენი აზრით, აქ ნახსენებ „ჩაკრულოში“ ნაგულისხმევია ქართლ-კახური სიმღერა „ჩაკრულო“, თუ ზემოთ მოყვანილ სიტყვებსა და აზრს დაუკვირდებით, „ჩაკრულო“ ნიშნავს: მაგარს, საიმედოს, რიხიანს, ეშხიან სიმღერას, რომლის მღერა მოითხოვს მაღალი და რიხიანი ხმის მქონდე მომღერალს. სინამდვილეშიც „ჩაკრულო“ ასე იმღერება.

⁴⁴ სოფელი, ოსები მოსახლეობენ. მეჯვრისხევის თავზეა.

⁴⁵ ურმის ნანილი.

⁴⁶ ყევარი, ე.ი. ოთხი ცალი: ურმის თავში უფრო ჭანიან საქონელს, მეტნილად კამეჩებს, აბამენ, მის წინ კი ხარებს ან მოზვრებს.

⁴⁷ ე.ი. კამეჩები.

⁴⁸ ვაკეზე რომ ჩამოვედიო.

⁴⁹ არ გადაიხაროსო.

⁵⁰ სიმღერის ვარჯიში.

⁵¹ იგულისხმება სიმღერა „ჩაკრულო“, რომელიც მას გაუგია, ალბათ.

⁵² უშნო, ულაზათო.

12. ისემც რა ვუთხრა ჭკუასა... ანუ მოკლე მაყრული

აზნაურ ბასილაშვილების გვარი ქართლის ორ სოფელში ცხოვრობდა, ერთი სოფელ კარბში, მეორე — სოფელ ნადარბაზევში. ნადარბაზეველ ბასილაშვილების გვარი რამდენიმე კომლით განისაზღვრებოდა. სახნავ-სათესი საკმაო, მაგრამ უნიათო, გამოფიტული გოხა, ეწერი ჰქონდათ. კარბელი ბასილაშვილების მიწები კი, თუმცა მოგვარის მიწებთან შედარებით ნაკლები იყო, მაგრამ ნოყიერი, მოსავლის საკმაოდ მომცემი იყო. ერთხელ კარბელმა ბასილაშვილმა ინახულა თავისი მოგვარე ნადარბაზევში. თან წაიყვანა რამდენიმე ცხენოსანი. მათში ერთა მისი ენაწყლიანი და კარგი მომლერალი მოურავი — მეტსახელად ყვანყვალა. ეს მეორე სახელი იმიტომ დაარქეს, რომ ცხენზე სასაცილოდ იჯდა, სულ ყვანყვალებდა. მასპინძელმა მოგვარის პატივსაცემად მოიწვია ახლო-მახლო თავადაზნაურობა და კარგი სუფრაც გაუშალა. ქეიფის დროს მასპინძელმა უშველებელ ყანწს — „ჯიხვს“ — ხელი მოსჭიდა, ჯერ თვითონ მიირთვა, შემდეგ შეავსო ღვინით და გაუწოდა მოგვარეს, თან ტრაბახით დააყოლა: — ჩემო სახლიყაცო! ჩემი მამული შენს მამულზე ძალზე მეტია და მოსავალსაც კარგს იძლევაო! სტუმარ მოგვარეს ჯიხვის ჩამოსართმევად გაშვერილი ხელი თითქმის გაუშეშდა. იგი გააოცა მასპინძლის სიცრუემ და უალაგო ტრაბახმა, მაგრამ პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ ყვანყვალას გადახედა. ყვანყვალა არანაკლებ გააკვირვა მასპინძლის მტკნარმა სიცრუემ და საქციელმა. გაბოროტებულმა და ნაწყენმა ყვანყვალამ, რომ ვერა გააწყო რა, შემოსძახა ჯერ არგაგონილი კილოს სიმღერა, რომელსაც თან მიაყოლა სიტყვა-ლექსი. „ისემც რა ვუთხრა ჭკუასა, მანონი ჯობდეს წუასა“. დანარჩენებმა ხმები შეუხამეს და რამდენიმე ხნის შემდეგ კი შეინავარდა ახალი სახის სიმღერამ, მანამდის არსად გაგონილმა და თქმულმა. ამ ახლადგამოჩარხულ სიმღერას მოკლე მაყრული უწოდეს.

გათავდა წვეულება, სტუმრები გამოეთხოვენ ტრაბახა მასპინძელს და გაუდგნენ თავიანთ გზას. მასპინძლის სიტყვები ყვანყვალას გულში ჩარჩა. იგი ვერ ისვენებს, გულის მოსაფხანად შემოსძახებს:

ისემც რა უთხრა ჭკუასა,⁵³
მანონი სჯობდეს წუასა,
სიმაგრით რა შეედრება
ჯაგარსა, ანუ ძუასა!

ცხვარს ბევრი მატყლი ასხია,
თანაც წააგავს ფუასა;⁵⁴
კვარს მისცემ, აიტრუსება,
დაიწყებს გლახად წუასა!⁵⁵

ბასილაშვილი, გოხის პატრონი,
ტრაბახა აზნაურია;
ხედავ სადილზე რა ურცხვად
სიტყვები გადაურია?!

⁵³ ტყემლის შეჭამანდი.

⁵⁴ გალვივებული, გაფუებული.

⁵⁵ წვას დაიწყებს, აიტრუსებაო.

ერთ-ერთი ცხენოსანთაგანი გადაუკრავს ყვანყვალას:

ყვანყვალა ჯავრით სკდებოდა,
ერა თქვა, სადაურია,
ახალი ლექსი გალექსა
მწყობრადა, არ აურია!

ახალი კილო მოაბა,
ყველამ აცქვიტა ყურია,
სუყველა ამას იძახდა:
„ნეტავი სადაურია?!“

ყვანყვალას დამშვიდება არ იქნა. იგი ისევ განაგრძობს:

მასპინძლისანი ყმუოდნენ,⁵⁶
სულმთლად დაგვისკდა ყურია!

იგივე ცხენოსანი ყვანყვალას გასაბრაზებლად ეტყვის:

მის მომღერლებმა ჩაიდეს
ჩვენი ყვანყვალას შურია.

მოგვარეზე გაჯავრებული სტუმარი იტყვის:

მას შემდეგ მოგვარეებსა
სისხლის აღება სწურიანთ!

13. ატენის ლვინოვ, ნაქებო!..

„ჩვენ ბატონთან ხშირად მობრძანდებოდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან დიდი ბატონები, კახეთიდანაც ესტუმრებოდნენ ხოლმე, — დაიწყო ვანო ტლაშაძემ, მეტსახელად ტილამ, — მე მაშინ ჯერ ისევ პირტიტველა ბიჭი ვიყავი. სიმღერა-გალობაში ცალი არ მყავდა ამ ჩემს მხარეს. რამდენიმე ამხანაგი გავიჩინე, ყველა მომღერალი, კარგი ხმიანი. ჩვენი სიმღერები თითქმის ყველა ვიცოდით. სადაც კი შევიყრებოდით, მაყრებივით გავაბამდით სიმღერებს. ერთხელ მამაჩემი მეუბნება:

„— ბიჭო, ტილა! შენ ხომ გადაგებული ხარ სიმღერებზე, ხვალ შენი ამხანაგებით ბატონთან წახვალ. იქ კახელები მობრძანებულან და ისეთი მომღერლები მოუყვანიათ, რომ მეხსავით თურმე ჭექავენო. ბატონს სმენია შენი კარგი სიმღერის თქმა და განუზრახავს შენი ამხანაგებით დახვედრა. ყველას შენზე მიუთითებია. წაიყვანე შენი ამხანაგები და, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო. დღეს კი ყველა გააფრთხილე, ხმას მოუარონ“.

⁵⁶ ცუდად მღეროდნენ.

იმ ღამესვე შევიყარენით ჩვენს ბოსელში. ჩამოვთვალეთ სიმღერები და ხმადაბლა გავიმეორეთ. ჩვენ თვითონვე მოგვეწონა. მეორე დღეს მივედით სწორედ სადილობის დროს. ბატონს გაეხარდა ჩვენი მისვლა. მითხრა: — აბა, ტილა! ახლა შეგეტყობა კოჭებში, როგორი მომღერალიც ხარ შენი ამხანაგებითაო.

გაშალეს დიდყაცური სუფრა, ისეთი რამეები ეწყო სუფრაზე, რომ თვალები აგვიჭრელდა. ჩვენ ერთ კუთხეში, კახელი მომღერლები კი ჩვენს გასწვრივ დასხეს. თამადად ბატონი იდგა. გვანიშნა სიმღერა დაგვეწყო. ჩვენ დავიწყეთ სუფრული, კარგად ვთქვით, მაგრამ ღელვა გვეტყობოდა, მოგვიწონეს და გვიპრძანეს თითო-თითო ჯამი ატენური გადაგვეკრა. ჩვენი სიმღერის შემდეგ კახელებზე მიდგა ჯერი. ჯერ დაბლა დაიწყეს. ჩვენ გაგვიკვირდა, გვეგონა იხრჩობოდნენ. შემდეგ თანდათანობით მალლა-მალლა შეტოპეს, ბოლოს ისე დასჭექეს, რომ ბატონის სახლმა ზანზარი დაიწყო. ერთმა ისე აუკიდა, თითქოს ცაში ასვლას აპირებდა. ეს „მრავალუამიერია“ კახურიო. ყველას მოეწონა კახელების სიმღერა. კიდევ სადღეგრძელოები მიაყოლეს. კიდევ გადმომხედა ბატონმა. ერთმა ჩვენიანმა ბიჭმა გვერდში წამკრა: „ატენის ღვინოვ, ნაქებო“ — დაიწყეო.

ეს სიმღერა ჩვენმა ოჯახმა მამა-პაპიდან იცოდა. ჩვენც ისე შევისწავლეთ, როგორც გვქონდა გაგონილი და ნასწავლი. ჩვენც კახელებივით დაბლიდან დავიწყეთ. სრული ექვსი მუხლი ვთქვი, ხალხმა რომ ყურება დაგვიწყო, ხმა აგვიკანკალდა, უფრო მალლა-მალლა წავედით. ბოლოს გათავებისას რაღაც ხმაურობა მოგვესმა, რაღაც ჩამოვარდა, თურმე ი ოხერ კატას გადმოუგდია ლანგარი და ისეთი ხმა გამოილო, მართლა მეხისა და ქუხილის ხმასა ჰგავდა. სტუმრებმა ჩვენ შემოგვხედეს: — „ბიჭო, სახლი არ დაგვანგრიო თავზედა, როგორ აუკიდე ხმასაო“.

შინ რომ მივედი, მამაჩემმა ჩემი ამხანაგები არ გაუშვა სახლში: — აბა, ერთი მითხარით, როგორ ჩაატარეთ „ხვნა-თესვაო“, ხომ არ შეარცხვინეთ ქართლელებიო? ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგებიც წავიდნენ“.

„....ეს სიმღერა, — განაგრძო ვანო ტლაშაძემ, — ჩვენი მამა-პაპიდან მოდის. ძველებს უთქვამთ: — ატენის ღვინო კახურ ღვინოს არ ჩამორჩებოდა, ჩვენსას რომ „ფილენჯი“ არა სჭირდესო. ქვევრის თავზე მის სმას არაფერი სჯობიან, მაგრამ, თუ ცოტა იმგზავრა, მთლად გალაყდება, დაჩაჩანაკდება, და კაცი ვერ გაიგებს, ვერ იცნობს, ატენურია თუ გაღმამხრელიო“.

ეს სიმღერა შემდეგ გიორგი ტატიშვილს⁵⁷ ვასწავლე, მას ჩაუკენჭავს ქარუმიძესთვის (ძაან მოყვარული იყო სიმღერებისა).

ერთხელ ქარუმიძემ თორტიზაში მიგვიწვია. ამ სიმღერის გაგონებაზე ეს დარბაისელი კაცი კინაღამ გადაირია. მას შემდეგ ხშირად მივდიოდით ქარუმიძესთან, სადაც გიორგი („თხის რქა“, ასე ეძახდნენ ტატიშვილს) დაგვხვდებოდა ხოლმე. ქარუმიძის ოჯახში გავიცანი კახელი მესტიაშვილი, კაი მომღერალი. მას აქეთ მასაც დავუმეგობრდი. ჩემთან ბევრჯერ მოსულან. ჩვენ რომ შემოვძახებდით, მთელი ოხერა⁵⁸ თავს დაგვედებოდა. მოდიოდა და მოდიოდა ძლვენი ხონჩა-ხონჩაზე“.

⁵⁷ გიორგი ტატიშვილის და ქარუმიძის შესახებ ცნობები იხილეთ შენიშვნებში.

⁵⁸ სოფელ ხიდისთავის ერთ-ერთი უბანია.

14. გუშინ შვიდნი გურჯანელნი (ქართლური ვარიანტი)

გუშინ შვიდნი გორიჯვრელნი,⁵⁹
მონადირენი ქართლისა;
სანადიროდ გაემგზავრნენ,⁶⁰
ვადა რო გავიდა ხვნისა!

გზაში იარეს რამდენი,
შეხვდათ ხევსური იმ მთისა;
ორშაბათიდან კვირამდის
კვალი ვერ იპოვეს გზისა!

ერთმა მთის წვერს, ერთ კლდეზედა
თვალი მოჰკრა ზორბა ჯიხვსა,
ხუთი-ექვსი წყრთაი ჰქონდა,
სიგრძეც კარგი იყო რქისა!

შვიდნი რიგზე გავიშალნეთ,
არ ვიცოდით შიში წყლისა;
შევხედეთ და დავინახეთ
ჯიხვი თვალიდან ცრემლს ჰლვრისა!

ესროლა ბერმა პაპამა,
იმედი აქვს მას ისრისა;
ესროლა და მოეკიდა,
ჯიხვი წამოვიდა ძირისა!

ისარივით მოჰქროლავდა,
ზღართა მოსძვრა ხევის პირსა,
მივედით და ვერ დავძარით,
გუბე იდგა მის სისხლისა!

იმ ლამეს იქვე ავკაფეთ,
ცეცხლი დავანთეთ გზის პირსა;
რქები ორმა ავიკიდეთ,
ლავინები ჩაგვწყდა მხრისა!

ორი კვირა ვინადირეთ,
გაცვდა ძირი ქალამნისა,
მეთხუთმეტე დღეს დავბრუნდით,
ჯავრი ჩაგვყვა წყაროს წყლისა.

„ატენურს“ ძალზე სჯობდაო,
ამბობს ბერი გორიჯვრისა;
ასეთი რამ არ მინახავს,
კაცი ვარ ამდენი ხნისა.

რქები დედაბოძს დაჰკიდა,
შვილდ-ისარი თვალებს სჭრისა;
აღარ წავალ სანადიროდ,
ყავლი გამივიდა მისა.

არც თქვენ გირჩევთ ჯიხვი მოჰკლათ,
გქონდეთ შიში მაღალ ღვთისა;
გორიჯვარს ცოდო აშორეთ,
თუ გწამთ მადლი ხვნის და მკისა!

⁵⁹ სოფელი გორიჯვარი გორის ახლოს მდებარეობს, ბეგობზე.

⁶⁰ ზოგან — წასულიყვნენ.

1921 წელს (დაახლოებით) შევიარე ბაკურციხეში (კახეთი). ერთ ოჯახში ბევრი მშვენიერი სიმღერა მოვისმინე. მასპინძლისას ერთმა მოხუცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ამ მოხუცს ერთ დროს თურმე მშვენიერი ხმა ჰქონია. იგი განთქმულ მომღერლად ითვლებოდა. ეს გახლდათ მესტიაშვილი, გამოჩენილ სახალხო მომღერალ „დედას ლევანას“ ამხანაგი. რაღაც მიზეზით მას სიმღერა აუკვეთნია. იშვიათად, რომ ხმა ამოელო. ერთი ფილენჯი სჭირდა: თუ ვინმე სიმღერის თქმას სთხოვდა, იგი მაშინვე წამოხტებოდა, მიატოვებდა, რაც უნდა კარგი სუფრა ყოფილიყო, და გაუდგებოდა გზას. რაკი მისი ასეთი უცნაური ხასიათი გაიგეს, თხოვნას ვერავინ უბედავდა. ჩვენს სუფრაზე სიმღერა მაინც გუგუნებდა. სხვათაშორის შემოსახეს „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“. მის გაგონებაზე მესტიაშვილმა ცოტა ტუჩები შეათამაშა და გვიამბო შემდეგი: „სიმღერა „გუშინ შვიდნი“ ტყუილად ჰქონიათ კახური სიმღერა. ეს ქართლიდან გადმოტანილია, შუა ქართლის შვილია. ზოგს კი კახური ჰქონია. მე ერთ დროს ქართლში ვცხოვრობდი, სოფელ თორტიზაში ქარუმიძეებთან. იქ დავრჩი რამდენიმე წელს. ჩემს მასპინძელს ძალზე უყვარდა სიმღერა. მართლაც რომ სიმღერის ჭიპი იყო. ქარუმიძესთან ხშირად მოდიოდნენ მომღერლები, რომლებიც კვირაობით რჩებოდნენ მასთან. სიმღერასა და დროს გატარებაში ამოსდიოდათ სული. შეჯიბრება იმართებოდა როგორც სმაში, ისე სიმღერაში. ყველაზე მარილიანად გიორგი ტატიშვილი (მეტსახელად „თხის რქა“ სოფელ მარანიდან) მღეროდა. მე სულ მას მივჩერებოდი და გულდასმით ვუსმენდი, მისგან ვისწავლე ეს სიმღერაც „გუშინ შვიდნი“. გრძელი ლექსი ჰქონდა. მისი ბოლომდინ თქმა შეუძლებელი იყო. ჩვენ შემოკლებით ვამბობდით.

ლექსი ჩავიწერე და ზეპირად დავისწავლე. როცა გიორგი რატომღაც არ გამოჩნდებოდა, მაშინ მშველოდა ტლაშაძე ივანე (ტილა მეტსახელად). ის იყო ხიდისთავის ერთ-ერთი განაპირა უბნიდან — ოხერიდან“.

სადილმა გათენებამდის გასტანა. შემდეგ ცოტა დავისვენეთ, სიკო სხვებთან ერთად ჰქონდება. მეც უკან დავედევნე. როცა იგი განცალკევებით ვნახე, ვთხოვე „გუშინ შვიდნის“ ლექსის მოყოლა. ერთი კი გადმომხედა ლიმილით, ჩიბუხი მოიმარჯვა, თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და დაიწყო ზემომოყვანილი ტექსტი. „აი, შვილო, გურჯაანელის ნამდვილი ლექსი, — ამბობს მესტიაშვილი. — მე კახელი გახლავართ, ტყუილს ვერ მოგახსენებთ ან რა საკადრისია, მით უმეტეს, ცალი ფეხი სამარეში მიდგია“. ცოტა შეჩერდა, მომიბრუნდა და წამიჩურჩულა: — „კარგს იზამ, თუ იმ ტატიშვილსაც ინახულებთ. ის მართალი კაცია, დაადასტურებს ჩემს ნათქვამს“, — დაამთავრა სიკომ. მე დიდი მადლობა გადავუხადე და ერთმანეთს დავშორდით.

მეორე დღეს კარდანახში შევიარე ნ. გულისაშვილთან. მას ვიცნობდი ჯერ კიდევ თბილისიდან. ჩემი მისვლა ძალზე გაუხარდა. სალამოს მომიპატიუა მომღერლები. კარგი დრო გავატარეთ. აქაც მოვისმინე „გუშინ შვიდნის“ ცნობილი ტექსტი. აქაც სხვათა შორის შევეკითხე ერთ-ერთ მოხუცს ამ სიმღერის სადაურობის შესახებ. მან ასეთი პასუხი მომცა: „ეს სიმღერა, ყმანვილო, ქართლიდან შემოსულა, ქართლშია დაბადებული, როგორც გამიგია. ეხლა ზოგან ასეთი სიტყვები ჩაურიეს (გულისხმობს „ჩვენ შვიდთა ძმათა ხევსურთა“), რომ ეშმაკიც ვერ გაიგებს ქართლურია თუ კახური. მართალია, ორივენი ერთნი ვართ, მაგრამ ეს სიმღერა ქართლის შვილია, იქ ჩასახული და იქვეა ნაშობი“. ამ მეორე დასტურმა მთლად დამარწმუნა ამ სიმღერის

სადაურობაზე, ქართლურობაზე, მაგრამ საბოლოოდ რომ დავრწმუნებულიყვავი, ამისათვის იმავე წელს ვინახულე გიორგი ტატიშვილი სოფელ მარანში (ქართლი). მოხუცმა ჩამომითვალა რამდენიმე სიმღერა. იმღერა თავის შეგირდებთან ერთად. დაასახელა მომღერლები — ტილა, ივანე ტლაშვაძე და კახელი მესტიაშვილი სიკო. აგრეთვე, გაიხსენა ამ სიმღერის წარმოშობაც: „ეს სიმღერა — „გუშინ შვიდი“ ჩვენია, ქართლურია. ნასწავლებმა მიჩმახ-მოჩმახეს. აქ ჩაუმატეს, იქ გამოაკლეს, ლექსი ხომ არ იციან და არა“.

მოხუცთან ხვეწნა არ დამჭირდა. გამაკვირვა ლექსის სიზუსტით გადმოცემამ. მან თავიდან ბოლომდე ისევე თქვა, როგორც კახელმა სიკო მესტიაშვილმა.

15. შაშვი კაკაბი

ალბათ, გაგეგონებათ სოფლები: შაშვეთი და კაკაბეთი. ეს სახელები დღეს ცოტათი გადასხვაფერებულიაო, — იტყოდა ხოლმე მამაჩემი. ამ სოფლის მცხოვრებთ ხმელი მჭადი და წყალი რომ ჰქონოდათ, უსიმღეროდ არა ჭამდნენ, ისე ჰყვარებიათ სიმღერა. ცხოვრობდა იქ ორი მომღერალი: შაშვეთში — დარისპანი და კაკაბეთში — თედო, „კისერად“ წოდებული. ეს ორი მომღერალი — შაშვეთელი დარისპანი და კაკაბეთელი თედო, სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, იქ პატარა სუფრაც კი გადიდდებოდა, ქორნილად გადაიქცეოდა.

მთელმა გორის მაზრამ იცოდა ამათი ამხანაგობა და სიმღერა. თუ გორში შეხვდებოდნენ ერთმანეთს, საქმის გათავების შემდე მივიდოდნენ შეჩვეულ მედუქნესთან ყელის ჩასაკოკლოზინავებლად, თან შეექცეოდნენ, თანაც შემოსძახებდნენ სიმღერას. როცა მათ შემოძახილი, მეტადრე დარისპანის ხმა გაისმოდა, გარეთ, მშიერი თუ მაძლარი, დიდი თუ პატარა, გამვლელი თუ გამომვლელი, ყველა იმ დუქანს მიაშურებდა, საიდანაც დარისპანისა და თედოს ხმა გამოდიოდა. დარისპანსა და თედოს მედუქნე დანახარჯს არამც თუ ახდევინებდა, არამედ, პირიქით, თვითონ მოუგროვებდა თურმე პატარა ფინიას მეშვეობით, რომელიც ისე ჰყოლია დაგეშილი, რომ, როცა პატრონი უბრძანებდა, ფინია სასაცილოდ ორ ფეხზე დატრიალდებოდა და შემოუვლიდა ყველას, ვინც კი იმ დროს იმ დუქანში ქეიფობდა. ფინიას „ლეკური“ ისეთ სიცილს იწვევდა, რომ მოქეიფეთ არაქათი ალარ ჰყოფნიდათ, რომ ეჭამათ და ესვათ. ბოლოს მედუქნე პანია ნაბდის ქუდის ჩაუდებდა პირში ძალლს. ფინია ახლა ქუდით პირში ჩამოუვლიდა. ამის დანახვაზე ყველა ჩაუგდებდა ფულს, რამდენიც სურდა. ამასაც რომ მორჩებოდა, ისევ პატრონთან მივიდოდა. მედუქნე ჩამოართმევდა ქუდს და შეგროვილს მთლიანად გადასცემდა დარისპანს მის ამხანაგებთან ერთად.

— რას შვრები, კაცო, იმის მაგივრად, რომ ჩვენ მოგართვათ ჩვენი დანახარჯი, შენ პირიქით გვაძლევო, — ეტყოდა თურმე დარისპანი.

ამაზე მედუქნე უპასუხებდა:

— თქვენ ხშირად მობრძანდით ხოლმე და ასე გაამხიარულეთ ჩემი სტუმრები და ეს რა არის, ამაზე მეტსაც მოგართმევთო.

იმ ორ მომღერალზე ხალხს ლექსიც აქვს გამოთქმული:

შაშვეთელი დარისპანი
ღვთისგან მირონცხებულია,
სუფრაზე რო ნახავს კაცი,
ის ყელმოლერებულია.

დასჭექავს, თუ საჭიროა,
რაც რომ სხვას არ შეუძლიან;
მხოლოდ კაკაბეთელ თელოს
თუ სუფრასა გაუშლიან,
დარისპანსა კვალ-კვალ მიჰყვეს,
მარტო იმას შეუძლიან.

ქოხმახებში არ მღერიან,
ვიწროა და დაბალიო;
ძველ დარბაზს ვერას დავაკლებთ,
მას ერდო აქვს მაღალიო!

ზაფხულში თუ კოფოზე ზის
იმ მთვარიან ღამესაო,
ურმულითა მთლად მოქარგავს
ახლო არე-მარესოა!

ჭოტი მთლად ხმას ჩაიწყვეტავს,
შიშით აჭყეტს თვალებსაო;
შაშვეთელი კი უმღერის
თავის შვინდა ხარებსაო.

მკვდრებიც ხომ ზეზე დგებიან,
აცეცებენ თვალებსაო;
ბუტბუტებენ: — დარისპანო,
ღმერთიც გაგახარებსაო!

მთელს მილეთზე ვინ აჯობებს
ჩვენს ბულბულსა შაშველსაო,
იცოცხლოს და იდლეგრძელოს
ამ ჩვენს არე-მარესაო.

მომღერალ კაკაბელზე ხალხმა გამოთქვა:

მართალია, დარისპანი
მეტი არის შენზე წონით,
მაგრამ შენც არ ჩამორჩები,
ბულბულის ხარ იადონი!

ის შაშვია, შენ კაკაბი,
შემკული ხარ ყოველ ფერით;
წმინდა გიორგი გწყალობდეს,
უსანეთის, სარკის, გერის.⁶¹

⁶¹ ეს სახელწოდება მიაკუთვნა ხალხმა ეკლესიებს, რომლებიც ააშენეს წმინდა გიორგის სახელობაზე ამ სამ ადგილას.

ის⁶² „მაყრულში“ და „ურმულში“,
შენ კი „ოროველაშია“
დეკანოზიც ვერ გაჯობებთ
თავის ეკლესიაშია!

ვინც კი ერთად დაგინახავს,
გირევს თქვენ ერთმანეთშია;
ნეფე-დედოფლის მაყრები
მარცხდებიან ქორნილშია!

იცოცხლე, ძმად შეფიცულო,
ტკბილად დალიე დღენია,
შენს ყანყრატოს⁶³ ვენაცვალეთ,
გიმრავლოს მონაშენია!

ამ ორ მომღერალს სახელი გაუვარდა. მათ ბატონებს მოუვიდათ ერთმანეთში კინკლაობა: —
არა ჩემი თედო სჯობსო შენს დარისპანსაო.

— არაო, — უპასუხებდა მეორე, — ჩემი დარისპანი შენს თედოს გაცილებით სჯობიანო.

ნარმოიდგინეთ, სოფლებშიც კი ატეხილა ჩოჩქოლი. შაშველები დარისპანს აქებდნენ, კაკაბეთელები კი თედოს. შაშვეთელი გლეხი კაკაბეთელს რომ შეხვდებოდა, ისე არ გაუშვებდა, რომ ლექსი არ გაეგონებინა და არ ექო თავის სოფლის მომღერალი — დარისპანი:

ვერ იცნობთ ჩვენს დარისპანსა,
ვერც აუღებთ ალლოს ხმასა;
თედო იმასთან რას მოვა,
ტრაბახით რომ იმტვრევთ თავსა.

კაკაბეთელი შაშვეთელს ეტყოდა პასუხად:

რას სჭიმავთ თქვენს დარისპანსა,
ერთი შეხედეთ, რას ჰგავსო;
თედოსთან ის ბარტყი არის,
როცა სხედან სუფრის თავსო!

ერთხელ ჩვენში დიდი მზის დაბნელება ყოფილა, რამდენიმე ხნის შემდეგ გერისთობას ამ ორი მომღერლის ბატონები ერთმანეთს შეხვედრიან თურმე. მიულოცნიათ გადარჩენა ერთმანეთისათვის. ბოლოს ერთი ბატონი ეტყვის მეორეს, — აბა, „კნიაზო“, მოდი და დღეს ეს ორი ჩვენი მომღერალი ერათმანეთს შევაჯიბროთო.

⁶² დარისპანი.

⁶³ ხან ასე: — თქვენს ყანყრატოს ვენაცვალეთ, გიმრავლოთ მონაშენია.

- ბატონი ბრძანდებით, — უპასუხნია მეორე ბატონს. შაშველსა და კაკაბელს ერთმანეთი რომ დაუნახავთ, გახარებით. კაკაბელს უთქვამს:
- დღეს ჩვენი ბატონები დაგვატაკებენ ერთმანეთს და მოდი ნუ გავაწილებთ ერთი-მეორესაო!
- კარგიო, — უპასუხნია შაშვეთელს.

გაშლილა სუფრა. წამომდგარა მასპინძელი და დიდი ყანით ხელში უდღეგრძელებია ეს ორი მომლერალი. ხალხს გაუკვირდა თურმე მასპინძლის საქციელი, რაღა პირველად ადღეგრძელა ეს ვილაც ორი მომლერალი გლეხიო. ეს მასპინძელი დიდი კაცი ყოფილა. ყურადღება არ მიუქცევია სტუმრების ტუტუნისათვის და, როგორც სიმლერის მოყვარულს, დარისპანი და თედო ყველაზე პირველად უხსენებია. ყანით ხელში გადაუხედია მომლერლებისაკენ. შემოსახა შაშვეთელმა სუფრული, ხმა ჩამოართვა კაკაბელმა. სტუმრებმა, რომლებმაც კილო იცოდნენ, ხმა მიაშველეს — ბანი მისცეს. მესამე მუხლი რომ დაიწყეს, მასპინძლის სახლის გარშემო დუდგო ხალხმა მოიყარა თავი თურმე. ღამისმთეველებს ზოგს ზურნა გაუჩერებია და ზოგსაც სიმლერა შეუწყვეტია. სახლიდან თურმე გუგუნით გამოდიოდა სხვადასხვა სახის სიმლერა. ამ ორი მომლერლის დალოცვილი ხმა მაღამოსავით ედებოდა თურმე იქაურობას. დროს გატარება დიდხანს გაგრძელებულა. იმ ღამეს ზოგს თუ მოუსვენია, ზოგს თვალი არ მოუხუჭავს.

დარისპანი მიუხმია თავის ბატონს და ასე უთქვამს: „ამაღამ მოისვენე, თორემ ხვალ უფრო მეტად დაგლლიან სიმლერითაო“. დარისპანს მოსწონებია ბატონის დარიგება და იმ ღამეს კარგად გამოშუშულა. თედო კი არ დაუსვენებიათ. მთელი ღამე შეუწყვეტლივ მლეროდა. მის დასვენებაზე არავის უფიქრია თურმე. მეორე დღეს ისევ სუფრა გაშლილა. მაყრული, სუფრული და სხვადასხვა სახის ქართული სიმლერა ერთიმეორეს ცვლიდა თურმე. შუა პურის ჭამის დროს ისევ დარისპანს წამოუწყია, თედო თავის დროზე მიჰყოლია, მაგრამ ის თავის ხმაზე აღარ იყო თურმე. რაღაც ეჩირებოდა ყელში. ეტყობა უძილობამ თავისი გაიტანა. ბევრს ცდილა საწყალი ხმის გამოკეთებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ცრემლმორეული შეჩერებულა.

ნაწყენმა დარისპანმა თედოს მიუმლერა:

ვეღარ ვივლი მთა და ბარად,
რად დამტოვე ცალ-რქა ხარად.

თედო კვნესით ეტყვის:

რა ვქნა, ჩემო დარისპანო,
სად ჯანდაბას გავექანო.

თედორ ბოდიში მოიხადა მასპინძლის წინაშე და დატოვა სუფრა. გარეთ რომ გამოსულა, ხალხში გარეულა, შემდეგ კი არბოს დაღმართს დასდგომია, დიდი ხანი არ გასულა, თედორ მოუკითხავთ. აქეთ ეძებეს, იქით ეძებს, მაგრამ „დამარცხებულის“ კვალს კი ვერ მიაგნეს. ჩავარდნენ საგონებელში. თედოს მოსაძებნად მთელი მილეთის გლეხკაცობა შეიყარა, მაგრამ მის კვალს მაინც ვერ მიაგნეს თურმე. ამ შემთხვევის შემდეგ თედოს ძმადნაფიცმა დარისპანმა ხმა ჩაკმინდა, სიმღერა აკრძალა. სიკვდილამდის ხმა არ ამოულია. როცა სუფრაზე იჯადა, პირველ ღვინით სავსე ჯამში პურის ნაჭერს თავს დაუსველებდა და შესვამდა გინდაც ქორწილი ყოფილიყო. ხალხი ვერაფერს ეუბნებოდა, იცოდა მისი გულის დარდი. ცოტა ხნით შემდეგ სოფლელებმა გამოუთქვეს ლექსი ამ ორ მომღერალსა და ზედ სიმღერაც გააწყესო. როგორც სიმღერა, ისე ლექსი ახლა ძალიან გადაუსხვაფერებიათო.

ლექსი ასეთი იყო:

შაშვი-კაკაბი შეიბნენ,
ომი ჰქონდათ მეტად ძნელი,
ფრინველთ მეფე ჩაერია,
რადგან იყვნენ გასაშველნი!

დილა იყო მშვენიერი,
მოწმენდილი და მზიანი;
არწივმა ბულბულს დაუთმო,
სიტყვა გაქვს თავაზიანი!

კაკაბი მაინც ჩალიჩობს,⁶⁴
დიდგულობს და იდებს თავსა;
გაშველება მეტი იყო,
შაშვმა აჯობა კაკაბსა.

16. ზამთარი

ზამთარი ვარდსა დააჭკნობს,
ფოთლები⁶⁵ ჩამოსცვივაო;
რა სუსტიანი ყოფილა
ი ბრუსაბძელის ყინვაო.

ერთი წლის პატარძალია
დათიკას ცოლი თინაო;
მულების ხელში დაჭლექდა
ქალი, ვით წმინდა წინაო!

დედამთილს ეტყვის: — ბატონო!
გთხოვთ, გამისტუმროთ შინაო,
თორემ მულების ხელშია
სიკვდილმა გამიცინაო!

აქამდის თავს გევლებოდით,
როგორც პანაწა ფინაო,
საქმეს რომ დღე ვერ ვასწრებდი,
ღამობით არ მეძინაო!

⁶⁴ ცდილობს.

⁶⁵ ზოგჯერ მღერიან — „ფურცლები“.

რაც ქმარი მეფეს ეახლა,
უკვე ეს ორი თვეაო;
დღემდის არ დაბრუნებულა,
იქნებ თათრების ტყვეაო.

თანაც ხომ ხედავთ, დავმძიმდი,⁶⁶
ვერ ვიტან ამდენ ჯაფასო,
ეს რომ დათიკამ გაიგოს,
არ მოგიწონებთ ამასო.

დილით რომ ბალში გავდივარ,
ცრემლები ღვარად მცვივაო;
ვარდს რომ დართვილავს, სჭკნება და
ფოთლები წვიმებრ სცვივაო.

შერთულის⁶⁷ ყველა ქალები
ერთობ ამასა ჩივიან,
რომ ქმრის ოჯახში ვჭლექდები,
ჩემთან ერთადა ტირიან.

თორმეტმა ძმამ რომ გაიგო,
ტანჯვა ობოლი⁶⁸ დისაო;
თქვეს, რომ შერთული სულ მთლადა
ჩვენს თინად არა ღირსაო!

შეაბეს ხარი ყევარი,
ჩარდახიც გადახურესო;
ჩასვეს რბილადა თინაი,
მძახლებსა არ უყურესო!

უფროსი ძმაი თორმეტში
სიმღერით სახლში მივაო:
„ზამთარი“ ვარდსა დააჭკნობს,
ფოთლები ჩამოსცვივაო!

დათა⁶⁹ ომიდან ბრუნდება,
იკითხავს ცოლის ამბავსა;
დარდს მიეცემა დაჭრილი,
უკლებს სმასა და ჭამასა.

კაცს გაუგზავნის თინასაა,
მოვიდა შენი ქმარიო:
უშენოდ მისი სიცოცხლე
მხოლოდ სიკვდილი არიო!

დებს გამოუყო საბძელი
ეს იყოს თქვენი ბინაო,
დღეიდან ჩემთან დარჩება
თქვენგან ტანჯული თინაო!

17. ფარინე

ამ სიმღერას უფრო ქორწილის დროს ასრულებენ, — ასე დაიწყო ევგენი ბათიაშვილმა. — ამის წინ ჯერ იტყვიან — „გამოსალვიძებელს“, ანუ მოკლე მაყრულს, რომლის შემდეგ „ფარინეს“ მოაბამენ. ამაზე ასე გამიგია: ერთი გლეხის ოჯახში დიდი წვეულება ყოფილა. ქორწილის გამო მაყრები, როგორც მასპინძლის მხრივ, ისე პატარძლის სოფლიდანაც, ყოფილან. ამათ გარდა ბევრი სხვა მოწვეული. პატარძლის მაყრებს წამოეყვანათ ჯერ ისევ კაი ჯავარზე მყოფი, თვალტანადი, მომღერალი და, რაც თავია, განთქმული ღვინის მსმელი ფარინე. სმის დროს ეს ფარინე

⁶⁶ ფეხმძიმედ ვარო.

⁶⁷ შერთული — სოფელი გორის რაიონში.

⁶⁸ ე.ი. დელისერთა, ერთადერთი და თორმეტი ძმისა.

⁶⁹ ზოგ ვარიანტში — დათიკა.

ისეთ ენაწყლიანობას იჩენდა, რომ ხალხის სიამოვნებას საზღვარი არ ედო, ამიტომ მისი თამაღლობა სასურველი იყო ყველგან და ყველასთვის: მისი დაუსწრებლობა ქორნილზე, ნიშნავდა ქორნილის გადადებას, როცა, რატომღაც, ფარინე არ დაეწრებოდა, ან გადასდებდნენ ქორნილს, ან არადა მთელი დროს გატარება ულაზათოდ ბოლოვდებოდა.

ნეფის მხრივ მოეპატიუათ თავთუხა, რომელსაც ხალხი „ხოკს“ ეძახდა. მას ნახევარი ცხვარი და ოცი ჩარექა ღვინო ჯერზე არა ჰყოფნიდა. ხანდახან, თუ გუნებაზე შეიქნებოდა, მაშინ ხომ გოხის მგლად გადაიქცეოდა თურმე ის შეჩვენებული.

ქორნილზე ბევრი ამ ორი მსმელის გულისათვის მოსულა. დაიწყო ქორნილი, ღვინის სმა. ისეთი ჯიხვები მოუტანიათ, რომ მარტო მისი დანახვა კაცს შეზარავდა. მანამ ჯიხვებს ჩამოარიგებდნენ, ერთს ნასვლის წინ ასე უთქვამს:

რო მოგაქვთ ჯიხვის კავიო,
რაზე მოვიკლა თავიო,
მე აქ დამრჩენი არა ვარ,
გინდ სიტყვა მკადროთ ავიო!

და გასულა კიდეც სახლიდან. მაყრიანობა არ სცხრება. ეს ორი თავმომწონე მსმელი — ფარინე და თავთუხა — ერთმანეთს ეჯიბრებიან. იმ დღესა და მეორე დღეს თანაბრად სვამდნენ. ხალხი გაცეცებით შესცეკროდა — ელოდა ერთ-ერთ მათგანის გამარჯვებას ან წაქცევას. ბოლოს თავთუხა ახსენებს „ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს“ (ეს დამთავრების ნიშანი იყო ქეითსა თუ სხვა დროს ძველად), გაჭირვებით დასცლის, შეავსებს და გაუწვდის ფარინეს, მაგრამ, უკაცრავად, ფარინეს ადგილი ცარიელია. აუჭარხლდება ისედაც ანითლებული სახე თავთუხას, გრძნობს გამარჯვებას. გათამამებული იმ ჯიხვსაც გამოსცლის. უცბად მოესმის ხვრინვა, თურმე ფარინე იქვე გაგორებულა. ამის დანახვაზე ნეფის მაყრები ყიფინას დასცეხებენ, პატარძლისანი კი ცდილობენ შფოთის ატეხას, მაგრამ, მანდილოსნების თხოვნითა და მუდარით, მიყუჩდებიან.

ნეფის მაყრები გარს შემოერტყმიან ფარინეს: ჯერ „გამოსაღვიძებელს“ უმღერია, ნ, მერე კი „ფარინეს“ შემოსახებენ, თან ანჯლრევენ საწყალ ფარინეს. ის წუთიერად გაახელს თვალებს, ნამოინევს კიდეც, მაგრამ ისევ მიწვება მოსხლეტილი.

ფარინეს ლექსი დიდია, მე შემოკლებით მოგახსენებთ — ამბობს მთქმელი:

ფარინე, ფარინე,
ვაჟკაცი ხარ ვით დევგმირი,
საყელოს იკრავ ღილითა,
ჭკუით უბზარი ქვიტკირი,
მოქარგულს ოქროს ქილითა.
მოსაწონი ხარ სხვაზედა,
ასე სწერია ქვაზედა
გამარჯვებული იყავი
ყოველ ჯვარედინ გზაზედა

სულ ფარინე, ფარინე
„ „ „
„ „ „
„ „ „
„ „ „
„ „ „
„ „ „
„ „ „
„ „ „

ფარინე:

ნამეტანია ეს ქება	სულ	ფარინე, ფარინე
მეტი რითა ვარ სხვაზედა,	„	„
ვაჟკაცობა და ჭკუაი,	„	„
იდება ქანდარაზედა...	„	„
საყელოს ვიკრავ ღუგმითა,	„	„
მარცხენა მხრისა განზედა	„	„
ჯერ არ მომკვდარვარ, რომ სწერდნენ	„	„
ჩემს სახელს სისა ქვაზედა.	„	„
ამბობენ ქალსა ვიტაცებ	„	„
ვისაც შევხვდები გზაზედა.	„	„
მე ახრისელი არა ვარ,	„	„
კომბალი მედოს მხარზედა,	„	„
მე თორტიზელი არა ვარ,	„	„
მშიშარა ვიყო სხვაზედა,	„	„
მე ფცა-ტკოცელი არა ვარ,	„	„
ნამოვწვე ხალიჩაზედა.	„	„
მე ის ზერტელი არა ვარ,	„	„
ეშმაკს ვაჯობო ჯანზედა.	„	„
ალბულალელი არა ვარ,	„	„
თმა გავიპარსო თავზედა.	„	„
მე ცხრამუხელი არა ვარ,	„	„
ჩიტივით ვიჯდე ნარზედა,	„	„
ფარინე მქვიან სახელად	„	„
სახელს ვიწერავ ფარზედა.	„	„

ან ამ ლექსს უმღეროდნენ:

ვაჟკაცს ქორწილში რა უნდა,	სულ	ფარინე, ფარინე
თუ ღვინო ძალავს ძალზედა,	„	„
უჯობს, კვირაძალ საღამოს	„	„
იდგეს საყდრისა კარზედა.	„	„



ხელში ეჭიროს თოფრაკი დაძონძებული ძალზედა, გიჟივით პირჯვარს იწერდეს, ხტოდეს ზარისა ხმაზედა.	სულ	ფარინგ, ფარინგ
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
რა ვაჟკაცია ის კაცი, ვინც სუფრას უზის თავზედა, ოთხ ჩარექიანს აიცდენს, ჭორაობს პატარძალზედა.	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
ერთ კვირას ღვინოს არ ძმობდეს, ⁷⁰ ობს იკიდებდეს ხმაზედა, ⁷¹ ისეთსა სტუმრად რა უნდა, უნდა დგებოდეს განზედა.	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
დღეს ქორნილია ნეფისა ოჯახის დედის ერთისა, თამადად თავთუხა დასვეს გაუმაძლარი ხოკიო.	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
ფარინგ გვერდზე მოუსვეს, იქნებ დაცლიდეს ერთ თასსა, მაგრამ შეხედეთ, რასა ჰგავს, დახვეულა ვით თოკიო!	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „

თუ ვერც ერთი ამ ორ თამადაში ვერა სძლევს, ამისათვის ხალხს აქვს გამოთქმული ლექსი „ფარინგ“ კილოზე შესასრულებლად:

ერკემალები ეძგერნენ რქებითა ერთმანეთსაო, ხან ერთი მიუკაუნებს, შიგ შუბლში მიანთებსაო	სულ	ფარინგ, ფარინგ
	„	„ „ „
	„	„ „ „
	„	„ „ „

⁷⁰ თუ ღვინოს არა სვამდეს.

⁷¹ თუ არ მღერის.

სან კი მეორე ურჩოლებს,
თითქოს ულენდეს ყბებსაო,
დანარჩენები უცქერენ
როგორც ჩებიჩებს⁷² — თხებსაო.

სულ ფარინგე, ფარინგი

რო გაძლებიან ცქერითა,
ორივეს გააშველებენ,
მათ თამაღობის სახელსა,
სუყვილგან გაავრცელებუნ.

“ , “ , “ ,
“ , “ , “ ,
“ , “ , “ ,
“ , “ , “ .

ဗျာမိတ်ကလ္လာ လွှေ့နော်
အဲရှင်စာဖု အာ လားသွေ့လျှော်း၊
မာနာမ ကရိုဘျေး ပိမ်းသွေ့ပုံနာလ
ကြုံးကြော အာ ဂားသွော်းလဲ့၏။

“ , “ , “ ,
“ , “ , “ ,
“ , “ , “ ,
“ , “ , “ ,

18. ამბენისა გეტყვით

ამბავსა გეტყვით, გიამბობთ,
ამბავსა ყიშლადისასა;
ჩვენ სამნი შევიყარენით
საზღვარსა მუხრანისასა!

გადაეხვით, აკოცა
ცხრა ნაწნავს გიშრის თმისასა:
ატირდა ქალი, ატირდა,
ვაიმე ჩემი ქმრისასა!

პურსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ურჩევდი თავთუხისასა;
ხორცსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ურჩევდი ხოხობისასა!

ლეკურ ხმალს ხელი წავავლე,
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა;
უწინა იმან მომასწრო,
რისხვასა ჰგავდეს ლკთისასა.

იქ დამხვდა ერთი ურჯულო,
რისხვასა ჰგვდა ღვთისასა;
ხელები გამომინოდა,
სათითეს ჰგავდა მკისასა. ⁷³

ერთი ისეთი გადავსცხე,
ნვერმა უნია მინასა:
თავს ის მოკვდა და ბოლოს მე,
კოლი წავიდა ძმისასა!

ლვინოს მთხოვდა და ვასმევდი,
ურჩევდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა და არ მივე,
ჩემი ვარჩი სხვისასა!

დავჭექ და ქვაზე დავწერე
ჭალასა ცინცილისასა;
ვინც გაიაროს, ასე თქვას: —
შენდობა ითა კუნისასა!

⁷² ცხვრის ფარის ნინამძღოლი თხა.

მუხრანის ახლოს ჭალაში ერთ დროს ყაჩაღ ყიშლადს ბინა ჰქონდა დასამალავად. იგი გამოვლენსა თუ გამომვლენს სძარცვავდა. ზოგჯერ სასიკედილოდაც არ ინდობდა ადამიანს. ეს ყაჩაღი გადმოხვენილი ყოფილა სათათრეთიდან, თავზეხელალებული და დაუნდობელი. ახლომახლო სოფლები შეწუხებული იყო მისგან. იმ გზით წასვლას, სადაც ის ბუნაგობდა, ყველა ერიდებოდა, ვისაც კი სიცოცხლის შერჩენა უნდოდა. იშვიათად თუ ვინმე გადაურჩებოდა იმ ყაჩაღს. ამ გზით მოუხდა გავლა სოფლის დიაკვანს თავისი ლამაზი ცოლით; ამ ქალის სილამაზე განთქმული იყო მთელს მაზრაში. ლექსიც კი გამოთქვეს მასზე:

ცაში თუ ნათობს მნათობი,
ქვეყნის გაჩენის ხნისაო,
დედამიწაზე ანათეპს
მეუღლე დიაკვნისაო.

ბევრს გაუცრუვდა იმედი
იმასთან შეუღლებისა;
ბევრმა ჩამოჰკრა ფანდურსა,
ლექსი დამღერა ქებისა!

ნესტან-დარეჯანს წააგავს,
აბრას⁷⁴ დაადებს თმისასა;
საქართველოში ვერვინ სჯობს
მეუღლეს დიაკვნისასა!

მაგრამ იტკიცეს უარი,
მოშულდა გული შვებისა;
ვერვინ გამოჩნდა ქართლშია
ამშლელი მისი ვნებისა.

მოხუცებულნი ამბობდნენ
ნაირ-ნაირი წლისაო:
მზეთუნახავსა სჯობიან
მეუღლე დიაკვნისაო.

დიაკვანი განთქმული იყო მდევური ძალ-ლონით, სამ-ოთხ ვაჟუაცს ფიჩის კონასავით შეჰკრავდა თურმე. მან ცოლის ხევნას არ დაუჯერა და საშიშ გზით გაემგზავრა ცოლით, მოყვრების სანახავად. შუაგულ ჭალაში მოუღლოდნელად შეხვდა ყაჩაღი ყიშლადი. ეს ორი ვაჟუაცი კარგა ხანს ზომავდნენ თვალით ერთმანეთს. ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა პირველად შეტევას. ყაჩაღი გაკვირვებული იყო დიაკვნის რაინდული შეხედულებით. დიაკვანი ერიდებოდა სისხლის დაღვრას, თან ცოლის დარდი ჰქონდა. ყაჩაღმა სხვა ხერხს მიმართა. უცბათ გადაუხტება ქალს და ეშნიანად გადაჰკოცნის. ეს ორი მდევივით ვაჟუაცი ერთმანეთს ეძგერებიან. ბევრი ბრძოლა არ დასჭირდათ. ერთ წამს შეაკვდნენ ერთმანეთს. თუ როგორ მოხდა ყველა ეს, ზემოაღნიშნულ ლექსიდან ჩანს, ხოლო რითი დამთავრდა მათი შეტაკება, ამას მეორე ქვემომოყვანილი ლექსიდან გავიგებთ:

ორივემ ხმალი იშიშვლა,
მივარდნენ დაუნდობელად,
ერთ წუთში სული გაჰყარეს
ცრემლისა შეუშრობელად.

ასე გათავდა თარეში
იმ წუნწკლიანი თათრისა:
დიაკვნის ცოლი დასენდა
წინად მსგავს მთვარე ბადრისა.

⁷⁴ აქ: სასწორის თეფშების (პინების) გასაწონასწორებელი რაიმე სიმძიმე.

19. მესტვირეების ამბავი

ქართლში, სოფელ ჯარიაშენში, ცხოვრობდა ცნობილი მესტვირე დოდე გოგიაშვილი. დოდე შესანიშნავი დამკვრელი და მომღერალი იყო, მაგრამ მეტად მახინჯი ყოფილა. გადმოცემით, დოდეს ჰყოლია პაპა, ისიც სახელად დოდე, „დიდ დოდედ“ წოდებული. დიდი დოდე შესანიშნავი გარეგნობის კაცი იყო თურმე. ისიც მთელ საქართველოში განთქმული ყოფილა და მრავალი შეგირდი ჰყოლია.

— მოგახსენებთ დიდ დოდეზე, ჩვენი დოდეს პაპაზე, — მიამბო შიო „შიკრიკაანთ ბიჭმა“ სოფელ რუისში 1918 წელს. — ის თურმე ისეთი კარგი დამკვრელი ყოფილა გუდა-სტვირზე, რომ შეგირდებიც კი ჰყოლია რაჭიდან, ფარებიდან თუ სოფელი ფარეხეთიდან. პირველ დოდეს ჰყოლია მოქიშპე, მეგუდასტვირე, სახელად მას ალექსა „ნალბანდის ბიჭს“ ეძახდნენ, თითონ კი ხელობით ოქრომჭედელი გხლებიათ⁷⁵ და ცხოვრობდა გორში. ეს ჯარიაშნელი დიდი დოდე და ალექსა კარგი დამკვრელები ყოფილან. სიჯიელის დროს ერთმანეთს ჰკიცხავდნენ თურმე, ლანძღავდნენ, მაგრამ, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, ისე დაძმობილებულან, რომ ტყუპი ძმა ეგონებოდა თურმე კაცსა. ამ ალექსასაც ჰყოლია თურმე შეგირდები.

|

დოდეს და ალექსას შეკამათება

დოდე:

— თუ ოქრომჭედლობ, იმჭედლე,
ჯერ სტვირზე გინდა სწავლაო;
ჯარიაშნელს რომ მეტოქვი,
შენთან არა მსურს გავლაო!

ალექსა:

<p>— ოქროვმჭედლობ თუ სხვა საქმეს ვხმარობ მარჯვენა ხელშია, შენ გული რაზე გისკდება, რაზედა წყდები წელშია?!</p>	<p>სტვირი რა შენი საქმეა, ხრინნი გედება ყელშია; თუ ვაუკაცი ხარ, გამოდი, გავჯიბრდეთ სიმღერებშია!</p>
--	---

შენ ჯარიაშენს მიხედე,
ჩობახი⁷⁶ გქონდეს ხელშია;
ცხვრების ფარასა უვლიდე,
ზამთარ-ზაფხულის დღეშია.

⁷⁵ გახლავარ. (რედ.)

⁷⁶ მოკაუჭებული, კავიანი გრძელი ჯოხი.

დოდე გამოდის გამოწვევაზე. შეიყრებიან ფლავში⁷⁷ უსანეთობასა თუ ნათლის მცემლობას, — არ მახსოვს, — განაგრძობს მთხოვნელი. — ეს ორი ვაჟუაცი რომ ერთიმეორეს ახედ-დახედავს, ორივეს შერცხვება ერთიმეორისა, რატომ ავიგდეთ მასხრად ერთმანეთიო. მოუსმენიათ აგრეთვე დაკვრა ერთიმეორისა. ესეც მოსწონებიათ, მივარდნილან ერთმანეთს და ჭიგოსავით ჩაჰავნებიან. ამის შემდეგ მათი ძმობა თურმე თითით საჩვენებელი გამხდარა.

ალექსა ერთ დღეს უცბათ გამქრალა გორიდან. რამდენიმე წლის შემდეგ გაეგოთ, რომ ალექსას შეჰევარებია ერთი ლამაზი გოგო, ქალსაც გაგიუებით შეჰევარებია, მაგრამ რაღაც ნათესაობა ჰქონიათ და ერთი ხელობა თითქოს ჩამოშორებიან კიდეც ერთმანეთს.

გოგოს ეს ვერ მოუთმენია და უთქვამს:

— ჩვენ რომ ნათესავები ვართ,
შენც კარგად იცი განაო;
თუ სხვა ვისმეზე გამცვალე,
აი, შავტარა დანაო;
მარცხენა ძუძუს დავიკრავ,
ზედ დავაკვდები თანაო.

ალექსა გაფითრებულა და ასე მიულექსებია:

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
ჩემი თქმა გინდა განაო?!
მაგრამ ულმერთოდ ჩაგვქოლენ,
მოხდება ამისთანაო.

სამი დღე მომე ვადაი,
მეტი არ მინდა ხანაო!
მეოთხე დღეს მტკიცედ გეტყვი,
ჩემო კუნტრუშა ანაო.

სწორედ მეოთხე დღეს ალექსას თავის გადაწყვეტილება უთქვამს ანასთვის, და ორივე, მეჯოგე სომხის ბიჭის დახმარებით, გადახვენილან თელავში. ალექსა და ანა იქ შეუნახავთ. ალექსას ლექსა დაურქმევია, ანას კი თავისი სახელი ანუშკად შეუცვლია. რაკი ერთი ხმა გავარდა, მთელ გორს მოედო ალექსას ამბავი. როგორც ალექსას მშობლებმა, ისე ანას მამიდამ, რომელიც იმ გოგოს ზრდიდა, წყევლა-კრულვა შეუთვალეს და მიანებეს თავი.

ალექსას თავი მიუნებებია თავის ხელობისათვის და გუდა-სტვირით ირჩენდა თავსა და ცოლ-შვილს ინახავდა. ეს რომ მის ძმადნაფიც დოდეს გაუგია, წასულა ალექსას სანახავად. ალავერდობას შეხვედრიან ერთმანეთს; ძალზე გახარებიათ ერთმანეთის ნახვა. ალექსასა და დოდეს სამი სწორი⁷⁸ სიმღერა-დაკვრით გაურთვიათ თავი და ხალხი. მთელ კახეთს მოსწონებია ეს ორი ლამაზი ვაჟუაცი და კარგი მომღერალი.

⁷⁷ სოფელი ქართლში.

⁷⁸ სამი კვირა.

როცა დოდეს გაუგია ალექსას გადაკარგვის ამბავი, ძალზე დაღონებულა და თვალცრემლიანს სტვირზე დაუმდერებია:

ჩემო სტვირო, დაისვენე,
გულს მომაწვა სევდის ჯარი;
რა გულით უნდა დაგმდერო,
ალექსა რომ აქ არ არი?!

ეს უთქვამს და აძურის⁷⁹ პირას, პანტებთან, მიგდებულა და მანამ არ ამდგარა, სანამ სოფელს დიდი ხევნითა და გაჯავრებით არ წამოუყენებია ჩვენი დოდე, შემდეგ, როცა გაუგია ალექსას კახეთში გადახვენის ამბავი, მაშინვე იქ დაბადებულა და მათ შორის ძველებური ძმობა დამყარებულა. აი, ესე გამიგია, — ამთავრებს იგივე მთხოვნელი.

დიდი დოდეს საყვარელი ლექსი ყოფილა:

თამარ მეფემ ააშენა
ნაჭარმაგევს⁸⁰ დიდი გორა;
იმის ძირში წყაროს წყალი
არ გაუშვა, მოადორა!

გარშემო ჭადრები დარგო,
ახლო-მახლო, არა შორა;
ვინც იმ სოფელს დაასახლა,
ყველას სევდა მოაშორა!

პატარა დოდეს სოფლის ერთი აზნაური გაუჯავრებია (სრესული გვარად, სოფელ ჯარიაშნიდან). უკანასკნელს ასე მიულექსნია:

შე მაიმუნო დოდეო,
ყოველთვის ეს იცოდეო;
პაპაშენს, მდევსა ვაჟკაცსა,
არასდროს არ იტოლდეო!

მის სახელს რაზე ატარებ,
ვინ მოგცა ამის ნებაო;
ვინც ეს სახელი დაგარქვა,
მის გულს არ ჰქონდეს შვებაო!

ორმოც დღეს და ორმოც ლამეს
ქოშით მიწა უზიდნია;
„ტურას ბიჭსა“ და „კანკალას“⁸¹
ამ გორაზე უჭიდნიათ;

ბოლოს ძმებად დაფიცულან,
ბუდეშური⁸² უწიდნიათ!

აძურის ბაყაყსა გევხარ,
უფლისციხელსა ჯოჯოსა,
რას შეედრება ლამურა
ყელმოლერებულ ხოხობსა?

ხომ ხედავ, ხმაში ვერ ჯობნი
ალექსა ოქრომჭედელსა,
ვერცა ნაყიდა მესტვირეს,
გორს გალმა ტინიხიდელსა!

⁷⁹ მდინარეა სოფელ ჯარიაშენში.

⁸⁰ ამჟამად კარალეთი, გორიდან 6-7 კილომეტრით დაშორებულია.

⁸¹ განთქმული მოჭიდავენი იმ დროს.

⁸² ერთგვარი ჯიშის ყურძენი.

პატარა დოდე გრძნობდა თავის სიმახინჯეს. მარტო სიმღერის დროს ყველას უსწორებდა თვალსა და, ცოტად თუ ბევრად, ავიწყდებოდა თავისი გარეგნობა. ამიტომ ის ყოველთვის ამაყი და დიდგული იყო. საერთოდ, არავის არაფერს უთმობდა. ვინც უნდა ყოფილიყო, გინდა თავადი, თუ გინდა აზნაური, გაბრაზებული ისეთ შხამიან სიტყვებს ეტყოდა, რომ, ვინც მას იცნობდა, ყველა ერიდებოდა მის წყენას; არც სრესული დასტოვა უპასუხოდ:

სხვამ რომ მითხრას, კიდევ ჰოო,
შენ კი ვიღას დასცინიო;
სიმშილისგან სული გხდება,
ყელში მოგდის ხიხინიო!

რა ვუყოთ, რომ აზნაურობ,
მამა-პაპას უმადლევი,
შენ თვითონ ნაცარქექიობ,
ზამთარ-ზაფხულ ძილს ეძლევი!

ყველას თავი მოაძულე
თხოვნითა და ლრეჯითაო,
სადაც კი ლუკმას გიდებენ
დაცინვით და კრეჭითაო!

სოფელში პირი აღარ გაქვს,
ყველასი ხარ მოვალეო;
ცისმარე დღეს კუტის თხოვნით
გორის მაზრა მოღალეო!

ეხლა ოსებს მიადექი...
როცა ქელებს გაიგონებ,
არ ადგები სუფრიდანა,
სანამ გულს არ მოიღორებ!

თოფის სროლა შენ არ იცი,
გაშინებს გნოლის ბარტყია!
რად გინდა ხმალი-ხანჯალი,
ნელზედა რაზე გარტყია!

სიტყვა-პასუხი რას გიგავს,
ენა გაქვს გესლიანიო,
ყველას კბენ, ყველასა ჩხვლეტავ,
ვით ზღარბი ეკლიანიო!

რა ვუყოთ, პაპას არ ვგევარ,
ლმერთმა დამბადა ასეო,
შენც პაპა გყავდა ზაალი,
შენ კი ხარ ჭკვით მანასეო.⁸³

ვინ იცის კაცს რა მოელის,
ხვალ თუ ზეგ როგორ იქნება;
ზოგი თუ ჭკუით აიწევს,
ზოგი თხლედ გადაიქმნება!

ხალხი გამალებით უსმენდა დოდეს ამ გაბედულ სიტყვებს. სრესულსაც ესმოდა იგი, მაგრამ ვერაფერს ბედავდა, ხალხისა ეშინოდა, ვაი თუ ლმერთი გაუწყრეთ და შეურაცხმყონო. სრესული ერთხელ ჯარიაშენის თავზე ოსების უბანში ყოფილა ქელებზე. უღმერთოდ დამთვრალა და ხლართვით წამოსულა. იმ დღეს ოჯახში არ მოსულა. დაუწყიათ ძებნა. მეორე დღეს შარაგზის

⁸³ დაცინვაა.

რუში უნახავთ დაჭრილ-დაბეგვილი, ცოცხალ-მკვდარი ჩამოუთრევიათ ჯარიაშენში. მთელი ოთხი თვე სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა ყოფილა. როგორც იყო გამოუბრუნებიათ. მაგრამ ცხვირი, ორივე ყური და ორი ხელის ცერები აღარ ჰქონია. მთელ წელიწადს სახლიდან არ გამოსულა. დოდეს რომ გაუგია, მიუმღერია:

როგორ ბრძანდები, სრესულო,
ბერად თუ მიხვალ ბოდესა;
მე მგონი დღეის შემდეგა
აღარ დამცინებ დოდესა!

მე ხომ მახინჯი ვარ და ვარ,
შენთან მე ამირანი ვარ,
სილამაზით და სიყრმითა
შენთან მე ყარამანი ვარ.

უფალმა გადაგიხადა
ის, რაც რომ სხვისთვის დათესე,
მოდი, ჩიბუხი ჩამიქრა,
ეგ კვესი ჩამომიკვესე.

აი, ასეთი ყოფილა ეს მახინჯი, მაგრამ მშვენიერი მომღერალი, მესტვირე პატარა დოდე.

||

მესტვირე პატარა დოდეს თქმული

სტვირი გავმართე ხისაო,
გამშრალი ასი წლისაო;
ვინც მას მოისმენს, ნაკადად
ცრემლებს, ვით წყარო, ღვრისაო!

გუდა უკუპროდ მოვმართე,
ატლასი გადავაკარი;
მასრა ძირეულ იფნისა
პოჭოჭიკისა⁸⁴ საფარი!

გავბერე, დავალულუნე,
რაც გამიგია, რაც არი,
ლექსები ისე მოთოშავს,⁸⁵
როგორც ნაკადი ჩანჩქარი!

ბევრი რამ ვიცი წარსულზე,
ვაქე ხელმწიფე თამარი;
რუსთაველზედა არ დამრჩა
სინამდვილე და ზღაპარი!

დიმიტრი თავდადებულზე
რაც კი რამ მომისმენია,
დავცხებდი სტვირზე სიმღერას,
წუთიც არ დამისვენია.

არც ბატონყმობა გამომრჩა,
ჯაფა დავხარჯე მის წონი;
საწყალი ხალხის უცუნა,⁸⁶
დაიწვას მისი მომგონი!

⁸⁴ ტიკის მუცელში ჩასმული ბრტყელი მომრგვალო ხის ნაჭერი.

⁸⁵ უხვად, თავისთავად მოდის.

⁸⁶ ერთგვარი შხამიანი ბალახი. აქ: ხალხის მტერი.

რუსის მეფეზე რაღა ვთქვა,
ისიც მყავს დასატუქსია,
ტრაუნიკი, მამასახლისი
თარეშად წამოგვასია!

პოპოშნიკს⁸⁷ ღმერთი გაუწყრა,
იმან არ იცის თავის დრო;
ენდონიკებით⁸⁸ გაგვცარცვა,
რიკამდის⁸⁹ ტყავი გაგვაძრო!

ბატონი თითქოს ერთი გვყავს
სინამდვილეში ასია;
გასწყვიტოს ყველა ხორველამ,
ეს არის მათი ფასია!

ღვდელმა ხომ ტვინი წაიღო,
უფულოდ არვის ნათლავსო;
თუ შენგან არას მოელის,
სუყველა ლოცვას დახლავსო.⁹⁰

რა ვთქვა, რაღაზე ვიტანჯო,
რა ვათქმევინო სტვირსაო,
როცა კუჭმაჭი გეხუთვის,⁹¹
არ გახსოვს ამ-იმ მთისაო!

ნუთუ საწყალი კაცისა
სისხლია კუნაპეტისო;
დიდ ბატონ, ქალბატონების
მოვარდო, ალის ფერისო?!

ე ჩემო სტვირო, შორს წახველ,
ჭირიმე შენი ხმისაო;
ყველანი ასე ამბობენ:
„ბოლოს მოულებთ ჭირსა!

ჩამოვაბრძანებთ ტახტიდან,
ვინ კი სწოვს გლეხკაცს სისხლსაო;
გამოიცვლება დროება,
დღე დაგვიდგება ხსნისაო!“

სტვირი გავმართე ძვირფასი,
ერთ მარჯვენათა ღირსაო;
ვინც მას მოისმენს ვაჟკაცი, —
ცრემლებს ვით წყარო ღვრისაო!

პაპაჩემს ღოდეს⁹² ცხონება,
მოვიყარო მის ხნისაო;
მანამ კი შემრჩეს უნარი
ჩემს სტვირზე დამლერისაო!

⁸⁷ მეფის მოხელე ძველად (დამახინჯებული).

⁸⁸ გადასახადი (დამახინჯებული) ნედიმკი.

⁸⁹ ე.ი. სულ მთლად ტყავი გაგვაძრესო.

⁹⁰ არც ერთ ლოცვას სწორედ არ იტყვისო.

⁹¹ როცა მშივრები ვართო.

⁹² იგულისხმება განთქმული მესტვირე „დიდი ღოდე“.

მესტვირე დიდი დოდეს თქმული თავის შეგირდებზე

მარტო მცხეთობას არ დავალ,
ი დიდ სვეტიცხოვლობასა;
თუ დამჭირდა, დამინახავთ
ყველგან ჩიტის ფაფობასაც.⁹³

მარტო ქართლში არა ვკრუხობ,
არ გამოვტოვ ჯვარობასა;
და ყოველ წლივ არ ვაკლდები
კახეთს — ალავერდობასა.

შიომისა დღეს ავივლი,
ცერად გავალ ცერონისა;
დათას⁹⁵ დავლოცავ მაშინა,
თუ ჭანგი არა აქვს ხმისა!

ექვსი წყვილი გამიზრდია,
ერთი ტინიხიდელია,⁹⁶
დათუნია,⁹⁷ ზაქარია,⁹⁸
სტვირზე ლმერთმა გადარია!

ნიკა,⁹⁹ მამუკა,¹⁰⁰ დიანოზ,¹⁰¹
ბიჭიამ¹⁰² მთლად გადამრია;
კიკოლიკა¹⁰³ — ნიკოლიკა —
ანგელოზის სადარია.

სამს სამება შეენიოს,
ჩიტას,¹⁰⁴ შაშვისა,¹⁰⁵ შროშანასა,¹⁰⁶
სამივე რომ დაასტვირებს,
ქუდი ვერ იმაგრებს თმასა!

სანამ მათ მოვარჯულებდი,
კონკილა მივეცი ჯანსა,
სულისა საცხონებლადა
ვიტეხავდი დოდე თავსა.

აძურის¹⁰⁷ პირს გავიყვანდი,
იქ ვიწყებდით ლექსის თქმასა;
რიგ-რიგობით გავაბამდით,
სტვირს შეუხამებდით ხმასა.

⁹³ჩიტის ფაფობა იციან გაზაფხულზე: გააკეთებენ ფაფას, ცოტას დადებენ ფიცარზე ან ნატეხზე და სადმე შორიახლოს დაუდგამენ ჩიტებს.

⁹⁴ დღესასწაულია — მოდის გაზაფხულობით.

⁹⁵ დოდეს შეგირდები, ყველანი ქართლელები იყვნენ.

⁹⁶ დოდეს შეგირდები, ყველანი ქართლელები იყვნენ.

⁹⁷ დოდეს შეგირდები, ყველანი ქართლელები იყვნენ.

⁹⁸ დოდეს შეგირდები, ყველანი ქართლელები იყვნენ.

⁹⁹ დოდეს შეგირდები, მესტვირები რაჭიდან.

¹⁰⁰ დოდეს შეგირდები, მესტვირები რაჭიდან.

¹⁰¹ დოდეს შეგირდები, მესტვირები რაჭიდან.

¹⁰² დოდეს შეგირდები, მესტვირები რაჭიდან.

¹⁰³ დოდეს შეგირდები, მესტვირები რაჭიდან.

¹⁰⁴ დოდეს მონაფები: ჩიტო, შაქრო, დიანოზა — რაჭიდან, ძმები რაჭველიშვილები

¹⁰⁵ დოდეს მონაფები: ჩიტო, შაქრო, დიანოზა — რაჭიდან, ძმები რაჭველიშვილები

¹⁰⁶ დოდეს მონაფები: ჩიტო, შაქრო, დიანოზა — რაჭიდან, ძმები რაჭველიშვილები

¹⁰⁷ მდინარეა, ჯარიაშენის გვერდზე ჩამოდის.



ჯარიაშენი,¹⁰⁸ ახრისი,¹⁰⁹
აძვი,¹¹⁰ ქვეში¹¹¹ და არცევი¹¹² —
ყოველ კვირა სტუმრად იყო,
გზა არ იყო ასაქცევი!

ქალო, ქალო, ახალგაზრდავ,¹¹⁵
რაზე იცვალე მხარიო,
ჯარიაშენს რა გინდოდა,
გეკრიფა შინ ჭინჭარიო.

მზე რომ ცოტას გადინევდა,
დავსხდებოდით ჩრდილის ქეშა;
ერთი გოგოს სილამაზე
კიკოლიკა გააშეშა!

მოხვედი და რო გნახევი,
გულს მომიკიდე ალიო,
თავში სისხლი ამივარდა,
მთლად დამიბნელდა თვალიო.

„აბა, ტიკო, გაიბერე,¹¹³
უნდა აუკიდო ხმაო;
ქარახსა არ გიღალატებს,
ამას არც კი უნდა თქმაო!“

ამ ჩემს ოსტატსა — დოდესა
დიდი აქვს გასავალიო;
მე რაჭიდან გადმოსულსა
გზა მაქვს შორი სავალიო.

ჭიბონით¹¹⁴ ჩამოუარა,
გალექსა დაიჟინაო,
ნაბადი მხარზე მოიგდო,
ჭიბონს გასწია წინაო.

დაგინახე, დავიხრუკე,
როგორც ტაფაზე ვარია,
შენ მშვენიერო გოგონავ,
შენმა ეშხმა გადამრია.

თან ალი-მურმა გადაჰერა,
გულმა დაკარგა ბინაო,
მაინც დაძლია ეშმაკსა,
გაჩერდა ქალის წინაო!

თუ გუნება გეუბნება,
თუ გულითაც აჲყევიო;
მოდი დღესვე მესტვირესა
მე ცოლად გამომყევიო!

დღესვე უთხარი მშობლებსა,
აიღე ლოცვა-კურთხევა,
ხვალ დილით შემატყობინე,
თუ აზრის გსურს გადახვევა!

¹⁰⁸ სოფელი ქართლში.

¹⁰⁹ სოფელი ქართლში.

¹¹⁰ სოფელი ქართლში.

¹¹¹ სოფელი ქართლში.

¹¹² სოფელი ქართლში.

¹¹³ ან ასე: „კიკოლიკა ტიკსა ბერავს“.

¹¹⁴ გუდა-სტვირის სახელი ძველად.

¹¹⁵ ან ასე: „ქალო, ქალო, ქალუკუნავ“.

დოდემ ეს რომ გაიგო, მომზადებას შეუდგა ქორნილისათვის. აძვში გადასწერეს ჯვარი კიკოლიკასა და ნინას, ერთი კვირის შემდეგ დოდემ დალოცა თავის საყვარელი შაგირდი კიკოლიკა და ნინა, რამდენიმე მესტვირით გაისტუმრა რაჭაში ცრემლმორულმა.

სრესულმაც დაასაჩუქრა როგორც რაჭველი, ისე ნინა. ¹¹⁶ კიკოლიკას წერილი გაატანა რაჭის ერისთავთან, რათა კიკოლიკასთვის მფარველობა გაეწია.

ნეფე-დედოფლის წასულის დროს დოდემ აიღო ჭიბო ხელში და დალოცა ჯვარდანერილები:

ღმერთმა გამრავლოთ შვილებო,
როგორც წყლის პირას რიყემა,
არ ნახოს ტანჯვა-წვალება
თქვენმა ჯანმა და სიყრმემა!

გამრავლდით, გაიხარენით,
სიტყბო გქონდეთ შარბათისა,
მშობლების პატივისცემა
და, აგრეთვე, შიში ღვთისა!

კიკოლიკას:

შვილისავით გამიზრდიხარ,
თორმეტში ხარ ცოდის შვილი, ¹¹⁷
შენთვის ისე, როგორც სხვისთვის,
გული მქონდა გადაშლილი!

წახვალ, მაგრამ გთხოვ გახსოვდე,
მინახულე ხანდახანა;
ხომ იცი, რომ სიბერისკენ
მივბაჯბაჯებ თანდათანა

ნინას:

ჩემო შვილო, ჩემო ნინა,
ჩემო მეგობრის ასულო;
როცა მშობლებთან მოხვიდე,
გთხოვ, ეს თხოვნა ამისრულო;

ბიძია დოდე გახსოვდეს,
თუ დრო გქონდეს მინახულო,
თუ ცოცხალი ვეღარ მნახო,
საფლავს წესი ამისრულო.

კიკოლიკა დიდი ამბით გაისტუმრეს რაჭაში ჯარიაშნელებმა. ბატონის მიერ გატანებული წერილი კიკოლიკას თავისი ბატონისათვის რომ გადაუცია, ერისთავს ერთი კარგი სავენახე უბოძებია კიკოლიკასათვის. კიკოლიკა საყვარელი მესტვირე გამხდარა. სტუმრებსაც ძაან შეჰყვარებია. კიკოლიკა უფრო გამართულა სტვირის დაკვრაში. ყოველთვის კმაყოფილი ბრუნდებოდა თურმე სახლში. ბატონს ისე მოეწონა კიკოლიკა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლამაზად აფერადებულ გუდა-სტვირსაც კი გადასცემს და თან ეტყვის:

მონადირეს კარგი თოფი,
კარგი ხმალი, დამბაჩაო;
მესტვირესა კარგი სტვირი,
ჭიანური, ქამანჩაო!

¹¹⁶ ზოგან ნინა, ზოგან ნანა არის ნახსენები.

¹¹⁷ ყველაზე უმცროსი შენ იყავიო.

ამაზე კიკოლიკა მადლობის ნიშნად მიუმღერებს:

მადლობელი ვარ ბატონო,
რო გამახარე დღესაო;
თქვენი ნაბოძი სტვირითა
შემოვივლი ხმელეთსაო.

იხარეთ და იდლეგრძელეთ,
რისხვასა სცემდეთ მტერსაო;
მე ჩემი გუდა სტვირითა
მოგდევდეთ ფეხით-ფეხსაო!

ერთი ბიჭუნა გამიჩნდა,
ახლავ მაგონებს მდევსაო;
თუ მიკადრებ, მირონსა გთხოვ¹¹⁸
მე ვეახლები მღვდელსაო!

კიკოლიკას თავისი ბიჭი მესტვირედ გაუზრდია. ბიჭი რომ წამოჩიტულა, თან ატარებდა დღეობებში, სადაც კი წავიდოდა.

IV

პატარა დოდეს შაგირდ პატარა ნაყიდაზე თქმული

— შე პატარა ნაყიდაო,
სულ ტინიხიდს რა გინდაო;
ცოტა თვალი გაახილე,
საიდანაც სად გინდაო.¹¹⁹

გნოლიძეები ახსენე,¹²¹
შენი მოდგმისა გვარია;
ყოველთვის ხომ არ ადიდებს
ლიახვესა ნიაღვარია. —

აქ რომ ზედიზედ გაჩნდები,
ლიახვე გამოლმა ობასა;¹²⁰
ლიახვესაც გადააბიჯე,
მოშორდი ცოლის ქობასა!

ასე ეტყოდა სოფელი
ნაყიდა ტინიხიდელსა;
მისი და ცოლად შეურთავს
აზნაურ დავით¹²² შინდელსა;

მისგან ვისწავლე ეს ლექსი,
მასთან რომ ვწნავდი გიდელსა.¹²³

¹¹⁸ მომინათლეო.

¹¹⁹ საითაც გსურსო.

¹²⁰ დღეობას.

¹²¹ ე.ი. ასახელეო.

¹²² დავითაშვილი.

¹²³ ულოსაგან დაწნული კალათა ქართლში.

V

ლექსი ტინიხიდელ მესტვირე ნაყიდაზე

შე გნოლიძე ნაყიდაო,
აქამდისინ სად იყაო,
სანამ დოდეს¹²⁴ და ალექსას¹²⁵
გორიჯვარი გაჰყრიდაო?!

შენც ხომ დოდეს შაგირდი ხარ,
მან გასწავლა „ანა-ბანა“,¹²⁶
რაც დაგლოცა, იმის შემდეგ
არ ნახულობ ამდენ ხანა?!

ნაკლები ხმა არა გქონდა,
თითქოს სჯობდი მეცხვარესა;¹²⁷
ერთ დროს არც ერთი დღეობა
უშენოდ არ ჩატარდესა.

ასე ეტყოდა სოფელი
გორს გალმა — ტინიხიდია,
ნაყიდა კი თავს იმართლებს,
ლიახვს არა აქვს ხიდია!
ზამთარია თუ ზაფხული,
მუდამ ღელვაა დიდია.

ი ჩემს ოსტატსა დოდესა
და ოქრომჭედელს ლექსასა
ვერ მიუდგები ვერაფრით,¹²⁸
რაც უნდ ვცდილობდე ჩემსასა.

ლიახვ გამოლმა დავდივარ,
სუყველგან დღეობაშია;
ალექსასავით მეჩირვის
ხანდახან ხრინწი ყელშია.
მეტოქე არ მყავს და მიტომ
ვთარეშობ დღეობებშია!

VI

პატარა დოდეს თავის შეგირდ „ჩანახაზე“ უთქვამს:

...ერთიცა მყავდა, სახელად
ერქვა „ჩანახა“ ბიჭსაო;
ერთი კვირა რომ ემღერა,
შუბლი ელარა ჭინჭსაო,¹²⁹
მაინც სტვირს აღუღუნებდა,
არ დაიმჩნევდა ხინჯსაო!

ი საწყალ სტვირს ასვენებდა
მხოლოდ მარხვასა დიდსაო,
თითონ ფიქრს მიეცემოდა,
თანაც ალბობდა ჭილსაო.¹³⁰

რომ მოიკრეფდა ძალ-ღონეს,
ჩამოილებდა სტვირსაო;
უმისოთ არ ვინ მართავდა
სოფელში არც ერთ ლხინსაო!

¹²⁴ განთქმული მესტვირე.

¹²⁵ მესტვირე — თანაც ოქრომჭედელი.

¹²⁶ სტვირზე დაკვრა გასწავლაო.

¹²⁷ კარგი მომღერალი, ამილახვარის მეცხვარე.

¹²⁸ ვერ დავეტოლები სტვირზე დაკვრა-დამღერაშიო.

¹²⁹ ოფლს.

¹³⁰ მცენარე, რისგანაც ჭილობს სწავენ.

ველიკო დიდებულიძის და პატარა დოდეს შეჯიბრება

ატოცში¹³¹ ერთი კაცია,
ღონით ვეშაპიო,
უშვილოდ გადაიხვეწა
გვარში ეს კაციო.

დღეს და ღამეს ატარებდა
მინდორ-ვენახშიო,
ვერვინ შეედრებოდა
ლექს-სიმღერაშიო.

სოფლელებს ძან უყვარდათ
კილოს ბრუნვაშიო,
გლეხები ებრალებოდა
მათ ცხოვრებაშიო!

ძალზე მჭექარე ხმა ჰქონდა
ტოლ-ამხანაგშიო;
ვისაც ესმოდა, ეტყოდა,
გენაცვა ხმაშიო!

ნათლულები ბევრი ჰყავდა
ქართლის სოფლებშიო;
სიცოცხლეში სულ მთლად იყო
იმათ ზრუნვაშიო.

ჯარიაშნელს გაეჯიბრა
ლექსების თქმაშიო;
უთხრა: — დოდე! გამომცადე
სტვირ-სიმღერაშიო.

— ატოცელო, ვერ გავტედავ
შენთან შეჯიბრსაო,
თამცა ეხლავ ავაყბედებ
ჩემს გუდა-სტვირსაო!

ეს უთხრა და მოიმარჯვა
ნაბად ქვეშ სტვირიო,
გულში ამბობს: გადავრიო,
რომ არ თქვას ძვირიო!

თავისებურად დამღერა,
რაც რომ იცოდაო,
ატოცელი დოდეს ხმითა
სულ მთლად იწოდაო!

ამის შემდეგ ველიკომა
სტვირს უშვა ხელიო,
სიმღერებით ააყვავა
მთელი სოფელიო!

¹³¹ სოფელი ქართლში.

მესტვირული

ქალო! „ქალთა-მზის“ სახელი
გამიგია ქართლშიაო;
ქმრის გარეშე საყვარელი
თურმე ჰყავდა სახლშიაო!

გარედ გამოსვლას ლამაზი
ვერ ბედავდა ხალხშიაო.
(ერთ-ერთ გოგონას):
— შენი სახელი მითხარი
რაც რამ გიდევს თავშიაო.

გეტყობა, რომ ნინა გქვიან,
რომ ერჩევი ხალხშიაო,
ერთი მითხარი, ვინ მოგწონს
მთაშია თუ პარშიაო!

გეტყობა, ჩუმჩუმელა ხარ,
აზრი გიდევს თავშიაო;
ვიცი, გათხოვება გინდა,
გეტყობა მაგ ხმაშიაო!

ლამაზ ბიჭს რომ დაინახავ,
გაუორუჟალებს ტანშიაო,
ალმაცერად თვალს ჩაუკრავ,
კურტუმს იქნევ გზაშიაო!

მერმის ამ დროს აქ ვიქნები,
დამინახავ ხალხშიაო,
ეხლა აბაზი მაჩუქე,
დამჭირდება გზაშიაო!

მესტვირე ვარ, ვასიკელა,
გადმოვსულვარ რაჭიდანა,
სოფელ ფარახეთელი ვარ,
სად მოვსულვარ საიდანა,
სვეტიცხოველი გწყალობდეს
და საბაო მაღლიდანა.

20. მეფანდურე მაჩაბლისა და მესტვირე გაიოზ ფურცელაძის გაბაასება

მაჩაბელი ცნობილი მეფანდურე ყოფილა. გაიოზ ფურცელაძეც უკრავდა ფანდურსა და სტვირს. კარგი ხმის პატრონები იყვნენ. თვალად და ტანადაც მოხდენილები. ორთავემ კარგი ლექსების გამოთქმა იცოდა. რამდენადაც გაიოზ ფურცელაძე სულ დღეობებში და ნათესავებში დადიოდა, იმდენად მაჩაბელი მძიმე კაცი ყოფილა, არ ჰყავარებია აგრე რიგად გარედ გასვლა-სიარული. ამ ორ მოლექსეს ერთმანეთი არ უნახავთ, შორიდან იცნობდნენ თურმე და ლექსაობდნენ. პაპაჩემა ზეპირად იცოდა მათი გალექსების ამბავი.

ზურცელაძე მისნერა თურმე მაჩაბელს:

ჩემო ძმაო, მაჩაბელო,
რასა ზიხარ კრუხივითა;
კარმიდამოს არ შორდები,
ქშინავ ჩასახუტივითა.¹³²

ზღუდრობას¹³³ შენ ვერა გხედავ,
ვერც თუ არბორიბასაო,¹³⁴
ჩაჰკირკიტებ ემაგ ფანდურს
აღდგომას თუ შობასაო!

ხმას გიქებენ დალოცვილსა,
ლექსაც ტკბილად წყობილსაო;
ჩვენს კუთხეში ვერვინ ნახავს
შენებრ დედით შობილსაო!

თუ უკადრისობ, არ მჯერა,
არა გევხარ შენ სხვა თავადს;
ვისაც ღილინი არ უყვარს,
შეეყრება მუდამ ავადს!¹³⁵

მაჩაბელი უპასუხებს:

— მადლობელი ვარ, გაიოზ,
ღირსი არ ვარ შენი ქების;
არც თუ შენგნით მოწერილი
მშვენიერი გულნადების!

შინ რომ ვზივარ, კუტი არ ვარ,
არც გეგონო ზარმაცია;
შეგირდებს თავს ვერ ვართმევ და
გამომელია ქანცია!

გაიხსენე ავთანდილი,
ცხენზე მჯდარი ისრით ხელში,
მან ტკბილის ხმით მოიტყუა
ორბი და გასწყვიტა წელში!

შენც შენი ხმით ფანდურზედა
მოჰხიბლევი ღინღლაშლილი,
რომ გულზედა მოეფინოს
ვარდი კოკობ გადაშლილი.

ან თუ შეხვდეს მტერთან ბრძოლა,
მოელოდეს მწარე ომი,
შენგნით მოჯადოვებული
გადაეშვას, როგორც ლომი!

მართალია, უფროსი ხარ,
მასთან ერთად თავადიო,
ნახვასა გთხოვ, რადგან ბედად
მე ღოგინში ჩავვარდიო!

შენი ნახვა გულითა მსურს,
შენი სტვირზე ღულუნიო;
ხმები დადის შენ ხმაზე თრთის
ლიტონიის გუგუნიო!

დოდესა და ოქრომჭედელს
თურმე ჩრდილავ, ვით წყვდიადი,
ვაჟკაცობითა და სიყრმით
ხარ როსტომივით დიადი?

¹³² პატარძალივითო.

¹³³ დღეობა ქართლში, ზღუდერში.

¹³⁴ დღეობა ქართლში, არბოში.

¹³⁵ ცუდ საქმეს.



იმედი მაქვს ცოტა ხანში,
ერთ-ერთ ბედნიერსა დღესა,
მე და შენა ან აქ, ან მანდ
ვესტუმრებით ერთმანეთსა!

მანამდის კი კარგად იყავ,
ემაგ ლოგინს უშვი ხელი,
აჩაბეთს და მერეთს¹³⁶ შორის
არც თუ არის ფოსტა გრძელი.¹³⁷

ფურცელაძემ კვლავ უპასუხა:

მე ჩემ თავს ვერ აუდივარ,
რაზე გადვიკიდო ჭირი,
ათში ერთი კარგი იყვეს,
დანარჩენი ხეპრე-ვირი,
მაშინ უნდა დავამსხვრიო
ბუდიანად გუდა-სტვირი!

21. თამარის ქოში

თამარის ქოშო,
ლირსსახსოვარო!
იყავი მედგრად,
ჩვენს ბედის ხვედრად.

ის ალარ არის,
ის სხვაგან არის,
შენ იმის ნაცვლად
ხარ სალოცველად,

თამარის ქოშო,
ლირსსახსოვარო!

იგი ბრწყინვალედ
განსვენებულა,
მის ერი დღემდის
დასვენებულა.

იგი დავითის
მეუღლე იყო,
აქ სალოცავად
წამოსულიყო,

სად ააშენა
თამარმა ნიში,
თათრებს ჰქონოდათ
ქრისტეს ჯვრის შიში,

თამარის ქოშო,
ლირსსახსოვარო!

¹³⁶ სოფლებია ქართლში.

¹³⁷ ფოსტა ძველად უდრიდა 15 ვერსს, აქ ნათქვამია გზის მნიშვნელობით, ე. ი. შორს არა ვართ ერთმანეთისაგანაო.

1916 წელს ზაფხულში მოვხვდი სოფელ უფლისციხეში, რომლის ნახვა დიდი ხანია მაინტერესებდა. სოფელი უფლისციხე სავსებით ტლუა, სულით და გული რომ გინდოდეს თავის შეფარება, ერთ პანაწინა ხესაც ვერ მოჰკრავ თვალს. შალი კლდეებით შემოსალტული სოფელი სიცხის მორევში ცურავს, ზაფხულში იქ მყოფს სული ეხუთება.

აი, ასეთ დროს ვიდექ ერთ-ერთი გამოქვაბულის შესასვლელში და გამწარებული ველოდი მოსალამოვებას. გამოქვაბულიდან საშინელი შმორის, სინესტის სუნი არანაკლებ მიწუხებდა სულს. მაინც მოვუცადე მოსალამოვებას. გრილმა ნიავმა შემოუბერა. შევიცვალე მხარი და მივაშურე ეკლესიას. უცნაურმა სიმღერის ხმამ შემაჩერა. ასეთი კილო არ გამეგო არავისგან. შეუმჩნევლად მივუახლოვდი მომღერალთა ჯგუფს, რომელსაც ძალზე მოხუცი, მაგრამ ჯერ ისევ ჭახმაკი გამომეტყველების კაცი მეთაურობდა. ეს სიმღერა არც გალობაა, არც სიმღერა, თითქოს გალობა და სიმღერა ერთმანეთშია არეული, მაგრამ ლამაზად უღერს.

სუფრას მოსხდომოდა ხუთი-ექვსი კაცი და გემრიელად შეექცეოდნენ. ჩემს დანახვაზე ხმა შეანელეს, სალამი მივეცი და იქ მდგომ ახალგაზრდას, რომელსაც წყლის ლიტრა ეჭირა ლვინის მოსატანად, მეც გაუწიოდე ფული. ჯერ არ მართმევდა, შემდეგ როგორც იყო გამომართვა და დაეშვა სოფლისაკენ, როცა მივესალმე, მოხუცი აპირებდა ზეზე ნამოდგომით სალამის მოცემას, მაგრამ ვანიშნე არ შეწუხებულიყო. მიმიპატიურეს. მეც ეს მინდოდა. ვთხოვე, ემღერათ იგივე სიმღერა, რომელიც მოვისმინე. შემისრულეს თხოვნა. შემოსძახა მოხუცმა, მეორეს ეუბნებოდა ერთი შუა ხნის კაცი, დანარჩენი ბანს აძლევდნენ. ეს ექვსი — მომკელი ყოფილიყო, სოფელი ოხერიდან ნამოსულან მტკვრის გამოლმა სამუშაოდ. უმუშავნიათ და დაბრუნებისას აქ, უფლისციხეში, შეუსვენიათ. მოხუცი და დანარჩენი ტლაშაძეები გამოდგნენ გვარად. უხუცესს — ტლაშაძე ივანეს — ვთხოვე, ერთხელ კიდევ გაემეორებინათ ეს სიმღერა. არ დამზარდა, რამდენჯერმე გაიმეორეს. ამ დროს „ღვთის ნაკურთხიც“ მოაცუნცულა ბიჭმა. ჯამები ხელიდან ხელში გადადიოდა. მეც მოვსვი. ლვინომ რომ მომკელები შეახურა, იგივე სიმღერა გაიმეორეს, უფრო ეშიინად და თამამად. მე ამით ვისარგებლე და ჩავწერე — ნოტებზე გადავიღე. სიმღერა ერთხელ კიდევ რომ გაიმეორეს, მე შევეხვენე მოხუცს, ეთქვა, რა ჰქვია ამ სიმღერასა და სად აქვს გაგონილი. მოხუცი არ დამზარდა და მოჰყვა შემდეგს: — მე, ყმანვილო, ტლაშაძე ვარ გვარად. სახელად მქვიან ივანე. ახალგაზრდობისას „ტილას“ მეძახდნენ, რადგან ძაან შავი ვიყავი. როცა შუა ხანს მივალნიე, ტილას ველარ მიბედავდნენ და ივანეს, ხან ვანოს მეძახდნენ, თუმცა ეხლაც ისეთივე შავი და ტილა ვარ, როგორც ახალგაზრდობისას ვიყავი. ეს სიმღერა, რომელიც თქვენ მოისმინეთ და ქალალდზე შეულოცეთ, სახელად „თამარის ქოშია“. ასე ეძახდნენ წინათ. ამის მთქმელი, მამაჩემი ვასილი ტლაშაძე იყო. მამაჩემი კარგი მგალობელი და მნიგნობარიც გახლდათ. ჩემი პაპის პაპა, იასეთ წოდებული, უფრო კარგი მგალობელი და მომღერალი ყოფილა. ეს მამაჩემისაგან მაქვს გაგონილი. ეს იასე ჯერ მნათედ ყოფილა დანახვის წმინდა გიორგის მონასტერში, შემდეგ კი მღვდლობა მიუღია. აი, იმ მონასტერში, ეპისკოპოზად ყოფილა მაშინ დომენტი ტლაშაძე. ეს დომენტი დიდი სწავლული ყოფილა თავის დროზე. ასეთივე მგალობელი და ენამეტყველი კაცი, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, დომენტი გადაუსახლებიათ იერუსალიმში. მას თან წაუყვანია იასეც — ჩემი პაპის პაპა. ორივენი კარგა ხანს იყვნენ თურმე

იერუსალიმში, ბოლოს ისევ უკან დაუბრუნებიათ ორივენი. დომენტის თურმე ჩააბარეს აჭენის მონასტერი, იმან კი თავის მხრივ იასეს მიაკუთვნა ხიდისთავის ერთ-ერთი განაპირა ადგილი, რომელსაც შემდეგ ოხერა დაარქვეს. იმ დღიდან ტლაშაძეების გვარეულობამ იმდენად იმატა, რომ დღეს კარგი სოფლისოდენაა. ეს სიმღერა პაპის პაპიდან მოდის. პირველად უსწავლებია დანახვის მონასტრის ბერს, რომლის სახელი არ მახსოვს. ეს სიმღერა ერთი მე ვიცი, ერთიც გიორგი ტატიშვილმა სოფელი მარანიდან. ამ გიორგის მეტსახელად „თხის რქას“ უწოდებენ. იგი კარგი მცოდნეა გაღლობა-სიმღერისა. მე და გიორგი წელიწადში ერთხელ მაინც ვნახულობთ ხოლმე ერთმანეთს. ხან მე ვეწვევი, ხან ის ჩამოდის ხოლმე ჩემთან, ოხერაში. თითო კვირაობით ვრჩებით ხოლმე ერთმანეთთან. თან ვმღერით, თანაც კარგ დროს ვატარებთ. ბოლოს კი ერთმანეთს ვშორდებით. პაპაჩემისაგან ისიც კი მახსოვს, თუ როგორ წარმოშობილა ეს „თამარის ქოში“. ბარემ ამასაც მოგახსენებთ.

ერთ დროს ეს უფლისციხე კარგი ქალაქი ყოფილა თურმე. აქ გავლა-გამოვლით ჩამოხტებოდნენ სოვდაგრები, მეტნილად თათრები. ეს ადგილი მაშინ დასასვენებლადაც კარგი ყოფილა და თავშესაფარადაც ისეთივე. იმ დროს თარეშიანობა ყოფილა. ლეკები ხშირად თავს ესხმოდნენ ქართლსაც. ხალხს ანიოკებდნენ. ასე გასინჯეთ, ტყვეებიც კი მიჰყავდათ. ქალსა და კაცს არ არჩევდნენ. ბოლოს გამოუგზავნიდნენ მთხოობელსა და ტყვეების გამოხსნაში დიდძალ ფულს ითხოვდნენ თურმე. ვერავითარი ქარავანი ვერ უმკლავდებოდა მათ. ამ ადგილზე თავშეფარებულებს კი ვერას აკლებდნენ. ამიტომაც ამ შემთხვევისათვის ეს უფლისციხე კარგი თავშესაფარი ყოფილა. ქარავნის დანახვაზე გარშემო სოფლების მცხოვრები მოდიოდნენ. ზოგი თუ სანახავად, ზოგიც რამე-რუმეს საყიდლად. ქარავანი ზოგჯერ დიდ ხანს რჩებოდა — კარგად რომ დაისვენებდა, გაუდგებოდა თავის გზას.

ერთხელ შემთხვევით აქ გამოუვლია ვიღაც დიდ კაცს. უნახავს დიდი ჯარივით შეგროვილი ხალხი. არ მოსწონებია. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გამოუვლია ამ გზით ისევ იმ დიდ კაცს. ეხლაც თვალი მოუკრავს ბევრი ხალხისათვის. ის დიდი კაცი მისულა ჩვენ მეფე თამარ დედოფალთან და მოუხსენებია ასე:

— დიდებულო მეფეო, ი უფლისციხეში რო ისეთი დუდგო ხალხი თავს იყრის ყოველ ქარავნობის დროს, ი ურჯულოებმა კი არ გადაიბირონ და არ გაათათრონ ჩვენი ხალხიო.

თამარ მეფეს მოუსმენია და გაუცია ბრძანება, უფლისციხეში ერთი კარგი ეკლესია ააშენეთო. ბრძანება შეუსრულებიათ და, აი, ეს ორსართულიანი ეკლესია მაშინ ააშენეს თურმე, მღვდელ-დიაკვანიც დაუნიშნავთ და გაუჩაღებიათ წირვა-ლოცვა. მგალობლებიც ოთხ-ხუთ კაცამდე შეუკრებიათ. ეს მგალობლები სულ ჩვენი მოგვარენი — ტლაშაძეები ყოფილან.

როცა ქარავანი აქ შეჩერდებოდა, თათრები ხშირად შედიოდნენ თურმე ეკლესიაში ქუდმოუხდელები, ასე ყოფილა მათი რჯულის კანონი. შემდეგ ვიღაც ოსტატსა იმ კლდეზე (ხელი გაიშვირა მოხუცმა) გამოუყვანია ქოში. ეს უბრალო ქოშს არა ჰგავს, ამბობენ ეს თამარის ქოშიაო. ხალხს მაშინვე ლექსი და სიმღერა გამოუთქვამს. ამნაირად გალასტეს თურმე სიმღერა „თამარის ქოში“.

აი, შვილო! ეს ვიცი და ეს გამიგონია, ამას ვერც არას მივუმატებ და ვერც არას დავაკლებ.
ცოდოა, შვილო, ტყუილისათვის რაზე წავიწყმილო სული“.

ამით დაამთავრა ვანო ტლაშაძემ „თამარის ქოშზე“ უფროსებისაგან გაგონილის გადმოცემა. განვლო თითქმის 22 წელმა. დამავალეს გორში მომენტი მომღერალთა გუნდი და თავის დროზედ გავმგზავრებულიყავით ქალაქ მოსკოვს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებად. ავედი თუ არა გორში, ხმები დავარსიე, რომ ვეძებ ძველი ხალხური სიმღერების მცოდნეთ. ერთ დღეს ჩემს ბინაზე კითხვა-კითხვით მომადგა ერთი ძალზე მოხუცებული კაცი. ეს მოხუცი მე მაშინვე ვიცანი. ეს ის ტლაშაძე იყო, რომელმაც სიმღერა „თამარის ქოში“ ჩამაწერინა ამ 22 წლის წინათ, სოფელ უფლისციხეში. მან ვერ მიცნო. ამ დროისათვის ის უფრო მოხუცებულიყო, რასაკვირველია. კიდევ გამიკვირდა მისი გამოსვლა ოხერიდან გორში, რომელიც სულ ცოტა 5-6 კილომეტრით არის დაშორებული გორიდან. მოხუცმა მითხრა მოსვლის მიზეზი. ცოტა შესვენების შემდეგ კარგად გავუმასპინძლდი და მოვასვენე ჩემს ბინაში. გამოიღვიძა, მიიშმუშნ-მოიშმუშნა და შემოსძახა „თამარის ქოში“. მე მივაყოლე მეორე ხმა. გაკვირვებულმა სიმღერა შესწყვიტა, მომაშტერდა და ჩაიჩიფიზა: „ებე, ებე! დიდება შენთვის ღმერთო! ეს რა საკვირველებას მოვესწარი!“ თან პირჯვრის წერას მოუხშირა. მე აღარ გავაწვალე გაკვირვებული მოხუცი და გავახსენე ის დრო და ადგილი, სადაც მას შევხვდი და როგორ გადავიღე მის და მისი ამხანაგებისაგან ეს სიმღერა. მოხუცს, რასაკვირველია, ისეთი ხმა აღარ შესწევდა, მაგრამ მისმა ზუსტმა მეხსიერებამ სიმღერის გადმოცემაში, ძალზე გამაკვირვა. ახლაც სწორედ ისე იმღერა, როგორც 22 წლის წინათ სოფელ უფლისციხეში.

მეორე დღეს მოხუცი დავასაჩუქრე და გავისტუმრე სოფლისაკენ. კიდევ კარგა ხანმა განვლო. ერთხელ ვიკითხე მის შესახებ. ომის პერიოდში გარდაცვლილიყო ას წელს გადაცილებული. თუ როგორი ვაჟკაცი იყო ან როგორი მომღერალი ეს ტლაშაძე, ამას გავიგებთ მასზე გამოთქმული ლექსიდან, აი ესეც:

ოხერას ცხოვრობს ტლაშაძე
თავისი სახლობითაო,
საქართველოში განთქმული
სიმღერა-გალობითაო!

ყველასა სჯობდა მშვენიერ
კარგი წერიალა ხმითაო,
იყო მდევივით ვაჟკაცი,
როსტომის მხარბეჭითაო.

ამფსონად ჰყავდა გიორგი
ძალზე მჭექარე ხმითაო,
რო დასჭექავდნენ, ამტვრევდნენ
ურემსა სავეს ძნითაო!

„ტილა“ და „თხის-რქა“ მღეროდნენ,
დათაფლულ ტკბილი ხმითაო,
ორივე დალოცვილია,
თანაც წაკურთხი ლვთითაო.

ამ ლექსის გამომთქმელი ვარ
მათზე უმცროსი ხნითაო.

22. ამბობენ, რომ თამარ მეფემ...

ქალაქ გორის ზევით, 7-8 ვერსის დაშორებით, მდებარეობს სოფელი კარალეთი, მის მახლობლად აღმართულია პატარა გორაკი, რომელზედაც თამარ მეფის დროს მშვენიერი სასახლე ყოფილა გაშენებული; გორაკის ძირში საამური წყარო გადმოსჩქენს. აქაური ბუნება საერთოდ მდიდარია. გორამდის გაუვალი ტყე, მის გარშემო კი ბალ-ვენახები და ყანები, იალალზე მშვენიერი საძოვრები, სადაც გაფანტული იყო საქონლის ჯოგი და ცხვრის ფარები. ეს გორა ხელოვნური ყოფილა. მისი აღმართვა ხალხური გადმოცემით, თამარ დედოფალს განუზრახავს. მას მთელი ორმოცი დღე და ორმოცი ღამე (გადმოცემის მიხედვით) თავის ქოშით მინა უზიდნია, თანაც მარხულობასა და ლოცვაში იმყოფებოდა თურმე.

ხალხმა ლექსად გარდაქმნა გაგონილი და საფანდუროდ გადააკეთა; მას კი ყოველ წელს ყველიერში ასრულებდნენ. აი, ეს ლექსიც:

ამბობენ, რომ თამარ მეფემ
ამ მთაზე იმარხულა!
ჰეი, და!

გაშენდა დიდი გორაკი, —
ავ თვალით არ ნახულა!
ჰეი, და!

ორმოცი დღე და ღამეი
მთლად შრომაში გასულა!
ჰეი, და!

ძირს უკვდავების წყაროი
ჩუხჩუხით ამოსულა!
ჰეი, და!

ერთი მიზიდა მინაი,
სამთავისს ზე ასულა!¹³⁸
ჰეი, და!

გორაკზე სახლი ააგო,
მთვარის შუქით წასმულა,¹³⁹
ჰეი, და!

კარალეთი დაამშვენა,
ხმა მესხეთში გასულა!
ჰეი, და!

ამ გორაკის ამბავი ქვემოთ მოყვანილ ლექსშიაც არის ნახსენები, რატომაც აქვე მოგვყავს:

— ბიჭო! ე ნაჭარმაგევში¹⁴⁰
სოფელი როა თქვენსაო,
რა აგებულა იმხელა,
რომ გავს ბაყბაყა მდევსაო?

ხუთი წელია სხვაგან ვარ,
ვემსახურები სხვებსაო,
აქ როდის დავბრუნდებოდი
ვითვლიდი დღესა, თვესაო!

¹³⁸ სამთავისის ეკლესიაზე მაღალი გამხდარა.

¹³⁹ ბრწყინვას თეთრადაო.

¹⁴⁰ სოფელ კარალეთის ძველი სახელწოდებაა.

გუშინწინ ღვარებს¹⁴¹ ავედი,
დავპურდი ორ-სამ დღესაო;
დილას რომ მთაზე გადმოველ,
გადმოვხედევი ველსაო,

თითონაც ბევრი იშრომა,
არ აშინებდა თოშიო,
მიწის მიზიდვით გაცვითა
თორმეტი წყვილი ქოშიო!

თვალი მოვკარი მშვენიერს
აღმართულ სასახლესაო?!
„ეგ გორაკია, ბიძია,
თამარის აშენებული;
ზედ რომ ვერცხლივით ბრჭყვიალებს,
სახლია გაშენებული.

გარშემო ჭანდრები ბაკობს,¹⁴²
ერთ მხარეს გაჩნდა წყაროა;
დედოფალს უბრძანებია:
„ჩვენთვის ეს კარგი თაროა!“¹⁴³

23. შავლეგო

ვინმე ქვრივს თურმე ჰყავდა ერთადერთი შვილი. მოხუცი „დამწვარი თითივით“ უფრთხილდებოდა მას. როცა დედისერთა წამოიზარდა, დავაუკაცდა, იგი მთელი სოფლის თვალი გახდა: ლამაზი, შავგვრემანი, მოხდენილი და ახოვანი. შავი, გიშრისფერი თვალ-წარბი და ახლად აკოკრებული ულვაშები ამშვენებდა ამ ახალგაზრდას, მისი სიმამაცე და გოლიათური ლონე ყველას ანცვიფრებდა. ბავშვობის დროს შავთელას ეძახდნენ, ხოლო დავაუკაცებისას ეს სახელი შავლეგოთი შეუცვალეს. ტანთ ეცვა შავი ჩოხა, იმავე ფერის ახალუხით. ქამარ-ხანჯალი, ხმალ-მასრებიც შავი ფერისა ჰქონდა. მან ბევრი ბრძოლა გადაიტანა და არც ერთხელ არ დაჭრილა, მცირე ჭრილობაც არავის მიუყენებია მკაცრ შეტაკების დროსაც კი. არა ერთი და ორი ლექსი გამოუთქვეს შავლეგოს ფანდურზე დასამლერი. მოხუცები მას შენატროდნენ, ხოლო გასათხოვარი ქალები მხოლოდ მასზე ოცნებობდნენ, მაგრამ შავლეგო ცოლის შერთვაზე გადაწყვეტილ უარს ამბობდა. ეს მის მოხუც დედას მეტად ადარდებდა, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა. მხოლოდ ამას კი იტყოდა: როგორც თავისი ნებაა, ისე მოიქცესო.

ერთხელ ერთი თარეშის დროს შავლეგო თავისი ამხანაგებით ლეკებს გადაეყარა. შეხვედრა ტყის პირას, თითქმის გაუვალ ადგილზე, მოხდა. ლეკებმა ყური მოჰკრეს ტყის პირას რაღაც შრიალს. ოდნავ შეჩერდნენ კიდეც. შავლეგო თავისი ამხანაგებით ჩასაფრებული იყო. იხელთეს თუ არა დრო, ელვის სისწრაფით თავს დაესხნენ ლეკებს. გაჩნდა ხმლების ტრიალი. ლეკებს ტყვები და ნადავლი არ სურდათ დაენებებინათ, შავლეგო კი ფიქრობდა ტყვების განთავისუფლებასა და გატაცებულის დაბრუნებას. ამ ხელჩართულ ბრძოლაში ლეკებმა ოცი

¹⁴¹ ოსების სოფელია ქალაქ გორის მახლობლად.

¹⁴² ბაკის მსგავსად გარს არტყია.

¹⁴³ დასამალი, თავსაფარი ადგილი.

დაკარგეს, ამდენივე დაჭრილი დათვალეს. შავლეგოს მხრივ კი მხოლოდ ორი დაიჭრა, ისიც მსუბუქად. ბოლოს შავლეგო ამხანაგებით გამარჯვებული დარჩა. ტყვეები გაათავისუფლა და ლეკების მიერ გატაცებული ნადავლი უკან დაიბრუნა.

სოფელი დიდი აღტაცებით შეხვდა გამარჯვებულ შავლეგოს, დაჭრილებიც მალე განიკურნენ. განთავისუფლებულთა მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა:

ღმერთმა გიშველოს, შავლეგო,
შვილების დახსნისთვისაო;
ადამის დღენი იცოცხლე,
გქონდეს წყალობა ღვთისაო!

შავლეგო მთლად სისხლში იყო ამოსვრილი. მას მაშველი არ სჭირდებოდა, როცა პირდაპირ შეებმოდა მტერს. მის მდევისებურ ღონეს ვერავინ უმაგრდებოდა. არა ერთი და ორი შეხლა-შემოხლა მოუხდა შავლეგოს, მაგრამ იგი ყველგან გამარჯვებული გამოდიოდა. ხალხმა, შავლეგოს ასეთი ერთგულებისათვის, მოძმეთათვის თავდადებისა და ვაჟუკაცობისათვის ლექსი გამოუთქვა, რომელსაც დიდი და პატარა ფანდურზე დამღეროდა.

შავლეგოზე გამოთქმული ლექსი ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება კარგად დაემღერა და ლექსიც უკეთესი გამოეგონა, ამიტომ ეს ლექსი გამრავალფეროვნდა. სიმღერის კილო კი ძველი დარჩა.

აი, ერთ-ერთი ამ ლექსთაგანი:

შავლეგ, შენი შავი (და) ჩოხა,	შავლეგო!
სისხლში გაგიხამებია,	"
ყანიმები გიხდებოდა,	"
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა,	"
მაშველი არ გჭირდებოდა,	"
ოც ლეკს სიცოცხლე მოუსპე,	"
ამდენივე დასჭერიო,	"
გნოლივით რომ გაერიე,	"
გაჰკაფე და გასჭერიო,	"
ამით მოსპე შენ თარეში,	"
შენს ქვეყნის არე-მარეში,	"
ამის შემდეგ ჩვენში შეწყდა,	"
ი ურჯულოთა თარეში,	"

ამ ლექსს ფერხულში ასრულებდნენ. შავლეგოს ბევრი სხვა ლექსიც გამოუთქვეს — ფანდურზე დასამღერი.



შავლებო ხატი არ არის,
მაგრამ თაყვანს ვსცემთ დიდათა;
ლეკებს და ქართველებს შეა
მისი მკლავი გვაქვს ხიდათა.

ძველ დროში ლეკნი გვესხმოდნენ
მოპარვითა და ფლიდათა;
ქართლ-კანი ააწიოკეს,
ზარალი მოგვცეს დიდათა!

გაგვიჩნდა შავლო¹⁴⁴ მსხნელადა,
მთლად გადაიქცა გმირადა,
თათრები ასე იძახდნენ:
— ეს ვინ გაგვიჩნდა ჭირადა?

რა გვინდა ქართლში წავიდეთ
სიცოცხლის გასაწირადა;
რა გვინდა კახეთს ვიაროთ
შავლებოს გასაჩირადა!¹⁴⁵

როცა ათ-თორმეტს შეებმის,
გახდება ლოდათ-რკინათა;
გვიჯობს ჩვენს მთებში ვეყარნეთ
კუჭისა გასაჭირადა!¹⁴⁶

¹⁴⁴ შავლებო.

¹⁴⁵ დასამარცხებლად.

¹⁴⁶ სჯობს შიმშილი განვიცადო ჩვენს მთებშია, ვიდრე შავლებოს ხელში ჩავუვარდებოდეთო.

24. მოდისო მტერი, კახელო

(ქართლური ვარიანტი)

მოდისო მტერი, კახელო,
გადმოირა კლდენია,
დანახვისიდან¹⁴⁷ გამოჩნდა —
დიდხანს ჯავრი სჭირს ჩვენია!
ტლაშაძეებმა აფრინეს
მთხრობელთა რაზმი ჩვენია;
— ხვნა-თესვას ხელი გაუშვით,
არ დაგვიბნელდეს მზენია!
სამშობლო მტერს არ ჩავუგდოთ,
არ მივაყენოთ გენია!
ხანში შესული გახიზნეთ,
ბალლებიც მოსაშენია,
ვისაც რა მოგხვდეთ ხელშია,
მეზობლისა თუ შენია,
თან წამოიღეთ საგზალი,
კუჭისა მოსალხენია.
შეკრიბეს ხალხი მრავალი,
თარეშს დაუხვდნენ წინაო;
გაჩალდა ბრძოლა შემზარი —
წითლად აფერდდა ინაო.¹⁴⁸

სალამომდისინ გმინავდა
ყარყაბაზნელი¹⁴⁹ თინაო,
თორმეტ ლეკს თავი მოთალა,
ერთი გადუდგა წინაო,
ისიც შუაზე გაჰკაფა,¹⁵⁰
თან რჯული შეაგინაო!
გორის ციხესთან ჩამოსხდნენ,
ტყვე ჰყავდათ ძალზე მრავალი;
მეფეს მიჰვარეს ლეკები,
ი შორი გზიდან მავალი.
„მიირთვი, დიდო მეფეო!
გზა ალარა აქვთ სავალი!
ოთხკუთხივ შევუყორევით,
არ ექნათ მათ გასავალი!“
გამარჯვებულებს ბატონი
არ აკლებს სმას და ჭამასა,
და მღვდელიც ალარ აილებს
მათზე განერილ დრამასა.
როდესაც თარეშს ნახავდნენ,
ხშირად მოჰკრავდნენ ქამანდსა,
„მოდისო მტერი, ქართველნო“, —
მუდამ მღეროდნენ ამასა!

¹⁴⁷ მონასტერი მაღალ მთაზე — დანახვისაზე, სოფელ ხიდისთავის ახლოს. მოწმენდილ ამინდში აქედან მთელი ქართლი, თბილისიც კი „ტაშის გულივით“ მოჩანს.

¹⁴⁸ ე. ი. თათრების ინით შეღებილი წვერი სისხლით შეიღებაო.

¹⁴⁹ გეოგრაფიული ადგილი გორის მახლობლად, სადაც იდგა ეკლესია და იმართებოდა დღეობა — ყარყაბაზნობა.

¹⁵⁰ ზოგან ასეა: ერთი იმასაც უბოძა.

25. კახეთს მოადგა თარეში

— ეს თარეშიანობის დროის ამბავია, როცა ლეკთა ბრბოები დათარეშობდნენ ქართლ-კახეთის მიდამოებში, — მიამბო ერთმა ახალგაზრდამ ქალაქ სიღნაღში, — თუ რას სჩადიოდნენ, ეს თქვენც გემახსოვრებათ ისტორიიდან. მე მხოლოდ გაგონილს მოგახსენებთ.

ეს ამბავი გამიგონია ერთი მოხუცი მღვდლისაგან — ნატროშვილისაგან.

ერთ-ერთი თარეშის დროს ერთი ქიზიყელი მდევივით ვაჟკაცი, კარგი მუშა, მომღერალი და ასეთივე სიტყვა-პასუხის პატრონი, მეტსახელად „მგელ-კაცა“, წასულა სხვებთან ერთად მტრის შესახვედრად. ხალხში ხმა გავარდნილა: ლეკების თარეში გვიახლოვდებაო. ქალები და ბავშვები გაუხიზნიათ. ვისაც „პერანგის ზიდვა“ შეეძლო, ყველა ჯარს ამოსდგომია მხარში. ლეკები უახლოვდებოდნენ ბოდბისხევის მონასტერს: უნდა დაუნგრიოთ გურჯებს მონასტერი და გუმბათი სულ მთლიანად მოუფუშოთო. ჩვენებს, რასაკვირველია, სისხლი ყელში მოსვლიათ. — აბა, რახან ასეა, ეხლა ჩვენ ვიცითო! „მგელ-კაცაც“ ჯარში იყო. ისე დაერია ლეკებს, მართლაც, როგორც მგელი ცხვრის ფარას. ერთი აქეთ გაისროლა, მეორე ლაჯებში გაფხრინა; მესამეს კომბალივით ფეხებში წაავლო ხელი და მუსრს ავლებდა თათრებს. ერთი სიტყვით, ეს „მგელ-კაცა“ კი არა, „ლომ-კაცა“ ყოფილა. ჩვენებს ისეთი დღე დაუყენებიათ ლეკებისათვის, რომ ამბის წამლებიც კი არ დარჩენილა.

„მგელ-კაცა“ ლეკებს დაეცა,
როგორც რომ ქორი დედალსა,
თან მუსრს ავლებდა და თანაც
იძახდა: „აი, დედასა!“

ეხლავე ვნახავთ, გაგიჩენთ
სიმწარისაგან ბნედასა;
ერთმანეთს დაგაულეტინებთ —
დაგაკლებთ თვალთა ხედვასა.

„მგელ-კაცა“ მუსრავს, თან მღერის...
არ ინდობს არავისაო;
უცბათ თვალს მოჰკრავს მის გვერდით
ჯერ ახალგაზრდა ბიჭსაო.

გარს მტერი შემოხვევია,
გამქრალა კვალი გზისაო,
მაგრამ ეს ბიჭი, ვით ჩინჩევარს
ლენავს, აქა-იქ ტრისაო!

ვინც მისი კეტი იგემა,
შიშით დორბლებსა ჰყრისაო;
ცოფიანივით გაურბის,
იმალება ტყის პირსაო!

გაოცდა ჩვენი „მგელ-კაცა“,
ბიჭს უჭვრეტს, თან უკვირსაო;
ასეთი რამ არ მინახავს,
კაცი ვარ ადამ ხნისაო!

ეტყობა, ნაყოფი არის
ქართველი დედის რძისაო;
ეტყობა, ამირანივით
ნათლული არის ღვთისაო!

გასძახა: — ბალლო, აქ მოდი,
მითხარი, ვისი ძე ხარო,
ვისი დედისა, მამისა,
ან ვისი სატროვო მზე ხარო?!

ღმერთმა გაკურთხოს, გაგზარდოს,
მოგცეს ნათელი დღენია;
შენს დანახვაზე მოხუცსა
კუბოს წინ მომილხენია.

ეს თქვა და გადაეხვია,
ვით შვილი გულში ჩაიკრა,
მტერი შემუსრეს და სხვებთან
იმანაც ბარგი აიკრა.

ბოლოს გამოდგა ეს ვაჟი
„მგელ-კაცის“ გვარის ყოფილა,
მისი მამა და პაპაი
სოფლიდან გამოყოფილა.

შუა კახეთში დამდგარან,
იმ მხარემ დაიძმობილა,
„კახეთს მოადგა თარეშის“
ამბავი ასე ყოფილა!

26. ძლიერ სტიროდა

„ასე მაქვს გაგონილი... — ამ სიტყვებით დაიწყო მთქმელმა, — ეს თამარ დედოფლის დროის ამბავია. ხერხეულიძეების ერთი ყმა წაუყვანიათ საომრად. სახელად ბერუა რქმევია. მას ყოლია ცოლი და ექვსი შვილი: ოთხი გოგო და ორი ბიჭი, ერთიმეორეს მიმდევნონი — უიუმატები. ბერუა, გლეხის პირობაზე, არც ისე ხელმოკლე ყოფილა.

ერთი წლის შემდეგ მისმა ცოლმა — ოლამ — გაიგო საყვარელი ქმრის სიკვდილის ამბავი. მეფის კაცებს შეუტყობინებიათ, რომ ბერუამ თავი ისახელა ომშიო, მაგრამ ერთ საღამოს ყარაულებმა მკვდარი კი ნახესო. ეს თურმე თამარ მეფეს მოახსენეს. ძალიან შეწუხებულა მეფე და ბერუას ცოლისათვის კარგი საჩუქარი უბოძებია: საწყალს ობლები დარჩა და მათ პატრიონობა და მოვლა უნდათო.

მთელ სოფელს ელვის სისწრაფით მოედო ბერუას სიკვდილის ამბავი. ყველას ენანებოდა ასეთი ვაჟკაცის უდროოდ დალუპვა. სიმღერა მაშინვე შეთხზეს (ასე ყოფილა ძველად ჩვენში ჩვეულებად).

ერთ საღამოს, ზღუდრობის¹⁵¹ ღამის თევაზე მილეთის ხალხს თავი შეეყარა.

ყველა ღამის თევაში ატარებდა ხოლმე დღეობის წინა საღამოს. ხალხის ერთ-ერთ ჯგუფიდან მოისმა რაღაც ნაღვლიან კილოზე, გულჩამთუთქველი სიმღერა, მომღერალი იყო ყველასათვის ცნობილი და საყვარელი გლეხი თევა, სოფელ ერგნეთიდან; ვინც ფანდურზე დამღერილ სიმღერას ყური მოჰკრა, ყველა სმენად გადაიქცა თურმე. სიმღერა ასეთი იყო:

ძლიერ სტიროდა,
რისთვის სტიროდა?
— ქმარი მოუკლეს, —
მისთვის ტიროდა!

ობლები დარჩა,
საწყალ ოლასა,
დახმარებას თხოვს
მაზლსა — გოლასა!

¹⁵¹ ზღუდრობა — დღეობაა, რომელსაც დღესასწაულობდნენ ძველად. ზღუდრის ეკლესია ცხინვალის მისავალშია, მაღლობზე, მარჯვნივ, თუ გორიდან მიემგზავრება კაცი.

ძლიერ სტიროდა,
რისთვის სტიროდა?
— ქმარი მოუკლეს, —
მისთვის სტიროდა.

ყველა გადარჩა,
ბერო იქ დარჩა,
მის ცოლს ოლასა
ობლები დარჩა.

„ეხლა ამ ლექსს გუნდში მღერიან. ჩემს პატარაობას გამიგია ეს სიმღერა, — დაუმატა მთქმელმა. — სტირზედაც მომისმენია ჯარიაშნელ დოდესაგანაო“. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იმავე სოფელ ჯარიაშენში იმავე გვარის განთქმული მესტვირე გამოჩნდა. ამ მეორე მესტვირესაც დოდე რქმევია. გვარში დარჩენილის თქმით, რამდენადაც მათი წინაპარი დოდე წარმოსადეგი ვაჟუაცი იყო, იმდენად ეს მეორე დოდე მახინჯი და შესაზარი სახისა გახლდათო. ამ სიმღერის მესტვირული კილო აღარ მახსოვესო.

შვილის დაკარგვას გამნარებული ბერუას დედა ზარის ხმით ასე მოსთქვამდა თურმე:

მისმა სიყრმემ არ იხაროს,
ვინც გაგიპო, შვილო, გული;
სიბერის დროს სატანჯველად
დამიტოვე ექვსი სული!

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
ეშმაკს როგორ მივცე თავი,
რომელ წყალში გადავვარდე,
გავხდე ქვეყნის სალანძლავი!

ჩემი სისხლ-ხორცის ნაწილო,
ობლობაში გამოზრდილო,
რაზე დამწვი-დამანელე,
გენაცვალოს დედა, შვილო!

ხალხო! ნუთუ არ გებრალვით?!
გეხვეწებით ცრემლის ნთხევით,
რაღა საცოცხლებელი ვარ,
ქვით და ლოდით ჩამქოლევით!

27. გრიგოლ გრიგოლაშვილის ლექსი

„ჩვენი პაპის პაპა გადმოსულა გურიიდან, სოფელ ხიდისთავიდან და დასახლებულა ქართლის სოფელ ხიდისთავში, აქედან კი ცოტა ხნის შენდეგ გადაუნაცვლია ადგილი და საბოლოოდ გადასულა სოფელ ატენში საცხოვრებლად. მის შემდეგ ჩვენი გვარი ცხოვრობს ატენში — მიამბო მიხეილ ნონიკაშვილმა, — ჩვენს წინაპარს ქართლში უცხოვრია სრული ორმოცი წელიწადი. სახლი აუშენებია ატენის ტაძრის — სიონის — დაბლა. სიონის ტაძარს ერთგულად თვალ-ყურს ადევნებდა და ძალიან კარგად უვლიდა თურმე“.

„მოგახსენებთ, — განაგრძობს ნონიკაშვილი, — მეფე ერეკლეს შემდეგ ატენის ახლომახლო ტყეებში გამოჩენილან ლეკები. სადაც კი გაივლიდნენ, ყველას შავს დღეს აყენებდნენ: ცარცვამდნენ, ტყვეები მიჰყავდათ. ერთი სიტყვით, რაც უნდოდათ, იმას ჩადიოდნენ. ძალზე აანიოკეს დიდი თუ პატარა. ასე გრძელდებოდა მათი თარეში. ამ დროს, ილბალზე, ჩვენში გამოჩნდება გრიგოლ გრიგოლაშვილი. ეს ჩვენი მფარველი იმ წამსვე შეჰკრებს ტალიკ-ტალიკ ბიჭებსა და ხან ერთ ადგილს და ხან მეორეს უხვდება ლეკებსა და სულ ბურტყელს აცლის, იქამდის შეაშინა ისინი, რომ შიშის ქარი გაუჩინა ყველას. ვინც დახოცა, ხომ დახოცა, ვინც ცოცხალი გადარჩა გრიგოლაშვილის რაზმს, ძლივს მოახერხა თავის შველა, ჯანდაბას გადაიკარგნენ თურმე.

ეს რუსის ხელმწიფის ყურამდის რომ მისულა, იმას შემოუთვლია: — ვინ არის ასეთი ყოჩალი, რომელმაც ლეკებისაგან გასწმინდა ატენის ხეობაო, რასა მთხოვს, რომ მივცეთ, დავასაჩუქროთო. გრიგოლაშვილს შეუთვლია: ატენის ხეობა მიბოძეთ, თუ არ გამირისხდებითო, რუსის ხელმწიფეს თხოვნა შეუსრულებია და მის შემდეგ ატენის ხეობა გრიგოლაშვილის კუთვნილი გამხდარა. ერთხელ კიდევ მოუხდა გრიგოლაშვილს ლეკებთან შეხლა, მაგრამ გრიგოლს ისეთი დღე დაუყრია, რომ მათი ცოდვით ქვებიც კი ტიროდნენო.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ლეკების სინსილა მთლად გაწყვეტილა“.

ლექსი გრიგოლაშვილზე

მინდორს მოედო კალია, —
ლეკი, რჯულითა ძალლიო,
გამუსრა ქართლის სოფლები,
მოგვედო სიმწრის ალიო!

სუყველა ტყვედ წაიყვანა,
ვისაც ევლება თვალიო.
ცისმარე დღე არ გვასვენებს,
თითქოს გვემართოს ვალიო!

ჩვენში გამოჩნდა გრიგოლა,
შეკრიბა გლეხთა ჯარიო,
ერთი მაჩვენეთ დინგ ძალლი,
მათი ბინა სად არიო?!

ლეკებს კვალდაკვალ მისდევდა,
მას არ უმტყუნებს თვალიო,
შემოერტყმევა რკალივით,
ვით საყდარს გალავანიო!

საჭმელი მთლად გაუწყვიტა,
თანაც შეუკრა წყალიო;
შიმშილისაგან წყდებოდა
კაცი იყო თუ ქალიო!

ვინც დარჩა, ეხვეწებოდა,
გრიგოლ, გაგვიხსენ კარიო,
გადვიკარგებით მთებშია,
გაგვიხმეს ფეხის კვალიო.

გრიგოლმა კაცი აფრინა,
„თქვენ გაგეხსნებათ კარიო,
თუ დაგვიბრუნებთ ყველაფერს,
რაც ნაქურდალი არიო!

თორემ ისეთ დღეს დაგაყრით,
გულს გწვავდეთ ცეცხლის ალიო,
ქვა-ქვაზე აღარ დაგტოვებთ, —
ჩემი სიტყვა ეს არიო!“

ჩამოუტანეს გრიგოლას,
რაც კი ნაძარცვი არიო,
ერთ კაცს წვერი მთლად გაპარსა:
„ეს საწინდარი არიო!

არ გნახოთ ქართლში თარეშად,
არც ვნახო თქვენი კვალიო!“
გაკრეჭილი შინ დაბრუნდა,
თითქმისა ცოცხალ-მკვდარიო;

სახე სულ დაჯეჯგნილია,
თითქოს დუქარდით¹⁵² არიო!
მას შემდეგ ატენში ლეკის
ჭაჭანებაც არ არიო.

ამ ლექსის გამომთქმელი კი
აბაზაშვილი¹⁵³ არიო!

¹⁵² ცხვრის საპარსი მაკრატელი.

¹⁵³ აბაზაშვილი გიო — გრიგოლ გრიგოლაშვილის კარგი მეგობარი ყოფილა (მთქმელის შენიშვნა).

იმავე აბაზაშვილს თავის თავზე ლექსი გამოუთვამს მილიციის ჯარში ყოფნის დროს:

გავბრიყვდი და ჩავეწერე
პირველ მილიციის ჯარსა;
მე მეგონა კახეთს წავალ,
შემოვივლი მთას და ბარსა!

„თქვე მამაძალლის ოხებო,
ნუღარ ფიქრობთ დედ-მამასა!
ეს ასე უნდა ისწავლოთ,
როგორც სცოდნია სალდათსა!“

ქალაქში რომ ჩამიყვანეს,
გავუსწორდი ამხანაგსა;
ნინ „კამანდირი“ მიგვიძლვის,
ხვედასავით აქნევს თავსა;

ვერ ვისწავლე „ნაპრაოი“,
ასკილივით ვაქნევ თავსა,
„ნალევა“ მთლად დამეკარგა,
ი ოხერა ჯანდაბასა!

გავბრიყვდი და ჩავეწერე
პირველ მილიციის ჯარსა!

28. ოპა ბეთაშვილზე

|

ძველ დროს სოფელ ზემო მაჩხაანში ცხოვრობდა ერთი გლეხი, ძალზე ღონიერი და შესახედავად კარგი წარმოსადეგი. სოფელ მაწივში მას ჩასაფრებიან ლეკები. ურეშში ყევარი ხარკამეჩი ბმია. ლეკებს მოუკლავთ ორი ხარი და ერთი კამეჩი. ოპას დაუჭერია შვიდი ლეკი, შუკრავს, დაუდვია, დაუკოჭია ურემზე, თითონ შებმულა უღელში და ასე ამოუყვანია სოფელში — ზემო მაჩხაანში. ამ შვიდი ლეკიდან ექვსი ნათესავმა გამოისყიდა ტყვეობიდან — მიყენებული ზარალი ერთი-ორად ზღვეს. ერთი ლეკი დარჩენილა სოფელში. არ მოინდომა დაბრუნება. შეურთავს ქართველი ქალი და ზედსიძედ შესულა. ამ ლეკს გვარი შეუცვალეს ლეკიშვილად. დღესაც ეს ლეკიშვილები 4-5 კომლია.

ხალხმა ოპა ბეთაშვილს ლექსი გამოუთქვა:

ეს ოპა ბეთაშვილიო
ვაჟუაცი არის მდევია;
კახეთში, ანდა ქართლშია,
ვინ არის მის მომრევია?!

წამოსადეგი ვაჟუაცი,
თანაც ლექსების მთქმელია;
თითქმის ერთ სოფელს დახვდება
ბარაქით შემძლებელია!

როცა რამ საქმეს მორჩება,
ლიმილით იტყვის „ჰოპასა“,
მიტომაც მას დაარქმევენ
მეტსახელადა ოპასა!

ერთხელ შეშისთვის წავიდა
ურმით ეს ჩვენი მდევია;
სოფელ მაწივში დახვდება
ლეკები, როგორც სჩვევიათ!

გადუდგებიან ოპასა,
ფიქრობენ მასთან ბრძოლასა;
ტყვედ წაიყვანენ ლეკეთში
სახეიროდა ყოლასა!

რომ არ დანებდა ოპაი,
მიმართეს სულ სხვა ხერხსაო;
ყევარში სამი მოუკლეს,
დაუტოვებენ ერთსაო.

გაბრაზდა მდევი-ვაჟკაცი,
დაერია ტლუ ხელითა,
შვიდი ლეკი რო შეკონა,
ურემს დააკრავს წნელითა!

თვითონ უღელში შეება,
ტოლიც კი გადაიტანა,¹⁵⁴
ასე, ამრიგად მაჩხაანს
ურემი ამოიტანა!

სოფელმა ეს რო გაიგო,
მოზღვავდა მაყურებელი;
ლეკებში ხმა რო გავარდა,
იმ წამსვე გაჩნდა მთხრობელი.

ლეკები გამოისყიდეს,
ექვსი თან წაიყვანესო,
მეშვიდემ დაგმო თათრობა,
ჩვენში ძმად აიყვანესო.

მოჰგვარეს ლამაზი გოგო,
ჯვარიც კი გადასწერესო;
მას ლეკეიშვილი უწოდეს,
გული რომ დააჯერესო.

ლეკი ოპას არ მოშორდა,
მის ახლოს დასდო ბინაო;
შვილები მოანათვლინა,
ცოცხლები რომ ჰყავს შინაო.

ლეკებმა ეს რომ გაიგეს,
აუტანია კანკალსა;
პირველად უსაფრდებოდნენ,
ფიქრობდნენ ლეკის დაკვლასა.

ეს რომ ოპამა გაიგო,
ხმა მიაწოდა მთაშია:
„თუ ცუდი რამე გაბედეთ
და გაიფიქრეთ თავშია,

ამოვალ ჩემი ბიჭებით,
ამოვალ ცოტა ხანშია,
მთელ სოფელს აგინიოკებთ,
გაგულეტთ, გადაგყრით ხრამშია!“

შეშინდნენ ურჯულოები,
ხელი იტაცეს თმაშია,
მას შემდეგ მათი სინსილა
გააწყო მაჩხაანშია!

¹⁵⁴ მეტი სიმძიმე თითონ ზიდაო.

კიდევ ოპა ბეთაშვილზე

აბა გვითხარი, ოპაო,
ამბავი ლეკებზედაო;
შვიდნი რომ დაგვხვდნენ მანივში¹⁵⁵
ერთს გეცნენ ზედი-ზედაო!

შენ მაშინ გიყოჩალნია,
დაგიკრავს ურემზედაო:
მოგითრევია სოფელში
გათანგულ უბეზედაო!

— ულვაშაშლილი ვიყავი,
ჯანი კი მქონდა მდევისა,
სამ-ოთხ კაცს ფიჩხად ვკონავდი,
ღვედსა ვწყვეტავდი კევისად.

სოფელში თავი ვიყავი,
არ გავუშვებდი დლესაო,
რომ არ მებლუჯა ურჯულო,
თუ შევხვდებოდი ლექსაო.

მანივში საძნე ურმითა
ნავედი შეშისთვისაო.
ყევარი გამოუშვი და
არ ვფიქრობ შიშისთვისაო.

ის იყო უნდა დამედო,
უცბად მომესმა ხმაური;
სადაც ყევარი გაუშვი,
იქ ატყდა აურ-ზაური.

ასტყდა პირუტყვთა ბლავილი,
მივეშველევი მეცაო,
მაგრამ ურჯულოთ დაეჭრათ
სამი, ვით ტყვია, მეცაო.

ჯერ კეტით დავერიევი,
შემდეგ მივყავი ხელია,
მითეთქვილები შევკარი,
იქვე დავგრიხე წნელია!

ჩავკოჭე ურმის უბეზე
შვიდი, როგორც რომ ერთია,
უღელში მეცა შევები,
ვახსენე დიდი ღმერთია!

ამოვიტანე მაჩხაანს,
დავყარე სახლის წინაო;
მომაწყდა მთელი სოფელი,
არავინ დარჩა შინაო!

ბიჭები მანივს ვაფრინე,
ორი საბარე ურმითა,
ორი ხარი და კამეჩი
დაჩეხილები შურითა,

სუყველა დაკოდილიყო
ურჯულოების ხმლითაო,
იცოცხლე, ვაზლვეინევი
ერთი სამათა, თვლითაო!

ლეკეთში ხმა რომ გავარდა,
გამოგვიგზავნეს მთხრობელი:
„ოღონდ ეგენი გვიცოცხლეთ,
თუ გნამთ ქართველებს მშობელი,

რასაც გვიბრძანებთ, გადვიხდით,
არ ვიქნეთ თქვენი მგმობელი,
დღეიდან თქვენი ვიქნებით
ძმასავით შემაწყობელი!“

¹⁵⁵ სოფელი კახეთში.



სანამ ჩვენ გვყავდნენ, ვუვლიდით,
სულ მუდამ ვაპურებდითო;
მხოლოდ ტალიკა ბიჭებსა
რიგ-რიგად ვაყურებდითო.¹⁵⁶

შვიდშია ექვსი გავუშვით,
ზარალი ერთი ათადა
გადახადეს ლეკებმა, —
გვიბოძეს თავის-თავადა.

მეშვიდემ გვთხოვა დარჩენა,
ვაჟუაცი იყო კარგიო;
გვინდოდა მონათლულიყო,
ეს იყო სოფლის დარდიო.

ლეკმა ღიმილით მიიღო
— მეც იქა, სადაც თქვენაო.
ხალხმა დასტური მისცა და
შევიკედლევი მენაო.

ხალხს გაეხარდა, მოვნათლეთ,
მოვნახეთ კოხტა ქალიო,
როგორც ცისკარი, ნათობდეს
ნეფე და პატარძალიო!

ეს ლეკი დავისახლევით,
გაგვიხდა ღვიძლი შვილია;
გვარიცა გამოვუცვალეთ,
დავარქვით ლეკიშვილია.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო,
გამრავლდა ჩვენი ლეკია,
მთელი სოფელის თვალია,
ყველას გაუჭრა ნეკია.¹⁵⁷

თარეშიც შეწყდა, ჩვენს ახლოს
მათი სინსილა გაწყდაო,
ვინც მე დამიკლა მოზვრები
იმისი სული წაწყდაო!

ეხლა რაღა ვარ ვაჟუაცი,
ასა გავუსწარი წინაო,¹⁵⁸
უნინ თუ მქონდა მგლის მუხლი,
ეხლა ვხანხალებ შინაო!

მკლავიც შესუსტდა და თვალიც
ბურუსში გახვეულია;
ოპაი, ერთხელ როსტომი,
ეხლა მთლად დაბნეულია!

29. ბატონო, თავი მანებე...

— ბატონო, თავი მანებე,
უღმერთოდ რაზე მტანჯავო,
რაც ღონე შემწევს, მასზე მეტს
შენს სასარგებლოდ ვხარჯავო!

ცოლ-შვილი დამიტოვია,
არა მაქვს ლუკმა სახლშია;
მეც ქუდი მხურავს, კაცი ვარ,
ნუ გამომწყვეტავ ხალხში!

¹⁵⁶ ვაყარაულებდით.

¹⁵⁷ დაგვიძმობილდაო.

¹⁵⁸ ას წელს გადავცდიო.

სულ მუდამ შენს კარზე ვდგევარ,
ხვინაში არის თუ მკაშია,
შემოდგომაზე ქოჩოჩიც
აღარ მეგდება ძარშია. —

ეს სთქვა და ციბლამ ბატონსა
ტყვია ჩაურჭო თავშია,
თითონ კი გადაიკარგა,
ცოლ-შვილი დარჩა სახლშია.

ყველა ბატონს ეს დღე ელის,
ვისაც აიტანს წერაო,
ვისაც თვალში ამოვილებთ,
გაუცივდება კერაო!

— პური როგორც უღვარძლოდ არ შეიძლება, ისე ბატონები არიან ღვარძლები, მტანჯველები გლეხისა, — ასე დაიწყო მოხუცმა ხომასურიძე ლადამ, — ერთი ბატონი ძალზე აწუხებდა და სტანჯავდა თურმე გლეხებსა. ისე უდიერად ეკიდებოდა ის არცხონებული, რომ, თუ ვინმეს თვალში ამოილებდა, ან გაანადგურებდა, ანდა ჭუაზე შეშლიდა. გლეხებმა რამდენჯერმე მიუგზავნეს თურმე სხვა სოფლის კაცები, მაგრამ, თქვენ არ მომიკვდეთ, ის აინუნშიაც არ იგდებდა: რაო, ტყაპუჭებმა შენც გამოგგზავნესო?! — ეტყოდა თურმე ბატონი, — მეორედ თუ მოსული გნახე, იცოდე, შენს თავს გავასახრინებო. — ასეთი საუბრის შემდეგ რამდენიმე დღეს სულ ალენილი ბოლთის ცემაში ატარებდა ბატონი; შემდეგ კი ფილენჯი ისევ მოუვლიდა და ვაი იმისი ბრალი, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა.

იმ სოფელში ერთ ახალგაზრდა ბიჭს — გლეხს ცოლი მოუყვანია საიდანლაც გალმა მხრიდან. ეს ქალი თურმე ოსი ყოფილა. გლეხს, სახელად ციბლას, რომ ვერ გაუბედნია ძლვენის მირთმევა ბატონისათვის, თავის სიმამრი, გოროზი კაცი მიუგზავნია, თან კარგი დიდი თაბახი ძლვენი გაუტანებია. ბატონს მიუღია ეს მოხუცი ოსი ციბლას სიმამრი ასე „ნახევარი ყბითა“. გამოუკითხავს ოსისათვის ვინაობა და მიულოცნია ქალის გაბედნიერებაც. ბოლოს დაუმატებია: რატომ ციბლამ თავის პატარძალი არ მაჩვენაო, მეც დავასაჩუქრებდი რითიმეო. ოსი მიხვედრილა ბატონის სიტყვების აზრსა და არც უციებია და არც უცხელებია, ასე უთქვამს: — ბატონო! ჩემმა სიძემ ვერ გაგიბედათ დაპატიჟება და არც ცოლს გაჩვენებთ, რა საჭიროა, თუ ჩემს სიძეს კარგად მოეპყრობით, მე ვიცი და ჩემმა კაცობამა და სინდისმა, როგორც გადაგიხდით პატივისცემასაო; ის კარგი ბიჭია, გლეხის კვალობაზე და თქვენი მორჩილიც, თუ კარგად მოეპყრობითო. მე შენ გითხრა ძალა და ღონე არ შესწევს. ეგ არ იყო, გახსოვთ, შარშან ზამთარში, რომ უშველებელი დათვი კურდლელივით გაგუდა, ხელში კი არაფერი იარაღი არ ჰქონდაო, ერთი სიტყვით, ოსმა თითქოს გააფრთხილა ბატონი.

ბატონს მოუკრავს თუ არა თვალი ციბლას ცოლისათვის, მოურავი მიუგზავნია: ციბლავ, ხვალ სტუმრები მეყოლება და აბა შენ იცი კარგი ძლვენი მომართვი და შენი დედაკაცით მეწვიეო. ციბლას არ ჭაშნიკებია, მაგრამ ძლვენი მაინც მიურთმევია, ცოლი კი არ მიუყვანია. ბატონს არ სიამოვნებია ციბლას ურჩობა. რამდენჯერაც მოუვიდოდა სტუმარი ბატონს, იმდენჯერ ბიჭს

აფრენდა თურმე ციბლასთან ძლვენის მისართმევად. თანაც ციბლას იმსახურებდა ისე, რომ საწყალი ბიჭი ვერაფერს აკეთებდა თავის პატარა მამულში.

ერთხელ ციბლამ არ შეასრულა ბატონის ბრძანება, ამან კი წყეული ბატონი ისე გააცოფიანა თურმე, რომ დაემუქრა: ეხლა მე ვიციო. სახლსა და კარს გავუპარტახებ, რადგან ჩემი ბრძანება არ აასრულაო.

ერთ სოფლის დღეობის დროს, როცა გლეხობას თავი მოეყარა ეკლესიის გალავნში, ბატონი შეზარხოშებული მისულა გლეხებთან და ერთი მათგანი უმიზეზოდ გაუმათრახებია. ციბლა იმ დროს იქ ყოფილა. ისიც გადაკრულში. წამოსარჩლებია გალახულ გლეხს და ასე მიულექსია:

როდის მოიშლი ბატონო,
ჩვენი გლეხეკაცის ტყეპასა;
როდის მორჩები, იკმარებ
საწყალი გლეხის დღვებასა?

ბატონს მგელივით შეუბლვერია, მაგრამ თავი შეუკავებია, რადგან შეშინებია — ვაითუ ამ ბიჭებმა კაი დღე არ დამაყარონო. მაშინ რაღა ბატონი ვიქნები, მაშინ აქედან უნდა ავიყაროო. წასვლისას თავის მოურავისათვის უბრძანებია: ეგ ძალლის წინილი ხვალ მომგვარე, ვაჩვენებ მაგას, თუ როგორ უნდა ბატონის გალექსვაო. ციბლა ამას ელოდა. არ წასულა, კინაღამ მოურავიც მიუბერტყია. ამ ამბავს ისე გაუგიუებია ბატონი, რომ თავის ფეხით მისულა გლებ ციბლასთან და ისეთი დღე დაუყენებია ლანძლვა-გინებით, რომ გლეხეკაცები კანკალს აუტანია. ციბლა დერეფანში მდგარა. თურმე თავს იკავებდა. ბოლოს, ვერ მოუთმენია და გაბედულად უთქვამს ყველაფერი, რაც მას ადარდებდა. გლეხებსაც გამოქომაგებია. ბატონს მათრახი მოუღერებია. თავმოყვარე ციბლას კედლიდან ჩამოულია თავისი სიათა და ტყვია შიგ შუბლში ჩაუჭედნია ბატონისათვის. ხალხი შეგროვილა. ატეხილა ვაი-ვაგლახი. ციბლას საწყალი ცოლი მიჭრილა სახლში თუ არა, იქვე გულწასული მოსხვებილა. ბატონი წაუყვანიათ თრევით თავის ბინაზე. ციბლა მივარდნია ცოლსა, გადახვევია და ასე უთქვამს: ნუ შეშინდები, მამაშენთან დაბრუნდი, იქიდან უგდე თვალ-ყური სახლ-კარს. სულ ერთია, ეგ ძალლი ჩემი წერა უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდაო. ჩემი დარდი ნუ გექნება. მე იქ, შენს სამშობლოში, გინახულებ, შეიძლება ჯერჯერობით აქ არც კი მოვიდეო. მეზობლები ციბლას დაჰპირდნენ სახლზე თვალის დაჭერასა და დახმარებას. ციბლამ ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში თავისი ცოლი და მოწყდა იქაურობას.

ხომ მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის წესი და ადათი — ლექსი გამოთქვეს და თან სიმღერაც მოაბეს:

იყო ერთი წაწყმედილი
მთელი სოფლის ბატონი,
გლეხეკაც არ ახეირებდა
თუ არ ჰყავდა პატრონი!

დათარეშობდა სოფელში
მანანწალა მგელივით,
პატარძალს თუ თვალს მოჰკრავდა,
ოხუნჯობდა ბელივით!



სოფელმა შუა კაცები
მიუგზავნა ბატონსა,
ცუდი ქცევა მოეშალა
ამ დიდ სოფლის პატრონსა.

მაგრამ ვერათრით ვერ იქნა
იმ ძალლის მორჯულება,
თანდათან კი მატულობდა
ამ ბატონზე თქმულება!..

ციბლამ ცოლი მოიყვანა
სოფელ ბიეთიდანა;
ლამაზია ოსის გოგო,
არ ვინ არის მისთანა!

ბატონმა რომ თვალი მოჰკრა,
დაჰკარგა მთლად გონება,
ამ დღის შემდეგ შეეჩინა
გულის წვა და გოდება!

ბევრჯელ სცადა ფლიდი ენით
ციბლას გადაბირება;
მაგრამ ციბლამ არ ისურვა
რაიმე დაპირება!

ბატონს გულზე ჯავრი აწევს,
რომ ვერ ჩაჰელა უინიო;
თვითონ გასწევს ციბლასაკენ,
არ დასჭირდა გზირიო!

დაუძახებს: — ჰეი, ბიჭო!
რად დაჰკარგე წესიო;
ცოლი რად არ გამასინჯე,
მთიდან გასაქლესიო?

ციბლამ გულში ჩაიცინა,
თოფი იგდო ხელშიო;
ტყვია სტყორცნა და ბატონი
მთლად გადახსნა წელშიო!

მიაძახა: — ასეთია
ჩვენი გლეხის წესიო;
ამისი გამომთქმელია
ყანჩავლიანთ მწყემსიო!

30. ტანტალა ბესარიონზე

მთქმელი: ბესო ხარ თუ ბესარიონ,
რა მესაქმებაო!

მოპასუხე: ჩვენი სოფლის გოგოებთან
რა გესაქმებაო!

მთქმელი: ცოლი გყავს და ხუთი შვილი
ზედი-ზედ წყებაო,

მოპასუხე: ბატონისგან ასეთი რამ
როგორ იქნებაო!

მთქმელი: შენ ბატონობ ჩვენს სოფელსა,
შენია ძალაო!

მოპასუხე: მაგრამ გლახას თუ ჩაიდენ,
აშკარავდებაო!

მთქმელი: შენი შიშით ახალგაზრდას
არ გაევლებაო,

მოპასუხე: რაც შენ მსხვერპლი შეგინირავს,
ვერ დაითვლებაო!

მთქმელი: გარენილობა მოიშალე,
ნულარ იზამ ავსო,
მოპასუხე: უბრალოდ ნუ გაიფუჭებ,
ბატონო, მაგ თავსო!
მთქმელი: თორემ ჩვენი „სხვილკისერა“
სოფლის ბოლოს ხნავსო!
მოპასუხე: თუ გაიგო, გაცოფდება,
არ დაგმართებს კარგსო!

მთქმელი: ჯვარედინად გადაგიპობს
მაგ ხოკერა თავსო!
მოპასუხე: ამ შენ ლეშსა გადაუგდებს
დიდბერუანთ ძალლსო!
მთქმელი: მაგრამ ხალხის დარიგება
არ შეუშვა ყურში,
მოპასუხე: ბატონი სულ სხვაზე ფიქრობს,
სხვა რამ უდევს გულში!..

მთქმელი: იმავ სოფლის „მსხვილკისერამ“
სხვას ალარ აცალა
მოპასუხე: და სიათის ტყვიით ბატონს
თავი მოუკალა!

„ბუზიკის“ თანხლებით ორი ქალი ერთმანეთს სიტყვა-პასუხობს: ბოლოს ორნივ ერთად მღერიან.

ზემო ქართლში უცხოვრია ერთს ძალზე მხეც ბატონს, რომელსაც ცოლი ჰყავდა ყოველმხრივ კარგი თვისებებით შემკული. მან ბევრი უშალა თურმე თავის ქმარს, ბევრჯერ შეურცხვენია კიდევაც, მაგრამ ბატონს თულობა მაინც არ მოუშლია.

ხალხმა, როგორც ყოველთვის, ბევრი უთმინა, ბევრჯერ საპატიო კაცებიც მიუგზავნა, რათა დაეშალა ცუდი ზნე-ჩვეულება, მაგრამ იმან მაინც მრუშობა არ მოიშალა.

ეს ყველაფერი იქაურმა ერთ-ერთ მკლავმაგარმა გლეხმა მეტსახელად „მსხვილკისერამ“ შეიტყო. მოურავის პირით შეუთვლია და გაუფრთხილებია კიდეც. ბატონი გაჯავრებია მოურავს: რატომ გაგიბედა იმ ტურტლიანმა ეგ სიტყვებიო ან კი შენ რაზე გაალანდლინე შენი ბატონიო; ახლავე მომიყვანე ხელ-ფეხ შებოჭილიო. ბატონი და მისი მოურავი გარეთ აივანზე ყოფილან ამ ლაპარაკის დროს. „მსხვილკისერა“ ბეღლის უკან ჩასაფრებული უსმენდა.

მოურავი წავიდა ბრძანების შესასრულებლად, ბატონი გადმოდგა აივნის მოაჯირიდან და თვალს ადევნებდა მას. ამ დროს იჭექა საიდანლაც თოფმა და ტვინდანთხეული ბატონი მოაჯირიდან მოწყვეტილი გადავარდა ძირს — მიწაზე.

სროლის ხმის გაგონებაზე ხალხი მოგროვებულა. კნეინა იმდენად ყოფილა გაოგნებული და შენუბებული თავის ქმრის საქციელით, რომ ცრემლიც კი არ გადმოუგდია. მისულა ქმრის გვამთან და გაბრაზებით მიუხლია:

ვენაცვა იმის მარჯვენას,
ვინც თავის ქალა აგხადა,
ვინც საქვეყნოდ სალანდლვავი
და სასაცილო გაგხადა!

31. აღარ მწადია ცხვარშია

აღარ მწადია ცხვარშია,
ნეტავი დამსვა შინაო;
ბატონის სახლის მაგივრად
ნინასთან მომცა ბინაო.

მე, ამის გაგონებაზე,
ზღარბივით მიმეძინაო,
გული სადლაც გაიპარა,
თოლიასავით ვლრინავო.

უკან ყინული დამიდო,
ნაკვერჩხალი კი წინაო;
რათ მინდა ჩემი სიცოცხლე,
თუ შორს იქნება ნინაო!

ბატონი კი მეუბნება:
— ბიჭო, დაბრუნდე შინაო!
მკითხავსაც კი ვაკითხვინე,
თუ ვის ერგება ნინაო;

ცხვარში როცა ვარ, სულ ვფიქრობ:
მალე დავბრუნდე შინაო;
ფესტამლად გადავიქცე და
ნინას ამაკრა წინაო!

ერთი ოქროც კი ვაჩუქე,
თან ფეხი წავდგი წინაო!
მკითხავმა რო შემომხედა,
გიჟივით გაიცინაო:

ან არა რწყილად მაქცია,
უბეში ჩამაძვრინაო:
გრუზინსკის გოგოს — ნინოსთვის
ძუძუზე მაკბენინაო.

ტყუილად თავს ნუ იტანჯავ,
სხვისა იქნება ნინაო!
წადი, შენს ცხვარს მოუარე,
აღარ დაბრუნდე შინაო;
ან თათრებში გადიხვენე,
უბედურად ნუ ქშინავო!

კნეინამა მაჭანკლები
სუყველა დაითვრინაო;
ნინაზე არაფერი თქვათ,
არ წამოდგეთ ჩემს წინაო.

გულდაწყვეტილი დავბრუნდი,
გულმა დამიწყო გმინვაო,
რა გულმა უნდა გამიძლოს,
სხვის მკლავზე ვნახო ნინაო?!

თავად გრუზინსკის ჰყოლია ყმა, სახელად პეტრე. ეს ახალგაზრდა თავისი მოხდენილი სახითა და სილამაზით მთელი სოფლის ყურადღებას იპყრობდა. მისი სიღინჯე და სიმამაცე განთქმული იყო. თანაც მშვენიერი სიმღერა და ფანდურზე დაკვრა იცოდა. ბატონმა რამდენჯერმე შესთავაზა პეტრეს შინა-ყმობა, ხელზე სამსახური, რაც თითქოს მეცხვარეობაზე ადვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პეტრე ამაზე ყოველთვის უარს ამბობდა:

რათ მინდა სახლში ჭრიალით
ბოლმა ვარგუნო ყელსაო;
რა სჯობს გაშლილსა მინდორსა
ან ამწვანებულს ველსაო?!

ბატონის მსახურ მოახლე ქალთა შორის არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩეოდა ნინო. ნინოსა და პეტრეს ერთმანეთი შეყვარებიათ. პეტრეს ნინოს ხელი უთხოვია ბატონისათვის, მაგრამ გადაწყვეტილი უარი მიუღია. გულგატებილი პეტრე ოსმალეთს გადახვენილა. ერთხელ ფოთის ნავსადგურში შეხვედრია იგი თავის თანასოფლელს. მივარდნია ეს კაცი პეტრეს და უკითხავს: — პეტრე, აქ რათა ხარ? სამშობლო რად გაგინირავსო? პეტრეს ნალვლიანად გაუღიმია და უთქვამს:

უკანას უთხრა წინამა
ეხლა შენ გასწი წინაო;
ჩემი აქ გადმოვარდნისა
მიზეზი არის წინაო!

გლეხმა ურჩია პეტრე შინ დაბრუნება, გზის ფულიც შესთავაზა თურმე, მაგრამ პეტრემ უპასუხა:

რომ იცოდე ჩემი დარდი,
არაფერს არ მკითხავდიო;
არც ფულებს დამპირდებოდი,
არც მეტყოდი, შინ წადიო!

მე დამწვარი ვარ გულითა,
სიყვარულით დატანჯული;
რათ მინდა შინ დაბრუნება,
ანდა შენი ოქროს ფული!

მე მინდა დარდი გავფანტო,
ნათელს ვერა ვხედავ დღეში,
გადავწყვიტე, გადვიხვენო
იმ ურჯულო სათათრეში!

32. გაფრინდი, შაო მერცხალო...

I

გაფრინდი შაო მერცხალო,
გაჲყე ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამოგვიტანე
ომში წასული ძმისაო!

ნიშნად წაუღე ნაწნავი
კავი ამ ჩემი თმისაო;
უთხარი, ზედ ასხურია
ცრემლი საყვარელ დისაო.

იქნებ დაკოდილი არის,
სისხლი სდის მრავალგზისაო,
იქნებ ტყვედ წაყვანილია,
შუქი აკლია მზისაო!

უიმისოთა სიცოცხლე
ჩვენი ჩალად არ ლირსაო,
გასწი, გადიკამარევი,
სწავლა არ გინდა გზისაო.

II

ამბობენ, ეს ამბავი ძველისძველიაო.

სოფელ მუკუზანში ცხოვრობდა კარგ ოჯახიშვილად ნაქები ერთი გლეხი, სახელად სოლომანი. ეს გლეხი თავის ჭკუამახვილობითა და სიდარბაისლით ყველგან მიღებული იყო. სოფლისათვის ხომ მართლა გაჭირვების ტალკვესი იყო.

ერთხელ სოლომანი თელავს მიდიოდა თავის საქმეების გამო. სოფლის შესავალში ქოფაკი ძალლი შეხვდა, ეცა დასაგლეჯად. სოლომანმა სწრაფად აიტაცა ძალლი და ისე დაანარცხა მიწაზე, რომ ოთხფეხმა იმ წამსვე სული განუტევა. ეს ძალლი თურმე ცოფიანი იყო. მაინც მოასწრო დაკბენა. ეს გახდა მიზეზი სოლომანის სიკვდილისა. სოფლელებმა შეიტყეს თუ არა, დარწმუნდნენ, რომ სოლომანიც გაცოფებული იქნებოდა. მიაკრეს დარბაზის შუა ბოძზე და ზედ თავზე მთელი სახლი დაანგრიეს. ასე დამთავრდა ამ საწყალის დღენი. სოლომანს დარჩა ცოლი და ქალ-ვაჟი. ქვრივი დედა მზრუნველობით უვლიდა თავის ორ შვილს: — უმამობა არ უნდა შეეტყოთ ჩემს შვილებსაო, — ხშირად ეტყოდა ხოლმე მეზობლებს სოლომანის ცოლი.

გავიდა დრო. შიო, ვაჟიშვილი ქვრივისა, უკვე დავაუკაცდა. კარგი მუშა დადგა. ერთხელ საქართველოს მტერი მოადგა. ჩვენი მეფის ბრძანებით იწყეს ჯარის შეგროვება. შიო, როგორც დედისერთა და ოჯახის მარჩენალი, არ გაუწვევიათ, მაგრამ, როცა გაიგო თათრების მოახლოება ჩვენს ასაკლებად, მას გულმა ვეღარ გაუძლო და თავის ტოლებს გაჲყვა მტერთან საბრძოლველად:

რას მოდიან, რასა გვთხოვენ,
რა გვმართებს ჩვენ იმათიო;
ისეთი დღე დავაყენოთ,
გავუწყვიტოთ ჯილაგიო.
როგორც ვატყობ, უკულმართობს
და არ წყალობს ყისმათიო.

ბევრი ცრემლი დალვარეს შიოს დედამ და დამ, ბევრს ეხვეწნენ, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხეს მისი სახლში დარჩენა.

ჩვენებს თათრები დაუმარცხებიათ, თუმცა უზარალოდ არცთუ ქართველები გადარჩენილან. ზოგი ცოცხალი ან დაჭრილი დაბრუნებულა, ზოგმა სამშობლოს შესწირა თავი. როცა შიოს დალუპვაში დარწმუნდნენ, დედა და და დიდ მწუხარებას მიეცნენ. მოხუცი დედა ჭკუაზედაც კი შეშლილა მეტისმეტი დარდისაგან. შიოს და, თუმცა დედასთან გულს იმაგრებდა, მაგრამ, როცა მარტოდ რჩებოდა ან თუ ვენახში წავიდოდა, გულს ტირილით იოხებდა. ხშირად, მარტო ყოფნის დროს, ჩამოილებდა საყვარელ ძმის ფანდურს და გულსაკლავად დააკვნესებდა:

თავს ეს რა ზარი დაგვეცა,
ძილში ვხედავ ძმის სისხლსაო,
დავნატრულდი შიოს ნახვას,
ნატრული ვარ ძმის ხმისაო.

დედა მთელი დღე თავს იხვეჭს,
თანაც იკანრავს პირსაო,
მოსთქვამს შვილისა დაკარგვას,
მთლად დაემსგავსა გიშსაო!

მერცხალის ბუდეს შესცეკრის,
ყურს უგდებს ძმის ჭიკჭიკსაო,
მერე კედელს თავსა ახლის,
თანაც მორთავს კისკისსაო!

გაფრინდი შაო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამოგვიტანე
ომში წასული ძმისაო.

რომ ჭრილობა შევუხვიო,
გადვიყვანო გზის პირსაო,
თუ მკვდარია, მივაბარო
მიწას, იქვე გზის პირსაო.

ფრთამალი ხარ, მალე მიხვალ,
გზაში არ რა გიჭირსაო,
გაფრინდი, შაო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო.

იქნებ ხახა გამშრალი აქვს,
ნატრულია ის წყლისაო,
გაფრინდი, შაო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო.

ეგ ერთი ძმა მაბადია,
არ ვარ შემყურე სხვისაო,
გასწი, გადაინავარდე,
სწავლა არ გინდა გზისაო!

იმ დღიდან, როცა შიოსი
სიყრმის სანთელი ჩამქრალა,
მისი მოხუცი დედის და
დის ნატამალიც გამქრალა.

სიმღერების ძებნაში მე გავემგზავრე მშვენიერი კახეთისაკენ. გურჯაანის სადგურზე შესვენების დროს გადავწყვიტე ახტალის ნახვა. გზაზე დავინახე, რომ ხის ქვეშ, ჩრდილში იჯდა ორი ახალგაზრდა და სამი მოხუცი. გაეშალათ სუფრა და გემრიელად შეექცეოდნენ. სალამი მივეცი. მათ მიმიწვიეს, არ მომეშვნენ. გამომკითხეს სადაუროიბა, ვინაობა. ერთმა მოხუცმა ჯამს ხელი მოავლო და გალექსით მომიბრუნდა:

ახტალავ, ფერით უჟმურო,
ჭუჭყის მომდებო ტანზედა,
თათარასავით ბუტბუტებ,
ბურთულებს იგდებ თავზედა.

მაინც ქარების მტერი ხარ,
შენ არჩენ უკეთ სხვაზედა!
წელში მოკაკულს, დახუთულს
წამს დააყენებ ჯანზედა!

თუმცა წყალტუბოს აქებენ,
იზიდავს ნაირ ხალხსაო,
ამბობენ, ვითომ შენ გჯობდეს,
ლაფი არ უსვრის ტანსაო!

მაგრამ შენ გულს ნუ გაიტეხ,
დარდი არ მისცე თავსაო,
ახტალავ, შენი კვნესამე,
ბევრად სჯობიხარ სხვასაო.

ცოტა შეისვენა, ჩიბუხი გააჩალა და განაგრძო:

ბესო ვარ, კახეთს ნაშობი,
ბევრჯერ ვყოფილვარ ქართლშიაც,
ერთ დროს ვერავინ მჯობნიდა
ხვნა-თესვაში თუ მყაშია.

ამ ბოლო დროს კი რაღაცამ
მიჩვლიტა კვირისთავშია,
ახტალაში რომ ვიგორე,
სიყმემ იმატა ჯანშია.

შეზარხოშებულს ნუ მკიცხავთ
მე ამ ლექსისა თქმაშია.
ვხედავ, ნუნუა მიძვრება,
მიიპარება თავში.

გაათავა თუ არა ბესომ, დანარჩენებმა ღიმილით ალმაცერად გადმომხედეს. მე მოვუწონე და შევაქე, თან მაღლობა გადავუხადე პატივისცემისათვის. მკითხა ვინაობა, სადაურობა: მე მოვუჯექი ახლოს და დავუწყე გართობა. იმდენი ვუტრიალე, იმდენი ვებაასე, რომ ბოლოს გავაგებინე ჩემი მოგზაურობის მიზეზი. იგი შეფიქრიანდა, ბოლოს როგორც იყო გაბედა და მითხრა: „კარგი, შვილო, ცოტაოდენი დამაცადე, მოვიფიქრებ, გავიხსენებ დიდ ხნის გაგონილს და გულს არ დაგწყვეტავთ, გიამბობთ, რაც კი მომაგონდება. ხუთშაბათს გასათხუპნად აღარ წავალ და, აი, ამ ჩრდილში დინჯად და დალაგებით სულ დავფქვავ. ამ ხნის განმავლობაში კი

პირობა უნდა მოგვცეთ, რომ სულ ჩვენთან იქნებით, თუ არ შესწუხდებით“. მე, მართალია, გამგზავრებას ვაპირებდი, მაგრამ, რაკი თხოვნის შესრულებას დამპირდა, დავეთანხმე.

ამ დღიდან მთელი დღეები ჩრდილში ვატარებდი დროს. ბესო და მისი თანამგზავრები კარგი მომლერლები გამოდგნენ. ისე, საუზმეზე, სადილზე არ დავსხდებოდით, რომ სიმღერა არ აგუგუნებულიყო. სიმღერის გაგონებაზე სხვებიც მოდიოდნენ მოსასმენად. ბესო ყველას პატიუობდა. პირში ლუკმას არ ჩაიდებდა ულვინოდ. ასე გავატარეთ ოთხი-ხუთი დღე.

დადგა ჩემი ნანატრი ხუთშაბათი. დილიდანვე გამოვცხადდი ბესოსთან. ჩვეულებისამებრ, ჯერ დავნაყრდით, შემდეგ გააჩალა ჩიბუხი და დაიწყო:

„ლმერთო დიდებულო, პირნათლად შემასრულებინე ჩემი მოვალეობა, მომეცი მოხუცს აზროვნება, გამიხსენი მეხსიერება, რომ ამ პატიოსან ახალგაზრდასთან არ შევრცხვე. დაახლოებით 60 წლის წინათ, სოფელ კაკაბეთში ცხოვრობდა ერთი გლეხი, ძალზე კარგი მომღერალი. მისი მამა-პაპა უფრო კარგი მგალობელ-მომღერლები ყოფილან. გვარი არც ეხლა მახსოვს, სხვასაც დავიწყებია, რადგან მას იცნობდნენ, როგორც „ბულბულაანთ ბიჭს“. აი, სწორედ იმ „ბულბულაანთ ბიჭზე“ უნდა მოგახსენოთ.

მოგეხსენებათ, ჩვენ, კახელებს, ისე, როგორც ქართლელებს, ძალიან გვიყვარს სიმღერა. თუ გუნებაზე ვართ და დარდი არ გვძალავს, თითო ნაბიჯის გადადგმაზე წავილილინებთ ხოლმე. ჩვენი კაცი ჭირშიაც კი არ დადუმდება. „ზარს“ ისე ასრულებს, რომ კაცს ურუანტელი დაუვლის მთელ ტანში.

ერთხელ ჩვენი კუთხის გლეხობა შეყრილა დღეობაში. მოსულან ახმეტიდან, შილდიდან, კაკაბეთიდან, გურჯაანიდან, ხაშმიდან, თელავიდან, ველისციხიდან, სილნალიდან, მუკუზანიდან, გარეკახეთიდან და კიდევ სხვა სოფლებიდან. მღერიან, რა თქმა უნდა. ხან ერთი სოფლის გუნდი გამოდის თავისი ავლადიდებით, ხან — მეორე, ხან — მესამე და ასე რიგ-რიგობით. კაკაბელ „ბულბულაანთ ბიჭსაც“ წამოუსხამს სულ დარჩეული მომღერლები. ერთ კარგ მომღერალს გადაუხედავს თავისებისკენ და რაღაც უნიშნებია, თან კი ღიმილით თვალი ჩაუკრავს. „ბულბულაანთ ბიჭს“ თავის თავზე მიუღია, გული მოსვლია და მიულექსია:

ყოყლოჩინობა რას გარგებს,
არც არის ასატანიო,
მოჭიდავესა გამოსცდის
ბურთი და მოედანიო!

შენ, ქიზიყელო, გაქებენ
ჩემსავით ხმის რაკრაკშია,
ბურთიკაშვილი¹⁶⁰ გვჭარბობდა
ორივეს სიმღერაშია.

შენ მე მაჯობებ, თუ მე შენ,
არ არის გასაკვირიო,
დრანჯობისაგან¹⁵⁹ გახდება
ნამუსი გასაკილიო!

აბა, მითხარი, სიმღერის
სადაურობა რაშია,
მერე ორივე გავჯიბრდეთ,
არ მოხვდე კაკანათშია.

¹⁵⁹ ცუდი ქცევისაგან.

¹⁶⁰ განთქმული მომღერალი ძველად, კახეთში.

— ემანდ, რომ რაღაცას პეიტრობ, აბა თუ იცი, მითხარი „გაფრინდი, შაო მერცხალო“ და მისი ჩანინილების ამბავი, — გადასძახა თურმე სიღნაღელს. ამის გაგონებაზე ყველამ ყურები ცქვიტა. შეჰყურებენ სიღნაღელს, აბა, რას უპასუხებსო. ქიზიყელს, ვითომ კარგად ვერ გაიგო, უპასუხნია:

— მაგისი რა მოგახსენო, მაგრამ ჩვენი მგზავრულის შესახებ კი რაღაც გამიგონია, თუ გნებავთ მის ამბავს მოგახსენებთო.

„ბულბულაან ბიჭს“ გახარებია, დამშვიდებულა და ლიმილით უთქვამს:

— კარგი და პატიოსანი. შენ რაზედაც გაგიგონია, ის მითხარი, მერე მეც მოგახსენებ ჩემს მიერ ყურმოკრულს პაპისაგანაო.

ქიზიყელმა ანიშნა თავის ბიჭებს. შემოსძახეს „კახეთს მოადგა თარეში“, შემდეგ კი მოყვა ამის შესახებ, თუ საიდან და როგორ გაჩნდა ეს მათი მგზავრული. ჯერი მიდგა თურმე „ბულბულაანთ ბიჭზე“. ის წარდგა წინ, ქუდი მოიხადა, გადაავლო თვალი თავის ბიჭებს და ანიშნა მომზადებულიყვნენ. თვითონ დაიწყო ისე გულსაკლავად, რომ მეტი არ შეიძლებოდა:

გაფრინდი შაო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში დაკარგულ ძმისაო.

იქნებ დაკოდილი არის,
სისხლი სდის მრავალგზისაო,
იქნებ ტყვედ წაუყვანიათ,
შუქი აკლია მზისაო!

ნიშნადაც ეს გადაეცი,
კავი ამ ჩემი თმისაო,
უთხარი, ზედ აპკურია
ცრემლი საყვარელ დისაო!

დედაზედაც მოახსენე,
დამსგავსებია გიუსაო;
უშენოდ მათი სიცოცხლე
ალარაფერი ლირსაო!

გაფრინდი, შაო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო,
გასწი, გადაინავარდე,
სწავლა არ გინდა გზისაო.

იქ მყოფნი სულგანაბული უსმენდნენ თურმე. ზოგს ცრემლებიც კი მოერია. ყველა თავჩალუნული იდგა, თითქოს რაღაცა დარდსა და ბოლმას დაეძალოს. ბოლოს კაკაბელების სიმღერამ ისე იმოქმედა თურმე, რომ ხალხში ქვითინიც კი გაისმა.

მთელი ის დღე უქეითნიათ, ბევრი რამ კარგი უთქვამთ. სიმღერით ხომ ძალზე მოყირჭებულან. რომ მოგახსენეთ სიმღერაზე, ეს „ბულბულაანთ ბიჭს“ უსწავლია ერთ მუკუზნელ ბიჭისაგან — ზაქროსაგან. იმისთვის კი ქართლელ ბიჭს უოსტატნია — უსწავლებია. ქართლელს რქმევია ნიკა, თავის ბატონთან უმსახურია მეცხვარედ, თუ ხელზე მსახურად. ეს ზაქრო და ნიკა ერთმანეთს შეხვედრიან ერთ-ერთ თარეშის დროს, როცა ლეკები მოსწოლიან ჩვენებს ალაზნის

გაღმა მხრიდან და ისე დაახლოვებიან ერთმანეთს, რომ სულ ერთად ყოფილან ძმად შეფიცულებივით. შეტაკება დამთავრებულა ჩვენების გამარჯვებით. წამოსვლისას ქართლელ ნიკას დაუპატიჟნია ზაქრო. წამო, დაგვათვალიერე და მე თითონ გაგაცილებ შენს კახეთამდეო.

ნიკას გასათხოვარი და ჰყოლია, ზაქროს თურმე ძალიან მოსწონებია. ნიკას მშობლებსაც თვალში მოსვლიათ კახელი. ერთ სალამოს ნიკა ჩამოუგდებს თავის დაზე: ბიჭო, თუ მოგწონს, სიძედ გამიხდიო. მე თანახმა ვარო, უთქვამს ზაქროს, თუ შენი მშობლები და შენი და წინააღმდეგნი არ იქნებიანო. მშობლებს ყოყმანი დაუწყიათ: მართალია, ბიჭი დასაწუნი არ არის ჩვენგან, მაგრამ ასე შორს როგორ გავათხოვოთ, ეს ერთადერთი გოგო გვიგდიაო. ნიკას მაინც თავისი გაუტანია და, დისგან რომ პირი აუღია, დედ-მამაც დაუყოლიებია. ამით გათავებულა მათი გარიგების საქმე. ბოლოს კი ზაქროს თან წაუყვანია ნიკა: ეხლა საჭიროა შენც დამათვალიეროო.

ზაქროს დედ-მამას შვილისთვის უთქვამს: შვილო, ხომ იცი, რომ შენს მეტი პატრონი ჩვენ არ გაგვაჩნია, თუ შენ მოგწონს ამ ჩვენი სტუმრის და, და, თუ მისგან პირი გაქვს, ჩვენ რა გვექნება საწინააღმდეგოო. ზაქროს ულვაშებში ჩაუცინია. რამდენიმე დღის შემდეგ ზაქრო მოემზადება და თავის ბიძაშვილთან ერთად დაბრუნდება ქართლში ნიკას დის წამოსაყვანად. ქორწილი მოყვრებში გაუმართავს. პატარძალი რომ დაუნახავთ მუკუზნელ ქალებს, ჯერ ცხვირი აუწევიათ: შორიდან რომ არ მოეყვანა, აქეთ მხარეს გასათხოვარი ცოტა იყოო, ნუთუ ზაქროს შესაფერისი არ გამოინახებოდაო. შემდეგ კი, როცა თინა, ზაქროს ცოლი, კარგად გაიცნეს, ისე მოსწონებიათ, რომ მეტი არ შეიძლებოდა.

ზაქრო თურმე ხშირად ეუბნებოდა „ბულბულაანთ ბიჭს“: ეს სიმღერა ჩემმა მოყვარემ, ქართლელმა ნიკამ, შემასწავლა ალაზანზე ლეკებს რომ ვდარაჯობდითო. ნიკა რომ დაიწყებდა, მე ხმას ავაყოლებდი, სადაც შემეშლებოდა, იქ შემაწყვეტინებდა და შემისწორებდაო.

მე მუკუზნელი შაქრო ვარ,
სახლი მაქვს სოფლის პირსაო;
ეხლა ქვა აღარა გორავს
სიპიც კი ჩემი ხნისაო.

მე და ნიკა დავხანულდით,¹⁶¹
ტრიალი იყო ხმისაო;
ორივე ტოლნი ვიყავით,
ორივე ერთი ხნისაო.

ყმანვილობისას ვცხოვრობდი
ქართლში, იმ ტინიხიდსაო;
ძმად შევეფიცე თავადის
ხელზე მსახურსა ბიჭსაო.

ყველაზე ძაან გვიყვარდა
სიმღერა ი მერცხლისაო...
ნიკამ თქვა: ეს ვისწავლევი
ძმობილთან ტინიხიდსაო!

ბატონი ხშირად მგზავნიდა,
საქმეს მაძლევდა დიდსაო.
მუშაობის დროს ვმღეროდი,
ამოსაწმენდათ ხმისაო.

თან დაუმატა, ეს თურმე
უთქვამთ ალაზნის პირსაო,
როცა ჩვენები თათრებსა
ეტაკნენ პირისპირსაო.

¹⁶¹ ორი მეზობელი ქალი პირობას დასდებს, ერთი, მაგალითად ერთ კვირას ძროხის ნაწველს მეორეს უზიდავს, შემდეგ კი მეორე პირველს, ამნაირად ერთიმეორეს ხანულია, აქ დამეგობრებას ნიშნავს.



მეც ცოტა დროი დამირჩა,
ყავლი გავიდა წლისაო,
სად მერცხალს დავინახავდი,
შევუძახებდი მყისაო:

გაფრინდი, შაო მერცხალო,
იმედი ხომ გაქვს ფრთისაო,
მუკუზანს შეინავარდე,
სახლი მაქვს სოფლის პირსაო!

დედაჩემს შეუჭიკჭიკე,
ზაქროა ტინის ხიდსაო;
სულ მალე დაგიბრუნდება,
ოხვრა აღარა გჭირსაო.

IV

ის იყო ცოლი ვითხოვე,
ვთქვი, დავბინავდი ეხლაო,
გავიგე, ურჯულოებთან
ჩვენ მოგვიხდება შეხლაო...

ლექსი ორივემ ვიცოდით,
თავიდან ბოლომდისინა,
ვცდილობდით ხმები შეგვეწყო,
ვალად გვეთხოვა ლვთისთვინა.

ცოლმა ტირილი დაიწყო,
უშენოდ რა ვქნა ეხლაო,
შენ წახვალ, მე აქ დავრჩები,
ბატონთან მიწევს შეხლაო.

მეც გამეხარდა, იმასაც,
რო შევახამეთ ხმებია;
ვინც მოისმინა, იძახდა:
— ძალზედა სანაქებია.

დედაკაცს ყური არ ვუგდე,
ტოლებს მივუდექ მხარშია,
იქ ერთი ბიჭი გავიცან,
ალაზნის პირას ჯარშია.

ჯარში სახელი გაგვეთქვა,
სთქვეს: სასიმღეროდ ღირსაო,
თუმცა ნაღველით სავსეა,
სათქმელად „ზარის“ ხმისაო.

მას ზაქრო ერქვა სახელად,
თავთუხი იყო გვარშია;
სიმღერას შემოვძახებდით,
ვერ ვინა გვჯობდა ხმაშია.

ერთი გახლავარ ქართლელი,
მეორეს კახი ზრდისაო;
ჩემი და მივათხოვევი —
თექა-ხალზედა ზისაო.

ეო, მეო,
მეც სხვას მივბაძეო,
დაიხსომეთ, რაცა გკადრეთ
ამ სიმღერაზეო,
ვინც ყურს მოჰკრავს, გული უკვნესს,
უბნელდება მზეო!

მე ქევხიანთ გვარისა ვარ,
სახელგანთქმული გვარისა;
მამა-პაპაი მყოლია
ყმა-გლეხი ბოდბის კარისა.¹⁶²

ლეკები ჩაუსახლიათ,
სხვა რჯულისა და გვარისა;
ერთგული, თვალის დამჭერი
ჩვენების სახლის კარისა.

ძალ-ღონის გარდა პაპაჩემს
სიმღერაც კარგი სცოდნია;
პატარობიდან იმისგან
ბევრი რამ გამიგონია.

ზოგი თუ გულს გადმივარდა,
ზოგი გულს ჩამრჩა კვალადა;
თუ გამახსენდა როდისმე
თავს არ დავიდებ ვალადა.

თავიდან ისე მოვყები
არ გავხდე სავალალოდა,
თუ დამჭირდება, გონებას
მოვიხმარ იმის ხალადა.¹⁶³

მთელი კახეთი მივლია,
ლეკეთიც გადამივლია,
რა არ მინახავს, მსმენია,
სად რა არ შემომივლია?!

მაგრამ ერთი რამ სიმღერა,
პაპას რომ გაუგონია,
მსმენელს თუ გამგონებელსა,
უქია, მოუნონია.

„გაფრინდი, შაო მერცხალო“,
კაცს რომ სევდასა გვრისაო;
ორ ბიჭსა დაუმღერია
იქ, ალაზანის პირსაო.

როცა ლეკებსა ჩვენები
წყლის პირას ჩასაფრებია,
როცა ურჯულოთ თარეში
ჩვენს საზღვარს მოადგებიან.

იქიდან აქნობამდისინ
ვინც ამ სიმღერას მღეროდა,
გული სევდისგან უკვნესდა,
ხმა სიტყვებს შეეფეროდა.

„გაფრინდი, შაო მერცხალო,
გაჰყე ალაზნის პირსაო;
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო.

იქნებ დაკოდილი არის,
სისხლი სდის მრავალგზისაო,
იქნებ ტყვედ წაყვანილია,
შუქი აკლია მზისაო.

ნიშნად წაულე ნაწნავი,
კავი, ამ ჩემი თმისაო,
უთხარი: — ზედ ასხურია
ცრემლი საყვარელ დისაო.

დედა ჭკუაზე შეშლილა,
თანაც შავებში ზისაო,
დილიდან სალამომდისინ
შემყურე მისი გზისაო!

¹⁶² საეკლესიო-სამონასტრო გლეხები ვყოფილვართო.

¹⁶³ ხალა — კაკლის დასაბერტყყი გრძელი სარი. აქ: გონებას მივიშველებ, დავიხმარებ გახსენებისათვის.

დანიშნულის ცოდვით ვიწვით,
დაემსგავსა მტკნარ გიჟსაო,
ალაზნისკენ იცქირება —
გაუტაცნია ფიქრსაო!

ფრთამალი ხარ, მალე მიხვალ,
არ გინდა სწავლა გზისაო,
გაფრინდი, შაო მერცხალო,
გასწი ალაზნის პირსაო!“

დანარჩენი ალარ მახსოვს
თავიდან გამეპარაო.
ი შიო გულგაგმირული
წმიდანებს დაედარაო.

33. ქალო, ქალთა მზეო

სოფელი ხელთუბანი მდებარეობს გორიდან 6-7 ვერსის დაშორებით. სოფლის თავში ეკლესიაა. მის ახლოს ამაღლებული პატარა ადგილი კონუსისებური ფორმისაა. ეტყობა, ქვა-კირისაგან შეზავება. აქ უძველეს დროში ჩაუქოლავთ ორი ახალგაზრდა, ნათესაური სისხლის შერევისათვის, ზედ გადაუსხამთ აღუღებული ქაფქაფა კირი, ვინ იყვნენ ეს შეყვარებულნი, პეტრე პეტრიაშვილი მოგვითხრობს შემდეგს:

„ძველის ძველად სოფელ ხელთუბანში ცხოვრობდა თურმე კარგად შეძლებული ოჯახიშვილი გლეხი ცუკა. იგი მოხდენილი სიტყვა-პასუხის ადამიანი ყოფილა; ამასთან პურმარილიანი და სოფელში კარგად მიღებული. ცუკას ჰყოლია სილამაზით განთქმული ახალგაზრდა ცოლი, ნინო. ისინი ჯერ უშვილონი ყოფილან, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ თურმე. იმედი ჰქონდათ, რომ უძეოდ არ გადაეგებოდნენ. ამ სოფელ ხელთუბანში სავაჭროდ დაიარებოდა ერთი ებრაელი შალვა. ამ შალვას ცუკას მიერ ბინად ჰქონდა გამოყოფილი ერთი პატარა ოთახი. ებრაელი სანდახან რჩებოდა ხოლმე ლამ-ლამობით ამ მიწურ ოთახში, როცა ვერ ახერხებდა ცხინვალში წასვლას ცოლ-შვილთან. შალვა შინაურივით იყო ცუკას ოჯახში. ნინოს, ცუკას ლამაზ ცოლს, სილამაზის გამო სახელი შეუცვალა, უნოდა „ქალთა მზე“. ამის შემდეგ ეს ახალი სახელი მთელ სოფელს მოედო. ნინოს „ქალთა მზეს“ ეძახდნენ. „ეს, ყმანვილო, კნიაზის შესაფერია, შენი კვნესა არა მქონდესო“ — ხშირად ეტყოდა ხოლმე შალვა, ვისაც კი შეხვდებოდა.

იმავე სოფელში ცხოვრობდა არანაკლები შეხედულების გლეხი — სანდალა (მოზდოკელიანთ ნიკას ბიჭი). სანდალა კარგი მოთამაშე და ფანდურზე დამკვრელი ყოფილა. იგი ხშირად დაიარებოდა ცუკასთან, სადაც ლამლამობით რჩებოდა თურმე, რადგან ნინოს როგორლაც ენათესავებოდა. ეს ყველამ იცოდა, ამიტომაც სანდალას ლამბით დარჩენა ცუკას ოჯახში არავითარ ეჭვს არ ბადებდა სოფლის თვალში, თუმცა სანდალას სახლი ორიოდე ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული ცუკას ბინიდან. სანდალასა და ნინოს — „ქალთა მზეს“ შორის სიყვარულის ცეცხლი გაჩალდა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. სანდალამ პირველმა იგრძნო

რაღაც უხერხულობა. თითქოს რაღაც ემართებოდა. დაფიქრიანდა, თან უხალისოთ შეიქმნა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. შემდეგ კი მოუსვენრობაც ემართებოდა, როცა „ქალთა მზეს“ ვერ ნახულობდა. ეხლა კი მიხვდა, რომ მას „ქალთა მზე“ უყვარს. უძილობამ და ფიქრმა ხომ მთლად გადარია ეს საწყალი ბიჭი. სულ თვალნინ ელანდებოდა „ქალთა მზის“ სახე. მან შეწყვიტა სიარული ცუკას ოჯახში. ცუკამ სანდალას ფეხის ამოკვეთა მიაწერა მის მოუცლელობას. ალბათ, ვეღარ მოიცალა, რომ აღარ გვნახულობს ეს რამდენიმე ხანია. საბრალო სანდალა ფანდურზე დაკვრით იქარვებდა დარდსა და ბოლმას. ლექსი გამოთქვა და შალვას ხელით გაუგზავნა, როგორც პირველი წერილი:

ქალო, „ქალთა მზეო!“
გიცნობ ათი თვეო,
მეთერთმეტე დამიბნელე
ნუთი გახდა დღეო.

ქალო, „ქალთა მზეო!“
ამ ჩემს სახეზეო,
ქარაგმაი წაიკითხე,
მაუწყე რიგზეო.

ქალო, „ქალთა მზეო“,
განმინათლე დღეო,
შეხვედრა ნუ დამიზამთრე,
ნუ გამხადე ტყვეო!

ქალო, „ქალთა მზეო“,
ჩემო გრძნობის მზეო,
რომ მოგიკვდე, რასა ფიქრობ
საიქიოზეო!

ქალო, „ქალთა მზეო“,
ხედავ, გავხდი ბზეო,
ქარმა რომ შემომიბეროს,
ამისვრის ბანზეო.

ქალო, „ქალთა მზეო“,
გიცნობ ათი თვეო,
მეთერთმეტეს ნუ გაიყვან,
მომიდექ გვერდზეო!

ქალმა პასუხი დაუგვიანა. მოთმინებიდან გამოსული სანდალა ახლა მეორე ლექსსაც უგზავნის „ქალთა მზეს“ ისევ შალვას ხელით:

„ქალთა მზეს“ რომ გეძახიან,
ეგ ტყუილი არ არიო;
ქვეყანაზე ვინ იპოვოს,
იყვეს შენი სადარიო.

მართალია, ვნათესაობთ,
ლია მაქვს შენი კარიო,
მაგრამ ხალხი ულმერთოა,
ჩვენთვის იქნება ნარიო.

ვერ დავმალავ, შემიყვარდი,
გულს სალტავს რაღაც რკალიო,
სულს მიწუხებს და მიხუთავს,
წამალი არსად არიო.

მე უშენოდ ვეღარა ვძლებ,
მონამედ მყავს საყდარიო;
რაც შიგ ხატი ასვენია,
თავდებათ იგი არიო.



გწერავ წერილს, მაგრამ ვიცი,
სანუგეშო არ არიო,
შენგან ველი დამშვიდებას,
გამიღე გულის კარიო.

მართალია ვაჟკაცი ვარ,
მომივლია მთა-ბარიო,
თუ ნუგეში არ მომეცი,
ხვალვე დაგხვდები მკვდარიო!

ფეხი რომ ამოვიკვეთე,
ეს მოჩვენება არიო,¹⁶⁴
ვიმაგრებდი ამ ჩემს თავსა,
მაგრამ ლონე არ არიო.

ვიცი, ჩვენზე ცუდი ითქმის,
ენით ცივი სახმარიო,
მაგრამ სადაც გრძნობა სჭარბობს,
იქ გონება სად არიო!

შენი ეშხით შევიხუთე,
გამიჩნდა მანკის ქარიო,¹⁶⁵
ნათელი ბნელად მექცევა,
მაჭყნობს ტრფობის ავდარიო.

ჩემთან მოსვლას თუ ვერ ბედავ,
ხალხი რომ არ გადარიო,
კოკით ხელში მომიცადე,
სადაც საყდარი არიო.

საწამლავიც თანა გქონდეს,
ჯოჯოხეთის სადარიო;
ერთხელ მოვრჩე, მოვისვენო,
დამეხშოს გულის კარიო!

ამ წერილის შემდეგ კი პასუხს არ დაუგვიანია, მისი ერთგული შალვას ხელით მიიღო „ქალთა მზისგან“ გამოგზავნილი პასუხი ლექსად გამოყვანილი. სანდალამ ფაციფუცით გადაიკითხა თავიდან ბოლომდე, წერილი „ქალთა მზისაგან“ გამოგზავნილი ასეთი შინაარსისა იყო:

მთელი ლამე არა მძინავს,
გავხდი სხვისა საშველიო;
შენსკენ ილტვის ჩემი გული,
ცისმარე დღეს მოგელიო.

შენზე ძაან ვიტანჯები,
არვინ მოდის მნახველიო;
შენი სახე თვალწინ მიდგას
და ყოველ წუთს მოგელიო.

ორთავ ლექსი გადვიკითხე,
ორივ გულის დამწველიო,
ტანჯვა უფრო გამირთულდა,
თან ბევრი მაქვს სათქმელიო.

ფეხი რათ ამოიკვეთე,
ხომ არ გაკრავს საბელიო,
ან თუ ჩემი ნახვისათვის
გაქვს ორი დღის სავლელიო!

მთელი ლამე ჭოტივით ვარ,
გავხდი სხვისა საშველიო;
თუ გნამს ღმერთი, ნუღარ მტანჯავ,
ხომ გაიგე, რომ გელიო.

¹⁶⁴ ყასიდად, განზრახ ვაკეთებდი ამასო.

¹⁶⁵ გულის ავადმყოფობა.

ისედაც თავბრუდახვეულმა სანდალამ მთვრალივით ჭორტმანი დაიწყო, მაგრამ გაახსენდება თუ არა ნათესაური კავშირი და ისიც, რომ, თუ რა დღე მოელით ორივეს ნათესაური სისხლის შერევისათვის, თავს ძალას დაატანს და ფიქრს მიეცემა. ასეთ ჭანჯვაში და გაურკვეველ მდგომარეობაში იყო თითქმის ორი თვე. ისედაც ჭანჯვისაგან დაკოდილი გული მისი, ნებისყოფა და მწუხარება ერთმანეთში აერია, როცა „ქალთა მზისაგან“ ამ წერილს მეორეც მოჰყვა ლექსად გაწყობილი. „ქალთა მზის“ სიყვარულმა გასტეხა ეს კლდესავით მაგარი ვაჟკაცი. მეორე წერილი „ქალთა მზისაგან“ მოწერილი ასეთი შინაარსისა იყო:

რად მიხდი თავს საეშმაკოდ,
რად გამიქარწყლე ლექსია,
ქალი მოგწონდეს, სტანჯავდე,
ეგ რა ვაჟკაცის წესია?!

შენი დუმილი გულს მიკლავს,
დღე თუ ლამ მუდამ ვკვნესია;
სიტყვას პასუხი ამშვენებს,
იმ თავით არის წესია.

შენ თუ აჟყვები სხვის სიტყვებს,
ვის შენთვის ჩაუკვნესია;
ძნელია კაკლის ამოთხრა,
თუ ღრმად გაუდგამს ფესვია.

მე უშენობით ვერა ვძლებ,
ფიქრმა დამიხრა გულია,
თუ ნახვა დამიგვიანე,
ეშმაკს მოჰყითხე სულია.

გაშმაგებული მოგელი
ჩვენი ორლობის გზაშია,
თუ ხანი დაიგვიანე,
მომძებნე სოფლის წყალშია!

სანდალა ჭკუა შეშლილს დაემსგავსა. არ იცის, როგორ მოიქცეს, რა საშუალებას მიმართოს, რომ სოფელში თავი არ მოეჭრას. თან კი „ქალთა მზის“ სიყვარული ლანდივით თან დასდევს, მაგრამ, როცა ამ წერილის შემდეგ მესამეს მიიღებს, სანდალა ხელს ჩაიქნევს და იმავე წუთში „ქალთა მზესთან“ დაიბადება. თუ რა ეშმაკმა აურია ჭკუა სანდალას, აი, შვილო, — განაგრძობს პეტრე — ამ ლექსიდან აშკარად დაინახავთ:

ერთ-ორ ღამეს კიდევ გიცდი,
გულის ძერით მოგელიო;
მესამე დღეს დამინახავ
ყელზე მებას საბელიო.

შენი ეშიით ვერა ვძლები,
მშიერი ვარ, ვით მგელიო;
ეს წყურვილი მომიკალი,
თორემ არ მაქვს საშველიო.

წულარ მტანჯავ, წურც მაწვალებ,
წუ გამხადე სათელიო;
რაც მომივა, მომივიდეს,
გამიქრეს დღის ნათელიო!

ეხლავ ვიცი, რაც მომელის,
მე ჩამქოლავს სოფელიო,
მდულარე კირს გადამასხამს —
გამიწყდება სახელიო.



სანამ კიდევ ნათელს ვხედავ,
ნუთიერ სიტყბოს ველიო;
შეისმინე, გენაცვლები,
შენი სიყრმის მტანჯველიო,
მერე რაც უნდ მომივიდეს,
ტყბილი იყვეს სასმელიო!

რა ეშმაკმა გადამრია,
რამ დამრია მე ხელიო;
რომ უშენოდ ველარა ვძლებ
ნინო ქალი კავთელიო!¹⁶⁶

ამის შემდეგ კი მათ შორის გაღრმავდა სიყვარული. მათმა თავშეუკავებლობამ მთელი სოფელი ააყაყანა. კაცები თუ თავს იკავებდნენ, ქალებს „ვაი-ვუი“ აუტყდათ. ცუკას ვერაფერს ვერ ეუბნებოდნენ, თუმცა უნდოდათ გაეგბინებინათ, მაგრამ ვერ უბედავდნენ. ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ასეთ ხერხს მიმართეს: ლექსი გამოუთქვეს, ვითომდა მისახვედრად, მაგრამ ცუკა ისე ენდობოდა ცოლს, რომ მისგან, ნინოსაგან, ღალატი ვერც კი წარმოედგინა. ლექსში ცუკას სახელს პირველად არ ახსენებდნენ, შემდეგ შეაპარეს:

გამოიღვიძე, ცუკაო,
გეყოფა მინდვრად ცმუკვაო,
შენსა „ქალთა მზეს“ სხვა ეტრფის,
მის ეშხით მოიხრუკაო.

სოფელში თავი მოგეჭრა,
ვაჟკაცი შეგარცხვინაო;
გაგიკახპავდა „მზე ქალი“ —
სანდალასთან წევს ნინაო.

თან კი ცუკა ეცოდებოდათ, მაშინ ასეთ ლექსს დაამლერებდნენ:

ცოლისა უკულმართობას
ვერ ახსნის ბერძენთ ჯარიო,
ყველაზე გვიან შეიტყობს
თვალებდამდგარი ქმარიო.

შეყვარებულები თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ. შალვა მთლად გადაირია, ძალზე ღელავს. მას გულს უკლავს ცუკას მხრივ მოსალოდნელი საყვედური. ფიქრობს, როგორ და რა გზით გაუმუდავნოს „ქალთა მზისა“ და სანდალას საქციელი. ბოლოს გადაწყვიტა, რადაც უნდა დაუჯდეს, გაუმხილოს ცუკას. შემთხვევამაც ხელი შეუწყო. ერთ დღეს, როცა ცუკა მეორე სოფლიდან შინ ბრუნდებოდა ორლობის გზით, შალვა სწორედ იქ შეხვდა ცუკას. ცუკა მოიკითხავს თავის ოჯახს. შალვას რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ენა ჩაუვარდება, თითქოს ენა სასაზე მიეკრაო, გაბედულობას ებრძვის. ბევრი ყოყმანის შემდეგ კანკალით მიმართავს: ჩემო ძვირფასო ძმაო და შვილო ცუკავ, შენთვის დიდი ხანია თქმას ვაპირებდი ერთი რამისას, მაგრამ ვერ გიბედავდი, ვერიდებოდი შენს წყენას, თანაც მრცხვენოდაო. შალვას ჯერ არ დაემთავრებინა

¹⁶⁶ ე.ი. კავთისხეველი.

რის თქმაც უნდოდა, რომ ცუკა გაკვირვებული და აღელვებული შეეკითხება: რა იყო კაცო, რა მოხდა ისეთი, რომ სახეზე ასე შეშლილხარ, ხომ არაფერი უბედურება დატრიალდა ჩემს ოჯახში, „ქალთა მზეს“ ხომ არაფერი დამართვნიაო. თან შეაჯანჯლარებს ისედაც გულგახეთქილსა და ფერნასულ შალვას. უკანასკნელი მუხლებში ჩაიკეცება და ლულლულით ძლივს ეტყვის: შენმა „ქალთა მზემ“ ცუდი საქმე ჩაიდინაო, შეგარცხვინაო, სანდალა შეიყვარაო, — ზედიზედ მიაყარა ისედაც დაბნეულმა შალვამ. — შენს სახლში მთელი ალიაქოთიაო, როცა შენ შინ არა ხარო, — ცუკა გაშრა ტყვიანაკრავივით. აზრმა თავში გაურბინა — მიიჭრას ბინაზე, ცოლსა და სანდალას ბოლო მოულოს, მაგრამ იქ რომ არ დახვდნენ, მაშინ ხომ ბოლმა გახეთქავს. შეჩერდება. შუბლზე ოფლის ხვითქს მოიწმენდავს ფარაჯის კალთით. ძალას მოიკრეფავს და დაბალი ხმით შალვას რჩევას თხოვს. შალვა, ცოტა არ იყოს, გონზე მოვიდა. ცდილობს დამშვიდდეს. ცოტა ხნის შემდეგ გაბედვით ეტყვის ცუკას: მე ჩაგსვამ ტომარაში, ხელში მოკლე კეტს მოგცემ, თავს მოგაკრავ და ბოხჩაზე უეჭველად მიცდის, საკაბის ყიდვა უნდა. ალბათ, სანდალას აყიდვინებს. დამიძახებს თუ არა, მე ცხენს მივაბრუნებ, ტომარას, რომელშიაც შენ იქნები, კარებზე მივაყუდებ. ერთ-ერთ ბოლჩას კი შევიტან სახლში, გავხსნი და გადავუშლი ფარჩას. „ქალთა მზე“ არჩევას დაუწევებს, სანდალაც, ვიცი, იქ იქნება, საკაბის გაზომვას რომ დავიწყებ, ჩემებურად შემოვძახებ:

ჩემო ბამბის ტომარა,
გეყურება თუ არა,
მე რომ კეტი მოგაბარე,
მოიხმარე თუ არა?

ჩემს სიმღერას ყურადღებას, ხომ იცი, არ მიაქცევენ, რადგან ყოველთვის ვმღერი ვაჭრობის დროსა. შენ ამომძახებ ტომრიდან:

რა ვქნა ჩემო ურია,
თავი მოხლართულია,
მომიხსენ, რომ ამოვიდე,
დავაყენო ბურია...

მე მაშინვე ტომარას პირს მოვხსნი, ამოხტები და რაც გინდა, იმას ჩაიდენო. შალვას ხერხი ცუკას მოეწონება. რამდენჯერმე გაიმეორებენ ერთსა და იგივეს. ბოლოს მიდიან სოფელში. შალვა ხმამაღლა გაიძახის: „სავაჭრო ივაჭრეთო“... აგერ მიუახლოვდა ცუკას სახლსაც. „ქალთა მზე“ დიდი ხანია საკაბეს ელის. გასძახებს შალვას: მოდი შალვა. საკაბე მომიტანე თუ არაო? შალვა მიუხვევს. ცუკას სახლის წინ ცხენს გააჩერებს. გადმოიღებს ჯერ ტომარას, რომელშიც ცუკა ჰყავს დამალული და მიაყუდებს კარების კუთხეში. შემდეგ ერთ-ერთ თოფრაკსაც ჩამოილებს და შეიტანს სახლში. ხედავს სანდალას ტახტზე ფანდურით ხელში. შალვა გაშლის ფართლეულობას. „ქალთა მზე“ სახე ატკეცილი არჩევს საკაბეს, ბოლოს ერთ თოფს დაადებს ხელსა და ანიშნებს, აქედან მომიჭერი ერთი საკაბეო. შალვა დაიწყებს გაზომვას, თან შემოსძახებს:

ჩემო ბამბის ჭომარა,
გეყურება თუ არა,
მე რომ კეტი მოგაბარე,
მოიხმარე თუ არა?

„ქალთა მზე“ ისეა გატაცებული საკაბის არჩევით, რომ შალვას სიმღერას ყურს არ უგდებს, მით უმეტეს, სანდალას ჭკუა-გონება „ქალთა მზისკენ“ აქვს. ამ დროს მოისმის რაღაც ხმა:

რა ვქნა ჩემო ურია,
თავი მოხლართულია,
მომიხსენ, რომ ამოვიდე,
დავაყენო ბურია!..

შალვა მყისვე წამოხტება, მივარდება ჭომარას, მოხსნის თავს. ჭომრიდან უცბად ამოვარდება ცუკა თავის მოკლე კეტითა, დაერევა „ქალთა მზესა“ და სანდალას, იმდენს უთავაზებს ხან ერთსა და ხან მეორესა, სანამ კარგად არ მითეთქვავს. ეს ისე სწრაფად მოხდება, რომ ვერც სანდალა და ვერც „ქალთა მზე“ ვერაფერს მოახერხებენ. შალვა წასაქეზებლად გადასძახებს:

ეგრე ჩემო ცუკაო,
მიყვარს მათი ცმუკვაო,
„ქალთა მზე“ და სანდალაი
ეშმაკმა დაფუკაო.

ამ ალიაქოთსა და ყვირილში მეზობლებიც შეიკრიფებიან. ამ ჩოჩქოლში ხალხი მიემატება. დათეთქვილ-დაუეუილ სანდალასა და „ქალთა მზეს“ აიღებენ და ორივეს ეკლესის გალავანში დაყრიან მკვდრებივით. გამოურაზავენ კარებსა და ყარაულებს დაუყენებენ, რომ არავინ არ გამოუშვას ეს საწყლები. სოფელი მეორე დღესვე მოიწვევს ყრილობას. ასეთი დადგენილება გამოიტანეს: „სოფლის შემარცხვენელები, სისხლის შემრევნი, ჩაიქოლონ და ზედ ადულებული კირი გადაესხათო“. როცა შერცხვენილები გონის მოვიდნენ, მიეცნენ შავ ფიქრებს. თავიანთ შეცდომაზე სულ არ დარდობენ. მათ სტანჯავთ მხოლოდ ხალხის განაჩენი, ისიც ჩაქოლვა და ადულებული ქაფქაფა კირის გადასხმა. რა საშინელი განაჩენია, შვილო! განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ერთ-ერთი ასეთ რჩევას იძლევა, მიმართონ დიამბეგსა. მაშინ ეს თანამდებობა ახლად იდგამდა ფეხსა (ზოგი კი იძახის, სად იყო მაშინ დიამბეგობაო. ეს უფრო ძველი დროის ამბავიაო). ასე იყო თუ ისე, მიმართავენ სოფლის ბატონს, ვთქვათ, თავადს ან დიამბეგს. სანდალას პატრონებს უნახავთ დიამბეგი და დიდძალი ქრთამი მიუციათ. ხალხმა ეს რომ გაიგო, ლექსი გამოუთქვა:

იმდენი რამე მიართვეს,
მომსწრე ამასა ხმობდაო,
ი სულგაყიდულ დიამბეგს
სიცოცხლით ეყოფოდაო.

მაგრამ ქრთამმა სანდალასა და „ქალთა მზეს“ ვერ უშველა. დიამბეგს სძლია სოფლის განაჩენმა. დიამბეგს უთქვამს „ქალთა მზისათვის“: ჩემო „ქალთა მზეო“, როგორ მოგივიდა, რომ ეგ საქმე ჩაიდინე და ქმარი და სოფელი შეარცხვინე. შენს ქმარს საქვეყნოდ თავი მოსჭერიო. თუ ცუკასთან ცხოვრება არ გინდოდა, ჩემთვის მოგემართა და მე გაგყრიდითო. ამ ორ სიტყვაში კი აიღო იმდენი ქრთამი იმ ღვთისაგან დაწყევლილმა დიამბეგმაო, გაიძახოდა სოფელი. ხალხმა თავისი განაჩენი სისრულეში მოიყვანა. დიამბეგის ბრახაბრუხი არაფრად ჩააგდო. აი, შვილო, სადაც ეხლა სვეტია, იმ ადგილას ამოთხარეს თურმე დიდი და ღრმა ორმო. ხელებშეკრული, სახეგაფითრებული „ქალთა მზე“ და სანდალა მიიყვანეს და დააყენეს ორმოს ნაპირზე. დუდგო ხალხმა მოიყარა თავი. ახლომახლო სოფლებიდანაც კი მოვიდნენ ამ საზარელი სურათის სანახავად. უცბად ასტყდა ქვების რახარუხი, დაუშინეს „ქალთა მზესა“ და სანდალას. საწყლები მოსხვეპილვით გადაეშვნენ ხაროში. ქვები ტყვიასავით მიდიოდა. შუამდის რომ ამოყორეს, მოიტანეს დიდი ქვაბებით ადუღებული კირი და საწყლებს ზედ გადასხეს. კირი და ქვა, ერთმანეთში აირია-გაითქვითა... ატეხილა საშინელი ქვითინი და ნივილი. ბევრმა თურმე ვერ გაუძლო ამ საზარელ სურათს, გულწასული მოეშვა თურმე იქვე. ქვითინებდა დიდი თუ პატარა. ასეთი ხმებიც კი ისმოდა: ეს რა უღმერთობაა, განა ასეთი რა დააშავეს, რომ ასე ჯოჯოხეთურად აწამებენო. მაგრამ გვიანდა იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ლექსი გააწყეს, ამბობენ, თითქოს ეს ხვეწნა და ვედრება იყო ამ ტანჯულების გადასარჩენადაო. ბარემ ამასაც მოვყვები, შვილო. აი, ეს ვედრება, რომელსაც ზოგიერთები ბუტბუტებდნენ იმ დროსაო:

ღმერთო, მაღალო, გამჩენო,
გადმოიხედეო,
„ქალთა მზეს“ და სანდალასა
უბნელდებათ დღეო!

გორიჯვარო, ¹⁶⁷ შეავედრე
ქრისტეს „ქალთა მზეო“,
საიქიოს მიიყვანე —
სამოთხის კარზეო.

უსანეთო, ¹⁶⁸ არ მოაკლო
წყალობა რიგზეო,
გაუგრილე მათ ტანჯვაი,
გაუგრძელე დღეო!

დედა ღვთისავ, ¹⁶⁹ გევედრები
ნახეთ თქვენი ძეო,
ტანჯვისაგან დაიფაროს
სანდალა და „მზეო“.

¹⁶⁷ გორიჯვარის ეკლესია წმინდა გიორგის სახელზეა აშენებული. გორის ახლო მთაზეა.

¹⁶⁸ ეკლესია სოფელ მეჯვრისხევში. ესეც იმავე წმინდანის სახელზეა აშენებული.

¹⁶⁹ პატარა ეკლესია სოფელ ახრისის ბოლოს.

ულუმბისა¹⁷⁰ ღვთისმშობელო,
ვიმედობთ თქვენზეო,
მდუღარე გააყინულე,
იხსენ „ქალთა მზეო!“

შენც ხელთუბნის¹⁷¹ ღვთის ტაძარო,
რომ დგეხარ განზეო,
სანდალას და „ქალთა მზისა“
იყავი შემწეო!

აღნიშნულ ლექსს სოფლის დედაკაცები „ზარით“ მოსთქვამდნენ. ამრიგად, იმ ადგილზე, სადაც ეს ორი უბედური ჩაადუღაბეს, ალიმართა სვეტი რამდენიმე წყრთის სიმაღლისა. მობინდდა, ხალხი დაიშალა გულმოკლული.

ასე უყვეს სანდალას და
ლამაზ „ქალთა მზესაო“,
ნათესაობის მგმობელი
დაიბნელებს დღესაო.

აი, შვილო, იმ ადგილს რომ ხედავთ, სწორედ იქ არიან ტანჯვა-წვალებით ჩახოცილი ის ორი ახალგაზრდა. მათი მოგონება დღესაც კი თავზარსა სცემს ყველას. გამვლელი ამ გორაკის გვერდზე ისე ვერ აივლ-ჩაივლის, რომ გულისტკივილით არ ჩაულაპარაკოს, — „უბედურებო“, — და განაგრძოს გზა.

სად იყო ამ გასამართლების დროს ცუკა, — არ იკითხავთ? ის საწყალი, გულწასული, თავში სიცხეავარდნილი, ხალხს ეჭირა თურმე და ამშვიდებდა. საწყალმა ცუკამ მთელი წელიწადი ხეხა ლოგინი. მისი მორჩენის იმედი აღარავის ჰქონდა. მეზობლები რიგ-რიგობით ყარაულობდნენ, სანამ გონის არ მოიყვანეს, როგორც იყო, კარგი და კეთილი მეზობლების დახმარებითა და მათი ხელის შენყობით ცუკას გამოკეთება დაეტყო. ჯერ სახლში ფუსფუსებდა, ბოლოს კი მუშაობასაც შეუდგა. ამბობენ, როცა ცუკას მოუხდებოდა იმ ყორეს გვერდით გავლა, აუტყდებოდა ქალივით ტირილი და ტორტმანით გაუვლიდა, ერთ დროს საყვარელი ცოლის, ეხლა კი ასეთი ტანჯვითა და უღმერთოდ ჩამარხულისა და ჩადუღაბებულის საფლავს. ბევრჯერ ფარაჯის კალთით მოუწმენდია ღვარივით ნაკადი ცრემლები „ქალთა მზის“ გახსენებაზე შინ თუ გარეთ. ასე იყო რამდენიმე ხანს. ცეცხლის ამფუებელი არავინ ყავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მეზობლების დაუინებითა და რჩევით, ცოლი მოუყვანეს.

მეორე ცოლი არათრით ჩამოუვარდებოდა საწყალ „ქალთა მზეს“. მალე გოგოც შეეძინა ერთ დროს ტანჯულსა და გაწვალებულ ცუკას. ეს გოგონა პირნავარდნილი „ქალთა მზე“ იყო და ცუკამაც „ქალთა მზე“ დაარქვა თავის გოგონას.

¹⁷⁰ ეკლესია სოფელ ფცა-ტკოცის მახლობლად.

¹⁷¹ ეკლესია ხელთუბნის მახლობლად.

მეორედ კი ვაჟიშვილი გაუჩნდა. ასე და ამრიგად მისი ოჯახი დაემსგავსა მართლაც ოჯახს. ამ გარემოებამ ცუკა მთლად გამოცვალა, მას დაეტყო გამოცოცხლება. ისევ ისეთი დინჯი, ხალისიანი და ენაწყლიანი გახდა, როგორც წინათ იყო, იმ უბედურ შემთხვევამდე. სოფელიც პატივისცემით ეპყრობოდა. სოფლის არც ერთი საკითხი არ გადაიჭრებოდა ცუკას დაუკითხავად.

ხალხმა ნახულ უბედურებას გვერდი არ აუხვია. „ქალთა მზის“ გარშემო მალე გაიჩარჩა საფანდურო ლექსი. ცუკა ყურს რომ მოჰკრავდა ამ ლექსს დამღერილს ფანდურზე, გაახსენდებოდა უბედური „ქალთა მზე“, წარმოუდგებოდა თვალწინ ოდესლაც წყნარი და ტკბილი თავისი ოჯახი, ჩაფიქრდებოდა და თავის ქნევით ერთს ისეთს ამოიოხრებდა, თითქოს მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამი მის გულში ყოფილიყო ჩამარხული.

აი, საფანდურო ლექსიც:

ჩვენებიანთ ცუკას ყავდა
ცოლად „ქალთა მზეო“,
სახით ისე ანათებდა,
როგორც ცაში მზეო.

ასე კარგადა ცხოვრობდნენ
რამდენიმე თვეო,
სანამ მათ არ დაუბნელდათ
ეს ნათელი დღეო.

ქალს შეუჩნდა სანდალაი,
ტანად ალვის ხეო,
მოჰხიბლა-მოაჯადოვა
ჩვენი „ქალთა მზეო“.

ცუკამ დიდ ხანს ვერ გაიგო,
საქმეზეა მხნეო,
სანამ შალვამ არ გაანდო
სოფლის ბოლოზეო.

შალვა ებრაელმა უთხრა:
ცუკას ჭირიმეო,
ხომ იცი, რომ ერთგული ვარ
შენი სახლის მეო.

შენ „ქალთა მზეს“ ყური უგდე
ლამეა თუ დღეო,
გული კი არ აიცრუო
სამუშაოზეო!

ცუკას გული მოუვიდა
ი კახპა ცოლზეო,
გამოჭრა შვინდის კომბალი
ბალის ბოლოზეო.

— გამიძეხი, ჩემო შალვა,
მივასწროთ სულზეო,
თორემ ხელიდან წაგვივა, —
გავსკდები გულზეო.

შინ რომ მივიდა, შესძახა:
— ეი, „ქალთა მზეო!“
ჩქარა კარები გამიღე,
გოდრით მომაქვს ბზეო.

— აბალე, ბზეს აქ რა უნდა,
შესდე ერდოზეო.
ცოტა ხანი მომიცადე,
არა ვარ ზეზეო.

თურმე ი ბიჭთან გორაობს
ფარდაგ-ჭილობზეო,
სანდალა კი გატვრენილა
ქალის გულმკერდზეო.

ცუკამ კარი შეამტვრია,
ახსნა ჩარჩოზეო,
კეტით ცოლსა და კუროსა
უცხუნა რიგზეო.

დიამბეგსა მოახსენეს:
— ნახდა „ქალთა მზეო“,
სამართალი რამე მოგვე
წესზე და რიგზეო.

მოქრთამული დიამბეგი
ზის მუთაქაზეო,
— ე რა საქმე ჩიდინე,
ჩემო „ქალთა მზეო?!”

თუ ქმართან ყოფნა არ გსურდა,
გეჩივლა დროზეო,
ნამსვე არძას დაგინერდი,
ცოლ-ქმრის გაყრაზეო.

ხალხში კი ჩოჩქოლი ატყდა
ამ განაჩენზეო,
დიამბეგს ყური არ უგდო:
— ვერა სჭრის რიგზეო.

„ქალთა მზე“ თავის კუროთი
ხელთუბნის თავზეო
ჩაქოლეს და დაანერეს
ასე ბრტყელ ქვაზეო:

„ქალსა ქმრისა მოლალატეს
დაუბნელდეს მზეო,
ყველა ასე ჩაიქოლოს,
როგორც „ქალთა მზეო!“

ნათესაურ სისხლის შემრევს
დაადგეს ეს დღეო,
ყველა ასე ჩაიკიროს,
როგორც „ქალთა მზეო“.

ამ ლექსის გამომთქმელია
სიდამონიძეო,
სახელად ერქვა დავითი
ქაიხოსროს ძეო!

დაასრულა თუ არა პეტრემ ეს ლექს-ამბავი, ჩიბუხი გააჩალა და ფიქრს მიეცა. ხელთუბნიდან ვიდრე გორამდე კრინტი არ დაგვიძრავს არც ერთ ჩვენგანს. ბინდისას გორში ჩამოვედით, დიდი მადლობა გადავუხადე და ერთმანეთს დავშორდით. მას შემდეგ პეტრეს შესახებ ალარაფერი გამიგია.

34. ცოლი გამიღიღებულდა

გაგონილს მოგახსენებთ, სოფელ ავნევში გამიგია გაბო სესიაშვილისაგან. დიამბეგობის შემოღებაზე უფრო ადრე მომხდარა ეს ამბავი. ერთ კაცს ჰყოლია ცოლი, სახელად პელა. ამ ქალის ქმარი დათა წითლანაშვილი (წითლაანთ დათა) კარგი ჯმუხი და ჩასხმული კაცი ყოფილა. თანაც კარგი მომღერალი და მაგარი მოჭიდავე. მესტვირეობაც კარგად ეხერხებოდა. ჭირსა თუ ლხინში წითლანაანთ დათა რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა.

— აბა, შვილოსან, უდათაოდ რა გემო აქვს პურის ჭამასაო, — ასე იტყოდნენ თურმე მისი ამხანაგ-ნაცნობები. დათა ხშირად ჩადიოდა გორში რამერუმეს საყიდლად. შინ ისე არ დაბრუნდებოდა, რომ ცოლისათვის ან საკაპე, ან ფლოსტები და ან სხვა რამ არ ეყიდნა და არ მიეტანა. ერთი სიტყვით, არ იცოდა, თუ როგორ ესიამოვნებინა ცოლისათვის. მაგრამ ის შეჩერებული და დაწყევლილი, ისეთი მოღუშული შეხვდებოდა ქმრის მიტანილს, რომ საწყალმა დათამ არ იცოდა, რა ექნა. ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟკაცმა ასე უთხრა ცოლს: — დედკაცო, რას მაწვალებ? ხან გესიამოვნება, ხან ფილენჯი მოგივლის და უცბათ გადაირევი. რაც შემეძლო, ის გიყიდე და მოგაქვავე, სხვა მეტი რა ვქნაო?! — როცა ასე მაგრად დაუხვდებოდა ქმარი, პელა თითქოს მოითაფლებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაუდიღებულდებოდა. დათა სულ ტანჯვაში ჰყავდა იმ არგასახარელს. დათა ფანდურს წამოავლებდა თუ არა ხელს, მოჰყვებოდა ქარაგმიან სიტყვების დამღერას.

ერთხელ ასეთი სიმღერა გალასტა:

ქმარმა ცოლის ხასიათი
ვერ გაიგო, ვერაო,
ვერც ალერსით, ვერც ჯავრობით
ის ვერ დააჭერაო.

არაფრისგან არას ვაკლებ,
მომაქვს რაც რომ უნდაო,
უიმისოდ ხელს არ ვახლებ,
რაც იმას არ უნდაო.

ქმარმა ცოლის ხასიათი
ვერ გაიგო, სწუხდაო,
იძახოდა: ამ ოხერსა
ნეტავი რა უნდაო.

ვერსა გზით ვერ მოვაწონე
დიბეტი¹⁷² თუ ფარჩაო,¹⁷³
ამისთანა სიცოცხლეც კი
კოლოპურტად დარჩაო.

ბოლოს დათასა და პელას საქმე ვეღარ წავიდა კარგად. დაიღუპა ქალმა მეტი კაპასობით თავი. ხალხმა მათი ამბავი გალექსა კიდეც:

¹⁷² უძვირფასესი ნაქსოვი.

¹⁷³ უძვირფასესი ნაქსოვი.

ცოლი გამიდიდგულდა,
ფარჩის კაბას დავპირდი,
ისევ გადმომიბრუნდა.
ეშმაკის ცხენზე შეჯდა,
ისე გამიდიდგულდა.
ფლოსტები რომ უყიდე,
უცბად გადმომიბრუნდა,
კიდევ გამიდიდგულდა,
აღარ გადმომიბრუნდა.
დაბასმული მივართვი,
ცოტა გადმომიბრუნდა.
უცბად გაწყრა, გარინდდა,
იძახის: ეს არ მინდა,
ქინძისთავი ოქროსი¹⁷⁴
მარგალიტებით მინდა.
ეხლა ესეც ვუყიდე,
ამ ჯერ გადმომიბრუნდა.
უცბად სახით ატლასდა¹⁷⁵
ისევ გადამიბრუნდა!

ხალხმა ამ ამბავს სხვა ლექსებიც მიაყოლა:

ახია, რაც მოუვიდა
ი ოხერა, ვერანასა,
სულ მთლად გადაგვიბირებდა
დედაკაცებს ყველანასა.

ახია, რაც მოუვიდა
ი წყეულსა, ოხერსაო;
ამისთანა მეზობელი
სულ არ უნდა სოფელსაო.

დამტანჯა ეს ვაჟკაცი,
სულ მთლად დამაღნო კაცი.¹⁷⁶
ბოლოს ვერ მოვითმინე,
გორში მიმყავს ტივითა;
წყალმა ბურჯს დაგვაჯახა,
სიმწრისაგან ვლვივითა.¹⁷⁷
როგორც იყო ავცურდი,
ნაპირზე გამოვედი,
ჩემი ცოლი მეძახის:
„გადმომიგდევი ლვედი!“¹⁷⁸
მე ყური მოვიყრუე,
ქიმად წაველ წავითა,
ცოლი ლიახვემა იგდო
შუბლის ქინძისთავითა!
ოხრად დარჩა სუყველა —
ნაყიდი იმ თავითა!

ცოლებს ყველას გადაგვირევს,
აგვინენავს მთლად სახლსაო,
სულ უკულმა ააქოთებს
საწყალ გლეხის ოჯახსაო!

კარგია, რომ ჩაუძირავს
დიდი ლიახვის წყალსაო;¹⁷⁹
მე სურამელი არონა¹⁸⁰
აღარ მოგაწყენთ თავსაო!

¹⁷⁴ შუბლის ქინძისთავი.

¹⁷⁵ სიბრაზისაგან გაწითლდა ატლასივითო.

¹⁷⁶ სფსც არქივში დაცულ ხელნაწერში დამატებულია ეს ორი სტრიქონი.

¹⁷⁷ ფერი შეგვეცვალა, შევშინდითო.

¹⁷⁸ ე.ი. მიშველე როგორმე, გადამარჩინეო.

¹⁷⁹ დიდი ლიახვი ჩამოუდის გორს და უერთდება მდინარე მტკვარს.

¹⁸⁰ არონა ციციაშვილი — ლექსისი მთქმელი.

35. საროს დანიშნული

(სახუმარო საცეკვაო)

ერთი „ბუზიკაზე“ უკრავს, მეორე — დაირაზე. დანარჩენები ტაშს აყოლებენ. ლექსს ორი ასრულებს რიგ-რიგობით — სიტყვა-პასუხის სახით.

- I — ხელთუბანში ამოსულა ბერშაეთის წყარო,
- II — აბა, ერთი ვათამაშოთ კეკელა და მარო.
- I — გუშინ, დილით დანიშნულა ჩვენი ბიჭი სარო,
- II — ისიც აქ მოვაძუნძულოთ, გული გავახაროთ!
- I — თურმე გოგოს ეუბნება: დეკნავ, კარგი ხარო!
- II — რა ვუყოთ, რომ ბავშვობიდან ცოტა კოჭლი ხარო.
- I — შენთან აბა რას გახდება ტანტალაანთ მარო,
- II — რა უშავს, რომ ცალი თვალით ბრუციანი ხარო,
- I — კეკელა ვერ შეგედრება, ჰგავს სიმინდის ტაროს,
- II — ნუ დარდობ, თუ აქლემივით კუზიანი ხარო!
- I — ჩვენს სოფელში გოგო არ გჯობს, მათთან მთვარე ხარო,
- II — რა ვუყოთ, რომ ოჯახშია ფეთხუმივით ხარო!
- I — მე მაინც არ დაგინუნებ, ჩემი ბედი ხარო,
- II — კოჭლი, ჭუჭა, ბრუციანი, ყველას სჯობიხარო!

36. შემოგხედავ, მზეს გადარებ

„დედაჩემის ნათქვამს მოგახსენებთ“, — ამბობს ოქრო ჯავახიშვილის მეუღლე სოფელ ძევერიდან. — სოფელ ერგნეთში ერთ-ერთ თავად ხელხეულიძის ოჯახში ისეთი ლამაზი გოგონა იზრდებოდა, რომლის მსგავსი იმ დროს გორის მაზრაში არ მოინახებოდა თურმე. ხალხმა ამ გოგონას არაჩვეულებრივი სილამაზის გამო მარგალიტა დაარქვა.

ხელხეულიძის ოჯახში, ამ ქალის გამო, ბანარაულებელი სტუმრობა მოდიოდა. მასპინძელი ყველა მიმსვლელს შესაფერად უმასპინძლდებოდა, მშვენიერ დროს ატარებინებდა სტუმრებს. ახალგაზრდობა ხომ მთლად გადარია მარგალიტას სილამაზემ.

სადილის შემდეგ, მზე რომ შუბის ტარზე დავიდოდა, იმ სოფლის თავზე იმართებოდა ჯირითი და ბევრი რამ სხვა გასართობი. ქალები ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილი კენჭს ყრიდნენ და, რომელ ჯგუფსაც ერგებოდა ეს მშვენიერი გოგონა, ის თავის წრეში ჩააყენებდა და მის გარშემო ფერხულს აბამდა. ბოლოს ჯგუფები ერთიანდებოდნენ და უმღეროდნენ:

შემოგხედავ (და) მზეს გადარებ,
ინდოეთ ქვეყნიდან მოსულსა.
გევხარ თვალმარგალიტს უფასოს,
მთვარს და ბადრსა ამოსულსა!

მნათობი ხარ (და), მზის მშვენება
შენთან (და) რა დასადარია,
გაბადრულ მთვარეს რომ წუნსა სდებ,
ამას გიმლერს მთა (და) ბარია!

თავთუხია (და) მსხვილმარცვალა,
ფაფუკისა სადარია,
ბატონიშვილი ყველანი
გააგიუა, გადარია!

შემოგხედავ (და) მზეს გადარებ,
ინდოეთ ქვეყნიდან მოსულსა.
გევხარ თვალმარგალიტს უფასოს,
მთვარს და ბადრსა ამოსულსა.

ლამაზი და მშვენიერი მარგალიტა გაათხოვეს. ვიღაც მდიდარმა იმერელმა თავადიშვილმა წაიყვანა. იმერეთს გათხოვილ თავადის ქალს თურმე საშინელი სენი შეეყარა. ლამაზი სახე „ბატონებმა“ დაუდალეს და დაუსახიჩრეს.

ამ მშვენიერი ქალის უბედურებით გულნატყენმა ხალხმა გამოუთქვა მარგალიტას ლექსი:

ჩვენ თავადის მარგალიტა
უწინ იყო ქართლის თვალი,
მის წინ ვერვინ წარდგებოდა,
ვერც ერთი ბატონის ქალი!

თამარ დედოფალსა ჰეგავდა,
იყო მზე და იყო დარი;
მის ბადალსა ვერ ნახავდი,
გინდაც გევლო მთა და ბარი!

მაგრამ უცბად შეიცვალა,
გულს მოედო სევდის ალი;
ბატონებმა — ყვავილებმა
დაამჩნიეს თვისი კვალი.

დაუღარავთ მთელი სახე,
დაუღრეცავთ პირის კანი;
აფსუს, ჩვენო მარგალიტავ,
რომ არა გაქვს გასაქანი!

ასე არის გაჩენილი,
სილამაზე ხანმოკლეა,
ძნელად თუ ვინმეს გაუვლის
დიდხანს სახის სიჭორფლეა.

ზოგს ბავშვობისას ეწვევა,
გაუვლის, ვით ზენა ქარი;
თუ მოზრდილი იგდო ხელში,
მაშინ საშიშარი არი!

37. მოდი, აქ დაჯექ, შვილო

— ეს დიდი ხნის ამბავია, როგორც დამახსოვდა, ისე მოგახსენებთ, — ამბობს ტიტო დედენაშვილი. — ერთ ვაუკაცს, სახელად თამაზს, მოსწონებია ქალი. ქალს მაქო ერქვა თურმე. აუწერელი სილამაზის ყოფილა. მაქოს ყოლია ამხანაგი შუშანა, ისიც მეტად ლამაზი, მომხიბვლელი. ახალგაზრდა ვაუი ვერ გარკვეულიყო გრძნობაში. ხან ერთის სილამაზე იტაცებდა, ხან მეორის მშვენება, ხან ერთს ეტრფოდა, ხან — მეორეს. ბოლოს მაქოს მშობლებთან მისულა ქალის სათხოვნელად. მაქოს პაპას ფანდური აუღია ხელში, დაუმლერია და სიმღერით დაურიგებია სტუმრად მისული ვაუი: ჯერ სამშობლოს ვალი მოიხადე, მერე ცოლის შერთვაზე იფიქრე, ჯერ ახალგაზრდა ხარ და გამოუცდელი, გრძნობებს ნუ აყვებიო:

მოდი აქ დაჯექ, შვილო,
ჩემი სისხლხორცის ნაწილო,
უდრო-უდროვოდ გულს იჭენობ,
ჯერ ნაადრევად ნაჩრდილო!

ჯერ ისევ ყმანვილი გეთქმის,
შენთვის საღი სიტყვა მეთქმი;
მაქოსა და შუშანაზე
ცუდი რამ არ გამომეთქმის!

მაქო შუქურ ვარსკვლავია,
ცის მნათობი, დილის ვარდი;
შუშანა კი ბადრი მთვარე,
ზღვას და ხმელეთს შენაზარდი.

ყური მიდგე, ჩემო შვილო,
ქვეყანა მაქეს შემოვლილი;
ბევრის მნახველს, ბევრის გამგონს,
ბევრჯელ გამბრთხობია ძილი!

(რასაც გეტყვი დამიჯერე,
შენთვის ცუდი ხომ არ მინდა;
შემდეგ თავში მოისაზრე,
გადასჭერი, როგორც გინდა).¹⁸¹

მაქო — შარიშური¹⁸² არის,
თანაც შუქურ ვარსკვლავია;
გულით და გრძნობით ყამირობს,¹⁸³
ძალზე ძნელი სახნავია!¹⁸⁴

ჯერ შენ ახალგაზრდა გეთქმის,
თუმც თან გახლავს ვაჟაკაცობა;
რა უყოთ, რომ მაქოს ეშხმა
გაგაშმაგა, გაგაცოფა!

ჯერ ნორჩი ხარ, აკოკრდება
გიშრისფერი წვერ-ულვაში;
თანაც აზრი შეგეცვლება,
ჭკუაც შებრძანდება თავში!

მაშინ სულ სხვას დაამღერებ,
გულსაც არ გაიხვევ დარდში!
ეხლა, თუკი შეგიძლიან,
გაეშურე მეფის ჯარში.¹⁸⁵

ეს ორიც წამოიზრდება,
გამითვარებს გიშრის კავში,¹⁸⁶
სანამ შენ დაბრუნდებოდე,
შეტოპავენ ეშხის ტბაში.¹⁸⁷

მანამდის კი არ იფიქრო
შენ ამ ორ მარგალიტზედა,
გულისყური იქით გქონდეს,
რომ გაიმარჯვო მტერზედა.

მეც, თუ პირი არ ვიბრუნე,¹⁸⁸
დავსეტყვავ ამ ფანდურზედა:
შარიშური, შარი მაქო,
და ლამაზ შუშანაზედა!

ჯერ კი ამაზე ნუ ფიქრობ,
მტრისკენ გაიტანე კვალი;
სამშობლოს წინ მოიხადე
ვით ქართველმა შენი ვალი!

¹⁸¹ სფსც არქივში დაცულ ხელნაწერში დამატებულია ეს სტროფი.

¹⁸² კოხტა, პერიანი.

¹⁸³ გამოუცდელი.

¹⁸⁴ ძნელად რომ კაცმა დაიყიოლიოს, ძნელი მოსარჯულებელიაო.

¹⁸⁵ საომრად ჩაეწერე.

¹⁸⁶ უფრო დამშვენდებიან, რომ წამოიზრდებიანო.

¹⁸⁷ გრძნობას დაემორჩილებიან.

¹⁸⁸ თუ არ მოვცდიო.

38. ერთი ლალა ქალის ამბავი („გასათხოვარი ქალი ვარ...“)

აბაშიძიანთ ქალის ლალაზე გაგონილს მოგახსენებთ. იმ ქალს ლამაზ კეკეს ეძახდნენ. ლალაობაში გაუტარებია თავისი დღენი და წუთისოფელი, იმიტომ დარჩენილა გაუთხოვარი.

აბაშიძეს თავისი ერთადერთი ქალი დარიკო რომ გაუთხოვებია, დიდ მზითებთან ერთად, კეკეც მიუყოლებია, რადგან დარიკოს დაუინებით მოუთხოვია თავისი საყვარელი ლალას გაყოლაც.

კეკე ვაჟკაცური ქალი იყო. ცხენიან კაცს ხმალამოლებულს შეეპრძოლებოდა თურმე, თუ საჭირო იქნებოდა. ჩვენს ბატონთან უსწავლია წერა-კითხვა; ხელსაქმეც კარგი სცოდნია. კეკეს ნაირნაირი ზღაპრები, ლექსები, აქეთურ-იქითური ხომ მსმენელებს ხიბლავდა. იმისათანა ჩონგურზე დაკვრას კაცი ვერსად მოისმენდა. ის შეჩვენებული რომ დაამღერებდა თავის ნაზი ხმით, მთელი დამსწრე, დიდი თუ პატარა, განაბული უსმენდა თურმე. ახალ ბატონებსა და მიმსვლელ-მომსვლელ დიდკაცობას ისე შეჰვარებია, რომ წინ ზიხარ, უკან დაჯექიო ვერ უბედავდნენ. ერთი სიტყვით, ჩვენი ახლომახლო სოფლების თვალი ყოფილა ეს გლეხის ქალი.

თუ რომელიმე გლეხს ბატონი უდიერად მოეპყრობოდა, კეკე მაშინათვე მივარდებოდა ბატონს გაცხარებული კრუხივით. ერთი ასეთი შემთხვევა ყოფილა: ერთ ჩვენს სოფლელ გლეხს ტყეში თვალი მოუკრავს დათვის ბელისათვის. ბელი კაცის დანახვაზე დამფრთხალა და იქვე ბუნავში შეუფარებია თავი. გლეხი არ მოშორებია, შემძვრალა და გამოუთრევია. ამ გლეხს ალბათ მკლავის იმედიც ექნებოდა. როგორც კი გამოსულა ტყიდან, დაუნახავს გააფთრებული მისკენ მიმავალი დედა დათვი. გლეხი არ დაბნეულა, ბელი დაუსვამს და თითონ მოუმარჯვნია შუბი. როგორც კი მივარდნილა დასაგლეჯად დედა დათვი, ამ გლეხს ისე მოხერხებით ჩაუცია შუბი, რომ ნადირი იქვე უსულოდ გადაქცეულა. გლეხსაც ცოტაოდენი ჭრილობა მიუღია. ბელი წამოუთრევია და ჩვენი ბატონისათვის მიურთმევია: აი, ბატონ! მოგართვით ბავშვების გასართობად, მხოლოდ გააფრთხილეთ, რომ არ გააღიზიანონ. ბატონს მიუღია საჩუქარი. ბავშვები ამის დანახვაზე ხომ სულ გადარეულან. ვის რძე მოჰქონდა, ვის პურის ნაჭერი, ვის სურით წყალი და ვის რა. ასე იზრდებოდა თურმე ეს პატარა დათუნია. ჯაჭვით გამობმული ჰყოლიათ. ბევრს აცინებდა თურმე ეს ბელი დიდებსაც კი. როცა კარგად მოიზარდა, ხასიათი გამოეცვალა თურმე. ხუმრობის გულზე როცა არ იყო, სულ ბურტყუნებდა და თვალები სისხლით ევსებოდა. დიდები ბავშვებს არიგებდნენ, მაგრამ ბავშვი ხომ მოგეხსენებათ, კერპია და, აი, ამ სიკერპემ კინალამ იმსხვერპლა ბატონის ერთადერთი შვილიშვილი.

ბიჭუნას სახრით უწვალებია ბელი. გარშემო არავინ ყოფილა. ბელს უთმენია, უთმენია და, პატარა რომ არ მოშვებია, სცემია. ბავშვი შიშისაგან განზე გამხტარა და აუტეხია ყვირილი. ამ ყვირილზე მთელი ხალხი გარეთ გამოცვინულა. მივარდნია ბავშვს, გაუხდიათ ტანისამოსი, დაუნახავთ პატარა განაკანრი. ბატონს რომ მოახსენეს, გულგახეთქილი მივარდა ჯერ ბავშვს და ცოტა რომ დაიმედდა, გასწია ბელისაკენ. უცხუნა და უცხუნა სახრე. ასტყდა დათვის საზარელი ყვირილი და ძალლების ყეფა. უცებ ბატონმა გაიხსენა თურმე გლეხი — ბელის მომყვანი, მაშინვე უბრძანებია მისი მიყვანა. გლეხი გამოცხადებულა. ბატონმა არც აცხელა და

უმოწყალოდ გაასახრინა უდანაშაულო გლეხი. ამ ხმაურობაზე კეკეც მოირბენს, დაინახავს რა გაფიტრებულ გლეხს, მიხვდება მის უბედურებას, გაექანება ბატონისაკენ და გააფიტრებით მიულექსავს:

რას ჩადიხარ, ბატონო,
ავი ჭკუის პატრონო,
სამართალი არა გაქვს,
რომ გლეხკაცს უჰატრონო!

თუ ეგ საწყალი პირუტყვი
ბავშვებს აუღრენია,
ეგ გლეხი რა შუაშია,
აქ რომ დგას ნაწყენია.

შენც მადლობის მაგივრადა
სახრე დაგიშენია?!

ამ დროს გამოჩენდება დარიკოც. ბატონი ქალიშვილის დანახვაზე მოლბება. მერე დაბალი ხმით იტყვის:

— ეს აჯილდა მომაშორეთ, თორემ სხვასაც ბევრს რამეს წამოროშავსო. კეკე გაიგებს ბატონის სიტყვებს, მიუბრუნდება და გესლიანად მიაძახებს:

რატომა ვარ აჯილდა?
რატომ გუადრე ავია?
იმიტომ, რომ თქვენი ქცევა
ცეცხლში დასაწვავია.

ამ კეკეზე ბევრი რამ გამიგია, მაგრამ სიბერემა და გაჭირვებამ თავისი გაიტანა და მოგონებების თქმის ეში სულ მთლიანად დამიკარგა. — ასე დააბოლოვა მოხუცმა იაკობ სულიაშვილმა.

კეკეს გამოთქმული ლექსი სოფელ ბრონლეთშიაც ჩავწერეთ:

გასათხოვარი ქალი ვარ,
მადარებენ სავსე მთვარეს,
თურმე ჩემსა შესაფერსა
ვერ ვის შეხვდნენ ამ ჩვენს მხარეს.

ბევრი შუაკაცი მოდის,
ბიჭიც ბევრი დამანახვეს,
თვალში რომ არცერთი მომდის,
ბოლმა მარჩობს იმათ მნახველს.

ერთმა მაჭანკალმა მითხრა:
სხვების ჭკუას ნუ აჲყვები;
ბედს აიცდენ თავიდანა
და გულის ჯავრს გადაჲყვები!

დავუჯერე, არ წავაგე,
რაც სთქვა, გულზე დავიწერე,
დათას ულუმბაში¹⁸⁹ გავყე,
მასზე ჯვარი დავიწერე!

¹⁸⁹ ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია ქართლში.

39. დიამბეგს ქალი მოსტაცეს

დიამბეგს ქალი მოსტაცეს
კოხტა, ლამაზი, მზიანი;
ჯერ ისევ გაუფურჩქნავი,
ოთხ ნაწილი გიშრისთმიანი.

იაბო ცხენი მოჰვარეს,
მუხლამდის ფაფარიანი,
ზედ შესვეს ქალი მნათობი,
თან სიტყვა ჰყადრეს წყლიანი!

სამი დღე-ღამე ატარეს,
გზა ჰქონდათ აღმართიანი;
ზოგან თუ ხრამი უფსკრული,
ზოგან სულ შალი კლდიანი.

ჩერქეზთა ბატონს ვაჟი ჰყავს
კოხტა და ხუჭუჭმიანი.
მნათობი იმას მიჰვარეს,
ვაჟკაცი უქეს ხმიანი!¹⁹⁰

კახეთში ერთი თავადი დაუნიშნავთ დიამბეგად. ცხოვრობდა ახმეტის ახლო-მახლო. მას ჰყოლია ერთადერთი ასული, ძალზე ლამაზი, სახელად თამარი რქმევია, მისი სილამაზის ამბავი მთელ საქართველოს მოსდებია. ეს ქართლის ერთ-ერთ დიამბეგსაც გაუგია და მაშინვე შუაკაცი უფრენია და შემოუთვლია კახეთის დიამბეგისთვის: შენი ქალი ჩემს ერთადერთ ვაჟისთვის მსურს, მოპრძანდით ჩემთან, მესტუმრეთ, ნახეთ ჩემი შეილი და, თუ მოგეწონებათ, დავნახულდეთ — დავმძახლდეთო. კახეთის დიამბეგს საქმე შორს დაუჭერია: ჩემი ქალი ჯერ ბავშვია, მის გათხოვებას არ ვფიქრობო.

გავიდა ცოტა ხანი და კახეთის დიამბეგს ქალი მოსტაცა ჩერქეზი ბატონის ვაჟმა. დიამბეგი დასდევნებია ჩერქეზებს, მაგრამ ქალის კვალი ვერსად აღმოუჩენია. ამ ამბავს ქართლშიაც მიუღწევია. ქართლის დიამბეგმა დამწუხრებულ მამას შემოუთვალა:

კახეთის დიამბეგოვო,
მაგ შენი კუთხის ბეგოო,
ასეთი ყურმიგდებისთვის
მათრახით დასაბეგვოო!

წინადვე უნდა გცოდნოდა,
გული გქონოდა შიშითა,
აბა, ეხლა რას უშველი,
ტირილითა და ვიშითა?!

ამ ამბის გაგონებაზე
მეც ვაჟი გადამერია;
ვინ იცის, თავს რას დამართებს,
ახალგაზრდაა, შტერია!

შენ მანდ ეცადე, მე აქა,
მოვივლი ხმელეთს, ზღვასაო;
რომ დავიბრუნოთ მნათობი,
არ დავიზოგავ თავსაო!

ორივე დიამბეგი ეძებდა დაკარგულს, ბოლოს გაიგეს, რომ ჩერქეზთ ბატონის რძალი გამხდარა. კახეთის დიამბეგს ის ამბავიც მოუტანეს, რომ ჩერქეზი ბატონიშვილი მზად არის ქრისტიანობა მიიღოს და თქვენთან ზედსიძედ შემოვიდესო.

¹⁹⁰ სახელგანთქმული.

40. ბეთლემის საყდარზე

ბეთლემის ტაძარს აქებენ
იმ დიდ მთა ყაზბეგისკენა,
გაჰყვები ვიწრო ბილიკსა,
ნუ წახვალ ყაზბეგისკენა!

ოლრო და ჩოლრო ბევრია,
უნდა იფოფხო კლდისკენა,
ფეხი თუ ცოტა წაგიცდა
მოსხლტები უფსკრულისკენა!

შორიდან იგი არა ჩანს,
თუმცა ტყე არ აფენია;
ვერ იგებ ჩიტის ბუდეა,
თუ რამე სხვა ნაშენია!

ამბობენ, მეფის ხელია,
იმ ჩვენი თამარისაო;
ვისაც შიში არ უგრძვნია,
არც ზღვის, არც ხმელეთისაო!

თამარმა ბრძანა: „ეს ნიში
რომ ეფარება გორასა,
აქ შეიკრიბეთ, ილოცეთ,
ნუ შიშობთ მტრის მოწოლასა!

ურჯულო აქ ვერ მოგვაგნებს,
გინდ სჯობდეს ფრენით ქორსაო;
აქა-იქ ჩასაფრებული,
ვერ მოვა დიდხანს გონსაო!

გინდაც მოგვაწვეს თათარი,
შემოჰყვეს კლდისა გორასა;
აქა-იქ მარჯვე ბიჭები
ხრამში გადუშვებს გორასა“. ¹⁹¹

ამრიგად, ააგებინა
აქ სალოცავი ნიშიო;
კლდეებში გახვეულია,
ასვლის დროს გქონდეს შიშიო!

კარს გამოაბენ რკინისა
ჯაჭვი ღვედზედა დიდიო;
ბოლოს დაჰკიდეს ნალივით
ხელისა მოსაკიდიო!

მტრის შიში არვის ჰქონოდა,
გინდაც გარს შემორტყმოდაო;
ვინც გაბედავდა მიპარვას,
თავის გაჩენას გმობდაო!

მტერმა იცოდა ადგილი,
ჯარიც დიდძალი ჰყავდაო,
მაგრამ რომ ვერ უდგებოდა,
მუდამ სირცხვილი სწვავდაო!

გაბრუნდებოდა უკანა
კბილების კრაჭუნითაო;
ემუქრებოდა გურჯებსა
დაფდაფის ბრახუნითაო! ¹⁹²

შენახულია საყდარი,
მხოლოდ გზა გაპარტახდაო;
ვინ სწირავ ან ვინ ლოცულობს
გამოსაცნობი გახდაო!

ბეთლემის საყდარს აქებენ
თავის მიუვალ გზითაო,
ბევრი სხვა დაუნგრევიათ,
ეს კი გადარჩა ლვთითაო!

¹⁹¹ დაჭრილ-დახოცილთა დიდ რაოდენობას.

¹⁹² დოლის დაკვრით.

41. ყინწვისის ტაძარზე

ყინწვისის ტაძარს აქებენ,
თამარის აშენებულსა;
შორიდან უჩანს გუმბათი,
კაკლებში გაშენებულსა!

დარჩენილია თქმულება
დედათა მონასტერზედა,
მას შემდეგ ხალხი მოუბნობს
თამარის მონასტერზედა.

თურმე ყოფილა ვიღაცა
ვაჭარი ზორაბაბელი,
ქრისტიანობა არ სწამდა,
ზანქანი იყო სახელი.

თვალად თუ ტანად ლამაზი,
ახოვანი, ვით მდევია;
ამ ურჯულოსა ლამაზი
ქართველი შეურჩევია.¹⁹³

ასე სცხოვრობდნენ კარგა ხანს
ხალხისა შეუმჩნევლადა;
ზანქარი კრინტსაც ვერ ძრავდა,
სიმუნჯე სჯობდა ბევრადა!

მაგრამ რა დაიმალება
როდისმე ამა ქვეყნადა;
თამარ მეფემაც შეიტყო
ყინწვისის შესარცხვენადა.

მოიხმო ზორაბაბელი
მყის სამეფო დარბაზშია,
უსიტყვა: „მართალი არის
რასაც კილობენ¹⁹⁴ ხალხშია?“

ზორაბაბელი გაყვითლდა,
სახე შეექმნა კოჭისა;¹⁹⁵
ფიქრობს: ეხლა კი დამიდგა
დრო დათოკვის-შებოჭვისა!

თამარმა თავისებურად
უბრძანა: „ზორაბაბელო,
რაზე შვრებოდი მაგ საქმეს
ურჯულო ცდა უსახელო?

შენ რჯულით ჩვენი არა ხარ,
მისდევ მოსესა მცნებასა;¹⁹⁶
შეგიცდენია ქართველი,
ქრისტეს აყენებ ვნებასა!

გამოეთხოვე სიცოცხლეს,
შენს ქონებას და სახელსა,
თუ არ მიჰყვები ჩემს ნებას,
ჩემს გულის ფიქრს — საწადელსა!

მხოლოდ ერთი რამ დაგიხსნის
ეხლავ გადუდგე შენს რჯულსა;
ქრისტიანობა მიიღო,
არ დაუმძიმო შენს სულსა.

მაშინ იცხოვრებ, როგორც გსურს,
ქართველ ქალს გითმობ ცოლადა;
რადგან ორივე იქნებით
სარწმუნოებით ტოლადა!

დილამდის გაძლევ ვადასა,
როგორც გიჯობდეს, იფიქრე,
ხვალ მომახსენე, თუკი რომ
ეს აზრი გადაიფიქრე!“

¹⁹³ ქართველი ქალი.

¹⁹⁴ რასაც ხალხი ლაპარაკობს, მართალიაო?

¹⁹⁵ ყვითელი ფერი დაედოვო.

¹⁹⁶ შენ სხვა რჯულისა ყოფილხარო.

ამ სიტყვის გაგონებაზე
ცხრად მოიკავეა ზანქანა,
რჯულის შეცვლისა საკითხმა
გააქან-გამოაქანა!

მოსწყდა ლასტივით მეფის წინ,
ათრთოლდა ვითა ბავშვია,
დაუფიქრებლად პასუხობს,
რაც მოუვიდა თავშია.

— დიდო მეფეო, ნუ მრისხავ,
მე შენსა ფეხის მტვერსაო;
გთხოვ. მაპატიოთ რაც ბრძანეთ
ამ შემოდგომის დღესაო!

რჯული რომ გამოვიცვალო,
სჯობს ცოცხლად ჩავიქოლოვო,
ან ჩემი ხელით მახვილით
სიცოცხლე ჩავიქოლოვო!

საქმეს არ გამოასწორებს
ჩემი სიცოცხლის გაქრობა;
არც თუ ჩემისა ცოლისა
სიყვარულისა ჩაქრობა.

თუ ნებას მომცემ, მეტს ვიზამ,
ეს მაგრძნობინა გულმაო;
ისეთს შენობას ავაგებ
იხაროს ქრისტეს რჯულმაო.

მე გინდ ვყოფილვარ, გინდ არა,
ამით რა შეგემატება;
მონასტრის აშენებით კი
რჯულს სხივი მოემატება“.

დასთანხმდა დიდი მეფეი,
ზანქან შეუდგა საქმესა;
ტაძრის შენება დაიწყო,
საძირკველი ჰეგავს ნალმევსა.

სამ-ოთხ წელიწადს მოუნდა
მონასტრის აშენებასა;
წინასწარ იცის ზანქანმა,
მეფე შეასხამს ქებასა.

სართული სართულს დაადგა,
გუმბათი სწვდება ცასაო,¹⁹⁷
ქარელში გაიგონებდი
მონასტრის ზარის ხმასაო!

საქმეს რომ მორჩა, წარუდგა
ზანქან ჩვენს დედოფალსაო;
მეფეს ეამა, უმადლა,
თან არ აშორებს თვალსაო!

ზანქანს სიცოცხლე აჩუქა,
გულით რომ იყვეს სრულიო;
თვის აშენებულს ტაძარში
მიიღო ქრისტეს რჯულიო.

მან თავის საქმე განაგრძო,
ტაძრებს მოჰკიდა ხელიო;
მეფე თამარიც გაუხდა
მფარველი-მწყალობელიო.

ზანქანის ცოლი გამოდგა
უშვილო, დედაბერიო;
რაც რომ ქმართანა ცხოვრობდა,
შვილი არ ჰყავდა ღერიო.¹⁹⁸

¹⁹⁷ ზოგან: „გუმბათი გუმბათს დაადგა, ე. ი. სართული სართულს მიუმატაო.

¹⁹⁸ ე. ი. არც ერთი.



ისიც მოლოზნად შევიდა,
სხვებიც მიაწყდა ბევრიო;
მას შემდეგ ტაძარს დაერქევა
დედათა მონასტერიო!

დრო-უამმა ბევრი შესცვალა
ამქეყნად ყველაფერიო,
მაგრამ ყინწვისის მონასტერს
ვერ აფცქვნა ერთი ლერიო!

დგას როგორც მდევი, გმირთ-გმირი,
უდრევი, როგორც კაჟიო;
დროთა სვლამ ვერ გზით შებედა, —
გააღებინოს ბაჟიო!

მნახველი დღესაც თვალს მოჰკრავს
ამ მონასტერსა — ფალავანს,¹⁹⁹
მისი გუმბათი დასცქერის
კაკლით შემოსილ გალავანს!

42. ყურშაო

არც ოთხფეხია და არც ფრინველი,
არც მიმინოა და არცა შველი,
ვინც გამოიცნობს, ბრუსაბლის²⁰⁰ თავზე
მას გემრიელი ვახშამი ელის!

(ხალხური გამოცანა)

|

ერთი ბატონი გავიდა მინდვრად,
გულ გასართობად, სანადიროთა,
თავის ყურშაო თან წაიყვანა,
რომელს მიტევა არა სჭიროდა.

დაინახავდა თუ არა ფრინველს,
ან თუ ნადირსა სადმე ტყეშია,
ელვის სისწრაფით თავს დაესხმოდა,
და ჩაბლუჯავდა მაგრად წელშია.

მწევარზე ძლიერ ბატონს უყვარდა,
რაც ხანი ჰყავდა, გულით ზრუნავდა,
სმას არ აკლებდა, არც თუ ჭამასა,
მხოლოდ ერთ რამით ძალზე ჭმუნავდა!

როცა ყურშაოს უკვირდებოდა
და გაუყრიდა თვალსა თვალშია,
თითქოს ეშმაკი ელანდებოდა
ი ჯოჯოხეთის ცეცხლის ალშია!

გააურულებდა უეცრად ბატონს,
მაგრამ ერთ წუთით იყო ეს შიში;
ხელს ჩაიქნევდა და ძველებურად
საწინკნარს სჩრიდა ყურშაოს პირში.

ერთხელ მივიდა ბატონთან გლეხი,
როგორც შეშვენის მონადირესა,²⁰¹
ზალიკო ერქვა, მეტსახელად კი
ხევი ეძახდა „დაიჭირესა“.

¹⁹⁹ განთქმულს, ლონიერს, მკვიდრს.

²⁰⁰ იალბუზის მთაზე.

²⁰¹ დარბაისლურად.

დიდო ბატონო, გთხოვთ ნუ შემრისხავთ!
მონადირე ვარ ბავშვობიდანა,
ლეკებამდინა ვერვინ მჯობიან,
საქმე მიქნია მე ამისთანა!

დათვი ხელდახელ დამიჭერია,
ირემს მივდევდი, როგორც რომ ტყვია;
რაც რომ ვნადირობ, არრა სულდგმული,
ღმერთს გეფიცები, არ გამიშვია.

დაცოფებული ბელების დედა²⁰²
და ეშვიანი დამიზვერია,
სიათა ხეზე მიმიყუდია
და ხელით ისე დამიჭერია.

დიდი ხანია თქვენი ამბავი
როგორც ზღაპარი, ისე მსმენია;
თქვენს ყურშაოს რომ ქვეყანა აქებს
და თანაც სახლში დაგირჩენიათ;

ბატონი ყურშაოს ჩაამწყვდევს პატარა ოთახში. ზრუნვას მაინც არ აკლებს. ერთი-ორჯერ სანადიროდაც კი წავა მარტო, მაგრამ მალე შეიცვლის აზრს ერთი გარემოების გამო და ყურშაოს ძველებურად იყოლიებს თავისთან.

ერთ დღეს მინდვრიდან დაბრუნებულსა,
ყური მოუკრავს, რომ წერწეტ მთაზე
უშველებელი ირემი დადის,
არ ჩადის დაბლა არემარეზე!..

იქვე მახლობლად გაჩნდება დათვი,
ირმის კვალს მისდევს ხოხვით, მალვითა;
მაგრამ ირემი, ყნოსვა მახვილი,
თან სძოვს და თან კი უჭვრეტს თვალითა!

მასზე ამოგდით მზე და მთვარეი,
მითი ამაყობთ ამ თქვენს მხარესა;
ის კი არ იცით, რომ მაგისგანა
ერთ დროს იგემებთ რამე მწარესა!

ეგ არც ფრინველი, არც ოთხფეხია,
თითქოს ერთიც და მეორეც არის,
ეგ ღვთისაგანა დაწყევლილია —
და მცველი ჯოჯოხეთისა კარის!..

გირჩევთ გაუშვათ ანდა ჯურლმულში
ჩაუშვათ, სალტებით შეკოჭილი;²⁰³
თქვენ ინადირეთ უმაგისოთა
და ნუ დარჩებით გულშებოჭილი!“

გამოეთხოვა ზალიკა ბატონს
და მიაშურა თავისა მთასა,
ბატონი ძალზე დალონებული
დღე-დღე ივიწყებს იმ გლეხის თქმასა!..

ესმის ბატონსა და გული მოსდის
დათვზე, რომ დასდევს საწყალ ირემსა;
გულში გაივლებს ირმის შველასა,
ისევ ყურშაო გადაარჩენსა?..

ზალიკოს რჩევა მთლად დაავიწყდა,
ისიც, რომ გლეხი იყო მისკენა;
ერთ მშვენიერ დღეს ი ყურშაოთი
ირმის საშველად გასწევს მთისკენა!

²⁰² ძუ დათვი.

²⁰³ მაგრად შეკრული, გათანგული.

ბატონი დიდის წვალებით ავა მთის ქეჩოზე. დაინახავს მშვიდად მობალახე ირემს, რომლის სილალე ჰეიბლავს. ყურშაოს თვალებს აუხვევს წინასწარ, ვაი თუ არ დამემორჩილოს და ირემი გააფუჭოსო. ელის დათვის გამოჩენას. ლოდინში ღამე მოუსწრებს. მეორე დღეს დილით ირემი ცვრიან ბალახს გულიანად შეექცევა. ბატონი გეზს შეიცვლის — ტყე-ტყე ფრთხილად, ფეხაკრეფით უახლოვდება ირემს. ამ დროს უშველებელი დათვი კამარას აკეთებს. ირემი გაუგებს დათვს მუხანათობას და ადგილიდან მოსწყდება. დათვი მალე ჩამორჩება. ბატონი ვეღარ მოითმენს და ყურშაოს თვალებს აუხსნის, იგი მიბმული ყავს ქამარზე მაგრად: ყურშაო მოიკრებს ძალას და მირბის-მიფრინავს. ბატონს თითქოს მიათრევს. დაინახავს, ირემი გადაეშვა მეორე კლდეზე, დათვი იცვლის მხარს და ძუნძულით შეაფარებს თავს ტყეს. ყურშაო ერთი შემოხედავს ბატონს და, რაც ძალი და ლონე აქვს, გააკეთებს კამარას. ნაპრალის მეორე მხარეზე ვერ გადავა, თავის ბატონიანად ჩაიჩეხება ხრამში.

ბატონი როცა ავიდა მთაზე,
და რა მოავლო იმ ადგილს თვალი,
ნახა ირემი მობალახეი,
მხოლოდ დათვისა ვერ ნახა კვალი!
თვალი აუკრა თავის ყურშაოს
და გამოიბა ქამარზე მაგრა,
იმ ღამეს თვალი იქ მოატყუა,
და თანაც ღვედი ისე დაძაგრა,
რომ ყურშაოი სულს ვერ ითქვამდა,
იყო ხესავით გაშეშებული,
მეორე დილით რომ არ აეშვა,
ამოსძვრებოდა იმ საწყალს სული.
გათენდა, ხედავს ბატონი ირემს,
გულიანად და მშვიდად მძოველსა,
თვალი ვერ მოჰკრა ბუტბუტა დათვსა, —
პირუტყვის მტერსა, სისხლის მწოველსა!

ცოტა ხნის შემდეგ რომ გაიხედა,
უშველებელ დათვს მოჰკრა მან თვალი,
ბურტყუნა მოსხლტა ირმისაკენა,
უკვე გაიგო მან მისი კვალი!
მაგრამ ჩამორჩა და ბურტყუნითა
იქვე უღრან ტყეს მიუშვა თავი.
ბატონმა ყურშას თვალი აუხსნა
და, რომ მან ნახა ეს სანახავი,
გაჰკრა ღვედს მძლავრად, თანაც ბატონი,
როგორც რომ ბავშვი, აათამაშა,
ირემმა კი მსწრაფლ მათ დანახვაზე
უფსკრულს გადევლო — გადითამაშა.
ყურშაო იწევს, თან იკრებს ძალას...
ერთი შეხედა ბატონს თვალებში²⁰⁴
(და) თვალუწვდენ ხრამში თან ჩაიტანა!

II

დალაქის ბიჭო მათეო,
ეგ ტვინი აათათეო,²⁰⁵
მოდი „ყურშაოს“ ამბავი
მოგვიყე, გაგვანათეო!

ი ცხონებულსა მამაშენს,
ძველი ამბების მხეხელსა;
თქმა არ უნდოდა, თუკი რომ
ბადიმს ახდიდა ბეღელსა!

²⁰⁴ ზოგან: „ერთი შეავლო ბატონს თვალი და უძირო ხრამში თან ჩაიტანა“.

²⁰⁵ ჭკუას ძალა დაატანე, მოიგონე, გაიხსენეო.

მათე მოჰყვება:

— ყოფილა ძველად ვაუკაცი,
ღვთისაგან მონათლულია,
ძალ-ღონე, სილამაზეი,
ენითა არა თქმულია!

სადაც მოჰკრავდა მდევს თვალსა,
არ გაუშვებდა ცოცხალსა,
ჩიკორივითა სტყორცნიდა,
თან ასწორებდა მის კვალსა!

ასე ცხოვრობდა ყმანვილი²⁰⁶
სახელად ამირანია,
მაგრამა მისმა კერპობამ
მთლად შეუმოკლა ხანია.²⁰⁷

ნათლიას შური ჩაიდო,
ის როგორ გავითარდოო,²⁰⁸
იმასაც დავეჭიდები,
ერთი მის ღონეც ვნახოო!..

ჭაბუკმა ბევრი ინანა,
როცა დაეყრდნო ღონესა;
ნათლიამ დასცა ნათლული —
ძალა ვერ შეანონესა!²⁰⁹

დასცა და იქვე პალოთი
კლდის გულში ჩაატაბიკა,²¹⁰
მას შემდეგ მიჯაჭულია
ეს მდევი — ბიჭი ტალიკა.²¹¹

ტყვესთან უეცრად გაჩნდება
ყურშაო იმის მხსნელადა;
ფინიასავით ჯაჭვს ლოკავს,
ლოკვით ლევს, თუმცა ძნელადა!..

როცა ეს ჯაჭვი თანდათან
ლოკვით იქცევა ბეწვადა,
და ამირანს სურს განყვიტოს,
სწორედ ამ დროს მის ბედათა

მჭედელი დილით, უნძრახად,
კვერს დასცხებს ღონით გრდემლსაო,
ამირანს ცეცხლი ედება,
ჯაჭვს რომ იხილავს მთელსაო!

გულდანყვეტილი მიწვება
ზურგით ხორკლიან კლდესაო,
ყურშაო ღონე მიხდილი
ლოკავს ცისმარე დღესაო!

ასე იტყოდა მურაზა,²¹²
რო მოვიდოდა ჩვენსაო.

²⁰⁶ ზოგან: ვაუკაცი.

²⁰⁷ დღე შეიმოკლაო.

²⁰⁸ როგორ გავიტოლო.

²⁰⁹ ვერ შეუფარდეს.

²¹⁰ ჩაურჭო.

²¹¹ ტალიკა — კოხტა, მშვენიერი.

²¹² შემოკლებით თეიმურაზი.

ყურშაოზე

კიბილა ოსი იტყოდა
ი ოხერ „ყურშაოზედა“:
ძალლისა თავი ჰქონია,
ფრინველის ფრთები მხარზედა;

ის²¹⁴ ეშმაკისა მოდგმეი,
ის ეშმაკისა კერძია,
ხან ალად მოგეჩვენება,
ხან ხედავ კოხრა ვერძია!

იმ თავით მტერი ყოფილა
ყოველ ადამის ძისაო,
ყველა სულდგმულსა შიშს ჰგვრიდა,
ნივილი იმის ხმისაო!

ხედავ გაბმულსა ეკლებში,
რომ ნახავ, შეგებრალება;
ხელს რომ წაავლებ, გაქრება,
სადლაცა გადიმალება!

თურმე სანდო არ ყოფილა,
ხალხს უბრმავებდა თვალსაო;
მამაკაცს მტრობდა ყოველ წამს,
მხარს აუვლიდა ქალსაო!

იგი ლამობით ეთრევა,
თავზარს ცემს მამაკაცსაო;
ვინც იცის, არა სცილდება
ლამით თავისა კარსაო.

გამიგონია, ერთ ბატონს
იგი ჰყოლია ქორადა;²¹³
მოვლით, პატივით მას თურმე
ყოლია თანასწორადა!

ბატონი გულით მიენდო
იმ ეშმაკისა კერძსაო;
ირემზე ნადირობის დროს
მოსწყდა ნათელსა მზესაო!..

ყურშაო წელზე მიუბამს,
თოკითა დაუგრეხია,
იმ წყეულს, შეჩვენებულსა²¹⁵
უფსკრულში ჩაუჩეხია!

²¹³ იგულისხმება მიმინო.

²¹⁴ ყურშაო.

²¹⁵ ზოგან: „თურმე იმ წყეულს ბატონი“.

43. ნეტავი, გოგო, მე და შენ

— ჩემი ბატონის ოჯახი მრავალრიცხოვანი გახლდათ, — მიამბობს ამილახვარიანთ ყოფილი მეცხვარე, 98 წლის მოხუცი, თედო გარსიშვილი. — ბატონის კარ-მიდამო სავსე იყო მსახურ გოგო-ბიჭებით, მათში გულებითილობითა და ჭკუამახვილობით გამოირჩეოდა ერთი შუა ხნის ქალი — ელისო. მას ხორველამ ამოუწყვიტა ქმარ-შვილი და კნეინას სურვილით გადმოსახლდა ბატონის ოჯახში. ელისოს ხელში გაიზარდნენ თავადის ბავშვები. ეს ქვრივი ისეთ ნანინას მთქმელი იყო, რომ ადამიანი ყურს ვერ მოაშორებდა. ზღაპარს ისე ტკბილად მოჰყვებოდა, რომ სულ გინდოდა გესმინა.

იმ ხანებში ჩვენს სოფელში ერთმა გაღმამხრელმა მოიყვანა 7-8 წლის ობოლი გოგონა და ელისოს ჩააბარა. ეთხოვა, დროებით შეიკედლე ეს ობოლიო. თავადის ნებართვით, ობოლი ტასია მის კარზე დარჩა. სწავლაში დიდი ნიჭი გამოიჩინა. ანგარიშში ყველას სჯობნიდა, ქარგვა და ლექაქის დაბასმაც ეხერხებოდა. ყველაფერი შეისწავლა. კარგი ხასიათი დაუდგა, ერთი სიტყვით, ოჯახის თვალი გახდა. სოფლის ახალგაზრდობა სულ ტასიაზე ოცნებობდა. ბევრი მათგანი ცდილობდა ტასიას გაცნობას, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ტასიაზე ლექსიც გამოთქვეს:

ამილახვრიანთ ტასია,
მართლა ბაჯალლოს ფასია;
მისი წამყვანი ვაჟკაცი
ერთ სოფლად შენაფასია.

მაგრამ ფიქრს თავიდან იშორებდნენ, რადგან იცოდნენ, კნეინა ტასიას არავის არ მიათხოვებდა.

ჩვენი სოფლის გვერდზე სოფელია, იმას ჭალას ეძახიან. იქ გამოჩენდა ერთი ყმანვილი, დედისერთა, შეძლებული ოჯახიდან. ეს ბიჭი კარგი სიტყვა-პასუხისა იყო, მუშაც ასეთივე, პურმარილის მოყვარე. თავის სიდარბაისლით და ჭკუამახვილობით სოფელში პირველი იყო. სწორედ ამას მოსწონებია ჩვენი ტასო და ძალზე შეჰყვარებია. კნეინას რომ შეუტყვია ბიჭის გულისნადები, ტუჩი აუკრავს: მამა უცხონდა, რაც ჩემი ლამაზი მოახლე არ მივათხოვო, იმის ფასა რას გადამიხდისო.

ეს ამბავი ბიჭის ყურამდე მისულა და მწარედ დაუმდერებია ფანდურზე:

მე ვინ მომცემს ტასიასო,
ასეთ ძვირფას ფასიანსო.
თავადიანთ ტასიაო,
არ ვარ შენი ფასიაო,
მაგრამ შენი სიყვარულის
გულს ეკალი მასვიაო!

რაკი გაუგია კნეინას აზრი, წასულა ქალაქში, ეგები გულს გადავიკაროო ტასიაზე ფიქრი და დარდიო. ამასობაში ტასია ვიღაც ქარსიძესათვის გაუტანებიათ.

ერთი წლის მერე დაბრუნებულა ბიჭი სახლში. როცა გაეგო ტასიას ამბავი, ასე ეთქვა: — ეჲ! მე მაშინვე ვიცოდი, რომ არ მომათხოვებდნენ თავადიანთ ტასიას, მაგრამ გულში ისე ჩამივარდა, რამეს ავიტეხავდი, რომ თავი არ გამერიდებინაო. ისიც ფანდურზე კარგი დამკვრელი ყოფილა, აულია ხელში ფანდური და ნალვლიანად დაუმდერია:

ნეტავი ტასო მე და შენ
ყანები მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგველი გინდ იყოს,
ნაპირი მისცა ტყიანი.

მე და შენ ტყეში შეგვლალა,
რო სიტყვა გითხრა წყლიანი,
ქარსიძის ხოდაბუნდები
ყანებით, დარჩეს ტიალი.

ვიცი, სამარეს მიმიყვანს
შეწზე ფიქრების ტრიალი,
რა ძნელი რამა ყოფილა
ეს სიყვარული ტიალი!

ქართლში თავად ამილახვარს
ჰყავს მსახურად ტასიაო;
როგორც ხმებმა მოალწია,
ყველაფრით ძვირფასიაო.

ნეტავ ჩემი გამხდარიყავ,
ამილახვრისა ტასია,
ვინ იცის, ეგ ქარსიძეი
იქნება შენი ფასია?!

44. ბერი კაცი ვარ

ერთ სოფლის ბატონს ბიჭად ჰყოლია თავისი ყმის შვილი ისაკა. ისაკა გამოირჩეოდა როგორც მიმზიდველი გარეგნობით, ისე ყოფაქცევითა და კარგი ხმით. მშვენივრად სცოდნია ფანდურზე დაკვრა. ბოლოს ჭიდაობაშიც გაუთქვამს სახელი. ეს ისაკა 11-12 წლისა ყოფილა, როცა იგი ბატონს აუყვანია. ბატონი გამომდგარა ძალზე ავი და გლეხის შეუბრალებელი. როცა ცოფი მოერეოდა, ჯერ ერთი გლეხის უბანს დაერეოდა, ააწიოკებდა, დაარბევინებდა თავის ერთგულ მოურავს; ამას რომ მორჩებოდა, ახლა სხვა უბნის გლეხებს მისდგებოდა და სინსილას უწყვეტდა. ასე ექცეოდა ყმა-გლეხებს. გლეხებმა გულის მოსაფხანად ლექსი გამოსთქვეს:

წვერის²¹⁶ ბატონს არვინ აქებს,
თუ არ ეშმაკის კერძიო;
ცხენზე ჩიტივით დაფრინავს,
ფეხით, ვით წყალში თევზიო!
ჯერ თავის გლეხებს აიკლებს,
მერე მეზობელ სოფელსა,
თუ გადირია, შორს წავა,
ვაი იმისა მშობელსა,
ვისაც ბრუტიან თვალს მოჰკრავს,
საქმეს იქმს დასაგმობელსა.
შეგვხვდება სახის ლიმილით,
ცალ თვალსაც ჩაგიკრავდაო;
მისვლისას მათრახს გშვლეპავდა,
ჭექა-ქუხილსა ჰეგავდაო!

ამის გადმომცემმა 70 წლის მოხუცმა ზენო სოზიაშვილმა შემდეგ თავის თავზე თქვა: კარგად ვიცნობდი იმ შეჩვენებულ ბატონს, იმისთანა უამი და აუტანელი ხასიათის პატრონი, იმ დროს ქართლში მეორე არ მოიპოვებოდა. სწორედ მისი ბრალი იყო, რომ ჩვენი სოფლიდან რამდენიმე გლეხი გავიპარენით და სხვა სოფლებს შევეკედლეთ. მე, მაგალითად, გადავსახლდი სოფელ რეხაში. მე გადაუხვიე „ბილიკაა“ — განაგრძობს მოხუცი. — სოფელ წვერის ბატონისა და ყმაბიჭის ისაკას ამბავი მთელ სოფელს მოედო. როცა ისაკა დავაუკაცდა, ბატონმა გული აიცრუა მასზე. სულ ლანძღავდა უშვერი სიტყვებით, თანაც ვერ თმობდა მის მოცილებას. როცა ბატონთან სტუმრები მოიყრიდნენ თავს, მაშინვე ისაკას მოიკითხავდნენ, რომ ფანდურზე დაკვრადამლერებით დამტკბარიყვნენ, ან, თუ სადმე გამოჩენდებოდა კარგი მოჭიდავე, მაშინვე ისაკას წაიყვანდნენ ფალავნად. ერთხელ გულის მოსალბობად ბატონს მოულექსეს:

ნება გვიბოძე ბატონო,
ისაკა ვაჭიდაოთო,
თორემ ვიღაც ოსს აქებენ,
ათს აქცევს სათითაოდო!

დაუკვეხია „ხორზუ“ ვარ,
მაჩაბლისა ვარ ვარდიო;
გორის მაზრაში ვერ ნახავთ,
რომ იყოს ჩემი ფარდიო!

ისაკას ბატონსაც გული მოსვლია იმ მოჭიდავე ოსის სითამამეზე და ნება დაურთავს ისაკასათვის მომზადებულიყო განთქმულ ფალავან ოსთან საჭიდაოდ. ეს ამბავი მთელ ჩვენს გლეხობასაც გაუგია: მოემზადნენ ზღუდრობას წასასვლელად. მივიდნენ ზღუდერს. მლოცველნი ბუზსავით ირეოდნენ. აქეთ ლხინი, იქით ჯირითი. ერთ ადგილას კი ჭიდაობა გაეჩაღებინათ. ისაკას დანახვაზე ყველანი გაოცებულან მისი ახოვანი, მდევისებური შეხედულებით. უცბად ხალხი აურიამულდა: სად არის ნონე, ოსი მოჭიდავეო? ამის თქმა და ნონეს იქ გაჩენა ერთი იყო. მართლაც საქები იყო ეს ნონეც. გაიმართა წრე, ჩვენი ბატონი ჩამოივლის სახრით და ხალხს განზე

²¹⁶ სოფელი გორის რაიონში.

სწორი, რომ მოჭიდავენი ყველამ კარგად დაინახოს. ნონეს გარშემო მაჩაბლები შეგროვილან. ისაკას მხარეს ჩვენი ბატონის გვარეულობა და მოკეთენი. გაჩაღდა ზურნის ჭყივილი. ხალხი ხმა გაკმენდილი ელის ორი მოჭიდავის ბედსა და ყისმათს. გავიდა პირველად ნონე ოსი და შუა წრეში გულხელდაკრეფილი გაჩერდა. მეორე მხრიდან ისაკა თავისებური სიდინჯით არღვევს წრეს. შემოუბლვირა ნონე ოსმა. ისაკამ გასძახა:

— რას მიბლვერი, ნონეო,
მოდი, ამენონეო;
ტრაპახს თავი ანებე,
წვერელს გამიგონეო!

ნონეს ეწყინა ისაკას გალექსვა და ქორივით ეცა მოპირდაპირეს, მაგრამ ისაკას ძვრა ვერ უყო. კიდევ შეუტია ნონემ, ისაკა ფესვებგადგმულ მუხასავით დგას უძრავად. ოსმა რომ მესამედ იერიში მიიტანა, ისაკამ ისეთი მოგვერდი ჰქონა მონინააღმდეგეს, ისე წამოილო, რომ ნონე ოსმა ზღართანი გაადინა, ორივე ფრთით დაეცა მიწაზე და გაშეშდა კიდეც. ისაკა შორს გადგა და დაუწყო ცქერა. ისეთი ყიუინა ასტყდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. თავადებმა იშიშვლეს ხმლები და ერთმანეთს შეუტიეს, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა. ბოლოს ისინიც დაწყნარდნენ. ოსი, როგორც იყო, მოასულიერეს და რატრატით გაიყვანეს წრიდან.

ისაკას ბატონი მთლად შეიცვალა. ეს მხეცი კაცი თითქოს მოლბა, დაუძახა ისაკას, გადაეხვია, ჩაუდო ხელში ათოუმნიანი და ხმამალლა, სხვის გასაგონად, უბრძანა: — დღეიდან შენ გამითავისუფლებიხარ ყმობიდანაო! ხალხმა ეს რომ გაიგო, სიხარულის ურიამული ასტეხა. ისაკა იმ დღიდან თავისუფალი გლეხი გახდა. ბევრ თავად-აზნაურს არ ეპიტნავა ეს ამბავი.

ისაკა და ნონე ოსზე ასეთი ლექსი გამოითქვა:

ზღუდრობა დღეს დაეტაკნენ
ერთმანეთსა ორი მდევი.
ერთი იყო ამირანი,
მეორე კი ბაყბაყ-მდევი.

ისაკა და ნონე ოსი,
ერთმანეთსა ზომავდნენო,
რომელი რომელს წააქცევს
ჯან-ლონეს არ ზოგავდნენო!

ნონე რწყილივით ხტუნაობს,
ისაკა დგას როგორც მუხა;
როცა გული გაუწვრილდა,
ისეთი ხმით დაიქუხა,

ნონე ოსსა შიშისაგან
აუვარდა კანკალიო,
ისაკას დასამარცხებლად
იმას არ შესწევს ძალიო!

ისაკამ ვერ მოითმინა,
სწრაფად ეცა ნონეს მკლავში,
კისერზე რომ გადმოილო,
ზურგით დასცა ნუმპე-ლაფში.

ერთი კვირა მკვდარი ეგდო,
ველარ გამოვიდა კარში;
მას შემდეგ აღარ გვინახავს
ნონე გარეული ხალხში.

ამ ლექსს ხშირად ამღერებდნენ ისაკას. ისიც ისეთი ოხუნჯობით დაამღერებდა, რომ ხალხს სიცილით ხოცავდა.

ჩემს შეკითხვაზე, რითი გათავდა ისაკას საქმე, მთხოვობელმა ბოდიში მოიხადა და განაგრძო:

— ისაკა ყმობიდან განთავისუფლდა, ოჯახს მოეკიდა, სოფელში პირველი კაცი გახდა, მაგრამ, როცა მოხუცი ბატონი გარდაიცვალა, ისაკას საქმეც უკულმა წავიდა. ბატონს დარჩა ერთი ვაჟი, მასზე უფრო უსამართლო. მას „ღვთისაგან წყეულს“ ეძახდნენ. აი, ეს ყმაწვილი კრიჭაში ჩაუდგა ისაკას და მოსვენებას არ აძლევდა: მამაჩემმა ყმობიდან თუ გაგათავისუფლა, მე არ განთავისუფლებ, ყმა იყავ, ყმადვე უნდა დარჩეო, რაც მამამ სახნავ-სათესი მოგცა, უკან უნდა დამიბრუნოო. ასე მოითხოვდა ეს ახალგაზრდა ბატონი. ისაკა ხმას არ იღებდა, ბოლმას გულში იხვევდა.

ერთ დღეს, როცა ისაკა თავის ვენახში ვაზს სხლავდა, ახალგაზრდა ბატონი მიეჭრა, და სეტყვასავით დაუშინა მათრახი უკვე ხანში შესულ ისაკას. ისაკა გაშტერებული და ტკივილისაგან შეწუხებული კრინტს არა ძრავს თურმე. ბატონს, „ღვთისაგან წყეულს,“ ბრაზი უფრო ემატება. კიდევ დაუშენს მათრახს. ისაკას თვალები აევსო ცრემლებით და მიულექსა:

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ყველა დაგინყებს გმობასა,
სადაც ვინ შემოგეყრება,
გეტყვის შვილსა და ძმობასა.

ნუ მიზამ საქმეს საფლიდოს,
მოდი, საფლავი ნახეო,
შეამკე ია-ვარდებით,
დაჯექ და ივაგლახეო,

თორემ ეს დღე შენც მოგელის,
იმას მოიმკი, რაც თესე,
ამიტომ გიჯობს ეხლავე
სალი მარცვალი დასთესე.

ხალხმა რომ გაიგო ბატონიშვილის მხეცური საქციელი და ისაკას ჭკვიანური და გულსაკლავი პასუხი, მაშინვე შეუდგა მხეცი ბატონის თავიდან მოშორებას. სოფელ ბიეთიდან²¹⁷ ხშირად მოდიოდა ამ სოფელში ერთი ოსი — კიბილა, რომელიც თავის ბატონს ემალებოდა. კიბილა კარგი ვაჟკაცი იყო. მას ერთხელ ტყეში მოესწრო ბატონის მოურავისათვის, რომელიც მეორეჯერ მისულიყო შეშაზე გადასახადის ასაკრეფად; ხალხს უთქვამს: „ერთხელ ხომ მოგართვით, სხვა რაღა გინდაო?!“ მოურავს სწყენია და გლეხებისათვის დაუწყია ლანძღვა-გინება. ამ დროს კიბილაც მოსულა. ჯერ ყური დაუგდო ამ ამბავს, მერე ტკბილად შეესიტყვა მოურავს, მაგრამ მოურავი არ დაცხრა, ხმას უმაღლებდა. კიბილა მოშორდა, გზაზე ჩაუსაფრდა მოურავს, მოჰკრა თუ არა თვალი, მოურავი ცხენიდან გადმოიღო და ერთი კარგად მიბეგვა. ეს შეიქნა მიზეზი კიბილას სოფლიდან მოშორებისა. ამ დღის შემდეგ მოურავის დაბეზღებით ბატონსაც გული

²¹⁷ სოფელი ყოფილ გორის მაზრაში, ოსებით დასახლებული.

მოუვიდა. დაარიგა მოურავი თვალყური ადევნოს კიბილას. ეს კიბილა შეიტყობს ამ ამბავს, დასთანხმდება გლეხების წინადადებაზე:

„მაშ მე კიბილა არ ვიყვე,
არ მეხუროს თავზე ქუდი,
თუ ხვალვე არ მოგაშოროთ
ეს ბატონი გასაგუდი.“

არ გასულა ერთი კვირა, რომ კიბილა შეხვდება ბატონს თავის მოურავით სოფლის ერთ ორლობის ბოლოს. ბატონისათვის სიათა დაუხლია... მოურავი კი არ გაუმეტებია, რაც უნდა იყოს, ეგეც ჩვენსავით გლეხია, ისიც ეყოფა, რაც მას დღე დავაყარე ბიეთის ტყეშიო. ასე უთქვამს და გასდგომია თავის გზას.

45. ფაფრის ხევო

კახეთის სოფლის ერთ-ერთ ოჯახში გაცხარებული ნადიმობა იყო — მოგვითხრო გიგა ბეჟანიშვილმა დიაკვან ლუკაშვილის გადმოცემული ამბავი. — სტუმრებითა და ნათესავებით მთელი სახლი გაჭედილი იყო, მათ შორის იყო სამი კარგი მომღერალი, სამივე კარდანახილან. სადღეგრძელო ჩამოარიგა თამაღამ — მასპინძელმა. უეცრად გაისმა სიმღერა — „მე ახმეტელი გახლავარ“. სიმღერაში ნაქები იყო განთქმული ლვინო „ქინძმარაული“, რომელსაც, თითქოს, კახეთის არც ერთი კუთხის ლვინო არ სჯობდა. ეს სიმღერა ასეთი ლექსით იყო აკინძული:

ნამდვილი გამომელია,
ნარწყაულს მივყავ ხელიო,
შეუჩევარი ვინც არის,
მისი საქმეა ძნელიო!

მე ახმეტელი გახლავარ,
ლვინო მაქვს ძველზე ძველიო,
„ქინძმარაულს“ რომ იგემებ,
იტყვი, „ჭირიმე შენიო!“

ასსაპალნიანს ვინახავ,
ჯერ არ მიხლია ხელიო;
თორმეტ ვაჟს ერთად ჯვარს დავწერ,
იმ მშვენიერ დღეს ველიო.

თორმეტსაც სიძეს მოვიყვან,
მათთვისაც იყვეს რთველიო,
ოცდაოთხს ერთ დროს ჯვარს დავწერ,
ჩემთვის არ არის ძნელიო.

კარდანახელ სტუმარს ახმეტური ლვინო არ მოეწონა, — „ქინძმარაულის“ ქებამ ხომ სახეზე ალმური გადააკრა. მასპინძელს ეს არ გამოეპარა, როცა კარდანახელი სტუმრის სადღეგრძელო მიირთვა, ყანი გადააწოდა და მიუღესა:

როცა კაცი სახალხოთა
თავის თავსა აქებსო,
ეს უნდა კარგად ახსოვდეს,
არ გაებას მახესო!

რაც უნდა მუხლმაგარი იყო,
გაეცანი სხვასაო,
რომ ბოლო დროს საყვედურით
არ იტეხდე თავსაო!

სტუმარი ცოტა არ იყოს გუნებაზე მოვიდა, რადგან მასპინძლის ნათქვამს მიხვდა. მადლობა უძღვნა თამადას, გამოცალა ყანწი და თავის კუთხის მომღერლებს გადახედა. ეს ნიშანი იყო სიმღერის დაწყებისა. კარდანახელებმა შემოსახეს „ფაფრის ხევო“. სტუმრებმა მოისმინეს მშვენივრად გადმოცემული სიმღერა, შეაქეს მომღერლები, მაგრამ ფაფრის ხევის რქანითელა რომ ქინძმარაულს ამჯობინეს, ეს კი არ ესიამოვნათ. ერთმა იქ დამსწრეთაგანმა ვერ მოითმინა და გაულექსა:

„ვის უნახავს თაგვი გახდეს
ვირცხენა ან მდევთა მდევი,
ვის უნახავს ცოფიანი
მლოცველი ან ლამის მთევი,
ვის სმენია „ქინძმარაულს“,
მჯობნებოდა „ფაფრის ხევი“?²¹⁸

ბევრმა მხარი დაუჭირა ნათქვამს, ზოგმა კი ჭუჩი აკრა ამ ლექსის გაგონებაზე. მაშინ კარდანახელმა სტუმარმა ერთ-ერთ მომღერალს თვალით ანიშნა ლექსი თქვიო:

აბა ლუკა, მართალი ხარ,
სწორე მთქმელი ყველგანაო,
ქინძმარაულს, თუ ფაფრის ხევს,
რომელს აქებს ქვეყანაო?!

ლუკა წარმოთქვამს ლექსს:

ფაფრის ხევო, დალოცვილო,
რქანითელით თავი მოგაქვს,
ვინც კი გნახავს დახუნძლულსა,
იტყვის: „სამოთხის ბალსა ჰეგავს“.

მისგან დაწურული ღვინო
მეფესაც კი ეკადრება,
„ქინძმარაულთან“ დადგომა
არადროს არ გეკადრება.

ფაფრის ხევო, კახის თვალო,
უნდა ნექტარს შეგადარო,
დედის ძუძუსავით შემრგო,
უკვდავების წყარო ხარო.

²¹⁸ განა ქინძმარაულის ღვინოს ფაფრის ხევის ღვინო სჯობიანო?

ამის გაგონებაზე ატყუდა განგში, მაგრამ მოისმა რიხიანი ხმა:

„ქინძმარაულს“ დაეჭიდა,
მხარდაჭრილი „ფაფრის ხევი“,
დასცა და ბეჭი მოსტება,
ღველით გახდა ასაწევი!
დოსტაქარსა ასე უთხრეს,
ლამე გაქვსო გასათევი!

ხალხი თუმცა მიყუჩდა, მაგრამ წაწყენი მაინც დარჩაო, — დაუმატა ბეჟანიშვილმა.

„ქინძმარაულის“, „ფაფრის ხევის“ და „ატენურის“ გაკამათება:

„ქინძმარაული“ „ატენურის“:

ქართლის შვილო, დედისერთავ,
ღვინოების ერისთავო;
თავისუფლად შეგიძლიან,
რომ თამადობა ითავო!

შენთვისა მსურს მე კეთილი,
ხომ ვართ ნათელ-მირონიო;
შენი ცუდი გულს მომიკლავს,
მახარებს საგმირონიო!

მხოლოდ ემაგ ატენიდან
შორს არსად არ გასდგა ფეხი,
თორემ გორელების ჭორით
მთლად გახდები დასაგრეხი!

„ფაფრის ხევის“ რქანითელა
არ ვიცი რას მედავება,
ყველგან ჩემს კიცხვაში არის,
მე კი არ მსურს შედავება!

ერთს კი ვიტყვი: მე ვმრავლდები,
ის თანდათანობით ხმება;
მეტის მეტი წაზი არის,
რომ პირითა არ ითქმება!

„ატენური“ „ქინძმარაულს“:

ატენის ვარ ატენური,
აბა, დამიგდევი ყური,
მოკითხვისთვის მადლსა გიძლვნი,
სადაურსა სადაური;

ნაქები ხარ კახეთშია,
მაგრამ კალოს²¹⁹ ადგილი გაქვს;
„ფაფრის ხევი“ თუმც გვერდულობს,
მას ხომ მეტი ადგილი აქვს.

²¹⁹ მცირე ადგილი გიკავია.

მართალია, საქები ხარ,
ვგონებ, არც მე ჩამოგრჩები,
ვინც რომ ადგილზე მნახულობს,
რაცა ვარ, იგი დავრჩები!

მაგრამ ერთი ფილენჯი მჭირს,
გზაში თრევა არ მიყვარსო,
გთხოვ, ეს თქმული დამიჯერო,
არ გაჰკვირდე, არ მიხამსო!

„ფაფრის ხევი“ სულ სხვა არის,
ჩვენ იმას ვერ შევედრებით,
ეს ნათქვამიც მაპატიე,
გეხვეწები, გევედრები.

„ფაფრის ხევი“ ორივეს:

„ატენურს“ მე არას ვერჩი,
თავი მოაქვს დარბაისლად,
მხოლოდ შენი ღვარძლი სიტყვა
გულს მომედო ნარად, ეკლად!

ფაფრის ხეველი ბიჭი ვარ,
ამ სამებას²²⁰ მე არ ვგმობდი,
ასი წელი ამას ვსვამდი,
და არც ერთსა არა ვთმობდი.

მჯობზე მჯობი ამ ქვეყნადა,
უთქვამთ, არ დაილევაო,
განა ოქრო მეტის ფხეკით,
თანდათან დაილევაო?!

კარგი არის „ატენური“,
„ქინძმარაული“ მეტია,
„ფაფრის ხევის“ რქანითელა,
ორივეს გადამეტია,
ამ სამებას ვინც დაფშვნიტავს,
უტვინოა და ცეტია!

მაგრამ მაინც ოქროდ რჩება,
თითბერს მუდამ სჯობიაო,
ვინც კი თავის მოძმეს ჰკიცხავს,
მუდამ დასაგმობიაო!

ამ ლექსის გამომჩარხველი
იგივე ლუკაშვილია,
ამას გიამბობთ მარტყოფის
გიგა ბეჟანიშვილია!

²²⁰ ქინძმარაულის, ფაფრისხევის და ატენის ლვინოებს გულისხმობს.

46. მომღერალ ბიჭის ნათქვამი

„ხბოყვირალაანთ“ ბიჭი ვარ,
ვერვინ მჯობს სიტყვის თქმაშია;
ვერცა ზღაპრისა თხრობაში
და ვერც სიმღერის ხმაშია.
რა გინდა რომ არ ვიცოდე,
მომხდარი მთას და ბარშია;
ზოგი გავიგე ადგილზე,
ზოგი აქა-იქ გზაშია!
მარტო სამსა ვერ გაუძლებ
ჩვენ გლეხურ სიმღერაშია;
„თხის რქას“,²²¹ „ტილას“²²² და კახელსა²²³
გაზრდილსა შვილად ქართლშია.
ერთხელ გამინცრა ღმერთი და
დავძახე ჩვენი ჭონაო;
ეს რომ „შიკრიკამ“²²⁴ გაიგო
და ყურით გაიგონაო,
შემომიტია: — რას ბოდავ,
ეგრე ვინ გაიგონაო!
ეს ჩვენი ჭონა იმ თავით
ოქროა, თავის წონაო.
თუ ასე გიყვარს სიმღერა,
არ გაიყვანო ხანაო;
ეხლავე წალი მარანას²²⁵
„თხის რქა“ გიორგისთანაო!

გასწავლის ნაირ სიმღერას,
ხმას დაგიხვენავს თანაო;
არ გადასცდება მიჯნასა,²²⁶
როგორც რომ აკვნის ნანაო!
მივედი გიორგისთანა,
ხურჯინიცა მაქვს თანაო;
ტიკჭორა ღვინით სავსეი,
ნაზუქი ბამბისთანაო.
წელიწადს დავრჩი მასთანა,
მივლიდა როგორც მამაო;
თან მასწავლიდა სიმღერებს
როგორც რომ „ანა-ბანაო“.
წლისთავზე ჯერ გამომცადა
მეშველებოდა თანაო;
მოსიმღერე არ მინახავს
ქართლში მე იმისთანაო!
„შიკრიკას“ ბიჭი მოვნახე,
ვუმღერე, როგორც ნანაო;
მაქო და მადლობის ნიშნად
მთლად მომიცელა ყანაო!
„ხბოყვირალაანთ“ ბიჭი ვარ
სოფელ სურამიდანაო!

²²¹ განთქმული მომღერალი ქართლში.

²²² განთქმული მომღერალი ქართლში.

²²³ განთქმული მომღერალი ქართლში.

²²⁴ განთქმული მომღერალი ქართლში.

²²⁵ სოფელი გორის რაიონში.

²²⁶ ე.ი. ზუსტად გასწავლის სიმღერასაო.

47. ბიჭმა აჯობა

ბიჭი — ეო, მეო,
შენი ჭირიმეო
ე რა კოხტა გოგონა ხარ,
შენ გენაცვალეო!

გოგო — თვალები კი დაგიდგება,
ენა გაიხმეო;
თორემ ამ ქოთანსა ხედავ,
შიგ ასხია თხლეო!

ბიჭი — რასა ჯავრობ, გულის ვარდო,
რად გინდა ეგ თხლეო;
ხომ ხედავ, როგორ ჩამოვხმი,
თავს შემოგევლეო!

გოგო — ვისაც თავს შემოვლებიხარ,
მას შემოევლეო;
მე კი თავი დამანებე,
ენა გაიხმეო!

ბიჭი — გოგოვ, ენა რომ გავიხმო,
ხომ დავმუნჯდი მეო;
მაშინ რაღა მეშველება,
შენ დაგენაცვლეო!

გოგო — ბიჭო, რა ჭირმა აგტეხა,
იბნევი, ვით ბზეო;
როგორ გავცვალო რუისი
ბატიან დირპზეო?!

ბიჭი — ბატებს ხომ არ გარეკინებ,
არც ვარ საბძლის ბზეო;
მთვარესავით გაბადრულხარ,
შენი კვნესამეო!

გოგო — იკვნესე და იავადე,
თავს შემომევლეო;
რაზე მაჩერებ ამდენ ხანს,
უკვე ჩადის მზეო!

ბიჭი — გოგოვ, რახან ალარ იშლი,
პირობა მომეო;
ნუ დამტოვებ მარტოკასა,
თან წამიყვანეო.

გოგო — ი, მეხი კი დაგაყარე,
გიუო — ონოფრეო;
შენისთანა დოყლაპიას
არ გავყვები მეო!

ბიჭი — არც გიუი ვარ, არც ონოფრე,
რად დამცინი მეო;
რახან საქმროდ არ გინდივარ,
სჯობს რომ წავეთრეო!

ცანგალაანთ გოგოს ვითხოვ,
ვიქორწილებ მეო,
გავუსვამ და გამოუსვამ
ფეხის ცერებზეო!

გოგო — რაო, ბიჭო, ნუთუ მართლა
გამცვლი მე სხვაზეო;
მინამ ნურაფერი სჭამო
დილით სისხამზეო!

მე მეგონა მეხუმრები,
მეც გაგეხუმრეო;
თუ მართლა ძან გიყვარვარ,
ბარემ შემირთეო!

არ გასულა ერთი კვირა,
მაყრად ვიყავ მეო;
ტიმოთეს ბიჭმა შეირთო
ზორბაანთ თეკლეო!

ამ ლექსის გამოხანხვლელი
ვარ კიკოლას ძეო!
დუბიანებში ვისვენებ,
მზის გადახრამდეო.

48. ოჩხარი

ძველად, ვისაც სურდა თავისი ხელმოკლეობის გამოსწორება (ზოგი კი მეტი შემოსავლის მიღების მიზნით), გამართავდა, ეგრეთ წოდებულ, „ოჩხარს“. წვეულებისათვის მოამზადებდა კარგ საჭმელ-სასმელს. დაპატიჟებდა უფრო შეძლებულთ, რათა მეტი შემოენირათ. შუა სმის დროს ერთ-ერთი წამოდგებოდა გამოსაცხადებლად. წვლილის გამლები წინასწარ წასჩურჩულებდა გამომცხადებელს. მე ესა და ეს შემომაქვსო. გამომცხადებელი იტყოდა გასაგებად. მაგალითად, როცა იტყოდა: ნიკა კოჭლამაზაშვილმა ოთხი ჩანახი პური შემოსწირაო, ერთხმად გაისმოდა — ღმერთმა ააშენოსო. ასე და ამგვარად გრძელდებოდა შემონირვა და ძახილი მანამ, სანამ იქ დამსწრე შემნირველთა რიცხვი არ დამთავრდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ „ოჩხარის“ მომწყობი შემოუვლიდა ყველა მონაწილეს და კრეფი შემონირულს. ოჩხარის მონაწილენი სიამოვნებითა და ხალისით აძლევდნენ დაპირებულს, მით უმეტეს, თუ კარგი ოჩხარი იყო, ესე იგი, თუ სუფრას ყველაფერი თავზე საყრელი ჰქონდა.

ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა „ოჩხარის“ გამმართველს, საგრძნობი შემოსავალი აულია, დანახარჯი დაუფარავს და ბლომათაც დარჩენია შემონირულება.

„ოჩხარი“ გლეხის საყვარელი დროს გატარება იყო, სადაც ის სიამოვნებით მიდიოდა.

სოფლად ოჩხარი გავმართე,
ეს ძველი ჩვეულებაო;
ეგებ შემდეგში მომეცეს
დაკოდილ გულზე შვებაო!

ოთხი ჭედილა დავკალი,
დავიდე პეკას ვალია;
სტუმრები ისე დამეხვნენ,
როგორც ყანასა კალია!

ოთხი დღე-დამე²²⁷ ჭამეს, სვეს,
ძვლები იტეხეს ნეკზედა;²²⁸
ხოკები²²⁹ რო ვერ გავაძლე,
ჯერი დამიდგა ნეზვზედა!

როდესაც მოვრჩი ოჩხარსა,
დავთვალე შემონირული;
სიხარულისგან გავუსვი,
სიმღერაც დავცხე გმირული!

ბაკში რო შევიხედევი,
ვნახე ცხვრებისა ფარაო;
ერთ გუთნეულმა მოზვრებმა
თვალი-თვალს გამიყარაო!

აქეთ ბლავილი, ღრუტუნი,
იქით კაკანი ქათმისა;
სიხარულისგან ვაჟკაცსა
არა მაქვს მადა ჭამისა!

²²⁷ დრო აქ გადამეტებულია, ოჩხარი ერთ დღეზე მეტი არ გრძელდება.

²²⁸ ინდაურის ბარკალის ძვალს ჩაიდებდნენ მუჭმი, რომელსაც მიადებდნენ ნეკს, ცერით მიაწვებოდნენ და ვინც გადატეხავდა ღონიერ კაცად ითვლებოდა.

²²⁹ ძალზე ბევრის მჭამელები.

ასე ავშენდი, აქამდის
არ მყავდა გლეხსა ხარიო;
ღმერთმანი, კარგი ყოფილა
ეს რაღაც ოჩხარაიო!

ბატონმა მომიკაკუნა,
თვალებსა ანათებსაო;
უჩემოდ როგორ გამართე,
ისიც ამ მკათათვესაო?!

უეცრად თავბრუ დამეხვა,
გულში ვახსენებ ღმერთსაო;
ვიფიქრე: — ერთ თოხლს მივართმევ,
ვგონებ, აიღებს ხელსაო!

ვკადრე: — ბატონო, ვერ გკადრე,
მთლად გლეხი იყო ჩემსაო;
თქვენ სხვა პატივი გინდოდათ,
ვერ შევირცხვენდი წვერსაო.

ერთი თხოვნა მაქვს თქვენთანა,
ამას ვფიქრობდი დღესაო;
ამ სოფელს მინდა ვიცხოვრო,
მამულს არა გთხოვ ბევრსაო!

აქამდის ღარიბი ვიყავ,
ტანჯვას ვიტანდი ბევრსაო;
ეხლა მყავს ხარი, კამეჩი,
თან მოვაშენებ ცხვრებსაო!

თქვენთან პირნათლად გამოვალ,
გავრჯი მარჯვენა ხელსაო;
ნებას თუ მომცემთ, ეხლავე
დარბაზს მოვაწყობ ბნელსაო!

ეს მოხდა დირბის იქითა,
სოფლის თქმა რა საჭიროა;
„პატრუქა“ დიამბეგს ჰკითხეთ,
დოვლათი რომ დააგროვა!

49. სამ ყაჩალზე

მაგარი და ლალი ბუნების ქიზიყელი ბევრს ითმენდა მეფის თვითმპურობელობის დროს. ისე დღე არ გავიდოდა, რომ არ აენიოკებინათ ესა თუ ის სოფელი. „მეფის ძალლები“ შიშის ზარს სცემდნენ ყველას, ვინც შენაწერს ვერ გადაიხდიდა თავის დროზე. ამათ არ ჩამორჩებოდნენ მამასახლისი და „პოპოშინიკი“. ეს ვაჟბატონები ზოგჯერ ორ-ორჯერაც ახდეინებდნენ, ისედაც გატყავებულ გლეხს. ვინც უენო და გაუბედავი იყო, ის ერთიორად იფცქვნებოდა. თუ ვინმე გაუმაგრდებოდა, იმას უფრო ლმობიერად ექცეოდნენ. მოთმინების ფიალა რომ გაივსო, ერთ-ერთ სოფელში სამმა ვაჟკაცმა გადაწყვიტა სოფლის დახსნა ძარცვა-გლეჯისაგან. ყაჩალად გავარდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ ყველას, ვინც გლეხის სისხლის მწოველი ეგულებოდათ, ხშირად ბატონსაც „შიშის ქარს“ გაუჩენდნენ ხოლმე. ზამთრობით ფარულად თავ-თავიანთ ბინაში ცხოვრობდნენ. ერთმა მამასახლისმა, სახელად წყალობამ, დაასმინა და გასცა შინ მყოფი ყაჩალები. ერთი მათგანი, სახელად მიხა „ბადეში“ მოხვდა. მეორე დღესვე ციხეში ჩასვეს. დანარჩენი ორი ამხანაგი — ბაგია და ლადა — როგორლაც გადარჩნენ. მიხამ სულ მალე მოახერხა ციხიდან გამოქცევა. გამალებული დაეხებდა მამასახლისს — წყალობას.



როცა ციხიდან გაიქცა,
ჯერ არ მივიდა სახლშია;
სოფელს გარშემო უვლიდა,
ხან ბოლოში, ხან თავშია!

ეს იყო ნახირობის დროს,
მიხა ბრუნდება სახლშია,
მამასახლისი გამოჩნდა,
ცხენი მიჰყავდა კვალშია!

ორი სტრაუნიკი მისდევდა,
ნუნუა ედგათ თავშია;
ვერ იმაგრებდნენ ცხენზე თავს,
თითქოს ცურავდნენ ზღვაშია!

მიხამ მომუჭა სიათა,
თანაც გასწორდა მხარშია;
— ეხლა კი მამასახლისთან
გამოვალ აზამბარშია!

იჭექა თოფმა მეხივით,
წყალობას მოხვდა თავშია;
ამ უშველებელ ვაჟკაცსა,
ზღართანი მოსძვრა კვალშია!

ი კარდანახში მეხივით
ხმები გავარდა ხალხშია;
— ვიღაცამ მოჰკლა წყალობა,
ქვემოთა გდია გზაშია!

იმ ღამეს მიხა მოვიდა
მიპარვითა და ჩუმადა
ბაგიასა და ლადასა
კაცს გაუგზავნის ძმურადა!

— ხომ იცით არ მეღვომება,
დღეიდან ამ სოფელშიო;
თუ ვაჟკაცნი ხართ, მომყევით,
გავიჭრათ სამნივ ტყეშიო!

თორემ თუ ხელში ჩაგვიგდეს,
თავს არ უშველეთ დროზეო,
ხალხისა საჩვენებლადა
ჩამოგვკიდებენ ბოძზეო!

მეორე დილას სამივე
გაიჭრნენ უღრან ტყეშია,
ზურგზე ეკიდათ თოფები,
ხმლებიც ეჭირათ ხელშია!

მუქთახორებსა ცარცვავდნენ,
ვისაც იგდებდნენ ხელშია,
გლეხკაცებისა მჩაგვრელებს
აგდებდნენ მნარე დღეშია!

ერთ დღეს გამცემლის ენითა,
იმ ჭიაურის ტყეშია,
ოცდაათ მეტმა სტრაუნიკმა
სამივე იგდო ხელშია!

ლომებივითა იბრძოდნენ,
ტყვიასა ფლავდნენ მკერდშია;
ბაგი და ლადა მოუკლეს,
მიხა კი ჩაჯდა ჯერშია!

ეს რო შენიშნა მტრის ჯარმა,
უფრო შეიჭრა ტყეშია;
რათაც არ უნდა დაუჯდეთ,
ეს უნდა იგდონ ხელშია!

მიხა ლომივით იბრძოდა,
ბეჭს დაუბნელა დღენია;
მაგრამ ბოლო დროს შეატყო,
ახლოა „განაჩენია“!

ძმებს გადაავლო თვალი და
ხანჯალს სწვდა მარჯვედ ტარშია;
მარცხენა ძუძუს დაიცა,
სული გაყარა წამშია!

მას შემდეგ შუა ქიზიყში
თქმა ასეთია ხალხშია:
„წყალობა ჯოჯოხეთშია,
მიხა კი სამოთხეშია“.

50. ფილმის ში

დიდხანს იტანჯა ტატეი,
როგორ უშველოს თავსაო;
ფილმის თითქმის ყოველ დღე,
კი არ შესჩივის სხვასაო:

ეხლა რო მარტოხელი ვარ,
ვერ ვარჩენ მე ჩემს თავსაო;
როცა დედაკაცს მოვიყვან,
ალბათ, კლდეს ვახლი თავსაო?!

ფილმის მაინც ტატეი
შემოდგომაზე ქორწილსა:
— ჯანდაბას, იქნეს, რაც იქნეს,
თუ მეც გავიყრი ბორკილსა! —

მივიდა თავის ბატონთან,
მან კი მოთხოვა „ვალიო“,
— ტატე, ჭკვიანი კაცი ხარ,
ამასთან ერთად წყნარი.

სუსველგან მტკიცე სიტყვისა
არა გჭირდება ფიციო;
სოფელში მიღებული ხარ,
ბატონის „წესიც“ იციო!

საწინააღმდევო არ მაქვს,
მეც უნდა მომენტონსო;
ორ-სამ დღეს უნდა ჩემს სახლში
საცოლე აიწონსო!

დაბრუნდა ჩვენი ტატეი,
ფილმის თავის თავზედა;
სიბრაზით გადააწიტა,
სიათა იგდო მხარზედა!

მიეჭრა ბატონს ბინაზე,
თან სიტყვა უთხრა „ჭონადა“:
— ბატონო, აი, საცოლეც
მოგგვარე ასაწონადა.

ეს თქვა და ფეხი მოსხლიტა,
გული გაუპო ორადა!
ბატონს კი თავისი რჩევა
დაუჯდა თავის წონადა.

51. შაშვილის ლამაზო

— მოგეხსენებათ, — ასე იწყებს მოხუცი სანდრო სეფისკვერაძე, — ძველად თარეში და თავდასხმა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ლეკებს ამორჩეული დრო ჰქონდათ სათარეშოდ. ქართლშიაც სცოდნიათ თავდასხმა და ანიოკება ისე, როგორც ჩვენში — ქიზიყში. ბევრი თარეში მოვიშორეთ თავიდან. „ჩვენები ძნელად თუ მარცხდებოდნენო“, — მამაჩემისგან გამიგია. ერთხელ ლეკებს უცდიათ ბოდბისხევის მონასტრის დანგრევა და აოხრება, მაგრამ ჩვენებს ისე შეუვინროვებიათ ლეკები, რომ იძულებული ყოფილან თავი დაენებებინათ თავიანთ განზრახვისთვის.. კუდამოძუებული, შერცხვენილი წასულან თავიანთ მთებში.

როცა ვერარას გახდნენო,
თათრები ისე წახდნენო;
რომ მშიერ კუჭით მთებშია
ძალლივით მიღასლასდნენო!

ჩვენში ხშირად გაიგონებდით ახალგაზრდებისაგან ამ ლექსს ფანდურზე დამღერით.

მე სულ პატარა გახლდით, როცა დიდი თარეშიანობა იყო. მენახირებს მოუტანიათ ამბავი სოფელში: — იმდენი ლეკის ჯარი მოდის, რომ ალაზნის ველზე არ ეტევაო. კაცი გაუგზავნიათ ზარის დასარეკად: ეს, თურმე, ნიშანი ყოფილა ხალხის შეკრებისა. თუ ჩვენს სოფელში ვისმეს ხანძარი გაუჩნდებოდა, მაშინვე ეკლესიის ზარს რეკვას დაუწყებდნენ. ზარის ხმის გაგონებაზე მთელი სოფელი მოიყრიდა თავს ეკლესიის გალავანში ან სხვა მოსახერხებელ ადგილას. ხალხში ჩოჩქოლი ატეხილა. ერთ თვალის დახამხამებაზე შეყრილა მთელი სოფლის ვაჟკაცობა. მახლობელ სოფლელებს რომ გაუგიათ, ისინიც ჩვენებს შეერთებიან და წასულან ლეკების დასახვედრად. მეფესთანაც გაუგზავნიათ შიკრიკი და ყველაფერი უცნობებიათ. მეფეს ნასიძესთვის უბრძანებია: შენთვის მომინდვია ეს საქმე, აბა, შენ იცი, როგორ უნინამდვრებ გლეხობასაო. ნასიძესთან წარდგება ერთი მოხუცი, რომელიც ასე მოახსენებს: აქ მოვიყვანე ჩემი ორი შვილი, აბა, შეხედეთ, ლომებს ჰგვანან თუ არაო, სულ თორმეტი ვაჟი მყავდა, ათი ომებში სხვადასხვა დროს დამეღუპა, სამშობლოს შესწირეს თავიანთი სიყმეო. მე და ჩემი ორი შვილი ერთად ვიბრძოლებთ; იმედი მაქვს, ჩვენ გავიტანთო.

ჩვენებს ამჟამად გაურეკიათ ლეკები, ერთ ადგილას მოუქუჩებიათ, როგორც რკალში მოუმწყვდევიათ და ისე გაუწყვეტიათ, რომ მთხობელიც კი არ გადარჩენილა. მოხუცს თავის ორი შვილით ლომივით უბრძოლია.

ჩვენში ყოფილა ერთი მოხუცი, სახელად არსენა. მას მთელი თავისი სიცოცხლე სიმღერასა და ფანდურზე დაკვრაში გაუტარებია.

მთელი სოფლის თვალი არის
ჩვენი ბერი არსენაო;
ხალხს გვართობდა სანამდისინ,
სიკვდილმა არ ახსენაო.

ამ არსენას რომ გაუგია ჩვენი გამარჯვება, ულვაშებში ჩაუცინია, თან კი ცრემლები ჩამოსთქრიალებდა. ერთ ნინოობა დღეს, მონასტრის გარეთ, გალავანთან ჩამომჯდარა და ფანდურზე თავისი გემრიელი ხმით დაუღილინია დუდგოსავით მოსულ ხალხის წინ:

„კახეთს მოადგა ლეკების
აუწერელი ჯარია,
უთქვამთ, ჯერ ქიზიყს ვენვევით,
იქ უფრო მთა და ბარია.

ტყე-ტყე ავივლით ბოდბისში,
სად მონასტერი არიო;
გავმუსროთ დიდი-პატარა,
მიტომ ვიცვალეთ მხარიო.

უნდა მოვტეხოთ მონასტერს
ი წმინდა ნინოს ჯვარიო;
მივფუშ-მოვფუშოთ, ავფხიკოთ
სოფლის სახლი და კარიო.

ნასიძეს უთქვამს: „ბიჭებო,
მოდის ლეკების ჯარიო;
იცოდეთ, მათი ტუმრობა
ხუმრობა როდი არიო.



შეკრიბოთ დიდი-პატარა,
ვინც რომ ყოჩალი არიო;
აქე გავწყვიტოთ, თორემა
აგვიოხრდება გვარიო.“

ამ დროს წარსდგება ბატონთან,
სახით მოხუცი არიო;
თანა ჰყავს ზორბა ვაჟები
იტყვი, მდევები არიო.

მეფესგან კაცი მოსულა,
ქიზიყი მზად თუ არიო;
ჩქარა შეკრიბეთ ბიჭები,
თორემ ქუხილი არიო.

მოხუც გლეხს უთქვამს: „აქა ვარ
ამ ჩემი ორი შვილითა;
ათი კი ომში დავკარგე,
დღე-ღამეს ვქელავ ვიშითა.

ეხლავ მზადა ვარ სამშობლოს
თავზე დავედო მტლადაო;
გავჭალარავდი, მაგრამა
ჯანზე ვარ მაინც მხნედაო!“

და გაილაშქრებს მტრისკენა
მთელი ქიზიყის გლეხია;
ლეკებსა ჩვენს დანახვაზე
თავს დასცემიათ მეხია.

თათრებს ჩვენები შეეჭრნენ,
ვით ქორი მტრედის გუნდშია;
ჰყაფეს და ჰყაფეს ურჯულო,
დარდი არ ჩაჰუათ გულშია.

მოხუცი თავის ორ შვილით,
იპრძვის, როგორც რომ ლომია;
მტრის გვამებს ირგვლივ გაისვრის,
იტყვის: „რად გვინდა მძორია“.

ყველა გაჰყვირდა მოხუცის
და მის ვაჟების ძალითა;
სამივე ერთად შეამკეს
ზურნითა-საზანდარითა.

მოხუცს უწოდეს „მგელკაცა“,
მის შვილებს — ლეკვნი ლომისა;
სიმღერაც კი გამოუთქვეს
დაუფასებელ წონისა.

მამასთან ისე შვეროდნენ,
როგორც კუნელზე შაშვია;
როგორც ალმასი ნამგალი
მამითადისა მკაშია.

მათ ნათქვამ, ნამღერ სიმღერას,
ჰქვიან „ლამაზი შაშვია“,
ამას დამღერის არსენა
ყველგან — მთაში თუ ბარშია.

არსენას უთქვამს: „როგორც მე
ეს კილოც ძველზე-ძველია;
მას შემდეგ „შაშვო ლამაზო“
ქიზიყელთ საყვარელია!“

დროთა განმავლობაში ეს სიმღერა იმდენად გავრცელდა, რომ ზოგიერთ სიმღერას
სარჩულად (ტექსტად) დაედო. ხმარობენ ქიზიყურ მგზავრულში „კახეთს მოადგა თარეში“.

52. ცანგალა და გოგონა

|

ახლა დავძახოთ, ბიჭებო,
„ცანგალა და გოგონაო“,
ჩვენი ტატე ჩამოუვლის,
თვითონ იცის, როგორაო.

ჩვენში პირველი ბიჭია,
მართლაც ვაჟკაცის წონაო;
მისი ერთი ხელეური
ძნა არის, არა კონაო.

ტკოცაში შეჰყვარებია
ერთი კოხტა გოგონაო;
ტატე სულ ამას იძახის,
გოგოა ოქროს წონაო!

ღვთისმშობლობას ნიშნობა აქვს,
მაყრად მოჰყავს სოფრონაო;
მომღერალი, მეფანდურე,
დალაქიანთ „ჭოლონაო“.

ტკოცელებს მოსწონებიათ,
უთქვამთ, კარგი ბიჭიაო;
ეს ტატე ნადარბაზელი
ჭკვიანი და დინჯიაო.

ეტყობა, კარგი იქნება,
ოჯახში თუ გარეთაო;
მას როგორ დაეჭირება
ჩვენი გოგო არეთაო.

ამ ჩვენებურ გოგობსა
შურით მოსდებიათ ალი;
ბუზღუნებენ, ნუთუ ტატეს
აქ არა ყავს მისი ცალი?!

ქორწილისთვის მოვემზადოთ,
ვივარჯიშოთ ცეკვაშია;
სიმღერებიც გავიხსენოთ,
რომ არ შევრცხვეთ ტკოცაშია.

იქაც დავცხოთ მაყრული და
თან მივაყოლოთ „გოგონა“,
როგორც ჩვენმა „სატაცურამ“
შუა ქართლში გაიგონა.

მაყრებად ამოვირჩიოთ
თორმეტი ან ცამეტიო;
ყველა კარგი მომღერალი,
დინჯი, არა კვიმატიო!

გოგოებო, ნუ ღონდებით,
ძალლებივით ნუ ღრინავთო,
ისეთ ბიჭებს ამოგირჩევთ
ტატეს სჯობდეს ათ წილადო.

„გაუსვით და გამოუსვით,
როგორც ჭიანურიაო“;
ის ამ წელს ვერ გათხოვდება,
ვინც ფეხი აურიაო.

აბა, ბიჭო, კვლავ დავძახოთ
„ცანგალა გოგონაზედა“;
ცანგალას შუბლი შევუკრათ,
სადაც კი შეგხვდეს გზაზედა.

გოგო დანიშნა, რა გოგო,
ბევრად ლამაზი სხვაზედა;
სამი წელია ატყუებს,
გაურბის მუდამ განზედა.

სან აქ გდია, სან სხვაგანა,
ყიალებს შარა გზაზედა;
ღვრინჭილები დაუკონავს
ირმის ტყავის ქამარზედა.

ქალის მშობლებს ასე უთქვამთ:
რასა ფიქრობ ჩვენს ქალზედა;
საქმეს ათავებ თუ არა
ი შენ საპატარძლოზედა?!

ცანგალას შემოუთვლია:
ჯვარს ვიწერო სხვა ქალზედა;
თქვენი გონჯი აღარ მინდა,
ძალით ნუ მახვევთ თავზედა.

გოგოს ეს რომ გაუგია,
დარდი მოაწვა დარდზედა;
იმ დღეს ბიჭებს დაუნახავთ,
თურმე გარბოდა წყალზედა.

„პავლე სულითა განათლდეს,
ი სამოთხისა კარზედა;
ამქვეყნად მართალი იყო,
ბისტი არ ეკრა თვალზედა“.

დღეს დილითა მცურავებსა
გამოაქვთ წყლის ნაპირზედა;
ცანგალამ ეს ჩაიდინა,
ცოდო დაიდო თავზედა.

ცანგალას რომ გაუგია,
დარდი მოსვლია დარდზედა;
აპეური ჩამოუბამს
სამების ნინ მუხაზედა.

მარყუჟშია თავს გაუყრის,
ფეხებს გალაჯავს განზედა;
ჩვენ ტარასტას დაუნახავს
ი სამების მუხაზედა.

ცანგალაი კონწიალობს,
სამების ნინ მუხაზედა;
მათი მშობლები დღემდისინ
ჭანგობენ გონებაზედა.

ასე გათავდა ნათქვამი
„ცანგალა გოგონაზედა“.
ამას აბამენ ზარითა²³⁰
არ დამღერენ ფანდურზედა!

მე პავლე თედონმინდელი,
თუ ვარ კიდევა ჯანზედა;
როცა მოკვდები ამას გთხოვთ,
დასწეროთ ი ცივ ქვაზედა;²³¹

²³⁰ ზარი — მოთქმით ჭირილი.

²³¹ საფლავის ქვაზე.

ლეკური თუ ლეგური?

ლეკურის სახელწოდების საკითხში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შეკრებისას ჩვენ ჩავწერეთ ერთი ცნობა ცეკვა ლეკურზე, რომელიც ამ წერილში გვინდა გავაცნოთ მკითხველს.²³²

მთქმელი გოგი ორაშვილი გადმოგვცემს თავისი პაპის, დათა ორაშვილის ნაამბობს, რომელსაც სოფელი ტეზერი დათა-პაპას ეძახდა.

ჩემს ახალგაზრდობისას — გვიამბობს მთქმელი — დათა პაპა ჯერ ისევ ბრგე ვაჟაცი იყო. მან იცოდა მრავალი ძველისძველი ამბავი, რომელსაც თავის კარაბადინში ათავსებდა ხოლმე.

კარაბადინს რომ გადავშლი,
გეგონება ისტორია,
რაც ქვეყანაზე მომხდარა
ყველა ერთად იქ სწერია!

ახალგაზრდობისას მას ჰყავარებია ჭიდაობა და ზურნაზე დაკვრა. უკანასკნელი შეუსწავლია იმ დროში განთქმულ სინო მეზურნისგან. ოსტატისინო დათას ქებაში ყოფილა:

დათამ სმენა დამიპურა,
დუღუკზე ღულუნითაო,
ვინც მას უსმენდა, იძახდა —
დალოცვილია ღვთითაო.

სინო მეზურნეს ერთი ახირებული ხასიათი ჰქონდა, — სულ თავად-აზნაურებში დადიოდა. დასავლეთ საქართველოში ხშირი სტუმარი იყო ქუთაისისა და ზესტაფონისა. ქართლს, თავდაპირველად რატომლაც არ სწყალობდა. ხანდახან თუ ინახულებდა გორსა და ხაშურს. ხაშურში მას ჰყავდა განთქმული მოცეკვავე მიტუშა აბაშიძე, რომელიც გაქსუებულ მეზურნესმთარველობას უწევდა. გათამამებული სინო-მეზურნე იტყოდა თურმე: გორო, ქართლის საგანძურო, ნახვა როგორ დაგიძვიროო. სინოს ასეთი ჩვეულება ხალხს არ ეჭაშნიკებოდა და ხშირად უსაყვედურებდათ: „რას ჩააცივდი ბატონებს, იმ ეშმაკების პატრონებს, ნუთუ იმათი ქცევაი ჩვენთვის კარგ რამეს გაგონებს“. სინო არ აქცევს ყურადღებას ხალხის საყვედურს მანამ, სანამ საყვედური საყვედურს არ მიემატა. ბოლოს ასეთ ხერხს მიმართავს თავის გასამართლებლად:

რა ხეირია თქვენგანა,
რომ ხშირად სოფლად გეწვიოთ,
სადა გაქვთ ქეიფის თავი,
თქვენ ჭაპანს უნდა ეწიოთ.

მეც ხომ თქვენსავით გლეხი ვარ,
ვიცი გლეხური წესია,
გლეხმა იშრომოს, ბატონმა
იგემოს დანათესია.

²³² ეს თქმულება 1957 წლის გამოცემაში არ იყო შეტანილი. სტატიას მივაკვლიერ 1962 წლის „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№9) და საჭიროდ მივიჩნიერ დანარჩენ თქმულებებთან ერთად მისი აქ გამოქვეყნება.



მე ჩემი დუდუკი მარჩენს,
სარჩო მაქვს თავზე საყარი,
ყველა ბატონი მე მწყალობს,
მონმედ მყავს გერის საყდარი!

ზალიკო ორჯონიკიძე
შეძლებით ყველას სჯობია,
თუმცა ხშირადა გაჩნდება
ვაჟაცი მჯობზე მჯობია.

ჯიბეს მიტენავს ოქროთი,
სხვაშია გასარჩევია;
ზალიკო ორჯონიკიძეს
გულით სიუხვე სჩვევია.

ლეკურის დროსა ხელსა შლის,
სამი წლის ფარშავანგივით,
ტანსა გათანგავს, ფეხს უსვამს
გიუმაუ ქარიშხალივით.

თქვენ კი მესაყვედურებით,
თქვენი სტუმარი რომ არ ვარ,
თქვენს ფეხის ფხაჭუნს ვერ ვუძლებ,
რაღგან სხვა გემოს კაცი ვარ.

თქვენი საქმეა დაირა,
თან კი ბუზიკა ჯიბისა,
ამაზე სიამოვნებით
ფეხებს ატლინკებს მიღდისა.

დათა-პაპა უფროსებისაგან გაგონილს გადასცემს გოგი ორაშვილს „ლეგურის“ სახელის წარმოშობის შესახებ. წინასწარ კი ასე იწყებს:

ძველად თქმულსა და გაგონილს
ვიტყვი, როგორც წესიაო,
მით უმეტს ცალი ფეხი
მიღგას სამარეშიაო...

და განაგრძობს:

ძველად, როცა ხალხის დროსტარებისას უეჭველად ცეკვა-თამაშიც იმართებოდა, ჯერ წაიმლერებდნენ „შავლეგოს“, მერე კი ჩაურთავდნენ ცეკვა „ლეგურს“. მართალია, სიმლერას აჩქარებით ამბობდნენ, რომ მოცეკვავეს ფეხი აეყოლებინა, მაგრამ სიმლერისა და ცეკვის ერთად შესრულება ბევრ აურზაურს ინვედა თურმე, ცეკვა — ცეკვას არა ჰეგავდა და სიმლერა სიმლერასო. სიმლერა „შავლეგოს“ მღეროდნენ გზაში ფეხის აყოლით, მედიდურად, ვაჟაცურად, ცეკვის მიყოლება კი სიმლერას თავის ელფერს უკარგავდაო. ხალხს უთქვამს:

სად გუთნური, სად „ჰოპუნა“,
ერთად არ გამოდგებაო,
„ოროველა“ ხვნის დროს უნდა,
„ჰოპუნა“ მკას უხდებაო.

ბოლოს, ეს სიმლერა და ცეკვა — „ლეგური“ ერთიმეორისგან გაუთიშავთ.
როგორ დაერქვა ჩვენს ცეკვას „ლეგური“?

ერთ დროს — განაგრძობს დათა პაპა უფროსების ნათქვამს — ჩვენს სოფელ ტეზერში გამოჩენილა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც სახელად რქმევია ლევანა — ლეგო. მისი გვარი ყოფილა ციხისთავიშვილი. სადაური იყო ეს ახალგაზრდა, და ან როგორ გამოჩნდა სოფელ ტეზერში — არავის სცოდნია. მასზე მეფანდურენი ასეთ ლექსს ამბობდნენ:

ვით მერცხალი შემოფრინდა,
არ ვიცით სადაურია,
მისმა ცეკვამ გააკვირვა
მთლად თავად-აზნაურია.

გოგოებო, არ გაუშვათ
თვალად-ტანად მშვენიერი,
პრანჭიობა არ დაიწყოთ
კვლავ იყავით გონიერი.

ერთ წელში ისე უცეკვია, რომ განთქმული ჩვენი მოცეკვავენი გაკვირვებულად. ჩვენებს ისე შეჰქვარებიათ ეს ჯადოქარი-მოცეკვავე, რომ მის საპატიოდ ჩვენს ცეკვას „ლეგური“ შეარქვეს. ამის შემდეგ მოდის ათეული წლობით ცეკვა „ლეგურის“ სახელწოდებით:

აბა ციბლავ, დაუარე
ჩვენი ცეკვა „ლეგურიო“,
ლეგოს ფეხებით მიპაძე,
თან დუღუკს უგდე ყურიო.

მე რა მოლეგურე მნახე,
ისევ ბატონიშვილს ვთხოვოთ,
ჩვენ, როგორც მის მამის ნათლულს,
ამის ნება გამოვთხოვოთ!

მე „ბუქნა ჭოტს“ ჩამოუვლი,
ისე კოხტად, ისე სხარტად,
თავის დროზედაც ჩავბუქნავ
ჩვენ ბატონისშვილზე კარდაგ.

— აი, შვილოსან, — განაგრძობს დათა-პაპა, — ჩვენს ცეკვას თავდაპირველად „ლეგური“ რქმევია. ლეგოს თამაშით გაოცებული ჩვენი ბატონები ცლილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. ხალხი ბატონების ჩანაფიქრს მიხვდება. ერთი მეფანდურის „ასიანას“ საშუალებით მიახვედრებს ბატონებს:

ბატონებმა დაინახეს
სახრავი და საწინკნელა,
ხელში ჩაგდებას ფიქრობენ
ლეგო ბიჭსა საკიკნელად.

მაგრამ, სანამ ხელი გვერჩის
იფნის სახრის მოსახმარად,
არცერთ ბატონს არ ვაცოცხლებთ
ლევანისა მოსაძმარად.

ერთხელ, ვიღაც ასეთ ხმას გაავრცელებს: ეს ცეკვა „ლეგური“ კი არა, ლეკურია. ლეკებმა იციან ასეთი ცოცხალი და სხარტი ცეკვა. ისინი ლეკურს ეძახიანო. ჩვენი ხალხი ამის გაგონებაზე გაჯავრდება, ზოგიერთს კი სახელწოდება „ლეგური“ უფრო მოეწონება. „ლეგურის“ მომხრენი გამონახავენ ერთ ძეელ მეფანდურეს, ჭატე-მნათეს ბიჭს და მიმართავენ ხვენით:



ტატე ძმაო, ჭკუით სავსე,
ლექსში ენა გაცვეთილო,
სიტყვა ლეგურზე რას იტყვი,
ბატონის ხელში გაზრდილო.

ჩვენ ლეგურს რაზე აჭკნობენ,
ურჯულო ლეკებზე სცვლიან,
თავიანთ მთებში ეყარნენ,
მთებს ვაკეზე ვერ გასცვლიან.

სად ჩვენი ცეკვა „ლეგური“,
ალაგს დინჯი და წყნარია,
ალაგს ჩქარი, ვით ჩანჩქერი
ფიცხი შეუპოვარია.

მათი ცეკვა ბევრს უნახავს,
ხტუნვით ზეცაში ადიან,
ზოგჯერ კი ბუქნაობითა
რა ვიცი, რას არ სჩადიან!

მეფანდურე ტატე უპასუხებს ფანდურზე დაკვრით (საუბედუროდ, ტატეს დანამღერი სადღაც დამეკარგა, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ ტატე ჩვენ „ლეგურს“ აქებს და ლეკების „ლეკურს“ აძაგებს (გოგი ორაშვილი)).

აფსუს ჩვენო „ლეგუროო“,
რიყის ქვებში ალმასოო,
უფალმა, ქვეყნის გამჩენმა
დოვლათით რომ აგავსოო.

სოფელი ოსიაურიდან მეფანდურე სანდალა „ლეგურზე“ დამღერის. დათა-პაპა გადასცემს თავის შვილიშვილს გოგი ორაშვილს.

ბადრიაშვილი სანდალა,
რა ეშმაკმა დაგლალაო,
ტურის ფერი დაგუარგვია,
გზამ თუ აგახანსალაო.

ერთი თხოვნა აგვისრულე,
„ლეგურზე“ თუ იცი რამე,
დააღიღინე ფანდურზე, —
მაღალი ღმერთი იწამე.

მეფანდურე სანდალა დაიწყებს:

დავალებას შეგისრულებთ
და გავაპამ ლარივითა,
ჩვენს „ლეგურზე“ მოგახსენებთ
ჩვენი დიაკვანივითა.

მამაჩემსა მოვლილი აქვს
ლეკთა მხარე და ოსეთი,
იმის ნათქვამს მოგახსენებთ,
თუ რომ შემეწევა ღმერთი.

რას ერჩოდნენ, რომ ეტაკნენ
რქაჩოლია ხარივითა,
ჩვენი დინჯობს, მათი გიჟობს,
გიჟმაჟ მარტის ლარივითა.

ლეკებში ბევრი უნახავს
მათი ზნე და ჩვეულება,
ბატონთან ერთად ყოფნის დროს
დასწრებია წვეულებას.

მათი ცეკვა — ხტუნვა არის,
ჯამბაზსა ჰგავს ყველაფერში,
ბუქნა, ცერებზე დადგომა
არეულა ერთმანეთში.

ჩვენ „ლეგურს“ სრულებით არ ჰგავს,
როგორც ზამთარს შემოდგომა,
ცეკვასა, ისიც „ლეგურსა“,
არ უხდება ტლინკვა, ხტომა.

კობიაშვილს²³³ ასე უთქვამს
ლეკებისა ცეკვაზედა:
ის ჩვენ „ლეგურს“ სულ არა ჰგავს,
ხტუნვენ ასკინკილაზედა.

ძველი ამბების მცოდნე და მეფანდურე ტატე ძიმაშვილი ყურს მოჰკრავს ხალხის ჩოჩქოლს „ლეგურის“ სახელის დამახინჯებაზე და გაემგზავრება სოფელ ტეზერში მოკეთესთან. მასპინძელი მოსულ მოკეთეს თავიდან ბოლომდე მოუყვება, თუ რატომ არიან სოფლელები დაღონებულნი. სტუმართან ერთად მეზობლებსაც მოუყრიან თავს. ყურს უგდებენ ივანეს (მასპინძელი). ივანე მიულექსავს:

დიტო, დიტო ძიმაშვილო,
დაბადებით ღვთისაშვილო,
გახსენ შენი მამის ბოხჩა,
ტყუილად არ იცოდვილო.

„ლეგური“, როგორც მერცხალი,
ჩვენს ეზოში შემოფრინდა,
იმ თავიდან ჩვენთან ბუდობს
და ჩვენს იქით არ გაფრინდა.

პირის კაცსა გეძახიან,
სიკერპე არ დაიშინო,
ღვთის წინაშე მართალი თქვი,
კოკითა გვაქვს შენთვის ღვინო

მართალია, გლეხკაცი ხარ,
მაგრამ „ლეგურს“ შეეწყევი,
ამ ცეკვაში, გამიგია,
ბევრს არავის გაექცევი.

„ლეგურზე“ თუ რამე იცი,
ან თუ მამის გაგონილი,
გულახდილად ჩაგვიკენჭე,
შენც ხომ „ლეგურში“ გაქვს წილი.

ერთი გვითხარ, ამ „ლეგურზე“
თუ გაგიგია რამეო,
სხვა სახელი თუ რქმევია,
გვითხარ, ღმერთი იწამეო.

დიტო ძიმაშვილის პასუხი „ლეგურზე“:

„ლეგური“ ქართლის შვილია,
ქართვლის დედისგან შობილი,
მღვდელმა „ლეგურად“ მონათლა,
მძივივითა აწყობილი.

იგი სიყრმისა შვილია,
„ლეგურადა“ მონათლული,
და ეს სახელი იმთავით
ღვთისაგან აქვს დანათლული.

²³³ განთქმული მოცეკვავე კობიაანთ კარიდან (დუშეთის მახლობლად).

„სადარბაზოსაც“ უხმობენ,
ასე ყოფილა ჩვევადა,
მაგრამ ორივე სახელი
დღემდე დარჩა ლეგურადა.

მე „ლეგური“ კარგად ვიცი,
მზადა მაქვს ნათელი ფიცი,
მიზმასნური ხტის ვით კვიცი,
აქ რა არის დასაფიცი!

მესმის უაზრო ძახილი,
უცნაური, უელფერო,
ენა-ყრანტალს არ უსმინოთ,
არც სხვის ჭორი დაიჯეროთ.

თავის ქერქში დააბერეთ,
არ შეუცვალოთ სახელი,
რას უშავებს, რას აწუხებს
ლვთისგან ნაბოძი ნახელი?!

დღეს რას ვხედავ, და რა მესმის,
დამეხშო სმენის სარქველი,
„ლეგურს“ „ლეკური“ შეარქვეს —
არ დამრჩა მეტი სათქმელი.

ვერ გაგიგია, ივანე,
ქვეყნის ავი და კარგია —
დღეს რომ რამე კარგს ჩაიდენს,
ხვალ გულის გასაფატრია.

დიტო ძიმაშვილი უამბობს დათა-პაპას იმასაც, თუ როგორ სცნობიათ ერთმანეთი ლევან-ლეგოს და იმ დროის გამოჩენილ სახალხო გმირს შავლეს-შავლეგოს. შავლეგოზე გამოთქმულ ლექსს ლეგო ასე იწყებს:

მე და შავლეგ თარეშის დროს
ერთად ვიყავთ, ერთად ვხმლობდით,
მტრის სინსილას რომ გავწყვეტდით,
ფეხებითა „ვცელქაობდით“.

შავლეგ მოლეგურე იყო,
ფეხით ცაში ადიოდა,
ზოგჯერ ძირს რომდაგეხედათ —
მინას მტვერი ასდიოდა.

დიდხანს ვიყავთ ძმად-ნაფიცი,
ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით,
უერთმანეთოდ არასდროს
ნაბიჯსაც არ გადავდგამდით.

ბოლოს, როცა თარეშს მოვრჩით,
გავიყარენით ძმურადა,
მის შემდეგ არ გაგვიგია
ლეკნი დაგვსხმოდნენ მტრულადა!

ლეგოს გასაცვიფრებელი თამაშის შესახებ კახეთშიც შეიტყობენ. ჩვენ ბატონს ვეზირიშვილს კახეთში ჰყოლია თავადი, რომელიც ნათესავად ერგებოდა. ამ თავადისაგან წერილი-ლექსი მოუვა ჩვენ ბატონს. კახეთიდან გამოგზავნილი წერილი ლექსად:

ჩემო კეთილო, გავიგე
ცეკვის ამბავი ქართლშია,
კახეთის ახალგაზრდობა
სიხარულით ჰფრენს ცაშია.

ყველა მთხოვს, შეგატყობინო
მათი სურვილი გულითა,
გვაწვიო ცეკვის „ჯადოი“ —
ამას გთხოვთ წმინდა გულითა.

ამბობენ, ნეტა ვინ არის,
ფეხებს როგორა სხვეპავსო,
მასთან შეჯიბრს ვერ ბედავენ
ვინც კი მის თამაშს ხედავსო.

კახეთის თავად-აზნაურთ
სურთ მაგ ყმანვილის ნახვაო,
მერწმუნეთ, მთელმა კახეთმა
ეს აზრი დაისახაო.

მეც გულითა გთხოვთ მობრძანდეთ,
მოსვლა არ დაიმძიმაო,
ჩემი თხოვნაა და ხვეწნა,
პირი არ გამინბილაო?!

ქართლის თავადობა რომ გაიგებს კახეთიდან გამოგზავნილი წერილის შინაარსს, ფიქრობს ლეგოს თავისკენ გადაბირებას, დასაკუთრებას. ჩვენი ბატონი ვეზირიშვილი ყველაფერს შეიტყობს. ცდილობს, ლეგო არ ჩაუგდოს ხელში რომელიმე სხვა ბატონს:

თქვენი განზრახვა გავიგე,
რაც ჩაგიდვიატ გულშია,
ამ თავით ვერვინ გაბედავს
ლეგოს ჩაგდებას ხელშია.

შემდეგ კი თქვენი საქმეა,
ლეგოსი დასაკუთრება,
მხოლოდ ეხლავე იცოდეთ,
თრევა არ გამოადგება.

წერილი მე მივიღევი,
გასახარელი ძალიან,
მაგრამ იცოდეთ, ეს ბიჭი
ჯერ ჩემი უპრიანია.

მას ცოლი ჰყავს და შვილია,
ჩემ მფარველობის ქვეშ არის,
მას უნდა ხელის შენყობა,
რადგან ბოგანო არ არის!

შემოგვევედლა ეს ბიჭი,
სიძედაც ჩავისახლეთო,
როგორც თანასწორს უმზირეთ,
ეს თქმული დაისახეთო.

ბატონი ვეზირიშვილი კახელ ნათესავს პასუხს დაუგვიანებს. დაიბარებს თავისთან ლეგოს და ეტყვის: ბიჭო, შვილო, კახეთიდან მივიღე წერილი. ჩემი ნათესავი, იქაური ბატონი, მთხოვს, რომ შენ განვიო კახეთს, როგორც განთქმული მოცეკვავეო.

კახეთში ჩასულებს გულით ეგებება ყველა. ლეგოს სანახავად მოსული ხალხი მატულობს. ყველა თვალით სინჯავს ქართლიდან ჩასულ სტუმრებს, მათი ჩასვლის დღეს დაემთხვა ალავერდობა. ამით ისარგებლებს კახელი ბატონი და დღესასწაულის წინა დღეს თავისი სტუმრებით გაემგზავრება ალავერდობას.

ზურნის მჭექარე ხმა შეიცვლება ტკბილი დუდუკით. ჯერ კახელი მოცეკვავენი დაუვლიან მოხდენილად. ორი-სამი წყვილის შემდეგ კახელი ბატონი ლეგოს ჩასჩურჩულებს, ახლა შენი ჯერიაო. ლეგო თანხმობის ნიშნად თავს დაბლა დახრის.

დაუარა წრეს, გამოიწვია თავისი შესაფერი მოხდენილი ქალიშვილი. ხალხი ჯერ ლეგოს დავლამ გააკვირვა, შემდეგ კი ფეხის გასმამ. ლეგო ტანს არ არხევს, თითქოს მთელი ტანით მიცურავდეს, ისე მისრიალებს მიწაზე. რა ვქნა, მარხილზე ხომ არა დგას, ასე რომ მისრიალებსო — ამბობს მაყურებელი. თვალს არ აშორებს ლეგოს. ერთი წამოიძახებს: „ალავერდო შეაჩვენე, თუ ეს ეშმაკის კერძია, და თუ ადამის მოდგმაა, ამრავლე, ვით ზღვას თევზია.“

ლეგო გამარჯვებული გამოდის. ვაშას ძახილი დიდხანს არა წყდება. ხალხი ულოცავს კახელ მასპინძელს, მადლობას უძლვნის ქართლელ ბატონს ლეგოს ჩამოყვანისთვის, ლეგოს კი ახალგაზრდა თუ მოხუცი ჩაიკრავენ გულში და ეამბორებია.

ერთხელ ძველ მოცეკვავეს უთქვამს:

ჩემი სიცოცხლე ვცეკვავდი,
ყველას ვჯობდი ერთი-ორად,
მე თუ ნიბლია ვიყავი,
ლეგო მომეჩვენა ქორად.

სტუმრები ერთ-ორ კვირას დარჩებიან. დიდი ძლვენით გამოისტუმრეს ბატონი გამარჯვებული ლეგოთი.

კახეთიდან დაბრუნებულს სიხარულით შეგებებიან თურმე. გარს შემოხვევია მთელი სოფელი. ვეზირიშვილი ყველაფერს უამბობს დაწვრილებით:

კახეთში კარგად ცეკვავენ,
მით უმეტეს თავადები,
მაგრამ მათში ერთი გაჩნდა,
ცეკვაშია ნავარდები.

როგორც ლეგომ, ისე იმან
დაუარა კოხტად, კარგად,
ბოლოს სულ არ ეტყობოდა,
რომ უსვამდა ფეხებს მარდად.

სახეზე რომ არ გეცქირათ,
სულ მთლად ჰგავდა ჩვენ ლეგოსა,
ლეგოსავით კოხტა იყო,
ტანზედა შავი ემოსა.

ხალხის ვაშამ იგრიალა,
ვით ქუხილმა ცისამაო,
ამ ორში თუ ვინ აჯობა,
თავანთმა თუ სხვისამაო.

ბოლოს ყველამ გადაწყვიტა:
მოცეკვავე ორიაო,
ორივ ქებისა ლირისია,
ორივ თანასწორიაო.

კახეთში გამართულმა ცეკვამ მხოლოდ ორი მოცეკვავე გამოავლინა: ერთი ჩოლოყაშვილი და მეორე ქართლიდან მისული ლეგო. ვერ აგინერთ იმ გულწრფელ სიამოვნებას, რომელსაც ჩვენ და ჩვენი მასპინძლები ვეზიარენით. არ გასული ერთი კვირა, როცა ჩვენმა მეფანდურემ ზურაბ ფანდურზე მოგვასმენინა ვეზირიშვილის ნაამბობზე გაწყობილი საფანდურო ლექსი:

ყური მიგდეთ, მოგახსენოთ
ერთი რამ გასაკვირია,
ამ ამბის გაგონებამა
ზურა სულ მთლად გადამრია.

ალავერდობა დღე იყო,
გწყალობდეთ მისი მადლია,
სად გაიმართება ცეკვა
ჯანისა მოსანათლია.

ჩვენი ლეგო კახეთს მიდის
ჩვენ ბატონთან ერთადაო,
ფეხის ძალა გაისინჯოს,
როგორც არის წესადაო.

მხოლოდ ორმა გაიმარჯვა:
ჩოლოყაშვილმა და ლეგომ,
თავადებს ფერი უცვალა,
თითქოს გადუარა ნენგომ.

ცეკვაში შეჯიბრებაა,
როგორც მთაში ჯიხვთა შორის,
ლონიერი კლდეზე რჩება,
სუსტი ხდება ლუკმა ყორის.

კახეთშიც „ლეგურს“ აქებენ,
იქ მეტ სახელს არ არქმევენ,
„ლეგური“, „ლეგურად“ რჩება
და „ლეკურს“ არ დაარქმევენ.

ერთი შეძლებული თავადი მაინც გადაიბირებს ლეგოს და წაიყვანს ატოცში დღეობა გიორგობას. თითქმის ერთმა თვემ განვლო, რაც ლეგო მოშორდა თავის ცოლ-შვილს. ჩვენმა სოფელმა ორი ბიჭი გაგზავნა ბატონისა და ლეგოს ამბის გასაგებად (იმ დროს დიდი თარეშიანობა ყოფილა). ბიჭები რომ დაპრუნდებიან, ასეთ ამბავს მოუტანენ სოფელს: ბატონი გზაში მოუკლავთ, ლეგოსი კი ვერა გავიგეთ რაო. ხალხი შეწუხდება. ლეგოს ცოლი აუნერელ დარღმია:

ნეტავ ცეკვა არ გცოდნოდა,
რაზე დათალხე გვირგვინი,
უშენოდ რალა ქალი ვარ,
თავიდან გამიქრა ტვინი.

ხალხმა გამოთქვა ქარაგმული ლექსი. ზურა ცრემლით სავსე თვალებით ასე დამლერის:

წყალსა ნაფოტი მოჰქონდა
ალვის ხის ჩამონათალი,
დადექ ნაფოტო, მიამბე
მოყვრისა შემონათვალი.

შენი მოყვარე ტეზრელი
შუა გზას ვნახეთ დაჭრილი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ქვა წვრილი.

ამ ქარგმული ლექსის აზრს ყველა მიხვდება. ხალხს გულს უკლავს, რომ ლეგო ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდება თავის ცოლ-შვილს. ვეღარ გაიგო სოფელმა ლეგო-ბიჭის ავან-ჩავანი.

შენიშვნები

1. სიმღერების სადაურობა, გვ. 33.

ჩაწერილია 1921 წელს, სოფელ ბაკურციხეში. მთქმელი მესტიაშვილი სიკო, სოფელ მაღაროს მცხოვრები.

ლექსში ნახსენები ბურთიკაშვილი განთქმული სახალხო მომღერალი ყოფილა. მესტიაშვილის გადმოცემით, „ხმა რაკრაკა და მჭექარე ჰქონდა. უიმისოდ არც ნათლობა, არც ქორწილი არ შეიძლებოდა: 108 წლისა გარდაიცვალა. დიდის ამბით დაუსაფლავებიათ და დიდძალი საზოგადოება დაესწრო მის დასაფლავებას“. ბურთიკაშვილის შესახებ ხალხს ლექსიც გამოუთქვამს:

ბურთიკაშვილი მოგვიკვდა,
მოსწყდა ბულბული ვარდსაო;
ყვავებმა იწყეს ჩხავილი,
მითხარით, ეს რას ჰგავსაო?

ვიღა აივლის მაღლობზე,
იმ უმწვერვალო მთაზედა,
მრავალუამიერს ვინ ასწევს
შვიდი მუხლისა თქმაზედა,
გლოვობენ ჩვენნი ბატონნი,
ნაცარს იყრიან თავზედა.

2. მკის სიმღერა, გვ. 33.

ჩაწერილია 1916 წელს სოფელ ახრისში (ქართლი). მთქმელები: გიორგი ქართველიშვილი, კუკურა ვათიაშვილი, ტუსა გელაშვილი და მომკელთა ჯგუფი.

გიორგი ქართველიშვილი შესანიშნავი მუშაკაცი იყო. მისი გამოღებული ხელეური მთელ ძნას უდრიდა. ამავე დროს, იგი როგორც მომღერალი განთქმული იყო მთელს ახლო-მახლო სოფლებში, იგი ზღაპრების კარგი მთქმელიც იყო. მას მხოლოდ ამავე სოფლის მცხოვრები თევა დიდბერუაშვილი სჯობდა ამ საქმეში.

კუკურა ვათიაშვილი იშვიათი ხმის პატრონი იყო, ხოლო ტუხა გელაშვილისთანა „ოროველას“ მთელ გორის მაზრაში ვერავინ მოისმენდა.

3. თოხნური, გვ. 39.

ა, ბ, გ — ჩანერილია 1917 წელს სოფელ ტირძნისში (ქართლი) ტეჭუნაშვილების (ტეჭუნაანთ) ოჯახში.

დ — ჩანერილია 1930 წელს, სოფელ საქაშეთში (ქართლი).

ე — ჩანერილია 1930 წელს, სოფელ ოქროყანაში, გაბაშვილების ოჯახში.

4. სანახლური, გვ. 40.

I — ჩანერილია სოფელ ტირძნისში. მთქმელი ივანე სამადალაშვილი.

II — ჩანერილია 1917 წელს, სოფელ მეჯვრისხევში. მთქმელი ბიბილაშვილი.

III — ჩანერილია სოფელ მუხრანში, მთქმელი „კანკალას ბიჭი“.

ლიტერატურული ცნობების მიხედვით, საქართველოში სანახლური სიმღერები ფართედ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ტექსტი ამ სიმღერისა დღემდე ცნობილი არ იყო. გიორგი სვანიძის მასალები ავსებს ამ დიდ ხარვეზს. მართლაც, წარმოუდგენელია საქართველოში არ მოძებნილიყო ყურძნის დაწურვასთან დაკავშირებული სიმღერა. კომპოზიტორ გიორგი სვანიძის ცნობა დადასტურდა სხვა ჩანაწერებითაც. 1952 წლის შემოდგომაზე ერთი ასეთი ტექსტი ჩვენ ჩავწერეთ ატენის ხეობაში. იხ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი.

5. ქვევრის რეცხვისა, გვ. 43.

I — ჩანერილია სოფელ ტირძნისში, მთქმელი ივანე სამადალაშვილი (იხ. შენ. №18).

II — ჩანერილია სოფელ მუხრანში, მთქმელი პავლია, 73 წლისა.

III — ჩანერილია სოფელ მეჯვრისხევში, მთქმელი — სოსანა „ასკილაანთ ბიჭი“. ლექსში ნახსენები ხუჩა, გვარად ბიბილაშვილი, სოფელ მეჯვრისხევის ერთ-ერთი უბნის მცხოვრები იყო.

ქვევრების რეცხვის სიმღერები ისეთივე უნიკალურია, როგორც სანახლური და პირველად არის ფიქსირებული გიორგი სვანიძის მიერ.

6. მხიარული გაზაფხული, გვ. 44.

I — ჩანერილია 1916 წელს, დაბა ცხინვალში. მთქმელი დიმიტრი ჯაფარიძე. ჩამნერის ცნობით, ამ ლექსისა და სიმღერის კილოს შესახებ გამოთქმული აზრი დაადასტურეს ავაკუმ ფთისშვილმა და ვასილ თუშმალიშვილმა, რომელნიც ჩანერის დროს დიმიტრი ჯაფარიძესთან იყვნენ სტუმრად. მათ მოუსმენიათ ეს სიმღერა ქართლის სოფლებში: ხცისში, კობიაანთ კარში, ტკოცაში, ძევერაში, თორჭიზაში და სხვაგან.

II — ჩანერილია 1922 წელს სოფელ კობიაანთ კარში (დუშეთის რაიონი). მთქმელი კობიაშვილი — ლრმად მოხუცებული. მთქმელი აღნიშნავს, რომ მას თავისი პაპა ნამგალა კობიაშვილისაგან მას „ჭონას“ სულ სხვა კილო სმენია.

„მხიარული გაზაფხულის“ სიმღერა და მასთან დაკავშირებული ზნე-ჩვეულებანი მოწმობს მის უეჭველ კავშირს გაზაფხულის დღეობათა ციკლთან. ახალგაზრდა ვაჟთა სიმღერა ქალის კარზე, ქალიშვილის მიერ ნობათის დამზადება და გამოტანა გულის სატრფოსთვის, დღეგრძელობის, მშვიდობის, მხიარული გაზაფხულის დადგომის, წლის თავზე ვაჟის შეძენის და სხვა სურვილების გამოთქმა სიმღერაში, — გაზაფხულის, ნაყოფიერების დღესასწაულისათვის არის დამახასიათებელი. ამასვე მოწმობს ლექსის ზოგი რეალია (დეტალი, დეტალიზება. — რედ.). სასიძოსათვის „ვარდის სუნის“ ნობათის დამზადება, სატრფიალო ეპითეტები დადასტურებაა იმისა, რომ „მხიარული გაზაფხულის“ სიმღერა „ჭონაზე“ უფრო ადრინდელია და მიგვითითებს იმ ძველ, ნარმართული გაზაფხულის დღეობის არსებობას, რომელსაც მრავალი ზნე-ჩვეულება და საფერხულო სიმღერები ახლდა. ამ დღეობის ნაშთებმა მოალწიეს ჩვენამდე ვარდობის დღეობის, „დიდების“ ფერხულისა და მრავალი სხვა სიმღერისა და თამაშობის გადანაშთების სახით. როგორც ცნობილია, ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულზე „ჭონას“ შესრულებაც ნარმართობის დროინდელ, შემდგომ ქრისტიანიზებულ ჩვეულებას ნარმოადგენდა. თქმულებაში ჩართული ტექსტები გვიანდელი უნდა იყოს.

7. ზე-მყრელო, გვ. 46.

ლექსი ჩანერილია 1916 წელს, სოფელ ტყვიავში, გლახა ძამელაშვილის ოჯახში.

თქმულება ჩანერილია 1916 წელს დაბა ცხინვალში, მთქმელი დიმიტრი ჯაფარიძე (იხ. შენ. №6).

„ზე-მყრელოს“ ეს ტექსტი მეტად არქაულია. მისი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ეს ფერხული ნარმოშობით საწესო ხასიათისა უნდა ყოფილიყო. სვანური „მურყვამობის“ — „კოშკობის“ მსგავსად ეს ორსართულიანი ფერხული გაზაფხულის ნაყოფიერების დღესასწაულის ციკლს ეკუთვნის. ამას უნდა მოწმობდეს ქერისა და პურის თხოვნა, მუდარა იმისა, რომ „ზე-მყრელო“ „მალე ამოვიდეს“ და ზიანი არ მიაყენოს, ტექსტში „საფრის კედლის“ ხსენება და სხვა.

მეტად საინტერესოა გვიანდელი გააზრება „ზე-მყრელოსი“, სადაც უკვე მკაფიოდ ისმის სოციალური პროტესტის ხმა:

თავანკარი სხვას ერგება,
ჩვენ დაგვრჩეს ნაკმაზიანი;
იმათ მიირთვან შავთხაი,
გლეხმა კი ნაკმაზ-პზიანი...

8. სამაია, გვ. 48.

ჩანერილია 1917 წელს სოფელ საქაშეთში. მთქმელი დიასამიძის მოურავი, რომელსაც ეს სიმღერა ხშირად გაუგონია დაისამიძიანთ ოჯახში, თეკლე კალატოზიშვილის შესრულებით, ზუსტად იგივე ტექსტი გიორგი სვანიძეს ჩაუწერია 1920 წელს სოფელ სკრაში შალიკაშვილის ცოლისაგან.

მოყვანილი ტექსტი უეჭველად მისი შეკეთებისა და გაშალაშინების ნიშნებს ატარებს. ამ ხალხურ ლექსს გაბატონებულ კლასთა წრის პოეზიის ხელოვნურობის იერი აქვს. ტექსტს მაინც ვაქვეყნებთ, რადგან „სამაიას“ ჩანაწერები მეტად იშვიათია, სულ მის 2-3 ვარიანტს ვიცნობთ. მოყვანილ ტექსტში ყურადღებას იპყრობს თვით სიტყვა „სამაიას“ ახალი ეტიმოლოგია „სამაიას“, — „სამ მაიას“ და „ჩვენ სამ დასა მაიასა“. მიუხედავად გადაკეთებებისა და ჩანართებისა, ტექსტში აშკარად ჩანს არქაული ელემენტები და იგრძნობა ფერხულის ძველი, იქნებ სანესო ფუნქციაც.

9. ბუქნა ჭოტო!.. გვ. 49.

ჩანერილია 1919 წელს სოფელ ახრისში. მომღერლები: ჭილლაძე, ვათიაშვილები, შიუტაშვილი სონა (ვაჟია) და სხვანი.

ეს ტექსტიც ძველ ქართულ თამაშობათა და ფერხულთა ერთ-ერთი არქაული და უცნობი სახეა.

10. მზისა და მთვარის ჩხუბი, გვ. 49.

ჩანერილია 1917 წელს, სოფელ ლამისყანაში (ქართლი). მთქმელი ამილახვარი (ფოსტის მოხელე).

11. ჩაკრულო, გვ. 51.

I — ჩანერილია 1918 წელს მცხეთობას. მთქმელი სოფელ საგურამოს მცხოვრები სესია, მეტსახელად, „ნაკვერჩხალას ბიჭი“.

II — თქმულება და ლექსი „მე საბუედან წამოველ“... ჩანერილია 1917, სადგურ წნორის ცყალზე. მთქმელი ისაკა ლადას ძე ძიმისტარაშვილი.

ლექსი „ძიმისტარაანთ ისაკა“ ჩანერილია 1917 წელს კახეთის მატარებელში. მთქმელი ივანე შიუკაშვილი — 77 წლისა.

III — ჩანერილია 1928 წელს, სოფელ ჯარიაშენში (ქართლი). მთქმელი ლექსა, მეტსახელად „აზნაურას ბიჭი“, 79 წლისა. ერთ დროს კახეთში მოჯამაგირედ ყოფილა.

12. ისემც რა ვუთხრა ჭკუასა, გვ. 55.

ჩაწერილია 1920 წელს სოფელ კარბში, ბასილაშვილების ოჯახში. მთქმელი ნიგოზა თუშიშვილი

13. ატენის ლვინოვ, ნაქებო, გვ. 56.

ჩაწერილია 1947 წელს სოფელ ხიდისთავში, კვირაცხოვლობას. მთქმელი ტლაშაძე ივანე (ტილა), იმავე რედაქციით ჩაიწერა ლექსი ამ მთქმელისაგან 1938 წელს, (იხ. შენ. №21 და №24). ქარუმიძე — სოფელი თორტიზას მცხოვრები, გიორგი ტატიშვილი (თხის რქა) ცნობილი მომლერალი; სოფელი მარანას მცხოვრები; სიკო მესტიაშვილი (იხ. შენ. №1 და №16).

14. გუშინ შვიდნი გურჯანელნი, გვ. 58.

ქართლური ვარიანტი, ჩაწერილია 1921 წელს სოფელ ბაკურციხეში. მთქმელი მესტიაშვილი სიკო, სოფელ მაღაროს მცხოვრები (იხ. შენ. №13 და №16).

ეს ლექსი წარმოადგენს საქართველოში ფართოდ ცნობილი სიმღერის „გუშინ შვიდნი გურჯანელის“ ქართლურ ვარიანტს. ამ ლექსის გორიჯვართან, მისი წარმოშობის კი საკუთრივ ქართლთან დაახლოება, სათუოა, მაგრამ თავისთავად, გიორგი სვანიძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი მეტად არქაულია და მნიშვნელოვანი. იგი ქართული სამონადირეო ეპოსის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

15. შაშვი კაკაბი, გვ. 60.

ჩაწერილია 1918 წელს სოფელ მერეთში (ქართლი). მთქმელი იასე ფურცელაძის მებაღე გოდა. თქმულება გადმოცემულია გიორგი სვანიძის სიტყვებით.

16. ზამთარი, გვ. 64.

ჩაწერილია 1917 წელს სოფელ გორიჯვარში — გორიჯვრობას. მთქმელი იმავე სოფლის მცხოვრები ფოცხვერაშვილი.

მთქმელის აზრით, ეს სიმღერა ქართლურია თავისი წარმოშობით. დღეობაზე დამსწრეთაგან ამ სიმღერის ქართლური წარმოშობა დაადასტურეს ბატკუაშვილებმა (სოფელი ერთაწმინდა), გლურჯიძემ (სოფელი სასირეთი), გიორგი ტატიშვილმა, მეტსახელად „თხის რქამ“ (იხ. შენ. №13) სოფელი მარანიდან. იგივე აზრი, გიორგი სვანიძის მოწმობით, გამოსთქვა ზაალ მაჩაბელმა (ცხინვალი). კახეთში ამ აზრს დაეთანხმნენ გულისაშვილი, ვაჩაძე, ე. ანდრონიკაშვილი (ვაჩაძის

მეუღლე) და სხვანი. „ზამთარის“ ქართლური წარმოშობა დაუდასტურებია კახეთის ცნობილ სახალხო მომღერალს სიკო მესტიაშვილს შემდეგი სიტყვებით:

„ზამთარი“ ქართლის შვილია —
„ალილო“ კახეთისაო;
სადაც კი შემომივლია,
„ალილო“ მასთან თრთისაო!
თუმცა ეს საგალობელს გავს
ქრისტეშობისთვის ხმისაო!

17. ფარინე, ანუ გამოსალვიძებელი, გვ. 65.

ჩანერილია 1916 წელს სოფელ ახრისში. მთქმელები: გეგენა ბათიაშვილი და გიორგი ქართველიშვილი.

„გამოსალვიძებლის“ ტექსტი იხ. შენ. 18.

18. ამბავს გეტყვით, გვ. 69.

ჩანერილია 1948 წელს სოფელ კეხიჯვარში. მთქმელი მალაქია ჯაიანი, რომელსაც ეს ლექსი 65 წლის სერგო მეტრეველისაგან უსწავლია. მთქმელის ცნობით, „ფარინეს“ მსგავსად (იხ. ტექსტი №17), ამ სიმღერასაც „გამოსალვიძებელს“ უწოდებენ. იგი სუფრაზე „დამარცხებულის“ გამოსალვიძებლად იმღერებოდა თითქოს.

თქმულების ბოლოს ჩართული ტექსტი — „ორივემ ხმალი იშიშვლა“ — ჩანერილია 1919 წელს თბილისში ალექსანდრე ფიცხელაურისაგან.

ამ ლექსის ვარიანტი ჩაინერა გიორგი სვანიძემ 1916 წელს გეგენა ბათიაშვილისა და გიორგი ქართველიშვილისაგან. იმათაც ამ ტექსტს ფარინეს მსგავსად „გამოსალვიძებელი“ უწოდეს:

ჩვენ სამნი შევიყარენით
საზღვარსა მუხრანისასა,
პურსა ვთხოვდით და გვაჭმევდნენ,
გვაჭმევდნენ თავთუხისასა,

ნყალსა ვთხოვდით და გვასმევდნენ
ლვინოსა ლალისფრისასა,
საწოლს ვთხოვდით და გვაწვენდნენ
ბალიშსა ყურთუკისასა.

19. მესტვირების ამბავი, გვ. 71.

I. თქმულება დიდი და პატარა დოდესა და ალექსა ოქრომჭედლის შესახებ და ლექსები: 1. „თამარ მეფემ ააშენა“, 2. „შე მაიმუნო დოდეო“, 3. „სხვამ რომ მითხრას, კიდე ხოო“, — ჩანერილია 1918 წელს სოფელ რუისში (ქართლი) ფერიცვალობას — დღეობაზე. მთქმელი ვანე „ცინგლას ბიჭი“, ამილახვრის ყოფილი მოჯამაგირე. მას ეს ლექსები და თქმულება გაუგონია შიო „შიკრიკაანთ ბიჭისაგან“.

II. ლექსი „მესტვირე პატარა დოდეს თქმული“ ჩანერილია 1916 წელს სოფელ ჯარიაშენში. მთქმელი იოსებ ბათიაშვილი (მღვდელი). მას გაუგონია ეს ლექსი ჯარიაშენელი ვინმე მაჭავარიანისაგან, რომელსაც მეტსახელად „კანჭს“ ეძახდნენ.

III. ლექსი „დიდ დოდეს თქმული“ მის შეგირდებზე ჩანერილია 1917 წელს სოფელ ახრისში, მთქმელი პელა დიდბერუაშვილი. გაუგონია სოფლის ყოფილი მებატონის ბიძინა ყანჩავლის ოჯახში, სადაც პურის მცხობლად მუშაობდა.

IV. დიდი და პატარა ნაყიდას ამბავი და ლექსი „შე პატარა ნაყიდაო“ — ჩანერილია 1949 წელს სოფელ ტინიხილში (ქართლი). მთქმელი ნიკა მეზვრიშვილი, მეტსახელად „ნიორას ბიჭი“ — გარმონზე დამკვრელი და მომღერალი.

ლექსი — „შე გნოლიძე ნაყიდაო“ — ჩანერილია 1922 წელს სოფელ რუისში. მთქმელი ნატალია ირემაშვილი.

ნაყიდა ყოფილა პატარა დოდეს მოწაფე, გვარად გნოლიძე, სოფელ ტინიხილის მცხოვრები.

V. „ჩანახას“ ამბავი ჩანერილია 1919 წელს სოფელ ზემო არცევში. მთქმელი ნიკა ფეიქრიშვილი, მეტსახელად „მემინდეს ბიჭი“.

VI. ველიკო დიდებულიძისა და პატარა დოდეს შეჯიბრება.

VII. მესტვირული ა, ბ, გ.

20. მეფანდურე მაჩაბლისა და მესტვირე გაიოზ ფურცელაძის გაბაასება, გვ. 83.

ჩანერილია 1916 წელს სოფელ კარბში, ალექსანდრე ციმაკურიძის ოჯახში. მთქმელი გიორგი ჭილაშვილი, სოფელ კოშკას მცხოვრები.

21. თამარის ქოში, გვ. 85.

ჩანერილია სოფელ უფლისციხეში. მთქმელი ტლაშაძე ივანე (ტილა). (იხ. შენ. №24, და 28). ეს ტექსტი სრულიად უცნობია ქართულ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში. დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ ამ შინაასრის თქმულება.

22. ამბობენ, რომ თამარ მეფემ, გვ. 89.

ჩანერილია 1918 წელს, გორში, მთქმელი გარსევანიშვილი. ლექსი — „ბიჭო, ეს ნაჭარმაგევი...“ ჩანერილია იმავე წელს, მაგრამ სხვა მთქმელისაგან. ლექსი „ამბობენ, რომ თამარ მეფემ...“ უცნობი იყო დღემდე. იგი ეკუთვნის ლეგენდების ციკლს თამარ მეფის მშენებლობის შესახებ. ამავე ციკლს ეკუთვნის ლექსი „თამარ მეფემ ააშენა ნაჭარმაგევს დიდი გორა...“, რომელიც, აგრეთვე, არ იყო დღემდე ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში (ამ ლექსის ვარიანტი იხ. შენ. №19).

23. შავლეგო, გვ. 90.

თქმულება გაგონილია სოფელ სალოლაშენის მცხოვრებ მოხუც ნიკა გნოლიძისაგან და გადმოცემულია გიორგი სვანიძის სიტყვებით.

ლექსი „შავლეგ, შენი შავი ჩოხა...“ ჩანერილია 1922 წელს სოფელ ქსუისში. მთქმელი უნაფქოშვილი 77 წლისა. მისგანვე ჩაიწერა ეს ლექსი გორში 1924 წელს.

ლექსი „შავლეგო ხატი არ არის“ — ჩაიწერა 1910 წელს სოფელ ტყვიავში. მთქმელი ძამელაშვილი (იხ. შენ. №21). წარმოდგენილი ტექსტები „შავლეგოს“ მეტად საინტერესო ვარიანტებს წარმოადგენენ. ლექსი „შავლეგო ხატი არ არის“ სრულებით უცნობი იყო დღემდე. მკვლევარნი ხედავენ „შავლეგოში“ ისტორიულ პიროვნების, თამარ მეფის დროინდელი გმირის, შალვა ახალციხელის ამბავს. შალვა და ივანე ახალციხელები დაიღუპნენ 1204 წელს ბოლოსტიკეს ბრძოლაში (იხ. გ. ლეონიძე, „შალვა-შავლეგო“, „კომუნისტი“, 1941 წ. №260). ჩვენი ვარიანტი, როგორც ზოგი სხვა ადრე ცნობილი ჩანაწერი, შავლეგის სახელს ლეკებს უკავშირებს, რაც სრულიად არ გამორიცხავს ამ თქმულების ძველ წარმოშობას და მის დაკავშირებას XIII საუკუნის დასაწყისთან.

მოყვანილ მასალებიდან ნათლად ჩანს „შავლეგოს“ ღრმა პატრიოტული ხასიათი და როგორც სახალხო გმირის სახე.

24. მოდისო მტერი, კახელო... გვ.93.

ჩანერილია 1922 წელს მცხეთაში სვეტიცხოვლობას. მთქმელები: ტლაშაძე ივანე (ტიღა) და მიზნა ბაკურაძე (კახეთი). (იხ. შენ. №21 და №35).

მთქმელების მიერ გამოთქმული აზრით, ეს სიმღერა, ახლა ცნობილი როგორც კახური (მოდისო მტერი, კახელო...), ნამდვილად ქართლურია თავისი წარმოშობით. მიზნა ბაკურაძის სიტყვით, „ეს სიმღერა, როგორც უფროსებისაგან გამიგია, ქართლურია, თქვენებური, იქ შექმნილი და დავაუკაცებულიო“. ამას მიზნამ შემდეგი ლექსი მოაყოლა:

როგორც განურავ ბედობას
წყლით ისე დაგენურება...
ჩემი ხნის კაცსა მუდამა
ტყუილიც დაეჯერება.

ტექსტის ზოგიერთი რეალია: გორის ციხე, დანახვისის მთა და მონასტერი (იხ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია), ყარყაბაზანისა და ტლაშაძეების გვარის ხსენება თითქოს მართლაც მის ქართლში წარმოშობას ადასტურებენ. ყოველ შემთხვევაში, ცხადი ხდება, რომ ეს ტექსტი საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. შესაძლებელია, რომ ეს ზოგადქართული მხედრული სიმღერა ყოფილიყო.

ყარყაბაზანი — ეკლესია და მისი მიდამო ადგილები გორის მახლობლად.

ყარყაბაზნელი თინა — შესაძლებელია, რომელიმე გმირი ქართველი ქალის სახელი იყოს, თინა წავკისელის, მაია წყნეთელისა და სხვათა მსგავსად.

ტლაშაძეები — ქართლის სოფელ ხიდისთავში გავრცელებული გვარია.

25. კახეთს მოადგა თარეში, გვ. 94.

ჩანერილია 1921 წელს ქალაქ სილნალში. მთქმელი ნასყიდაშვილი.

26. ძლიერ სტიროდა, გვ. 95.

ჩანერილია 1919 წელს სოფელ ერგნეთში. მთქმელი ხერხეულიძე.

27. გრიგოლ გრიგოლაშვილის ლექსი, გვ. 96.

ჩანერილია 1950 წელს სოფელ აჭენში. მთქმელი მიხეილ ნონიკაშვილი.

28. ოპა ბეთაშვილის ლექსი, გვ. 98.

ჩანერილია 1950 წელს სოფელ ზემო მაჩხაანში. მთქმელი გოგი ჭილიტაშვილი.

ლექსი — კიდევ ოპა ბეთაშვილზედ — ჩანერილია 1920 წელს სოფელ ახმეტაში. მთქმელი ნინო თუში.

29. ბატონო, თავი მანებე, გვ. 101.

ლექსი ჩაწერილია 1926 წელს სოფელ ზემო არცევში გრიგოლ გლურჯიძისა და გიგო რაზმაძის მიერ. მთქმელი — „შუშპარიანთ ბიჭი“. ტექსტი და მელოდია მათგან გადმოიწერა 1926 წელსვე გიორგი სვანიძემ.

ტექსტის მესტვირული კილოს შესახებ გრიგოლ გლურჯიძემ გამოსთქვა მოსაზრება, რომ ეს კილო დოდე მესტვირის შეგირდს უნდა ეკუთვნოდეს (დოდე მესტვირეს შესახებ იხ. ტექსტი).

თქმულება ჩაწერილია სოფელ ურბნისში. მთქმელი ლადა ხომასურიძე. მღვდელ დეკანოზოვის მეუღლემ დაადასტურა თქმულებაში გადმოცემული ფაქტები და დასძინა, რომ ეს ბატონი გვარად ბეგთაბეგოვი იყო.

30. ტანტალა ბესარიონზე, გვ. 104.

ჩაწერილია 1919 წელს სოფელ ქარელში ბაზრობაზე. მთქმელი ნიკა გოგოლაძე. ამ ლექსს ჩვეულებრივ ასრულებს ორი ქალი, ჯიბის პატარა საკრავის, „ბუზიკის“, თანხლებით. ისინი ჯერ სიტყვა-პასუხით, ბოლოს კი ერთად მღერიან.

31. ალარ მწადია ცხვარშია, გვ. 106.

ჩაწერილია 1919 წელს სოფელ ახალქალაქში თარხნიშვილების ოჯახში. გადმოცემით, ეს ლექსი და თქმულება ჩაწერილი ინახებოდა თარხნიშვილებისა და გრუზინსკების ოჯახში. ახლომახლო სოფლებში ეს სიმღერა ყველამ იცოდა.

32. გაფრინდი შაო მერცხალო, გვ. 108.

- I. ჩაწერილია 1920 წელს სოფელ ატოცში (ქართლი) დიდებულიძეთა ოჯახში.
- II. ჩაწერილია 1920 წელს სოფელ კარბში. მთქმელი იოსებ ზალიშვილი. მას ეს ამბავი გაუგონია მუკუზანში — სიძის ოჯახში.
- III. ჩაწერილია 1924 წელს სოფელ ახტალაში, მთქმელი ბესო ბერიშვილი, 86 ნლისა.
- IV. ჩაწერილია 1920 წელს კოშკში (ქართლი) ელისაბედ ჩერქეზიშვილის ოჯახში. თვით ეს ელისაბედი, გვარად ყანჩაველი, გამოთხოვილი ყოფილა სოფელ ახრისიდან.
- V. ჩაწერილია 1921 წელს გორში. მთქმელი ერომონია ფურცელაძისა (მასწავლებელი). მას ეს ლექსი უსწავლია სოფელ რუისში (ქართლი) ნიკოლოზ დეკანოზიშვილისაგან.
- VI. ჩაწერილია 1923 წელს სიღნაღში. მთქმელი კ. ნასყიდაშვილი. მას ეს ტექსტი შეუსწავლია ვინმე ქევხიშვილისაგან.

33. ქალო, ქალთა მზეო, გვ. 116.

ჩანერილია 1924 წელს სოფელ ხელთუბანში მთქმელ პეტრე პეტრიაშვილისაგან. თქმულებაში აღნერილი ბეგობი დღესაც ჩანს, თუმცა დროთა განმავლობაში იგი ძალიან შემცირებულა. გორიდან სოფელ მეჯვრისხევში წამსვლელი ამ კირ-სვეტს ვერ ასცდება, მაგრამ ბევრმა აღარ იცის მისი საიდუმლოება. „ქალო, ქალთა მზეო“ — თქმულება და ლექსი“ ჩაიწერა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გარსევანიშვილის მეოხებით. ალექსანდრე გარსევანიშვილი ქართული ხალხური შემოქმედების დიდი მცოდნე და მოამაგე იყო. საქართველოს მუზეუმში დაცულია მის მიერ ჩანერილი ქართული ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ტექსტი:

კომპოზიტორ გიორგი სვანიძეს ჩანერილი აქვს შემდეგი ლექსი გარსევანიშვილის შესახებ, რომელიც ხალხმა გამოთქვა:

გარსევანიშვილს ძველადა
კაცი არ ჯობდა ქართლშია,
მტერთან მტერია, მოკეთეს
მასპინძლობს თავის სახლშია.
ნავალი არის ყველგანა,
უვლია მთას და ბარშია,

სხვა ბატონივით არ იყო, —
ყმებს არა სცვლიდა ძალლშია.
გზას დაგითმობდა ყოველთვის,
თუ შეგხვდებოდა გზაშია,
ცხონდეს იმისი მშობელი, —
ჭკუა ჰქონია თავშია.

„ქალო, ქალთა მზეო“ — თქმულების ხალხური ტექსტი დღემდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო ცნობები მის შესახებ შემონახული იყო ლიტერატურულ ძეგლებში. გურამიშვილის „დავითიანის“ ერთ-ერთი ლექსი ასეა დასათაურებული: „სიტყვა ესე ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სიმღერად — „ეეო, მეო, ქალო, ქალთა მზეოს“ ნაცვლად სათქმელი სიტყვა-სიტყვად შეწყობით“.

ამ ლექსის დასაწყისი სტრიქონები, რამდენიმე ვარიანტული სხვაობით, მოყავს იოანე ბატონიშვილს „მოკლედ თქმულის“ მესტვირული ლექსის საილუსტრაციოდ „კალმასობაში“:

ეეო, მეო, აქეთ მომხედეო,
რას მოგითხრობ სიყვარულსა, ყური მომიგდეო!
არავინ არს უფროს ღვთისა, მოდი ადიდეო,
ღვთისა სიტყვა — კაცთაზესა — სიტყვის მომსმინეო,
ფათერაკსა და საფრთხესა არსად ჩავარდეო,
ასეთს ნურას მოივაჭრებ, ბოლოს დასზიანდეო.

მკვლევარი აპოლონ ცანავა (იხ. ლიტერატურული ძიებანი, №5, გვ. 367-368), რომელმაც შეადარა ორივე ტექსტი, ასკვნის, რომ გურამიშვილს გამოუყენებია ეს ხალხური ლექსი „სიტყვა-სიტყვად შეწყობით“. უნდა ვიფიქროთ, რომ გურამიშვილსა და იოანე ბატონიშვილის მიერ მოყვანილი ტექსტი ხალხური ლექსის „ქალო, ქალთა მზეოს“ ერთ-ერთი, მესტვირული ვარიანტის, შესავალი უნდა ყოფილიყო, სადაც მსმენელს ამცნებდნენ დანაშაულებრივი სიყვარულის ამბავს და აფრთხილებდნენ საფათერაკო, საფრთხე საქმის საშიშროების შესახებ. ამუამად ცნობილი ხდება უკვე თვით „ქალო, ქალთა მზეოს“ ლექსი და თქმულება მთლიანად. თქმულება „ქალო, ქალთა მზეო“ უეჭველად რეალურ ისტორიულ ფაქტებს და ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებებს ეყრდნობა, მაგრამ მასში ჩაქსოვილია, მას მიჰყედლებია მოარული სიუჟეტებიც მოღალატე ცოლის შესახებ, რომელსაც ქმარი მეგობრისა ან შემთხვევითი სტუმრის დახმარებით ამხელს. ეს სიუჟეტი ჩვენ დამოუკიდებელი მოთხოვობის სახით გვხვდება ქართულ ფოლკლორში. გავრცელებულია იგი რუსულ ფოლკლორშიაც ცალკე ბილინის სახით. ეს სიუჟეტი უკრაინულ ხალხურ შემოქმედებაში და დასავლეთ ევროპის მრავალ ხალხთა შორის მეტად პოპულარულია. საინტერესოა, რომ „ქალო, ქალთა მზეოს“ მთლიანად გალექსილ ვარიანტში (იხ. გვ. 102) „ბამბის ტომარის“ ეპიზოდი არ გვხვდება.

34. ცოლი გამიღიდგულდა, გვ. 127.

ჩანერილია 1919 წელს სოფელ ტეძერში (იგივე ტეზერი — რედ.). მთქმელი ციციაშვილი არონა. ებრაელი ვაჭარი — მენურილმანე.

35. საროს დანიშნული, გვ. 129.

ჩანერილია 1939 წელს სოფელ კარბში (ქართლი). მთქმელი ეფემია ციმაკურიძე.

36. შემოგხედავ (და) მზეს გადარებ, გვ. 129.

ჩანერილია 1916 წელს სოფელ კარბში.

37. მოდი აქ დაჯექ, შვილო... გვ. 130.

ჩანერილია 1919 წელს სოფელ მელვრეკისში. მთქმელი ტიტო დედაშვილი.

38. ერთი ლალა ქალის ამბავი, გვ. 132.

ჩანერილია 1917 წელს სოფელ ოსიაურში.

39. დიამბეგს ქალი მოსტაცეს, გვ. 134.

ჩანერილია 1920 წელს სოფელ ახმეტაში. მთქმელი თუდარაული 82 წლისა.

40. ბეთლემის საყდარი, გვ. 135.

ჩანერილია 1935 წელს სოფელ ყაზბეგში. მთქმელები ივანე ბეჭოშვილი და კაიშაური.

41. ყინწვისის ტაძარი, გვ. 136.

ჩანერილია 1926 წელს სოფელ კეხიჯვარში (ქართლი). მთქმელი ფურცელაძე. ყინწვისი (ალბათ, ყინწვისიდან. — რედ.).

42. ყურშაო, გვ. 138.

I. ჩანერილია 1917 წელს სოფელ მეჯვრისხევში „უსანეთობა დღეს“, ვეფხვაძის ოჯახში. მთქმელები: ვეფხვაძე (სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრები) და გობირახაშვილი (სოფელ საქაშეთის მცხოვრები).

II. ჩანერილია 1917 წელს დუშეთში. მთქმელი მიხეილ კობიაშვილი სოფელ კობიაანთკარიდან. მას ეს ლექსი ესტატე შაბურიშვილისაგან გაუგია.

III. ჩანერილია 1917 წელს, სოფელ კობიაანთკარში. მთქმელი ტეხაშვილი, მეტსახელად „დალაქის ბიჭი“, 80 წლისა ქალაქ დუშეთიდან.

„ყურშაო“, ანუ „ყურშას ლექსი“, ძველისძველი ლექსია. ლიტერატურაში მას ახსენებენ გურამიშვილი და დავით მაჩაბელი. გიორგი სვანიძის მიერ ჩანერილი ამ საინტერესო ლექსის ვარიანტები მეტად დამაფიქრებელი და მნიშვნელოვანია თავიანთი სიუჟეტით და ზოგიერთი არქაული დეტალით, თუმც ისინი გვიანაა გალექსილი და, „სამაიას“ მსგავსად, გადაკეთების კვალი ეტყობა.

43. ნეტავი, გოგო, მე და შენ, გვ. 143.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ სოფელ პატარძეულში. მთქმელი თედო გარსიაშვილი 98 წლის, ყოფილი მეცხვარე.

44. ბერი კაცი ვარ, გვ. 144.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ. მთქმელი ზენო სოზიაშვილი 70 წლისა. სიმღერა „ბერი კაცი ვარ“ წარმოშობით უკავშირდება ხალხურ „როსტომიანს“ და, ეჭვს გარეშეა, ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ეს გიორგი სვანიძის მიერ ჩანერილი გადმოცემიდან ჩანს, მაგრამ ამ ძველი ტექსტის ახალი გაზრება მაინც მნიშვნელოვანია. გიორგი სვანიძის მიერ ჩანერილი ტექსტი და გადმოცემანი ყურადღებას იპყრობს საყოფიერო დეტალებით, სოფლის ცხოვრების ცოცხალი სურათებით, სოციალური პროტესტის მკვეთრი გამოხატულებით.

45. ფაფრის ხევი, გვ. 148.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ სოფელ მარტყოფში 1920 წელს. მთქმელი გიგა ბეჟანიშვილი. ლექსების გამომთქმელი დიაკვანი ლუკაშვილი.

46. მომღერალი ბიჭის ნათქვაში, გვ. 152.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ სოფელ რუსში 1919 წელს. მთქმელი რაფო წითლანაშვილი.

„თხის რქა“ (იხ. შენ. № 13, 16.), „ტიღა“ (იხ. შენ. № 21.) — ცნობილი სახალხო მომღერლები.

„კახელი“, „შიკრიკა“ — ქართლში ცნობილი სახალხო მომღერლები.

მარანა — სოფელი ქართლში.

ჭონა — საგაზაფხულო საწესო სიმღერა.

ლექსი ყურადღებას იპყრობს საინტერესო ცნობებით ძველ ოსტატ მომღერალთა და მათი მოწაფეებთან ურთიერთობის შესახებ.

47. ბიჭმა აჯობა, გვ. 153.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ 1923 წელს სოფელ შაშვებში. მთქმელი ხვთისო ბათაშვილი.

48. ოჩხარი, გვ. 154.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ 1927 წელს სოფელ ქსოვრისში (აქ იგულისხმება სოფელი ზემო ქსოვრისი, რომელიც მდებარეობს გორის მახლობლად — ატენის ხეობაში, რედ.). მთქმელი ვასილ ლალიაშვილი.

49. სამი ყაჩალი, გვ. 155.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ ბოდბისხევის მონასტერში 1918 წელს. მთქმელი არჩილ ბუაშვილი.

50. ფისმანაში, გვ. 157.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ სოფელ ავლევში 1917 წელს.

მთქმელი ნიკა, ნიორა, გულქვა თევდორაძეები.

ფისმანი — ებრაულად ფიქრს ნიშნავს.

51. შაშვი ლამაზო, გვ. 157.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ სიღნაღში 1921 წელს. მთქმელი სეფისკვერაძე სეფე (სოლომონი).

52. ცანგალა და გოგონა, გვ. 160.

ჩანერილია გიორგი სვანიძის მიერ სოფელ ცხრამუხაში 1920 წელს. მთქმელი მაქსიმე ტატიშვილი, რომელსაც ეს ლექსი თედო წმინდელისაგან გაუგია.

დავიცვათ ქართული საუნჯე

გიორგი სვანიძის კრებული „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ელენე ვირსალაძე) ეხება ქართული მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხს. ბუნებრივია, წიგნმა მიიქცია მკითხველის ყურადღება.

სად და ვისგან არის მასალა შეკრებილი? ამ თვალსაზრისით გადავშალეთ კრებულის რედაქტორის შენიშვნები და ზოგიერთი ძეგლის სადაურობის შესახებ შემდეგი ამოვიკითხეთ: სიმღერა „სანენახლური“ III ვარიანტი ჩანერილია სოფელ მუხრანში, მთქმელი „კანკალას“ ბიჭი. „ქვევრის რეცხვა“ II ვარიანტი „ჩანერილია მუხრანში, მთქმელი პავლია, 73 წლისა“, ამავე სიმღერის III ვარიანტი „ჩანერილია სოფელ მეჯვრისხევში, მთქმელი — სოსანა „ასკილაანთ ბიჭი“, „სამაია“ „ჩანერილია 1917 წელს სოფელ საქაშეთში, მთქმელი — დიასამიძის მოურავი, რომელსაც ეს სიმღერა ხშირად გაუგონია დიასამიძიანთ ოჯახში თეკლე კალატოზიშვილის შესრულებით“. ზუსტად იგივე ტექსტი გ. სვანიძეს „ჩაუწერია 1920 წელს სოფელ სკრაში შალიკაშვილის ცოლისაგან“. „ჩაკრულო“ ჩანერილია 1919 წელს, მცხეთობას, მთქმელი სოფელ საგურამოს მცხოვრები სესია, მეტსახელად „ნაკვერჩხალას ბიჭი“. პოპულარული სიმღერა „ცოლი გამიდიდგულდა“ — ჩანერილია 1919 წელს სოფელ ტეძერში, მთქმელი ციციაშვილი არონა, ვაჭარი-მეწვრილმანე და სხვა მრავალი.

საკითხავია, ვინ არიან „ასკილაანთ ბიჭი“, „მთქმელი პავლია“, „ნაკვერჩხალას ბიჭი“ და სხვა? ტექსტების დოკუმენტაციიდან, რომელიც არაზუსტი და მცირე მასალის გამო, ეტყობა, მძიმე ტვირთად დააწვა რედაქტორს, ცხადი ხდება, რომ მასალა ფიქსირებულია ზეპირად, სრულიად შეურჩევლად და დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებას.

წიგნს დიდი პრეტენზია აქვს — ჰქვია ქართული ხალხური სიმღერები... და სიმანდვილეში კი, წარმოდგენილი მასალა გორის მიღამოებისა და რამდენიმე კახური ნიმუშით განისაზღვრება. დასავლეთ საქართველოს, მესხეთ-ჯავახეთის, ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალები სრულიად უგულებელყოფილია და, რაც მთავარია, სიმღერის გენეზისიც წარმოდგენილია არასწორად, მასალის ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ანალიზის ნაცვლად, ჩამოთვლილია ვიღაც მედუქნები, ასკილაანთ ბიჭის, კისერას, კაკალაანთ ბიჭის... მოწმეების გვარები და ამ საფუძველზე განსაზღვრავს ავტორი სიმღერათა სადაურობის საკითხს. მაგალითად, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ ავტორის აზრით უნდა შესწორდეს ასე — „გუშინ შვიდნი გორიჯვრელნი, მონადირენი ქართლისა“... ამის საფუძველს მკვლევარ გიორგი სვანიძეს აძლევს ისეთი „დიდი ავტორიტეტის“ ცნობა, როგორიც ვინმე მესტიაშვილია, რომელიც ამბობს: „ეს სიმღერა... ჩვენია, ქართლური, ნასწავლებმა მიჩმახ-მოჩმახეს. აქ ჩაუმატეს, იქ გამოაკლეს. ლექსი ხომ არ იციან და არა“.

ცნობილი უძველესი სიმღერა „შაშვი კაკაბი“, ავტორის აზრით, სოფლებთან — შავშებთან და კაკაბეთთან ყოფილა დაკავშირებული, კერძოდ, ამ სოფლებში მცხოვრებ შავშებელ დარისპანასა და კაკაბეთელ თედო „კისერად“ წოდებულთან. მათ ძალი ჰყოლიათ განრთვნილი და ნასწავლი. ძალით ფულს შოულობდნენ დუქანში. შემდეგ გადმოცემულია სიმღერის აბდაუბდა ისტორია. ივანე ჯავახიშვილი კი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითად საკითხებში“ წერს საეკლესიო მუსიკის საეროსაგან წარმოშობილობის შესახებ, და კერძოდ, ამტკიცებს, რომ ზოგიერთ საგალობელს საერო კილო უდევს საფუძვლად, მათ შორის „ყურშაო“, „ლმერთო, ლმერთო მოწყალეო“, „შაშვი კაკაბი“... ცხადია დარისპანასა და თედო „კისერას“ ძალი და დუქანი სრულ გაუგებრობას წარმოადგენს.

ასეთივე უსაფუძვლო ანალიზით ავტორი და რედაქტორი ასკვნიან: სიმღერა „მოდისო მტერი, კახელნო“, წარმოშობით ქართლურიაო.

ყოვლად დაუსაბუთებელია მსჯელობა „მხიარული გაზაფხულისა“ და „ჭონას“ ურთიერთობის შესახებ, „სამაიას“ ეტიმოლოგია ავტორის მიერ ასეა წარმოდგენილი: „სამაია“, „სამ მაიას“, „ჩვენს სამ დასა, მაიასა“. ასეთი ანალიზი, ცხადია, დაუჯერებელია. რედაქტორის აზრით, გიორგი სვანიძემ თითქოს აღმოაჩინა „საწნახლური“ და „ქვევრის რეცხვის“ ის უნიკალური ლექსები, რომელთა არსებობის შესახებ ცნობებს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი გვანვდის.

აქ საქმე გვაქვს სრულ გაუგებრობასთან: ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი თავის ცნობილ წერილში — „ივერიანელების (და არა „ივერიელთა“, როგორც ეს სარეცენზიონ წერილშია) გალობა, სიმღერა და ლილინი“ („ცისკარი“, 1861 წელი, №1, გვ.157), მხოლოდ ასახელებს, ასეთი და ასეთი სიმღერა არსებობდაო, გიორგი სვანიძე კი თავისი ფანტაზიით ვითომც აღადგენს „დაკარგულ“ სიმღერას, ხოლო სინამდვილეში ფალსიფიცირებულ ტექსტს გვთავაზობს. მაგალითად, „საწნახლური“ სიმღერის ტექსტში ვკითხულობთ:

„აბა ბიჭებო, მარჯვეთა,
ხელი ჩასჭიდეთ სარცხსაო;
უთაქეთ ყველა კუთხესა,
თორემ ვიგემებთ მარცხსაო!
კარგ ტკბილს ჩავასხამთ, მაგრამა
ამოვრნყავთ ძალზე მდარესა;
მოვუსვათ ბიჭო სარცხსაო,
არ დავამსგავსოთ ფარცხსაო“.

„ქვევრის რეცხვის“ „უნიკალურ“ ლექსში კი იგივე „საწნახლური“ სიმღერის სტრიქონები მეორდება, ოღონდ ოდნავი ვარიაციით. მაგალითად:

„მოუსვი ბიჭო სარცხსაო,
არა ჰეგავს ხნულზე ფარცხსაო,
კარგ ტკბილს ჩაასხამ, მაგრამა
ბოლოს მივიღებთ მარცხსაო“!

და ა.შ.

ორივე „ახლად აღმოჩენილი“ „უნიკალური“ ლექსი ფალსიფიცირებულია და ერთი და იმავე უხეირო მოლექსის ნახელავია. მათში ხალხურობის ნიშანწყალიც არ არის. ყველა ტექსტი ერთი სოციალური ფენის იდეოლოგიას ასახავს, არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით და, რაც მთავარია, ერთი სტილით არის დაწერილი. ხომ არ შეიძლებოდა, რომ ყველა მთქმელს ერთნაირად წარმოეთქვა ლექსი. რედაქტორი აღნიშნავს, რომ „გიორგი სვანიძის ტექსტები, მიუხედავად გადაკეთებებისა და ჩანართებისა, მეტად არქაულ ელემენტებს შეიცავენ“. ჩვენ კი გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა ტექსტი ვარიანტია გ. სვანიძისა, რომელიც ამ შემთხვევაში არა შემკრებისა და მკვლევარის, არამედ მთქმელის როლში გამოდის. არის შემთხვევა, როდესაც გადაკეთება აშკარად ხელოვნურია, ასეთია, ჩვენი აზრით, „სამაიას“ ტექსტი:

„თან დავმდეროთ ნაზზე ნაზად
„სამაიას“ ტკბილი ჰანგი,
რომ ჩვენ ჰანგს ვერ შეედაროს
ვერც ჩონგურის და ვერც ჩანგის“!
(გვ. 27)

ამ ლექსს არ ჩამორჩება „მზისა და მთვარის ჩხუბი“, ცნობილი წარმართული ლექსის გ. სვანიძისეულ ვარიანტში მზე ილაშქრებს „რეაქციონერი“ მთვარის ნინააღმდეგ და ესარჩელება გლეხობას:

„მე ჩემი დრო-უამი ვიცი,
ვიცი, თუ რა გავაკეთო;
კუზი გამოისწორევი —
შეიბრალე გლეხი კაცი!
თორემ გასაქანს არ მოგცემ,
მოგცემ წამალს მათრობელას;
ჩემი სხივების სიცხოვლით
გლეხ კაცს არ მოვაკლებ შველას“!

ანალოგიური სიუჟეტური ჩანართები გვხვდება ლირიკულ ლექსებში და ამით დარღვეულია და უსაფუძვლოდ არეული როგორც სოციალური უთანასწორობის შესახებ არსებული მდიდარი და შინაარსიანი ქართული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების განწყობა, ასევე ლირიკული და საკულტო ლექსების ბუნება.

ქართული ხალხური კრებულის რაოდენობითა და ხარისხით ვერ დავიტრაპახებთ. ზ. ფალიაშვილისა და დ. არაყიშვილის მიერ გამოცემული კრებულების შემდეგ, მიუხედავად გაცილებით უკეთესი პირობებისა, საგუნდო მრავალხმიანობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, დღემდე არ გამოსულა არც ერთი ხეირიანი კრებული, მაშინ, როცა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მუსიკალური გამოცემის დონე გაცილებით მაღალ საფეხურზეა.

გ. სვანიძის შრომამ აქაც გაგვიმტყუნა იმედები. არ ვიცი რომელი მუსიკათმცოდნე უწევდა დახმარებას გ. სვანიძეს, მაგრამ ნოტებზე გადატანილი მასალა სამარცხვინოდ არის შესრულებული. სამხმიანი სიმღერები სრულიად გაუმართლებლად ორ ხაზიან სანოტო სისტემაზეა გადატანილი. დარღვეულია ყველგან I და II ხმის თანაფარდობა. ამის ერთ-ერთი ნიმუშია, მაგალითად, მკის სიმღერა „ვარალალი, ვარხალალი“. ამ სიმღერის იმიტაცია I და III ხმებს შორის ქართულ სიმღერებში საერთოდ არ გვხვდება. ვფიქრობთ, ნოტების დაჯგუფებაც დარღვეულია პირველ სამ საჭრიქონში. არ იყო საჭრო ისეთი შორისდებულების, როგორიც ტაჲ, ხი, ჩოქ, ადე, ნინ ნოტებზე გადატანა, რადგანაც შეძახილი ნოტებზე არ გადადის.

უარესი მდგომარეობა გვაქვს სიზუსტის მხივ, სადაც სანოტო მასალა სამხაზიან სისტემაზეა წარმოდგენილი. ასეთი სიმღერებია „სუფრული“, „შავლეგო“, „შემოგხედავ და მზეს გადარებ“. აქ სამხმიანი სიმღერები ხუთხმიანად არის გასაღებული. „სუფრულში“ მცდარია ზომათა მონაცვლეობა, ტექსტი ნოტებზე ყოველთვის არ არის მიწერილი. უსწორო დიაპაზონია სიმღერაში „გუშინ შვიდნი“.

კიდევ შეიძლებოდა გველაპარაკა ნაკლზე, მაგრამ ძირითადით შემოვითარებული სიმღერებსა და საკრავებზე შემორჩენილი ლეგენდების შეგროვება დიდი საქმეა და დროულიც, მაგრამ საინტერესო მასალის გვერდით უხარისხო და უგემოვნო გადმოცემათა გამოქვეყნება გაუმართლებელია. ამასთანავე საჭროა ანგარიშის განევა ქართული მუსიკალური კულტურის სფეროში გამოცემული მეცნიერული შრომებისთვის.

მცდარი შემკრებლობითი მეთოდი და ტექსტების ფალსიფიკაცია, რაც წარმოდგენილია გ. სვანიძის წიგნში, ჩვენი ეროვნული ხალხური საუნჯის ლირსებას სახეს უკარგავს და უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს.

ვაჟა გვახარია
ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი,
მუსიკათმცოდნე
გაზეთი კომუნისტი, 1958 წ. №202

გიორგი სვანიძის პასუხი ვაჟა გვახარიას კრიტიკულ წერილზე

ჩემს მცირე შრომას „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი“, რომელიც გამომზიურდა სახელგამის მიერ 1958 წელს, ახალი „მჩიჩქნავი“ გამოუჩნდა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, მუსიკისმცოდნის ვაჟა გვახარიას სახით.

ავტორი ასე ასათაურებს თავის წერილს: „დავიცვათ ხალხური საუნჯე“. და, შემდეგ იწყებს: „გიორგი სვანიძის კრებული „ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი ელენე ვირსალაძე) ეხება ქართული მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხს. ბუნებრივია, წიგნმა მიიქცა მკითხველის ყურადღება“. პირველად „კრიტიკოსი“ ეხება სიმღერა „საწნახლურის“ III ვარიანტს: „იგი ჩაწერილია სოფელ მუხრანში, მთქმელი „კანკალას“ ბიჭი. „ქვევრის რეცხვა“ II ვარიანტი „ჩაწერილია მუხრანში, მთქმელი პავლია, 73 ნლისა“, ამავე სიმღერის III ვარიანტი „ჩაწერილია სოფელ მეჯვრისხევში, მთქმელი — სოსანა „ასკილაანთ ბიჭი“, „სამაია“, „ჩაწერილია 1917 წელს სოფელ საქაშეთქში, მთქმელი — დიასამიძის მოურავი, რომელსაც ეს სიმღერა ხშირად გაუგონია დიასამიძიანთ ოჯახში თეკლე კალატოზიშვილის შესრულებით“. ზუსტად იგივე ტექსტი გ. სვანიძეს „ჩაუწერია 1920 წელს სოფელ სკრაში შალიკაშვილის ცოლისაგან“. „ჩაკრულო“ ჩაწერილია 1919 წელს, მცხეთობას, მთქმელი სოფელ საგურამოს მცხოვრები სესია, მეტსახელად „ნაკვერჩხალას ბიჭი“. პოპულარული სიმღერა „ცოლი გამიღიღგულდა“ — ჩაწერილია 1919 წელს სოფელ ტეძერში, მთქმელი ციციშვილი არონა, ვაჭარი-მეწვრილმანე და სხვა მრავალი“. აქ ციციშვილი შეცდომითა შეტანილი, უნდა იყოს ციციაშვილი არონა და არა ციციშვილი არონა. ეს შეცდომა სტამბის ან კორექტორის მიერ არის დაშვებული.

„საკითხავია, — განაგრძობს წერილის ავტორი, — „ვინ არიან „ასკილაანთ ბიჭი“, „მთქმელი პავლია“, „ნაკვერჩხალას ბიჭი“ და სხვა?“

ხსენებული „ასკილაანთ ბიჭი“ და სხვები იყვნენ ქართველი შესანიშნავი მომღერლები და თქმულებების კარგი მცოდნენი, ჩვენი შშრომელი ხალხის წარმომადგენელნი, რომელიც ინახავდა ჩვენს ზეპირსიტყვიერებას. განა ასეთი ქედმალლური დამოკიდებულება, საერთოდ გლეხკაცისადმი საკვირველი არ არის?

„ტექსტების დოკუმენტაციიდან, რომელიც არაზუსტი და მცირე მასალის გამო, ეტყობა, მძიმე ტვირთად დააწვა რედაქტორს, ცხადი ხდება, რომ მასალა ფიქსირებულია ზეპირად, სრულიად შეურჩევლად და დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებას“. ჩვენ უნდა გავაგებინოთ წერილის ავტორს, რომ ეს შერქმეული სახელები, ან, როგორც სოფლად იტყვიან, ზედმეტი სახელები, არამც თუ მარტო ქართლ-კახეთში, არამედ მთელ საქართველოში ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე გვევდება, დღესაც კი. ზოგი შერქმეული სახელით ამაყობს და ესიამოვნება, ვიდრე ნამდვილი ნათლობის სახელით. შერქმეული სახელით უფრო ადვილად მიაგნებთ ამა თუ იმ „ადრესატს“. შერქმეული სახელებია: „გოჭის ბიჭი“ (განთქმული მოკრივე გორში), „კულა გრდანელი“ — ცნობილი მოჭიდავე სოფელი გრდანიდან, „მუხა“, „ქლესა“, „ბულბულაანთ ბიჭი“ — განთქმული მომღერალი ძველად, სოფელ კაკაბეთიდან (კახეთი).

„ჩობა“, „ხუჩა“, „ჩანახას ბიჭი“, „ჩორთიოი“, „მოსკოველი“. სოფელ წყნეთში დღესაც ცხოვრობს ორი ოჯახი, გვარად ოძელაშვილები, ორივეს არსენა ჰქვიათ. მხოლოდ ერთ არსენას შერქმეული სახელია „ჭაჭიან არსენა“, მეორე არსენას კი ეძახიან „ციციკოანთ არსენას“. ვერც ერთს ვერ მიაგნებს კაცი ნამდვილი სახელით, თუ არ დაუმატე შერქმეული სახელი და სხვა.

დასავლეთ საქართველოში, სოფელ სვირში დღესაც ცხოვრობენ ჯულელები. ერთ-ერთი ჯულელი, იესე ჯულელი რომ იკითხოთ, მაშინვე გეტყვიან, რომელი იესე, თუ ეტყვი „ხრაკელა იესე“, მაშინვე მიხვდებიან იმ სოფლის მცხოვრები და მიგიყვანს კიდეც „ხრაკელა იესესთან“. ჯულელებში კიდევ არიან ბევრი შერქმეული სახელებით. ასევე, ერთ ჯულელს ვერ იპოვი, თუ არ უთხარი, რომ ეძებ „ლადარა ზოსიმეს“. „ლადარას“ ხსენება მიგაგნებინებს სასურველ ობიექტს. კიდევ მაგალითი: „ბუა მლვდელი“, მისი გვარი იყო გამრეკელი, მაგრამ თუ არ გეხსენებინა „ბუა მლვდელი“, მარტო გვარით ვერ იპოვიდი მას, და მრავალი სხვა...

ჩვენ რაკი ვიცოდით ეს ჩვეულება, მთქმელის შერქმეული სახელით ვკმაყოფილდებოდით, რადგან ამაში დიდ ცოდვას ვერ ვხედავდით. რა თქმა უნდა მეცნიერების დღევანდელ დონეზე ჩამწერს, ტექსტის უფრო ზუსტი პასპორტიზაცია მოეთხოვება, მაგრამ ჩემს ოპონენტს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ეს ტექსტები 30-40 წლის წინათ არის ჩანარილი, მაშინ, როდესაც ასეთ მოთხოვნილებას არავინ გვიყენებდა. ვაუა გვახარიას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ქართული ფოლკლორის ძველ ჩანაწერთა დიდ უმრავლესობას ეს მცირე პასპორტიც არ ახლავს, მაგრამ განა ამიტომ ისინი გადასაყრელია? შერქმეული სახელების ხელზე დახვევა და საყვედური, ჩვენის აზრით, სასაცილოა და თანაც გაკვირვებას იწვევს იმდენად, რამდენადაც წერილის ავტორს აგდებს უხერხულობაში, როგორც ხალხის ზე-ჩვეულების არამცოდნეს. ამიტომაა, რომ წერილის ავტორის სმენას ეხამუშება შერქმეული სახელების გაგონება.

ჩვენი ოპონენტი ალნიშნავს: „წიგნს დიდი პრეტენზია აქვს — ჰქვია ქართული ხალხური სიმღერები... და სინამდვილეში კი, წარმოდგენილი მასალა გორის მიღამოებისა და რამდენიმე კახური ნიმუშით განისაზღვრება. დასავლეთ საქართველოს, მესხეთ-ჯავახეთის, ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მასალები სრულიად უგულებელყოფილია და, რაც მთავარია, სიმღერის გენეზისიც წარმოდგენილია არასწორად, მასალის ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ანალიზის ნაცვლად, ჩამოთვლილია ვიღაც მეღუქნები, ასკილაანთ ბიჭის, კისერას, კაკალაანთ ბიჭის... მოწმეების გვარები და ამ საფუძველზე განსაზღვრავს ავტორი სიმღერათა სადაურობის საკითხს“.

წერილის ავტორის საყურადღებოდ უნდა ვთქვათ, რომ სარეცენზიო წიგნის შესავალში ალნიშნულია: „კრებულში წარმოდგენილი მასალა ძირითადად ქართლსა და კახეთშია შეკრებილი. იგი კომპოზიტორ გიორგი სვანიძის მიერ შეგროვებული დიდძალი მასალის ერთი ნაწილია მხოლოდ“... ეს იმას ნიშნავს, რომ სხვაგანაც იქნება გვერდეს შეკრებილი. მხოლოდ პირველ ნაწილში შევარჩიეთ განსაკუთრებული სიმღერა-თქმულებანი. წინასწარი საყვედური უსაფუძვლოა. გინდაც, ვთქვათ, რომ ვერ შევკრიბეთ დასავლეთ საქართველოში, ან იქ, სადაც მიგვითითებს წერილის ავტორი, მაინც დანაშაულად არ ჩაგვეთვლება, რომ სათაურად არ ვიხმარეთ „ქართლ-კახური სიმღერები“, და დავასათაურეთ ასე: „ქართული ხალხური სიმღერები

და მათთან დაკავშირებული თქმულებანი“. ქართლ-კახეთიც ხომ საქართველოს ღვიძლია, რა არის აქ „საპრეტენზიო და უგულვებელყოფილი“? და კიდევ საყვედური: „და რაც მთავარია, სიმღერების გენეზისიც წარმოდგენილია არასწორად“ და სხვა. მეტი რა გენეზისი სურს წერილის ავტორს? ჩანერილია ამა და ამ წელს, ამა და ამ სოფელში, ანუ ქალაქში, მთქმელის სახელი და გვარი, წლოვანება, ზოგის შერქმეული სახელიც. საკმარისი არ არის განა ეს? მეტრიკულ ამონანერს ხომ არ მოვთხოვდით მთქმელს, ისიც მოწმეების თანდასწრებით? ჩვენ, ხალხის რეკომენდაციით და მათი მითითებით ვკმაყოფილდებოდით, რაც ჩვენის შეგნებით, სწორი და უტყუარი იყო. სხვანაირადაც არ შეიძლება მოვქცეულიყავით, რადგან სოფელმა იცის თუ რომელ სოფელში და სად ვინ არის კარგი მომღერალი, ამბავ-ზღაპრების მთქმელი, მოჭიდავე, მესტვირე, მეფანდურე, ლექსის შემთხზველი, კარგი მუშა, ზარმაცი ანუ სოდომი, როგორც სოფელში ეძახიან და სხვა. ჩამნერ-შემკრები მოვალეა ასეთებს დაუჯეროს, რადგან ხალხის რეკომენდირებული სწორია, როგორც ნამდვილი დიაგნოზი. ჩვენ ჯერ ასეთებს გავეცნობოდით, მათთან ვმდეროდით და როცა გავიმეორებდი ყველა ხმას და მომიწონებდნენ სწორად ნამღერს, მხოლოდ მაშინ გადამქონდა ნოტებზე. თქმულებებსაც წავუკითხავდი და მხოლოდ მათი დასტურის შემდეგ ჩავიდებდი აბგაში. მოგზაურობის დროს ჩანერილ სიმღერას, ლექსისა თუ თქმულებას, რომელიც უკვე გვქონდა ჩანერილი, სადაც მივიდოდი, ამაზედაც შევეკითხებოდი, თუ სხვაობდა ესა თუ ის თქმულება-სიმღერა-ლექსი. მაშინ ალვნიშნავდით, რომ ესა და ეს ლექს-სიმღერა აქაური ვარიანტია. გახსენებაზე, ჩვენს კრებულში ორი შემთხვევაა, სადაც აღნიშნული გვაქვს სხვა ვარიანტი, მაგ. „გუშინ შვიდნი გურჯანელის“ თქმულების დროს ასე ვწერთ: „გუშინ შვიდნი გურჯანელი“, ქვევით — ქართლური ვარიანტი, ან კიდევ „მოდისო მტერი, კახელო“, აქაც სათაურს ქვეშ მიწერილი მაქვს — ქართლური ვარიანტი. წერილის ავტორს არა აქვს აღნიშნული ეს თავის „კრიტიკაში“. ეს კი ჰქონდებს გაუგებრობას და მკითხველი შეცდომაში შეჲყავს. „კრიტიკოსი“ ეხება რა სიმღერას „გუშინ შვიდნი გურჯანელს“, არ ვიცი რა მოსაზრებით, იგი წერს — „გუშინ შვიდნი გურჯანელი“, ავტორის აზრით უნდა შესწორდეს ასე: „გუშინ შვიდნი გორიჯვრელი, მონადირენი ქართლისა“-ო... ეს მტკნარი გაუგებრობაა და, თუ გნებავთ, ნაცილიც წერილის ავტორის მხრივ, რადგან არსად არ მაქვს ნახსენები, რომ შესწორება შეიტანონ, ასეთ სისულეელეს არასდროს არ ჩავიდენდით, და თუ მთქმელის მიერ თქმული ჩავწერეთ ისე, როგორც გადმოგვცეს, ამის მოვალე ვიყავით, ასეც უნდა მოვქცეულიყავით.

წერილის ავტორის საყვედური ამით არ ამოიწურა. იგი განაგრძობს: „რატომ დაუჯერეთ „დიდი ავტორიტეტის“ ცნობას, როგორც ვინმე მესტიაშვილია“. დიახ, ჩვენ მიზანშენონილად მივიჩნიეთ მესტიაშვილის ნაამბობი ხსენებულ თხზულების შესახებ, რადგან, მაშინ იგი ერთ-ერთ კარგ მომღერლად და მთქმელად ითვლებოდა იმ მომღერალთა შორის, რომლებსაც 50 წლის განმავლობაში მეტოქე არა ჰყოლიათ ქართლში. ასეთი მომღერალი, როგორც მესტიაშვილი, მამა-პაპიდან შესწავლილს წმინდად ინახავდა და ცოტაოდნად გაბრუნდებაც კი ცოდოდ მიაჩნდა. ხალხში ასეთ კაცს დიდ პატივს სცემდნენ, როგორც მტკიცე პირის კაცს და ძველებიდან შეძენილის სიმღერა-თქმულებების დამცველს. სხვასაც უკრძალავდნენ ლექსის თუ სიმღერა-თქმულების დამახინჯებას. ხშირად სიმღერის დროსაც კი ხმარობდნენ დატუქსვის ლექსს:

„რამდენჯერ მითქვამს ბალლებო, ნუ ღრეცავთ სიმღერებსაო, სიმღერას სწორე თქმა უნდა — შეხმატკბილება ხმებსაო“ და სხვა.

მესტიაშვილის მინაგვარს მომღერალსა თუ სიმღერა-თქმულებების მთქმელ ოსტატს ჩვენგან პატივისცემა ეკუთვნით, არა — გაკიცხვა და არარად ჩაგდება.

შეუსაბამოდე მიგვიყვანა ავტორმა, როცა წერილში აღნიშნა არასწორად ამოკითხული სიმღერა „შაშვი-კაკაბი“-დან. წერილის ავტორი ამის შესახებ წერს: „ცნობილი უძველესი სიმღერა „შაშვი კაკაბი“, ავტორის აზრით, სოფლებთან — შავშეებთან და კაკაბეთთან ყოფილა დაკავშირებული, კერძოდ, ამ სოფლებში მცხოვრებ შავშეებელ დარისპანასა და კაკაბეთელ თედო „კისერად“ წოდებულთან. მათ ძალი ჰყოლიათ გაწრთვნილი და ნასწავლი. ძალით ფულს შოულობდნენ დუქანში“-ო. „კრიტიკოსს“, როგორც გულლვარძლით სავსეს, ვერც კი ამოუკითხნია სწორედ და, მართლა ყორეს ედება. სარეცენზიონი ნიგნში ჩვენ ასე ვწერთ ნათქვამს: „დარისპანსა და თედოს მედუქნე დანახარჯს არამც თუ ახდევინებდა, არამც, პირიქით, თვითონ მოუგროვებდა თურმე პატარა ფინიას საშუალებით, რომელიც ისე ჰყოლია დაგეშილი, რომ როცა პატრონი უბრძანებდა, ფინია სასაცილოდ ორ ფეხზე დატრიალდებოდა და შემოუვლიდა ყველას, ვინც კი იმ დროს იმ დუქანში ქეიფობდა. ფინიას „ლეკური“ ისეთ სიცილს იწვევდა, რომ მოქეიფეთ არაქათი აღარ ჰყოფნიდათ, რომ ეჭამათ და ესვათ. ბოლოს მედუქნე პანია ნაბდის ქუდს ჩაუდებდა პირში ძალს. ფინია, ახლა ქუდით პირში, ჩამოუვლიდა. ამის დანახვაზე ყველა ჩაუგდებდა ფულს, რამდენიც სურდა. ამასაც რომ მორჩებოდა, ისევ პატრონთან მივიდოდა. მედუქნე ჩამოართმევდა ქუდს და შეგროვილს მთლიანად გადასცემდა დარისპანს მის ამხანაგებთან ერთად.

— რას შვრები, კაცო, იმის მაგივრად, რომ ჩვენ მოგართვათ ჩვენი დანახარჯი, შენ პირიქით გვაძლევო, — ეტყოდა თურმე დარისპანი.

ამაზე მედუქნე უპასუხებდა:

— თქვენ ხშირად მობრძანდით ხოლმე და ასე გაამხიარულეთ ჩემი სტუმრები და ეს რა არის, ამაზე მეტსაც მოგართმევთონ.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ფინია იყო მედუქნის და არა მომღერლების — დარისპანისა და თედოსი. რას უნდა მივაწეროთ წერილის ავტორის ასეთი მტკნარი სიცრუის მოჩმახვა, ცილისწამება, აბსურდული შეუსაბამო კრიტიკა?

სიმღერა „მოდისო მტერი, კახელნო“ ქართლურ ვარიანტშია მოყვანილი:

მოდისო მტერი კახელნო, გადმოიარა კლდენია,
დანახვისიდან გამოჩნდა — დიდხანს ჯავრი სჭირს ჩვენია!
ტლაშაძეებმა აფრინეს მთხრობელთა რაზმი ჩვენია,
ხვნა-თესვას ხელი გაუშვით, არ დაგვიბნელდეს მზენია!

ნიგნის რედაქტორი ელენე ვირსალაძე შენიშვნებში წერს: „ტექსტის ზოგიერთი რეალია: გორის ციხე, დანახვისის მთა და მონასტერი (იხ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია), ყარყაბაზანისა და ტლაშაძეების გვარის ხსენება თითქოს მართლაც მის ქართლში წარმოშობას

ადასტურებენ. ყოველ შემთხვევაში, ცხადი ხდება, რომ ეს ტექსტი საქართველოში ფართედ ყოფილა გავრცელებული. შესაძლებელია, რომ ეს ზოგად-ქართული მხედრული სიმღერა ყოფილიყო“. ვეთანხმები რედაქტორს. ჩვენ არ გვიხსენებია ამ სიმღერის სადაურობა, არც ვაკუთვნებთ ქართლელებს, რადგან ეს სიმღერა მოდის, როგორც ქართლ-კახური. შემდეგ წერილის ავტორი ეხება სიმღერა „სამაიას“. „რედაქტორი აღნიშნავს, — ამბობს წერილის ავტორი, — რომ „გიორგი სვანიძის ტექსტი“, მიუხედავად გადაკეთებებისა და ჩანართებისა, მეტად არქაულ ელემენტებს შეიცავენ. ჩვენ კი გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა ტექსტი ვარიანტია გ. სვანიძისა, რომელიც ამ შემთხვევაში არა შემკრებისა და მკვლევარის, არამედ მთქმელის როლში გამოდის. არის შემთხვევა, როდესაც გადაკეთება აშკარად ხელოვნურია, ასეთია, ჩვენი აზრით, „სამაიას“ ტექსტი“ — და მოჰყავს ტექსტის ნაწილი:

„თან დავმღეროთ ნაზზე ნაზად
„სამაიას“ ტკბილი ჰანგი,
რომ ჩვენ ჰანგს ვერ შეედაროს
ვერც ჩონგურის და ვერც ჩანგის“!

ამის შემდეგ იხსენიებს „მზისა და მთვარის“ ჩხუბს, აქაც თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს ლექსის ნაწყვეტი და თითო პნკარის ბოლოს ფრჩხილებით აღნიშნავს. აქაც ვერ მივხვდი, რის თქმა უნდა ფრჩხილების აღნიშვნით. ჩვენ, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, წარმოდგენილი მასალები ისეა ჩანერილი, როგორც მთქმელებმა გადმოგვცეს. თუ რაიმე გადაკეთებას ადგილი აქვს, ეს ჩვენი, როგორც ჩამნერის, ბრალი არ არის. ჩვენ, შემკრებები, მოვალე ვართ მთქმელის ნათქვამი ჩავწეროთ ისე, როგორც ისინი გადმოგვცემენ. არა გვაქვს უფლება ჩვენი მოპრიანებით ჩაუმატოთ, ან გამოვაკლოთ რამე, რადგან ხალხურობა თავის სპეციფიკას დაჰკარგავს, რასაც არ მოგვიწონებენ. წერილის ავტორი ეხლა მუსიკათა მცოდნეს ეძებს. „არ ვიცით რომელი მუსიკათა მცოდნე უწევდა დახმარებას გ. სვანიძესო“. ჩვენი ჰასუხი ასეთია: კომპოზიტორ გიორგი სვანიძეს არავითარი მუსიკის მცოდნე არ სჭირდება, მით უმეტეს ისეთის, როგორიც არის წერილის ავტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მუსიკათ მცოდნე — გვახარია.

„მაგრამ ნოტებზე გადატანილი მასალა, — განაგრძობს იგი, — სამარცხვინოდ არის შესრულებული. სამხმანი სიმღერები სრულიად გაუმართლებლად ორ ხაზიან სანოტო სისტემაზეა გადატანილი, დარღვეულია ყველგან | და || ხმის თანაფარდობა. ამის ერთ-ერთი ნიმუშია, მაგალითად, მკის სიმღერა „ვარალალე“. ამ სიმღერის იმიტაცია | და || ხმებს შორის ქართულ სიმღერებში საერთოდ არ გვხვდება“-ო. ნოტებზე იმ სახით გადატანა, როგორი სახითაც ჩვენ გვაქვს, სავსებით სწორია; თუ სიმღერებს კარგად ჩავუკვირდებით, ისეთი რამ, როგორიც წერილის ავტორს უცნაურება, იმიტაცია ხან | და || ხმებს შორის გვხვდება, ხან კი || და || ხმებში. წერილის ავტორი რომ კარგად ერკვეოდეს ქართლ-კახურ სიმღერებში, ასეთ შენიშვნას გვერდს აუხვევდა. „ნოტების დაჯგუფებაც დარღვეულია პირველ სამ სტრიქონში. არ იყო საჭირო ისეთი შორისდებულების, როგორც ტაპ, ხო, ჩოქ, ადე, ნინ — ნოტებზე გადატანამ რადგან შეძახილი ნოტებზე არ გადადისო. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ასეთი შორისდებულის ნოტებზე გადატანა შეიძლება. სარეცენზიონ წიგნში მარტო შორისდებულია ნახსენები, ნოტებში კი

ნაჩვენებია: მაგ: წამყვანი პირველ ოქტავის მი-ბემოლით იწყებს, მოპასუხე ოქტავით მაღლა გაიმეორებს. აქ შეიძლება სხვა რომელიმე ნოტით აიღოს, რომელსაც უპასუხებენ იმავე ხმით, მხოლოდ ოქტავით მაღლა. რაც შეეხება პანებს, ისინი შეფარდებით მიაყოლებენ პანს, რომლის ხმა, მართლაც ნოტებით არ გამოიხატება. ჩვენ პანის ხმას მივუწერეთ „სხლეტით“, რომლის გადაცემა მხოლოდ სწავლებით შეიძლება. ასეთ სიმღერას ეკუთვნის მკის სიმღერა ტაჲ, ტაჲ.

წერილის ავტორი ეხება სადაც სანოტო მასალა სამხმიან სისტემაზეა წარმოდგენილი. მაგ: „სუფრული“, „შავლეგო“, „შემოგხედავ და მზეს გადარებ“, — „აქ სამხმიანი სიმღერები ხუთხმიანად არის გასაღებულიო“, — გვამცნებს ჩვენი „კრიტიკოსი“. ესეც მცდარი განმარტებაა. თუ დაუკვირდება იგი, ხსენებულ სიმღერებს ასრულებს ორი ჯგუფი, ჯგუფი, რომელიც ერთი-მეორეს სცვლის, ბოლოს ორივე ჯგუფი ერთდება და ზოგს ჰგონია ხუთ ხმიანი. ორი ჯგუფი ერთდება სიმღერა „სუფრულში“ (გამოსალვიძებელში ბოლოდან მე-6 ტაქტიდან), „შავლეგოში“ ორივე ჯგუფი ერთად ამბობს ბოლოდან მე-7 ტაქტიდან, „შემოგხედავ (და) მზეს გადარებ“ სიმღერაში ორივე ჯგუფი უერთდებიან ერთმანეთს ბოლოდან მე-12 ტაქტიდან. ჩვენ როგორც ვამჯობინეთ, ისე ჩავწერეთ. შეიძლება სხვამ სხვანაირად აღნიშნოს, რაც დავას არ გამოიწვევს. არც აქ არის სწორი შენიშვნა წერილის ავტორისა. რაც შეეხება ნოტებზე გადაღებულ სიმღერების უხარისხოდ დაბეჭდვას და სხვა ნაკლს, როგორიცაა ტექსტის მიუწერლობა ნოტებზე, ნოტების გამოკლება, რაც ტაქტის ზომას არ შეეფერება და სხვას, ამაზე სავსებით ვეთანხმებით წერილის ავტორს, მაგრამ აქ პირადად ჩვენ ბრალი არ გვიდევს, რადგან მაშინ მწოლიარე ავადმყოფი ვიყავი და კორექტორი არ მიიშველიეს, რომ დედანთან შეედარებინათ და შეცდომები გაესწორებინათ, თუ სადმე გაეპარებოდათ ნებსით თუ უნებლიერ.

ორიოდ სიტყვა წერილის ავტორის გამოთქმული აზრის შესახებ, საერთოდ, წერილის ავტორის კრიტიკა მტკნარი ცალმხრივობის გამომსახულია. წერილის ტონი გვამცნებს, რომ მას წინასწარ განუზრახავს ჩემი, ასე ვთქვათ, დაუმსახურებელი დამცირება. გაშმაგებულია სარეცენზიონი წიგნის გამოცემით, როგორ მოხდა, რომ გიორგი სვანიძემ ასეთი მასალა შეკრიბაო, ამიტომ არის, რომ არავთარ ცილისწამებას არ ერიდება. იმის მაგივრად, რომ სალი, მიუდგომელი კრიტიკა მოეხმარა, იგი კრიტიკის დროს სიფრთხილით არ ეკიდება მასალის გარჩევას. იგი არ გამოდის საქმის ინტერესებიდან, ამიტომ არის მისი კრიტიკა ულამაზო, ცალმხრივი და ვიწრო ეგოისტური. ეტყობა მას ჯერ წიგნი არ გადაუთვალერებია გულდასმით და მაშინვე ხელი უტაცნია კალმისათვის, რამაც შეცდომაში შეიყვანა. მისი შენიშვნები არ არის მართებული. მას რომ კეთილ ენება და წერილის შეთხვის წინ ჩემთან მობრძანებულიყო და ეკითხა რაშიც ეჭვი ებადებოდა, დამეთანხმებოდა, რადგან ვგონებ, ამონურულ პასუხს მივცემდი. ნამდვილი კრიტიკის საწინააღმდეგო ვის რა შეიძლება ჰქონდეს? ცალმხრივი კრიტიკა კი საზარალოა, რადგან ბევრს უტეხს გულს და შეიძლება ზოგიერთს სავსებით ააღებინოს ხელი ამა თუ იმ მუშაობაზე, რომელიც არ უნდა იყვეს. მაგრამ მე იმდენად გატაცებული ვიყავი მუსიკალურ ფოლკლორის შეკრებით, რომ ამაზე უარესი კრიტიკით რომ გამმასპინძლებოდა ვინმე, მე მაინც ჩემსას არ დავიშლიდი და განვაგრძობდი ჩემს საყვარელ საქმეს.

გიორგი სვანიძე
კომპოზიტორი



საქართველოს ფოლკლორის
სახლში გამოწვევის ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

ქართლური

ხალხური

სიმღერები

ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია

International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	father	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	bless	
გ	g	/g/	given	
დ	d	/d/	day	
ე	e	/ɛ/	set	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	vet	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f"
ზ	z	/z/	zenith	
თ	t	/t ^(h) /	today	
ი	i	/i/	meet	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	pickpocket	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	life	
მ	m	/m/	mentor	
ნ	n	/n/	new	
ო	o	/ɔ/	go	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	upkeep	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/ʒ/	pleasure	
რ	r	/r/	Paris	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	see	
ტ	t'	/t'/	sitcom	non-aspirated "t"
უ	u	/u/	root	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/p ^(h) /	pilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k ^(h) /	call	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ღ	gh	/ɣ/	-	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	shine	
ჩ	ch	/tʃ ^(h) /	choose	
ჳ	ts	/ts ^(h) /	sets	
ძ	dz	/dz/	nods	
წ	ts'	/ts'/	sits near	sort of, if both words words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	much noise	sort of, if both words words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/χ/	Bach	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჰ	j	/dʒ/	rejoice	
ჸ	h	/h/	hymn	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)

1. ჰერიო

Herio

დინჯად - Andante

I soloist

3

3 5

I soloist

ა - რა - ლა - ლე არ - ხა - ლა - ლე
a - ra - la - le ar - kha - la - le

3
he

II soloist

3

3 5

II soloist

არ - ხა - ლა - ლე ჰაი
ar - kha - la - le hai

ა - რა - ლა - ლე არ - ხა - ლა - ლე
a - ra - la - le ar - kha - la - le

ა - რა - ლა - ლე არ - ხა - ლა - ლე ჰე!
a - ra - la - le ar - kha - la - le he!

I-II soloist

3

3 5

I-II soloist

ჰე! ჰე-რი ჰე-რი-ო
he! he - ri he - ri - o

ჰე-რი ჰე-რი-ო
he - ri he - ri - o

ა - ბა ბი - ბი - ბი
a - ba bi - ch'e - bo

ჰე! ჰე!
he! he!

3
o
3
he a - o - o
3
o

3

3 5

I-II soloist

ჩე - მო გვრი - ტე - ბო
che - mo gvri - t'e - bo


ა - ბა მო - უს - ვით
a - ba mo - us - vit

ა - ი ნამ - გა - ლი
a - i nam - ga - li

ჰე
he

ა
a

3
o
3
i - o
3
o



ყა - ნა შეგვ-ქმნი - ა
 qa - na shegv-kmni - a
 ა - ი სამ-კა - ლი
 a - i sam-k'a - li
 ჰე - რი ჰე-რი - ვ
 he - ri he-ri - o
 ა - ი
 a - o
 ჰე
 he
 ა - ი
 a - o
 ჰე
 he
 ა - ი
 a - o.
 ჰე-რი-და ჰე-რი - ვ
 he - ri - da he - ri - o.
 ჰე-რი-და ჰე-რი - ვ.
 he - ri - da he - ri - o.
 1)

1) დაიწყეთ დინჯათ; VIII და IX ტაქტი-გადაძახილი გამოჰკეთეთ; X ტაქტიდან თანდათანობით აუზქარეთ XVIII ტაქტამდის; XIX ტაქტი შენელებით, უკანასკნელი უფრო მძიმედ და გამოკვეთით. (გ. სვანიძე)



2. ჰერი ეგა

Heri ega

I choir

II choir

1. ჰერი ეგა 1. ა - ბა მკა - ში გა - მომ-ცა - დე
he ri e ga 1. a - ba mk'a - shi ga - mom-tsa - de

ჰერი ეგა ჰერი ეგა
[he!]

2. როგორა ვმკი ამ ყანა - სა
2. ro - go - ra vmk'i am qa-na - sa

ა - ბა მკა - ში გა - მომ-ცა - დე
a - ba mk'a - shi ga - mom-tsa - de

[he!]

ჰერი ეგა ჰერი ეგა
[he!]

3. ჰერი ეგა ჰერი ეგა
[he!]

როგორა ვმკი ამ ყანა - სა!
ro - go - ra vmk'i am qa-na - sal!

ჰერი ეგა ჰერი ეგა
[he!]

3. მე-სვე-უ-რი წინ გარ-ბო-დეს
 3. me-sve-u - ri ts'in gar - bo - des

ჰე ჰე - რი ე - გა მე-სვე-უ-რი წინ გარ-ბო-დეს!
 he - ri e - ga me-sve-u - ri ts'in gar-bo - des!

[ჰე!]
 [he!]

ჰე
 he

ჰე - რი ე - გა [ჰე!]
 he - ri e - ga [he!]

ჰე-რი-და ბი-ჭე-ბო ჰე - რი ე - გა 4. ვე-ღარ (და) ხმა - რობ - დეს ნამ-გალ - სა!
 he - ri - da bi - ch'e - bo he - ri e - ga 4. ve - ghar (da) khma - rob - des nam - gal - sa!

ჰე
 he

ჰე - რი ე - გა [ჰე!]
 he - ri e - ga [he!]

4. 5.

ჰე - რი (და) გვრი-ტე - ბო ჰე - რი ე - გა ვე - ღარ ხმა - რობ - დეს ნამ - გალ - სა
 he - ri (da) gvri - t'e - bo he - ri e - ga ve - ghar khma - rob - des nam - gal - sa

ჰე
 he

ჰე - რი ე - გა ჰე!
 he - ri e - ga he!

Sheet music for three voices (Soprano, Alto, Bass) and piano. The music is in G major, common time.

Section 1:

- Soprano: ჰე ჰე - რი ე - გა (he he - ri e - ga)
- Alto: 6. ვერ ა - გრო - ვებ - დეს ნამ - კალ - სა (ver a - gro - vib - des nam-k'al - sa)
- Bass: ჰე! ჰე - რი ე - გა (he! he - ri e - ga)
- Piano: (Accompaniment)

Section 2:

- Soprano: ჰე ჰე - რი ე - გა [ჰე!] (he he - ri e - ga [he!])
- Alto: ა - ბა მკა - ში გა - მოგვ - ცა - დეთ (a - ba mk'a - shi ga - mogv-tsa - det)
- Bass: ვერ ა - გრო - ვებ - დეს ნამ - კალ - სა (ver a - gro - vib - des nam-k'al - sa)
- Piano: (Accompaniment)

Section 3:

- Soprano: ჰე ჰე - რი ე - გა (he he - ri e - ga)
- Alto: 7. ა - ბა მკა - ში გა - მოგვ - ცა - დეთ! (7. a - ba mk'a - shi ga - mogv-tsa - det!)
- Bass: გა - მოგვ - ცა - დეთ ჰე! (ga - mogv-tsa - det he!)
- Piano: (Accompaniment)

Section 4:

- Soprano: ჰე - რი ჰე - რი ე - გა (he - ri he - ri e - ga)
- Alto: ჰე! ჰე!
- Bass: ჰე ჰე - რი ე - გა (he he - ri e - ga)
- Piano: (Accompaniment)

Section 5:

- Soprano: ჰე ჰე - რი ე - გა (he he - ri e - ga)
- Alto: ჰე! ჰე!
- Bass: ჰე ჰე - რი ე - გა (he he - ri e - ga)
- Piano: (Accompaniment)

1. აბა მკაში გამომცადე,
2. როგორა ვმეი ამ ყანასა,
3. მესვეური წინ გარბოდეს,
4. ვეღარ ხმარობდეს ნამგალსა.
5. ათი კაცი ძნას ვერ კრავდეს,
6. ვერ აგროვებდეს ნამკალსა.
7. აბა მკაში გამოგვცადეთ.

1. aba mk'ashi gamomtsade,
2. rogora vmk'i am qanasa,
3. mesveuri ts'in garbodes,
4. veghar khmarobdes namgalsa.
5. ati k'atsi dznas ver k'ravdes,
6. ver agrovebdes namk'als.
7. aba mk'ashi gamogvtsadet.

3. ჰერი ეგა

Heri ega

ზომიერად - Moderato

I soloist

Sheet music for the first soloist and bass. The score consists of two systems of music. The first system starts with a treble clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჰე ჰე ჰე - რი ე-გა, ა - ბა მკა - ში გა - მომ-ცა - დე, ჰე ჰე - რი ე-გა. The second system starts with a bass clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჰე ჰე.

II soloist

Sheet music for the second soloist and bass. The score consists of two systems of music. The first system starts with a treble clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ა - ბა მკა - ში გა - მომ-ცა - დე, ჰე ჰე - რი ე-გა, რო-გო-რა ვმკი ამ ყა-ნა-სა. The second system starts with a bass clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჰე ჰე.

rallentando

I-II soloists

Sheet music for the first and second soloists and bass. The score consists of two systems of music. The first system starts with a treble clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჰე ჰე - რი ე-გა, რო-გო-რა ვმკი ამ ყა-ნა-სა. The second system starts with a bass clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჰე ჰე - რი ე-გა, ჰე.

I s.

II s.

I s.

II s.

I s.

II s.

Bass

Sheet music for the first soloist, second soloist, first soloist, second soloist, and bass. The score consists of two systems of music. The first system starts with a treble clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჸამ იმ - ჸო იმ - ჸო იმ - ჸო ჸო ჸოგ. The second system starts with a bass clef, a common time signature, and a key signature of one sharp. The lyrics are: ჸამ იმ - ჸო იმ - ჸო იმ - ჸო ჸო ჸოგ.

I s. II s. Bass
იმ ჰო ტაჲ ტა ტაჲ ტაჲ ტაჲ ტა ტა

თუ სვეში შეჯგუფდნენ:

მესვეური განზე გახტება, მომკელნი შეჯგუფდებიან:

I s. II s. Bass
ხი ხი ტაჲ ტა ტაჲ ტაჲ ტაჲ ტა ტა

სიმძიმისაგან თავდახრილ ყანას თუ მიადგებიან,

ცალ მუხლზე დაჩოქილები მკიან:

I s. II s. Bass
ჩოქ ჩო ტაჲ ტა ტაჲ ტაჲ ტაჲ ტა ტა

წელში გაშლილ ყანას დაინახავენ თუ არა:

I s. II s. Bass
ადე ადე ტაჲ ტა ტაჲ ტა ტა ტა ტა

I s. II s. Bass
წინ წინ ტაჲ ტა ტაჲ ტა ტა ტა ტა

აბა მკაში გამომცადე,
როგორა ვმკი ამ ყანასა.

*aba mk'ashi gamomtsade,
rogora vmk'i am qanasa.*



4. გლესავ გაგლესავ ნამგალო

Glesav galesav namgalo

ფართოდ - Moderato

სავ ნამ -
sav nam -
გა - ლო
ga - lo

გლე - სავ
gle - sav

გა - გლე
ga - gle

სავ ნამ -
sav nam -
გა - ლო
ga - lo

ნამ - გა - ლო
nam - ga - lo

ჩე - მო
che - mo

რკი -
rk'i -

ნაო.
nao.

ნამ - გა - ლო
nam - ga - lo

ჩე - მო
che - mo

რკი -
rk'i -

ნაო.
nao.

5. ლაზარე

სიმღერა გვალვის დროს ქართლში

Lazare

დინჯად - Andante

1. ლა - ზა - რე მოდ - გა კარ - სა - ო აბ - რი - ა - ლებ - და თვალ - სა - ო
1. la - za - re mod - ga kar - sa - o ab - ri - a - leb - da tval - sa - o

ზე - ცას ნა - მი გა - მოს - ტა - ცა და - ვე - ძებთ ი - მის კვალ - სა - ო
ze - tsas na - mi ga - mos - t'a - tsa da - ve - dzebt i - mis k'val - sa - o

2. ა - ლარ გვინ - და ჩვენ გო - რო - ხი ეხ - ლა გვინ - და ჩვენ წვი - მა - ო
2. a - ghar gvin - da chven go - ro - khi ekh - la gvin - da chven ts'vi - ma - o

1-2. 3-4.

მინ - დო - რი მთლად გა - დი - ტრუ - სა გვალ - ვამ მთლად და - ამ - დნ - ბა - ო.
min - do - ri mtlad ga - di - t'ru - sa gval - vam mtlad da - am - dzi - ma - o.

- | | |
|---|---|
| <p>1. ლაზარე მოდგა კარსაო,
აბრიალებდა თვალსაო,
ზეცას ნამი გამოსტაცა,
დავეძებთ იმის კვალსაო.</p> | <p>1. lazare modga k'arsao,
abrialebda tvalsao,
zetsas nami gamost'atsa,
davedzebt imis k'valsao.</p> |
| <p>2. ალარ გვინდა ჩვენ გოროხი,
ეხლა გვინდა ჩვენ წვიმაო,
მინდორი მთლად გადიტრუსა,
გვალვამ მთლად დაამძიმაო.</p> | <p>2. aghar gvinda chven gorokhi,
ekhla gvinda chven ts'vima,
mindori mtlad gadit'rusa,
gvalvam mtlad daamdzimao.</p> |
| <p>3. ღმერთო, ღმერთო, დიდებულო,
შეისმინე, გთხოვთ გულითა,
მინდორის ნამი მოუვლინე,
ჩვენც გვასხურე უსუპითა.</p> | <p>3. ghmerto, ghmerto, didebulu,
sheismine, gtkhovt gulita,
mindors nami mouvline,
chvents gvaskhure usup'ita.</p> |
| <p>4. ლაზარე მოდგა კარსაო,
აბრიალებდა თვალსაო,
ცას პირქუში სახე აძევს,
წვიმა მოელის ხალხსაო.</p> | <p>4. lazare modga k'arsao,
abrialebda tvalsao,
tsas p'irkushi sakhe adzevs,
ts'vima moelis khalkhsao.</p> |

1) გვალვის დროს დედაკაცები შეიყრიან თავს. გააკეთებენ ტალახისაგან ადამიანის მსგავსს – „ლაზარეს“. დასდებენ აზელილ ტალახისაგან გაკეთებულ ხონჩაზე და დაიწყებენ სოფელში კარდაკარ სიარულს. სადაც შეჩერდებიან მიუმღერიან „ლაზარეს“. დამხვედრი ჯერ წყლით გაწუნავს მოსიარულეთ, შემდეგ კი უბოძებს რამე საჭმელს-ხორაგს. მთელ სოფელს როცა შემოივლიან (უკვე შემგრალნი), მოსებნიან კარგ ჩრდილს და გემრიელად შეექცევიან შეგროვილ სასმელ-საჭმელს. თუ შემთხვევით წვიმა წამოვიდა, მაშინ ამათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგან მაშინდელ ცრუმორწმუნე ხალხში „წვიმის მომცემი“ დიდ პატივს დაიმსახურებენ. (გ. სვანიძე)

6. ჭონა

Ch'ona

The musical score consists of three staves of music. The top staff features a soprano vocal line with lyrics "ჰე!" and "ჰე", and a piano accompaniment. The middle staff features a bass vocal line with lyrics "ა" and "ე", and a piano accompaniment. The bottom staff features a piano accompaniment. The music is in common time, with various dynamics and articulations indicated.

შიგა და შიგ, სიმღერის დროს ჩაურთავენ „ოროლობაა, ოროლობა“. (გ. სვანიძე)



Sheet music for voice and piano, featuring four staves of musical notation with lyrics in Georgian and English. The music is in common time, with a key signature of one flat. The vocal parts are written in soprano, alto, tenor, and bass clef. The piano part is indicated by a treble clef and a bass clef. The lyrics include 'ha', 'he', 'o e', 'he', 'a - ra - la - lo', 'a - ra - la - li', 'a', 'e', 'a.', 'ho!', and 'he.'.

7. ვარალი ვარალე

Varali varale

ფერხულის ტემპით - Andante

I choir

ჰეი!
heil!

ვა-რა-ლი
va - ra - li

ვა-რა-ლე
va - ra - le

ვა-რი და
va - ri da

ვა-რა-
va - ra -

ჟე
le

ჰეი!
heil!

II choir

ვა-რა-ლი
va - ra - li

ვა-რა-ლე
va - ra - le

ვა-რი და
va - ri da

ვა-რა-
va - ra -

ჟე
le

ჰეი!
heil!

I choir

1. შე - მოგ - ხე -
1. she - mog - khe -

დავ და
dav da

მზეს გა -
mzes ga -

და - რებ
da - reb

ჰეი!
hel

ჰეი!
heil!

II choir

შე - მოგ - ხე - დავ და მზეს გა - და - რებ ჰე!

she - mog - khe - dav da mzes ga - da - reb he!

შე - მოგ - ხე - დავ და მზეს გა - და - რებ ჰე!

she - mog - khe - dav da mzes ga - da - reb he!

I choir
ჰე!
hell!

I-II choir

ვა - რა - ლი ვა - რა - ლე ვა - რი და ვა - რა - ლე.

va - ra - li va - ra - le va - ri da va - ra - le.

ვა - რა - ლი ვა - რა - ლე ვა - რი და ვა - რა - ლე.

va - ra - li va - ra - le va - ri da va - ra - le.

1. შემოგხედავ და მზეს გადარებ ჰე!
2. ინდოეთ ქვეყნიდან მოსულსა ჰე!
3. გევხარ თვალ-მარგალიტს უფასოს ჰე!
4. მთვარეს (და) ბადრსა ამოსულსა ჰე!

1. shemogkhedav da mzes gadareb he!
2. indoet kveqnidan mosulsa he!
3. gevkhari tval-margalit's upasos he!
4. mtvares (da) badrsa amosulsa he!



8. მხედრული

Mkhedruli

მარშისებურად - Tempo di marcia

I choir

ვა - რა - ლა - ლე
va - ra - la - le
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლა - ლე
va - ra - la - le
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le
ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le
ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le

II choir

ჰე!
he!
ჰე!
he!
ჰე!
he!

ვა - რა - ლა - ლე
va - ra - la - le
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლა - ლე
va - ra - la - le
ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li
ვა - რა - ლე
va - ra - le
ვა - რა - ლე
va - ra - le
ვა - რა - ლე
va - ra - le
ვა - რა - ლე
va - ra - le


I choir

ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le
ჰე!
he!
ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le
ჰე!
he!

გვი - ხა - რი - ან
gvi - kha - ri - an
1. მოვ - დი - ვართ
1. mov - di - vart
მო -
mo -
გვი - ხა - რი - ან
gvi - kha - ri - an

ჰე!
he!

II choir


 ვა - რა - ლა - ლი ვა - რა - ლე ვა - რი ვა - რა - ლე ჰე!
 ვა - რა - ლა - ლი ვა - რა - ლე ვა - რი ვა - რა - ლე ჰე!
 მოგვ - ყავს დე - ლა - მოგვ - ყავს დე - ლა -
 ჰე!


 ლი ბმ - ბმ - ბი ვა - რა - ლე ვა - რა - ლე ვა - რი ვა - რა - ლე ჰე!
 ლი ბმ - ბმ - ბი ვა - რა - ლა - ლი და ვა - რა - ლე ვა - რი ვა - რა - ლე ჰე!
 ვა - რა - ლე ვა - რა - ლი

I choir


 ბა ვე - რა - ვინ ვა - რა - ლა - ლი ვა - რა - ლე ვა - რი ვა - რა - ლე
 2. ვერ შე - ედ - რე - ბა ვე - რა - ვინ ვა - რა - ლა - ლი ვა - რა - ლე ვა - რი ვა - რა - ლე

ჰე!

II choir

ჰე!
he!

ვერც
verts

სა - ხით
sakhit

ვერც
verts

მორ - თუ - ლო - ბით
mor - tu - lo - bit

ვა - რა - ლე
va - ra - le

ვა - რა - ლე
va - ra - le

ვა - რა - ლე
va - ra - le

ვა - რა - ლე
va - ra - le

ჰე!
he!

2. 3. I-II choir

ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le

ჰე!
he!

ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li

ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li

ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li

ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li

rallent.

ვა - რა - ლა - ლი
va - ra - la - li

ვა - რა - ლე
va - ra - le

ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le

ჰე!
he!

ვა - რი ვა - რა - ლე
va - ri va - ra - le

ჰე!
he!

1. მოვდივართ მოგვიხარიან
მოგვყავს დედალი ხოხობი
2. ვერ შეედრება ვერავინ
ვერც სახით ვერც მორთულობით
3. ნესტან-დარეჯანს წააგავს
ძვირფასი მოკაზმულობით

1. movdivart mogvikharian
mogvqavs dedali khokhobi
2. ver sheedreba veravin
verts sakhit verts mortulobit
3. nest'an-darejans ts'aagavs
dzvirpasi mok'azmulobit

9. გამოსაღვიძებელი

Gamosaghvidzebeli

სურვილებისამებრ - Ad libitum

Top System:

Key: G major (indicated by a G clef), 2/4 time signature.

Notes: The vocal line consists of eighth-note chords. A dynamic marking *f* is at the beginning, followed by a sixteenth-note grace note above the main notes. Measure 6 is indicated above the staff.

Text (Georgian and English):

- ჰე he
- ჩვენ სამ-ნი შე-ვი-კრი-ფე-ნით chven sam-ni she-vi-k'ri-pe-nit
- სა-ზღვარ-სა მუხ-რა-ნი-სა-სა sa-zghvar-sa mukh-ra-ni-sa-sa

Bottom System:

Key: G major (indicated by a G clef), 2/4 time signature.

Notes: The vocal line consists of eighth-note chords. Measures 1 and 2 are shown.

Top System:

Key: G major (indicated by a G clef), 2/4 time signature.

Notes: The vocal line consists of eighth-note chords. Measure 5 is indicated above the staff.

Text (Georgian and English):

- პუ-რი ვთხო - ვეთ და გვაჭ - მევ - დნენ გვაჭ - მევ - დნენ p'u - ri vthko - vet da gvach' - mev - dnen gvach' - mev - dnen
- თავ-თუ-ხი-სა-სა არ - ხა - ლა - ლო ე tav - tu - khi - sa - sa ar - kha - la - lo e

Bottom System:

Key: G major (indicated by a G clef), 2/4 time signature.

Notes: The vocal line consists of eighth-note chords. Measures 1 and 2 are shown.

Top System:

Key: G major (indicated by a G clef), 2/4 time signature.

Notes: The vocal line consists of eighth-note chords. Measure 5 is indicated above the staff.

Text (Georgian and English):

- ა - რუ-ლა - ლო a - ru - la - lo
- ჰე he

Middle System:

Key: G major (indicated by a G clef), 2/4 time signature.

Notes: The vocal line consists of eighth-note chords. Measure 5 is indicated above the staff.

Text (Georgian and English):

- ჰე! hel!

Bottom System:

